„კახეთი ალექსანდრეს შვილის შვილს იასეს მისცეს, დავით ასლანიშვილი ვექილათ მოუყენეს“; „კახელებმან ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანეს, ისახან გამოაგდეს.“ (კაკაბაძე, 1925:23). მოკლედ წერს ამავე საკითხზე მალიქ შაჰ-ჰუსეინ სისთანი, ალექსანდრეს შვილიშვილი, თეიმურაზის ბიძაშვილი, კახეთის მმართველად დანიშნეს, რასაც ენით აუწერელი წვეულება მოჰყვაო (Смирнова, 2000: 393). ასევე მოკლედ აღნიშნავს ისა-ხანის კახეთის მმართველობის გადაცემის ფაქტს და მის ვექილად დავუდის [ე.ი. დავით ასლანიშვილის] დასმას სეიდ აჰმად ჰუსაინი ხალფა თავის თხზულებაში (Futuhāt-i Gīsitān, 2021: 516).

ისა ხანის კახეთის ტახტზე ასვლის ეპიზოდს, განსხვავებით ზემოჩამოთვლილი წყაროებისგან, ვრცლად აღწერს ისქანდერ ბეგ მუნში, რომლის თხზულება („თარიხე ალემ არა-იე აბასი“, ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია) ყველაზე ვრცელ ქრონიკად მიიჩნევა ზემოხსენებული პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. თუმცა, აღსანიშნია, რომ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის „აფზალ ალ თავარიხი“ ზუსტად ასეთივე ვრცელი (შესაძლოა, მეტადაც) აღმოჩნდა ამავე პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის.<sup>6</sup>

---

<sup>6</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ლეკვიშვილი, თ. „ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის ... 2022, გვ. 102-115.



„რადგანაც უბედური თეიმურაზი, როგორც აღწერილი იყო, ბაში-აჩუკში (იმერეთი) გაიქცა, სამყაროს ხელმწიფემ საქართველოს მმართველობა და მფლობელობა უწყალობა აღექსანდრეს ძის, გიორგი-მირზას, შვილს ისა-ხან-მირზას, თეიმურაზის ბიძაშვილს, რომელიც ბავშვობაში უკეთილშობილეს კარზე იყო მოყვანილი, შაჰმა გამოზარდა და ისლამის მიღებით იქნა ამაღლებული. ვექილად დაუდ-ბეგი,<sup>7</sup> ქართველი დიდებული აზნაური დაუნიშნეს, ქართველების წესისა და რიგის თანახმად იმ სამეფოს მბრძანებლობის ტახტზე დასვეს და ოქრო გადააყარეს თავზე. ყოილბაშთა ამირებმა და დიდებულებმაც, მისი უავგუსტოესობის მითითების თანახმად, ქართველებთან ერთად ოქროსა და ვერცხლის ფული ოქროს თასებით და ვერცხლის თახხებით გადააფრქვიეს [მას თავზე]. ქართველი დიდებულები და წარჩინებულები, იმათ გარდა, ვინც თეიმურაზის ხლება ირჩია, ისა-ხანთან შემოიკრიბნენ და მორჩილება განუცხადეს“ – წერს მუნში (ფუთუურიძე, 1969: 84-85).

ისა ხანის კახეთში დანიშვნის შესახებ უფრო მეტს ვიგებთ ფაზლი ბეგ ხუზანის თხზულებიდან: „ბრძანების თანახმად, ქართველმა მეფეებმა ისა მირზა მეფურ ხალიჩაზე დასვეს და თავზე ოქრო გადააყარეს. მისმა უდიდებულესობამ გაითვალისწინა რა ქართველთა წესი, ([რომლის მიხედვითაც] დასვამენ რა დავითის მოდგმის ხალიჩაზე თავიანთ მეფეებს, ყველა ფედავი<sup>8</sup> და აზნაური, ოქროს მირთმევის შემდეგ, ფიალა ღვინოს შესვამს თავიანთი მეფის ხელიდან, იმავე ფიალითვე შეჰფიცავენ [მას] ერთგულებას), ამგვარად, ქართველმა აზნაურებმა, იქნებოდა ეს მუსლიმი თუ ურჯულო, ისა ხანს ერთგულება შეჰფიცეს“.

ფაზლი, განსხვავებით მუნშისგან, დაწვრილებით მოგვითხრობს ამ წვეულების შესახებ: „დიდებული წვეულება გაიმართა იმ დღეს. ისა ხანი თავისი წინაპრების ტახტზე დაჯდა. მისმა

---

<sup>7</sup> იგივე დავით ჯანდიერი, ასლანიშვილი.

<sup>8</sup> ერთგული, თავდადებული, მსხვერპლი.

უდიდებულესობამ ჩამოატანინა 35 ზერა'ი<sup>9</sup> სიგრძისა და 24 ზერა'ი სიგანის ოქროს ძაფით მოქარგული, ქერმანში მოთელილი თეთრი თექის კარავი, ერთი ხალიჩა, თექის მოსასხამი [ეს ყოველივე] ქერმანელი ოსტატების, ხალიჩის მქსოველი მირზა ალისა და ნაზდის მთელავი მოჰამად ჰოსეინის ნახელავი იყო. კარვის ბოძები აბანოზის ხისგან გამოეთალათ, ხოლო ოქროს ჯაჭვები ისე დაემზადებინათ, რომ გადაადგილებისას დაშლა-აწყობა არ გამწელებოდათ. კარავს თორმეტი წყვილი კარ-ფანჯარა ისე დაუყენეს, რომ ყველა მხარეს გადიოდა და სხვა დანარჩენ მისთვის საკადრის კარვებთან ერთად [მისმა უდიდებულესობამ] აჩუქა რა ისა ხანს, ბრძანა, რომ ის სამეფო ალაგას მხარეს გაეშალათ. [ისა ხანი] მისი უდიდებულესობისგან გამარჯვების მომტანი კარვისკენ წავიდა რა, ყიზილბაშმა სულთნებმა და გამარჯვების მომტანმა ლაშქარმა მიულოცა მას. მისმა უდიდებულესობამ კახეთს 1000 თუმანი მისცა. ასევე, მაჰდი ყული ბეგ ახურბაშიმ<sup>10</sup> აჩუქა [ისა-ხანს] მურასა (მოოჭვილი) ლაგამ-უნაგირიანი ერაყული ცხენი.

ხსენებული ხანი სამი დღის განმავლობაში ემშვიდობებოდა მეგობრებს. დაწერა რა ჰოქმები კახეთისთვის, ისა ხანს ქართველ დიდებულთა ორბიტა დაუდ ბეგი (იგივე დავით ასლანიშვილი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ) დაუნიშნეს ვეკილად და [ამ უკანასკნელს] წყალობა აჩვენეს.

გარდა იმისა, რომ ამ კონკრეტულ მონაკვეთში მოტანილია ის დეტალები, რომლებსაც არ ვაწყდებით არცერთ სხვა წყაროში, ზუსტად ამავე დეტალებით (პატივისცემის გამოხატვა, ძღვენის მირთმევა, იმაზე მეტი, ვიდრე უბრალოდ ფორმალობა და ტრადიციია თუ სხვ.), აისახება შაჰ-აბასისა და ისა ხანის ურთიერთობაც. აქვე, ნათლად ჩანს სეფიანთა კარის დამოკიდებულება დავით ჯანდიერის, ანუ „ქართველ დიდებულთა ორბიტის“ მიმართ.

---

<sup>9</sup> სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც 104 სმ-ს ტოლია. ამ ერთეულს, უფრო მეტად ფარჩეულით მოვაჭრეები იყენებდნენ.

<sup>10</sup> საჯინიზოს უფროსი.

ყურადსაღებია, რომ ფაზლის თხზულების მიხედვით, შაჰი ხანს კახელი კორუმპირებული დიდებულების დასჯას სთხოვს (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 647), რაც, ჩვენი აზრით, იმითაც აიხსნება, რომ, როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ისა ხანს მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვება სურდა. ისქანდერ მუნში წერს, რომ ხელმწიფის შიში და მორიდება ქართველების ქონებას იცავდა, „არც ერთ კაცს გლეხის კალოდან ბზის ერთი ნამცეცის აღებაც კი არ შეეძლო“, ხოლო როდესაც „რამდენიმე უგუნურმა და ბედოვლათმა კაცმა“ ქართველების დაცარიელებული სახლების მარცვა დაიწყო, მუცლები დაუფატრეს მათ (ფუთურიძე, 1969:85). ანალოგიურ ინფორმაციას ვკითხულობთ „ფუთუჰათ-ე გითისეთანში“ (Ahmadi, Fesharaki, 2021:516), თუმცა, ამგვარი დავალების შესახებ (გასწორებოდა ისა-ხანი კორუმპირებულებს), განსხვავებით ფაზლისგან, სხვა ისტორიკოსები არ გვაწვდიან.

მუნშის მიხედვით, კახეთში რაღაც ჯგუფი უკანასკნელ დრომდე არ დაჰმორჩილებია ისა-ხანს (ფუთურიძე, 1969:86). ასევე, ერწოსა და თიანეთის დიდებულებმა „ჯიუტობა გასწიეს, არ მიუვიდნენ ისა-ხანს და არ დაემორჩილნენ ისლამის ლაშქარს“, რის გამოც შაჰმა მათი დარბევის განკარგულება გასცა (ფუთურიძე, 1969:87-88). მუნშის გადმოცემით, რადგან ისა-ხანი „ისლამის [მიღებით] გაკეთილშობილებული იყო, ნაკლებად სცემდა პატივს ჯვარსა და ბერებს“, და ქართველები მასზე განაწყენებულები ყოფილან რჯულის შეცვლის გამო, ისა-ხანს შეშინებია მათი, შაჰის ამაღლის აქ არყოფნის დროს არ მომკლანო, გამგებლობა მიატოვა და არდებილში წავიდა. შემდეგ კი პატიება სთხოვა შაჰს, რომელმაც შეუწდო მას და „მოწყალებით მიიღო უკეთილშობილეს ამაღაში“ (ფუთურიძე, 1969:92).

ფაზლი ხუზანის ისა ხანისადმი კახელების დაუმორჩილებლობის საკითხი მეტად ვრცლად აქვს გადმოცემული. ფაზლიც, ისევე, როგორც მუნში, წერს, რომ კახელებს არ მიაჩნდათ სწორად მუსლიმის მმართველობა და არ აპირებდნენ დამორჩილებოდნენ მუსლიმ ისა ხანს, რადგანაც ეს მათ ადათ-წესებს არ ექვემდებარებოდა, მაგრამ ყურადსაღებია, რომ ფაზლი ხაზს უსვამს, რომ

ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოველდღიურად მოდიოდა საჩივრის წერილები ისა-ხანზე და მის სულთნებზე“ (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 649) ამ ინფორმაციის მიხედვით, გარდა ტრადიციულად მუსლიმი მმართველის მიუღებლობისა, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მუნშისთანაც ხაზგასმულია, და, ამგვარ მაგალითებს ხშირად ვაწყდებით ირანულ, თუ არაირანულ წყაროებში, სხვა ანგარიშგასაწევ და ადგილობრივი მოსახლეობის შემზღუდავ ფაქტორებთანაც გვაქვს საქმე: კახელი მოსახლეობა, როგორც ჩანს ასაჩივრებს კონკრეტულ მიუღებელ ქმედებებს ისა-ხანისა და მისი დაახლოებული პირებისა.

ჩვენ მიერ გამოთქმულ ვარაუდს, შესაძლოა, ამყარებდეს ფაზლი ხუზანის ეს ინფორმაცია: „მისმა უდიდებულესობამ იცოდა, რომ თუკი ყიზილბაშები ისა ხანს უერთგულებენ, მაშინ მოსახლეობაც დაემორჩილებოდა ამ უკანასკნელს. [ამიტომაც] დარწმუნებულები უნდა ყოფილიყვნენ ყველაფერში, რათა ღმერთი არ გაწყრომოდა და ბიძამისი კონსტანტინე ხანივით, მის საქციელს არეულობა არ გამოეწვია“ (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 649). კონსტანტინე ხანს კი, ფაზლის თხზულების მიხედვით, ნამდვილად ჰქონდა მოსახლეობის შევიწროვების მცდელობა.<sup>11</sup> ფაზლი წერს, რომ ისა-ხანს არ სურდა ამ საქმეში ყიზილბაშების ჩარევა და თქვა, რომ თავად დაიმორჩილებდა თავის ხალხს თბილი მოპყრობითა და სითბოთი „და რა ურჩობაც არ უნდა გამოეჩინა იმ მხარის ხალხს, მათ მიმართ მოთმინებას და სიფრთხილეს გამოიჩენდა რა, ყველაფერს ქვეყნის სასიკეთოდ გააკეთებდა“ (Fazli Khuzani Isfahani, 2015:650). ამ პასაჟის მიხედვით ისა ხანის „შეცდომების“ ერთგვარ აღიარებას ვხედავთ.

შეცდომებზე ხაზგასმასა და ამასთან ერთად შაჰისგან ისა-ხანის ერთგვარ შეწყნარებას ვაწყდებით ასევე „აფხალ ალ თავარიხის“ მომდევნო თავშიც: „ისა ხანს აუჯანყდნენ და ტყეებში დაიმაღლნენ. და რადგანაც ეს უკანასკნელი მათ ვერ უმკლავდებოდა, იძულებული გახდა, დიდებული სასახლის ზღურბლზე მთხვევისთვის განჯაში წასულიყო, და იქ ეპოვნა თავშესაფარი. მიუხე-

<sup>11</sup> იხ.: ლეკვეიშვილი, თ. „ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის ... 2022, გვ.109.

დავად იმისა, რომ მისმა უდიდებულესობამ მას თავის სამფლობელოში დაბრუნება უბრძანა, მან უპასუხა: „თუკი უბრძანებთ და ყიზილბაშებს გამომაცილებთ, მაშინ კიდევ შესაძლოა, ამ სამფლობელოს შენარჩუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, აქ, თქვენს მსახურებაში დავრჩები!“ (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 659) ყურადსაღებია ასევე ის ფაქტი, რომ როდესაც ისა-ხანი რამდენიმე დიდებულ ნათესავს მოკლავს, მის უდიდებულესობას არ მოეწონება მისი ამგვარი საქციელი, „თუმცა რისხვას არ დაანახვებს მას“ (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 659).

ისქანდერ მუნშის მიხედვით, შაჰს არ დაუნიშნავს კახეთში სრულუფლებიანი მმართველი. მან თქვა, რომ თუ თეიმურაზი „თავისი დანაშაულის მტკვრს გულწრფელი და ერთგული სამსახურის სუფთა წყლით ჩამოიბანს“, კახეთი კვლავ მას გადაეცემა (ფუთურიძე, 1969:92). ფაზლი კი ხაზს უსვამს იმასაც, რომ „თუმცა კახელები მმართველის გარეშე დარჩნენ, მის უდიდებულესობას იქ ყიზილბაში დიდებული არ დაუნიშნავს“ (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 659).

### **დასკვნა**

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ფაზლი ბეგ ხუზანის |აფზალ ალ თავარიხის“ მიხედვით, რომელიც ბევრად მეტ ინფორმაციას შეიცავს ისა-ხანისა და შაჰ-აბასის ურთიერთობის შესახებ, ვიდრე სხვა ამავე პერიოდის წყაროები, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორები:

- ისა-ხანის მიერ კახეთში გატარებული პოლიტიკის (იქნება ეს არასწორი ნაბიჯები თუ მათი გამოსწორების მცდელობა) ელემენტები;
- შაჰ-აბასისა და ისა-ხანის ახლო დამოკიდებულება;
- შაჰის გულისხმიერება ქართველი უფლისწულისადმი და გარკვეულ შემთხვევებში (პოლიტიკურ გათვლებს მიღმა) შემწყნარებლური ნაბიჯების გადადგმაც ისა-ხანისადმი.

ყოველივე ზემოთქმული, ალბათ, კარგად თავსდება აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ შაჰ აბასის პოლიტიკის ჩარჩოებში – ადგილობრივი ფეოდალური ელიტის ლოიალური წარმ-

ომადგენლების საშუალებით რეგიონში ირანის პოზიციების გამყარება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი, ნ. (1967). *რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

კაკაბაძე, ს. (1926). *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია*, თბილისი. ლეკვეიშვილი, თ. (2022). *ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის ცნობები აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანის ურთიერთობების შესახებ (მე-17 საუკუნის დასაწყისი)*, ახალი მასალები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში. თბილისი: გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ფუთურიძე, ვ. (1969). *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*; თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯამბურია, გ. (1973). *ირან-ოსმალეთის ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები*, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

Fazli Beg Khuzani Isfahani. (2015). *A chronicle of the reign of Shah 'Abbas*, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. „Gibb Memorial Trust“.

Nozhat Ahmadi (Sarraf); Mohsen Mohammadi Fesharaki. (2021). *A Versified History of Shah Abbas the Great [Futuhāt-i Gītisūtān]. [Conquests of the Conqueror of the World] 12th/18th century*. Attributed to Sayyid Aḥmad Ḥusaynī Khalīfah. Edited with an introduction by: Nozhat Ahmadi (Sarraf) Mohsen Mohammadi Fesharaki. Uppsala Universitet.

Смирнова, Л.П. (2000). *Хроника воскрешения царей*, Малик Шах-Хусайн Систани. Перевод с Персидского, предисловие, ком-

ენტარიი и указатели, Смирновой. Москва: "Восточная дит-  
ература"РАН.

### References:

- Berdzenishvili, N. (1967). Ruset-Sakaetvelos Urtiertobis Istoriidan *XVI-XVII Saukuneta Mijnaze, Sakartvelos Istoriis Sakitxebi, Tsigni IV*, Tbilisi: gamomtsemloba „Metsniereba“.
- Kakabadze, S.(1926). *Farsadan Gorgijanidzis Istoria*, Tbilisi.
- Lekveishvili, T. (2022). Fazli Beg Khuzani Esfahanis Tsnobebin Aghm osavlet Sakartvelosa da Iranis Urtiertobebis Shesakheb (*me-17 saukunis dasatsqisi*), Akhali Masalebi Sakartvelos Shesakheb Iranis Arkivebsa da Bibliotekebshi. Tbilisi: Gamomtsemloba „Ilias Sakhelmtsifo Universiteti“.
- Futuridze, V. (1969). Iskander Munshis Tsnobebi Sakartvelos Shesakheb. Tbilisi: Gamomtsemloba „Metsniereba“.
- Jamburia, G. (1973). Iran-Osmaletis Omi da Kartl-Kakhetis Samefoebi, Sakartvelos Istoriis Narkvevebi, Tomi IV, Tbilisi: Gamomtsemloba „Sabchota Sakartvelo“.
- Fazli Beg Khuzani Isfahani. (2015). *A chronicle of the reign of Shah Abbas*, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. „Gibb Memorial Trust“.
- Nozhat Ahmadi (Sarraf); Mohsen Mohammadi Fesharaki. (2021). *A Versified History of Shah Abbas the Great [Futuh-at-I Gitisutan]. [Conquests of the Conqueror of the World] 12th/18th century*. Attributed to Sayyid Ahmad Husaynī Khalifah. Edited with an introduction by: Nozhat Ahmadi (Sarraf) Mohsen Mohammadi Fesharaki. Uppsala Universitet.
- Smirnova, L. P. (2000). Hronika Voskresheniya *Carej, Malik Shah-Husajn Sistani*. Perebod s Persidskogo, Predislovie, Komentarij I Ukazateli, Smirnovoj. Moskva: Москва: "Vostochnaya Literatura" RAN.



ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
**HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES**

---

---

**New information about Iran-Georgia relations at the beginning of the  
17th century According to the Iranian author, Fazli Beg Khuzani  
Isfahani's Afzal al-Tawarikh:- Isa Khan Mirza and Shah-Abbas I<sup>12</sup>**

**Tamar Lekveishvili**

Ph.D. (History)

Researcher at Ilia State University, G.

Tsereteli Institute of Oriental Studies

Georgia, 0162, Tbilisi, G. Tsereteli St.#3;

+9955593301313. tamar.lekveishvili@iliauni.edu.ge

<https://orcid.org/0009-0006-6931-7008>

**Abstract**

The historical work of the 17th-century Iranian historian Fazli Beg Khuzani Esfahani, "Afzal al-Tawarikh" (The Beautiful History), focuses on the reign of Shah Abbas I (1587-1629). This text represents the third part of Fazli's long-lost chronicle, which was later published in an academic edition in 2015. The "Afzal al-Tawarikh" provides a detailed account of 17th-century Iran-Georgia relations, offering significant insights into this complex dynamic. As an important source, "Afzal al-Tawarikh" contributes not only to the study of the Safavid

---

<sup>12</sup> The research is supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [YS-22-209] "Fazli Beg Khuzani Esfahani's "A chronicle of the reign of Shah Abbas" – a new source for studying the history of Georgia and Georgian-Iranian relations in the first half of the 17th century".



era in Iran (1501-1722) but also to the broader historical understanding of Georgia and the Caucasus region. He appears as the author of many unknown and noteworthy information about Georgians. The above-mentioned work depicts certain vicissitudes of the history of Georgia in the XVI-XVII centuries in a completely new way.

Fazli Beg Khuzani Esfahani, the author of the chronicles of Shah Abbas, served as vizier to Peikar Khan, the ruler of Kakheti, during the Qizilbash period (1616–1625). As an eyewitness to many significant events involving Safavid Iran and Georgia, his firsthand accounts provide invaluable insight into the political, social, and military interactions of that era.

This article examines previously unknown episodes in the history of Georgia: Interactions between Shah Abbas I and Prince Isa Khan Mirza (grandson of Aleksandre of Kakheti (1574-1605 and the son of Giorgi)) who was a converted Muslim brought up in Iran.

**Keywords:** Isa Khan; Shah Abbas; Fazli Beg Khuzani Esfahani; Iran-Georgian relations.

## **Introduction**

The Transcaucasian region served as the primary battleground for the prolonged conflict between Iran and the Ottoman Empire, which had been ongoing since the early 16th century. The specific phase of hostilities commencing in 1603 and concluding in 1639 was marked by Shah Abbas's strategic objective to reclaim territories ceded in the 1590 treaty of piece and to drive Ottoman forces out of Eastern Transcaucasia.

In the political agenda of Safavid Iran, particularly under the reign of Shah Abbas I (1587–1629), the matter of Eastern Georgia held significant strategic importance. At the edge of the 16th and the 17th century, Shah Abbas encountered a new and formidable rival in Georgia-namely, Russia, which had already extended a protective hand over Kakheti (Jamburia, 1973: 246).

Georgian nobility looked to Russia for assistance in resisting incursions by Iran and the Ottoman Empire. Consequently, Iran sought not only to counter the Ottoman presence but also to check Russian influence in the region. Thus, the resolution of the "Gurjistan issue"-namely, the complete conquest of Eastern Georgia-emerged as a primary objective for Shah Abbas in the newly initiated conflict (Berdzenishvili, 1967: 111–113).

This period represents one of the most challenging phases in Georgian history from political, economic, and social perspectives. Georgia was divided into separate kingdoms and principalities, Kings and nobles were constantly fighting each other. During this period, the political relations between Iran and Georgia have been documented and analyzed both in Georgian and Iranian, as well as other foreign sources (campaigns of Shah Abbas in Eastern Georgia, relations with Georgian kings, forcible emigration of Georgians to Iran, etc).

This Historical source is Fazli Beg Khuzani Isfahani's Afzal al Tavarikh (A Beautiful History) about the reign of Shah 'Abbas (1587-1629) – the third part of Fazli's chronicle, considered as lost for a prolonged period.]<sup>13</sup>

Afzal-al Tavarikh is an important source for studying not only the period of Safavid Iran (1501-1722) but also studying the history of Georgia and Caucasus, in general. The above-mentioned chronicle depicts certain vicissitudes of the history of the 16<sup>th</sup>- 17<sup>th</sup> centuries' Georgia in a completely new way. The chronicle introduces hitherto unknown facts for the history of Georgia. It also includes passages which informatively fill in already well-known events and presents them with different angle (Lekveishvili, 2022:103).

We have already had the opportunity to present to the scientific community certain episodes of this work and their analysis. In "Afzal

---

<sup>13</sup> The source was found in Cambridge, at the Christ's college library by British Iranologist Prof. Charles Melville, at the end of the 20<sup>th</sup> century. An academic text of the work was published in 2015- "A chronicle of the reign of Shah Abbas"; Fazli Beg Khuzani Isfahani, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. Gibb Memorial Trust, 2015.

al Tavarikh" the important political role of the representatives of the Georgian royal families both in Georgia and at the court of the Safavids is clearly defined.<sup>14</sup>

This article examines previously unknown episodes in the history of Georgia: Interactions between Shah Abbas I and Prince Isa Khan Mirza (grandson of Aleksandre of Kakheti (1574-1605) and the son of Giorgi) who was a converted Muslim brought up in Iran.

### **Method**

This article employs the comparative method of historical research, which involves identifying cause-and-effect relationships, presenting and analysing key features of historical processes, and comparing data from primary and secondary sources to formulate comprehensive conclusions.

### **Discussion**

It is known from the history of Georgia that in 1606, Shah Teimuraz I (King of Kakheti-1606-1648; King of Kartli-Kakheti-1625-1632) was approved as the king of Kakheti, while Luarsab II (reigned 1606–1615) was confirmed as king in Kartli. Despite the establishment of Christian monarchs in Kartli-Kakheti and the expulsion of Ottoman forces from the fortresses of Kartli, both Kartli and Kakheti continued to function as vassal states under Iranian suzerainty. "The Shah remained dissatisfied with the vassal stance of the kingdoms of Kartli-Kakheti, viewing their "loyalty" with considerable scepticism, particularly in the case of Teimuraz" (Jamburia, 1973: 262).

Teimuraz repeatedly demonstrated distrust and "disobedience" toward Shah Abbas, signalling a rejection of vassal allegiance to the Shah of Iran. For instance, Iskander Munshi recounts that Teimuraz and Luarsab, who were expected to accompany Shah Abbas to Mazandaran for a hunting expedition, failed to appear as instructed. "Each

---

<sup>14</sup> Lekveishvili, T. "Information in the Fazli Beg Khuzani's work about Georgia during the Rule of Shah Abbas I"; New materials about Georgia in the archives and libraries of Iran. Iliia state university, 2022, 102-115.

of them deferred their departure, attributing it to the other's delay, thereby postponing their attendance for a later time" (Puturidze, 1969: 80).

In 1613, Shah-Abbas moved towards Georgia, and in the spring of 1614, he invaded Kakheti. Teimuraz was compelled to send his mother, Queen Ketevan, along with his children, as hostages to the Shah. This was followed by a skirmish near Jalet, in which the Georgian forces ultimately retreated. Even Kartli was unable to mount a successful resistance, compelling Teimuraz and Luarsab to seek refuge (Jamburia, 1973:264-265).

During this period, Shah Abbas appointed Isa (Isa-Khan), a nobleman who had been raised in Iran and converted to Islam, as the ruler of Kakheti. "And Shah Abbas gave Kakheti to Nodar Jorjadze and Davit Aslanishvili. Kartli was without a ruler" (Kaukhchishvili, 1959: 400). "Kakheti was given to the grandson of Aleksandre, Iase, and Davit Aslanishvili was appointed as a Vakil";<sup>15</sup> "The Kakhetians also brought Teimuraz, and Isa khan was kicked out" (Kakabadze, 1925:23).

Malik Shah-Husein Sistin writes briefly on the same issue: "Alexander's grandson, Teimurazi's cousin, was appointed as the ruler of Kakheti, which was followed by an indescribable celebration" (Смирнова, 2000: 393). In his work, Seyyed Ahmad Husain Khalifa briefly refers to the transfer of rule over Kakheti to Isa Khan, with Davud (Davit Aslanishvili) serving as his Vakil (Ahmadi, Fesharaki, 2021: 516).

In contrast to the previously mentioned sources, Iskander Beg Munshi provides a detailed account of Isa Khan's ascension to the throne of Kakheti in his work "Tarikh-e Alam-Ara-ye Abbasi", which is regarded as the most comprehensive chronicle of Iran-Georgia relations during this period. It is noteworthy, however, that Fazli Beg Khuzani Isfahani's "Afzal al-Tavarikh" proves to be equally extensive,

---

<sup>15</sup> A responsible high official, trusted by the king.

if not more so, in documenting Iran-Georgia relations of the same period.<sup>16</sup>

"Following the retreat of the unfortunate Teimuraz to Bashi-Achuk (Imereti), the Ruler of the Universe granted the governance and dominion of Georgia to Isa-Khan Mirza, son of Giorgi-Mirza, grandson of Alexander, and cousin to Teimuraz. As a child, Isa Khan was brought to the court of the esteemed Shah, where he was raised under the Shah's guidance and converted to Islam. Daud-Beg,<sup>17</sup> a Georgian nobleman, was appointed as Isa Khan's Vakil. In accordance with Georgian custom and protocol, Isa Khan was installed on the throne as ruler of the kingdom, with ceremonial gold coins scattered over his head. By his Majesty's directive, Kizilbash dignitaries, along with Georgian nobles, showered Isa Khan with gold and silver coins, using golden cups in this ceremonial act. Georgian dignitaries, except those loyal to Teimuraz, gathered with Isa-Khan and pledged their allegiance to him" - writes Munshi (Puturidze, 1969: 84-85).

Further insights into Isa Khan's appointment to Kakheti are provided in the writings of Fazli Beg Khuzani: "Following the decree, the Georgian kings seated Isa Mirza upon the royal carpet and scattered gold over his head. His Majesty took the Georgian custom into account, whereby their kings are seated upon the carpet of the House of David, and all nobles and dignitaries present bestow gold upon the newly anointed king. Following this, they partake in a ceremonial cup of wine, offered from the king's hand. Using this same cup, they pledged their loyalty to the ruler; accordingly, Georgian nobles, both Muslim and non-Muslim, swore allegiance to Isa Khan" (Fazli Khuzani Isfahani, 2015:646).

In contrast to Munshi, Fazli provides a detailed account of this feast: "A grand celebration took place on that day. Isa Khan was seated upon the throne of his ancestors. His Majesty ordered the preparation

---

<sup>16</sup> See: Lekveishvili, T. Fazli Beg Khuzani ... 2022, 102-1155.

<sup>17</sup> Same Davit Jandieri, Aslanishvili.

of a tent made of white felt, measuring 35 zerai<sup>18</sup> in length and 24 zerai in width, intricately embroidered with gold thread and woven in Kerman. One carpet and a felt cloak, along with these items, were the exquisite handiwork of Kerman artisans, specifically the carpet weaver Mirza Ali and the master of felt crafting, Mohammad Hossein. The tent poles were crafted from Ebony (*ebenus*) wood, while the gold chains were designed in such a manner as to allow for easy disassembly and reassembly during transport. Twelve pairs of doors and windows were placed in the tent so that it opened on all sides, and together with the rest of the tents for him [his Majesty] gifted to Isa Khan, ordered it to be pitched on the royal side. Isa Khan proceeded from His Majesty's presence to the tent of victory. The Kizilbash sultans and the victorious army extended their congratulations to him. His Majesty granted 1,000 tomans to Kakheti. Additionally, Equerry Mahdi Quli Beg presented Isa Khan an Iraqi horse with adorned bridle and saddle. The aforementioned Khan bid farewell to his companions for three days. He issued decrees for Kakheti, appointing Daud Beg (the same Davit Aslanishvili mentioned earlier) as Isa Khan's Vakil, and the latter was granted mercy (Fazli Khuzani Isfahani, 2015:646-47).

In addition to providing details not found in any other sources, with exacting specifics such as the expressions of respect, the exchange of gifts, and the acknowledgment of more than mere formalities and traditions, this passage also reflects the nuanced relationship between Shah Abbas and Isa Khan. Here, the attitude of the Safavid dynasty toward Davit Jandieri, as well as the "orbit of the Georgian dignitaries," becomes clearly evident.

It is noteworthy that, according to Fazli's chronicle, the Shah instructs the Khan to punish the corrupt nobles of Kakheti (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 647). In our view, this can be explained by Isa Khan's desire to gain the favor of the local population, as previously discussed. Iskander Munshi writes that the fear and vigilance of the ruler safeguarded the property of the Georgians, stating that "not a

---

<sup>18</sup> Unit of length which equals to 104 cm. This unit was mostly used by cloth merchants.

single man could take even a piece of boxwood from a peasant. And when "a few foolish and ill-fated men" began looting the empty houses of Georgians, they have punished them, and "they cut their bellies" (Puturidze, 1969: 85).

We find similar information in "Futuh-at-e Gitisetan" (Ahmadi, Fesharaki, 2021: 516), yet, unlike Fazli Khuzani, other historians do not mention such a specific task, namely that Isa Khan took measures to correct the corrupt nobles of Kakheti. According to Munshi, there was a group in Kakheti that had not submitted to Isa Khan until recently (Puturidze, 1969: 86). Additionally, the nobles of Ertso and Tianeti "showed stubbornness, did not come to Isa-Khan, and did not submit to the army of Islam," which led the Shah to issue an order for their dispersal (Puturidze, 1969: 87-88). According to Munshi, Isa Khan, having been "ennobled by [accepting] Islam," displayed little respect for the Christian cross and the clergy. Georgians were upset with him because of his conversion. Isa Khan, fearing that he might be killed in the absence of Shah Abbas' forces, fled the governorship and sought refuge in Ardebil. Subsequently, Isa Khan sought forgiveness from Shah Abbas, who moved by compassion, granted him mercy and received him with favor in the most esteemed inner circle (Puturidze, 1969:92).

Fazli Khuzani provides a comprehensive account of the disobedience of the Kakhetians to Isa Khan. Similar to Munshi, Fazli notes that the Kakhetians resisted being governed by a Muslim ruler, as they believed it was contrary to their customs. Consequently, they were unwilling to submit to Isa Khan, whose Muslim identity conflicted with their traditional practices. It is worth noting that Fazli emphasizes that on this matter, letters of complaint against Isa Khan and his sultans were received daily (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 649).

According to this information, in addition to the unacceptability of a traditionally Muslim ruler, which, as we have already mentioned above, is also emphasized with Munshi, and we often encounter such examples in Iranian and non-Iranian sources, we are also dealing with

other factors limiting local approach: The population of Kakheti appears to have expressed grievances regarding specific actions of Isa Khan and his close associates.

Our assumption is can be further supported by the information provided by Fazli Khuzani: "His Majesty knew that if the Qizilbash obeyed Isa Khan, then the population would also obey the latter. Therefore, it was essential for them to maintain confidence in all matters, ensuring that "God would not be angered", and that, like his uncle Constantine Khan, Isa Khan's actions would not lead to disorder and upheaval (Fazli Khuzani Isfahani, 2015:649). Konstantin Khan, according to Fazli's writings, really tried to harass the population.<sup>19</sup> Fazli notes that Isa Khan preferred not to have the Qizilbash intervene in the matter, asserting that he would personally bring his people into submission through kind and conciliatory treatment. Despite the disobedience of the local population, Isa Khan exhibited patience and caution, demonstrating a willingness to take all necessary actions for the welfare of the country (Fazli Khuzani Isfahani, 2015:649).

This passage reflects a recognition of Isa Khan's mistakes. In the subsequent chapter of "Afzal al-Tawarikh", we observe a continued emphasis on Isa Khan's mistakes, coupled with a certain degree of tolerance extended to him by the Shah. They rebelled against Isa Khan and hid in the forests. And since the latter could not cope with them, he was forced to go to Ganja to kiss the threshold of the magnificent palace, and there he found refuge. Although His Majesty ordered him to return to his domain, he replied: "If you order and make Kizilbash follow me, then retaining control over this domain may still be possible. Otherwise, I shall remain here, devoted to your service (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 659). Notably, when Isa Khan killed several noble relatives, the Shah disapproved of his actions; however, he refrained from openly expressing his anger (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 659). Iskander Munshi records that the Shah refrained from appointing a fully legitimate ruler in Kakheti, stating that if Teimuraz

---

<sup>19</sup> See: Lekveishvili, T. Fazli Beg Khuzani... 2022. 109.



"cleanses the stain of his transgressions with the pure waters of loyal and devoted service," he would be reinstated as ruler of Kakheti (Puturidze, 1969: 92). Fazli Khuzani Isfahani highlights that "although the Kakhetian people were left without a ruler, His Majesty refrained from appointing a dignitary from the Qizilbash" (Fazli Khuzani Isfahani, 2015: 659).

### **Conclusion**

In conclusion, it can be stated that Fazli Beg Khuzani's "Afzal al-Tavarikh", which provides considerably more detailed information on the relationship between Isa Khan and Shah Abbas than other contemporary sources, emphasizes the following factors:

- Elements of the policy carried out by Isa Khan in Kakheti (be it wrong steps or an attempt to correct them);
- close relationship between Shah Abbas and Isa Khan;
- The Shah's kindness towards the Georgian prince and in certain cases (beyond political calculations) taking tolerant steps towards Isa Khan.

All of the above probably fits well within the framework of Shah Abbas's policy towards Eastern Georgia - strengthening Iran's position in the region through loyal representatives of the local feudal elite.

### **References:**

- Berdzenishvili, N. (1967). *Ruset-sakartvelos urtiertobis istoriidan XVI-XVII saukuneta mijnaze* (From the history of Russian-Georgian relations at the turn of the XVI-XVII centuries). Issues of Georgian History, IV. Tbilisi: "Metsniereba".
- Kakabadze, S. (1926). *Parsadan Gorgijanidzis istoria* (History of Farsadan Gorgijanidze). Tbilisi.
- Lekveishvili, T. (2022). *Pazli beg khuzani esfahanis tsnobebi sakartvelos shesakheb* (Information in the Fazli Beg Khuzani's work about Georgia during the Rule of Shah Abbas I). New materials

- about Georgia in the archives and libraries of Iran. Tbilisi: Ilia state university.
- Puturidze, V. (1969). *Iskander munshis tsnobebi sakartvelos shesakheb* (References by Iskander Beg Munshi about Georgia). Tbilisi: "Metsniereba".
- Jamburia, G. (1973). *Iran-Osmaletis omi da Kartl-kaxetis samepoebi* (Iran-Ottoman war and kingdoms of Kartl and Kakheti). Essays on the history of Georgia V. Tbilisi: "Sabchota sakartvelo"
- Fazli Beg Khuzani Isfahani. (2015). *A chronicle of the reign of Shah 'Abbas*, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. „Gibb Memorial Trust“.
- Nozhat Ahmadi (Sarraf); Mohsen Mohammadi Fesharaki. (2021). *A Versified History of Shah Abbas the Great [Futuhāt-I Gītisūtān]. [Conquests of the Conqueror of the World] 12th/18th century.* Attributed to Sayyid Aḥmad Ḥusaynī Khalīfah. Edited with an introduction by: Nozhat Ahmadi (Sarraf) Mohsen Mohammadi Fesharaki. Uppsala Universitet.
- Smirnova, L.P. (2000). Malik Shah-Khusain Sistani, Khronika voskresheniya tsarei. Moscow: "Vostochnaya Literatura".



## აბდულჰამიდ II-ის მმართველობა 1876-1878 წლებში

**საბა კალანდარიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიკოსი, კულტურული  
და სოციალური ანთროპოლოგიის მაგისტრანტი.  
საქართველო, 0160. თბილისი, ბახტრიონის ქუჩა 8ა.  
+995595070152. sabakalanda@gmail.com  
ORCID: 0009-0003-1815-9810

### აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ოსმალეთის იმპერიის რიგით 34-ე სულთანის, აბდულჰამიდ II-ის მმართველობის პირველი ორი წელი, რომელიც ცნობილია, როგორც „პირველი კონსტიტუციის ერა“. სულთან მურად V-ის ტახტიდან ჩამოგდებისა და მის მაგივრად თავისი ძმის ასვლით ოსმალეთის იმპერიაში იწყება აბსოლუტური მმართველობის ხანა, რომელმაც ახალი რეალობის წინაშე დააყენა, როგორც ევროპის დიდი სახელმწიფოები, ისე დასუსტებული ოსმალეთის იმპერია.

სტატიაში უცხოურ ლიტერატურაზე დაყრდნობით განხილულია 1876-1878 წლებში მომხდარი საკვანძო, მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორებიცაა: სულთან აბდულჰამიდ II-ის ტახტზე ასვლა, ბრძოლა ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგ, სტამბოლის კონფერენცია, კონსტიტუციის მიღება, პარლამენტის ჩამოყალიბება-დათხოვნა, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების

ომი, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება, ბერლინის კონგრესი და ჩირაანის ინციდენტი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვეცადეთ, ამოგვეწურა ოსმალეთის იმპერიის ავტოკრატი მმართველის პირველი ორი წელიწადი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ ევროპის დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე, არამედ საქართველოზეც.

**საკვანძო სიტყვები:** ოსმალეთი; ოსმალეთი XIX საუკუნეში; აბდულჰამიდ II; ჰამიდიანი; სტამბოლის კონფერენცია; რუსეთ-ოსმალეთის ომი; ბრწყინვალე პორტა; სან-სტეფანო; ბერლინის კონგრესი.

## შესავალი

XIX საუკუნის მეორე ნახევარი ოსმალეთის იმპერიისთვის მძიმე შიდა სოციალურ-პოლიტიკური ვითარებითა და საგარეო პრობლემებით ხასიათდება. 1839 წელს დაწყებული თანზიმათის რეფორმები სასურველ შედეგს ვერ აღწევდა და მოსახლეობის დიდ რაოდენობაში წინააღმდეგობას იწვევდა. რეფორმებს განსაკუთრებით აჭიანურებდა სულთნის ხელისუფლება და მუსლიმური სამღვდელოების კონსერვატიული ნაწილი. ამას ემატებოდა სამეფო კარის მფლანგველობა, სოფლის მეურნეობის ძველ, ჩამორჩენილ სისტემაზე ყოფნა, უცხოური კაპიტალის მონოპოლია და დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის აჯანყებები. კრიზისმა 1875 წლიდან მოყოლებული მიაღწია ყველაზე კრიტიკულ დონეებს, იმპერია შევიდა იმ პერიოდში, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს ქაოტური. სახელმწიფო ხაზინა მთლიანად დაინგრა, სახემწიფომ ვერ დაფარა სესხები, რომელიც პერიოდულად ყირიმის ომის შემდგომ იყო გაცემული. ამასთანავე, ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა წამოიწყეს დიდი შეტევა დიპლომატიურ ასპარეზზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით 1876 წელს, სტამბოლში გამოსვლები დაიწყო. 30 მაისს სულთან აბდულ აზიზი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგივრად ტახტზე მურად V დასვეს, რომელიც მალევე მისმა მმამ, ოსმალეთის იმპერიის რიგით

34-ე სულთანმა, აბდულჰამიდ II-მ (1842-1919) შეცვალა, რითაც იწყება ავტოკრატიზმისა და აბსოლუტური მმართველობის ხანა ოსმალეთის იმპერიაში.

სულთან აბდულჰამიდ II-ის მმართველობის ხანა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილია, არადა, მისი მმართველობის პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. საინტერესოა მისი პოლიტიკის შედეგები საქართველოს ისტორიისთვისაც, ვინაიდან მისი მმართველობის პერიოდში 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. სან-სტეფანოს შეთანხმებითა და შედგომ ბერლინის კონგრესის მიხედვით რუსეთის იმპერიაში შემავალ ქართულ ტერიტორიებს ჩამოეჭრა ისტორიული საქართველოს მიწები, ბათუმი კი თავისუფალ სავაჭრო ქალაქად გამოცხადდა. გარდა ამისა, ამ ომის შემდეგ განსაკუთრებით დაჩქარდა და გაძლიერდა ქართველ მუსლიმთა მუჰაჯირობის პროცესი, რამაც, ფაქტობრივად, მოსახლეობისგან დაცალა აჭარა-ქობულეთის მხარე.

ჩვენთვის საინტერესოა 34-ე სულთანის გრძელი მმართველობის პირველი ორი წელი, რომელიც შიდა არეულობებითა და საგარეო ასპარეზზე პოლიტიკური დაპირისპირებებით ხასიათდება. უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ვეცადეთ ქრონოლოგიური განვითარების ჭრილში გამოგვეყო მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც ოსმალეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე დიდი გავლენა იქონია. ვფიქრობთ, სულთან აბდულჰამიდ II-ის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პოლიტიკური ფიგურის მმართველობა, როგორც უარყოფითად, ისე დადებითად შეიძლება შეფასდეს. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც წინამდებარე ნაშრომში ნათლად გვაქვს გამოკვეთილი.

### **მეთოდები**

ქართულ ისტორიოგრაფიაში ოსმალეთის იმპერიის ზემოთხსენებული პერიოდი ნაკლებადაა შესწავლილი, აქედან გამომდინარე, უცხოურ ლიტერატურასა და წყაროებზე დაყრდნობით, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ-შედარ-

ებითი კვლევის მეთოდების გამოყენებით ვიმუშავებთ წინამდებარე ნაშრომზე.

### **შედეგები**

კვლევის შედეგად ქართულ საისტორიო სივრცეში შემოდის ოსმალეთის იმპერიის მნიშვნელოვანი პერიოდი. უშუალოდ კვლევის მიზანი იყო ოსმალეთის 34-ე სულთნის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი ორი წლის აღწერა. კვლევის შედეგად დადგინდა ისეთი ცალკეული საკითხები, როგორცაა: სულთან აბდულჰამიდ II-ის ტახტზე ასვლა, ბრძოლა ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგ, სტამბულის კონფერენცია, კონსტიტუციის მიღება, პარლამენტის ჩამოყალიბება-დათხოვნა, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება, ბერლინის კონგრესი და ჩირაანის ინციდენტი.

### **მსჯელობა**

სულთან აბდულჰამიდ II-ის მმართველოს ხანა (1876-1909) შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს. მისი მმართველობის პირველი ორი წელი (1876-1878) ითვლება ტახტზე ასვლიდან რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულებით.

სულთნის განათლების დონე საერთოდაც არ ასახავდა 1850 - იანი წლების განათლების დონეს. რეალურად მისი ცოდნა დაწყებითი სკოლას არ ცდებოდა, თუმცა, მან მიიღო დიდი საერთაშორისო ევროპული გამოცდილება მაშინ, როცა მის ბიძას, სულთან აბდულ აზიზს (1830-1876) 1867 წლის ივნის-აგვისტოში ევროპაში ახლდა. მოგზაურობის დროს მომავალი სულთანი აკვირდებოდა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, პრუსიისა და ავსტრიის განვითარებას. გარდა ამისა, ის აქტიურად იყო დაინტერესებული აგრო-კულტურული საქმიანობით, რაც იმ პერიოდის ოსმალეთის იმპერიისთვის ნამდვილი აქილევსის ქუსლი იყო (Gábor Ágoston and Bruce Masters, 2009:7). მისი აგროკულტურით დაინტერესება განაპირობა მისმა სიახლოვემ ინგლისელ ტომპსონების ოჯახთან, რომელთაც თარაბიაში ფერმა ჰქონდათ. გარდა ამისა, ის ყველა საშუალებას იყენებდა ოსმალეთის მალალი წრის საზოგადოებასთან დასაკავშირებლად და მათთან

განიხილავდა იმპერიის პრობლემებს. განსაკუთრებით ახლოს იყვნენ მასთან თანზიმათის ორი მცირე ბიუროკრატი, იბრაჰიმ ეთჰემ ეფენდი და მეჰმეთ ესათ საფეთ ეფენდი, XIX საუკუნის ყველაზე ცნობილი განათლების მინისტრები.<sup>20</sup> ახალგაზრდა უფლისწულის პირად ფინანსებს ამუშავებდა ცნობილი სომეხი ბანკირი, ჰაგოპ ზარიფი ბეი, რომლისგანაც მან ბევრი ცოდნა მოიპოვა ფინანსებისა და ეკონომიკის შესახებ. შესაბამისად, ტახტზე ასვლის დროს მას გარკვეული ცოდნა და იმპერიის მართვის შესაბამისი უნარები ჰქონდა (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005: 172).

მიუხედავად უკიდურესად მძიმე პირობებისა, მმართველ წრეებს, აჰმედ მიდჰად ფაშას ხელმძღვანელობით, კარგად ჰქონდა გააზრებული რეფორმების აუცილებლობა. ისინი მხარს უჭერდნენ „ახალგაზრდა ოსმალების“ იდეებს, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური რეფორმების იდეას. მათ მოახერხეს და გადაიბირეს მუსლიმური სამღვდლოების წარმომადგენლებიც. სულთანს სურდა თავისი ძალაუფლების აღდგენა, ის არ ჩქარობდა ასეთი დოკუმენტის გაცემას, მაგრამ შიდა და გარე პოლიტიკური ფაქტორების გამო იძულებული გახდა დაჰყოლოდა მათ ნებას (Karpat, Zens, 2003: 249-253). ამ პროცესების მთავარი შემოქმედი მიდჰად ფაშა იყო, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ლიდერობას მინისტრთა კაბინეტში. მან გამოიყენა დიდ სახელმწიფოთა კონფერენცია სათავისოდ, რათა გაემართლებინა კონსტიტუციის დაუყონებლივ გამოცხადება, რომელიც დაამყარებდა საპარლამენტო მმართველობას. ის ამტკიცებდა, რომ მისი გამოცხადება სხვა სახელმწიფოებს ხელს შეუშლიდა რეფორმების გატარების საბაზით ოსმალეთის საქმეებში ჩარევებში. მისი მუდმივი თხოვნის საპასუხოდ, აბდულჰამიდმა 7 ოქტომბერს გასცა ბრძანება შექმნილიყო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც იმუშავებდა კონსტიტუციის შემუშავებაზე, რომლის ხელმძღვანელიც აჰმედ მიდფათ ფაშა იქნებოდა (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005: 174).

---

<sup>20</sup> ორივე შემდგომში მსახურობდა მის დიდ ვეზირებად.

კონსტიტუციაზე მუშაობის განმავლობაში მწვავე კამათი მიმდინარეობდა მთელ რიგ საკითხებზე, როგორც იყო ეროვნულ უმცირესობათა ენების თურქულ-ოსმალურთან გათანაბრება, რომელიც ჩავარდა. აგრეთვე სულთნის მოთხოვნა მინისტრთა პასუხისმგებლობის დებულებათა შესახებ, პრესის თავისუფლების კანონი და ა.შ. 6 დეკემბერს კი კაბინეტმა საბოლოოდ თანხმობა მისცა კომისიის მუშაობას, თუმცა სულთანმა დაჟინებით მოითხოვა სახელმწიფო უსაფრთხოების კანონის ჩართვა, რომელიც გულისხმობდა სულთნის პრეროგატივას გადაესახლებინა ყველა, ვინც სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საშიშად იქნებოდა მიჩნეული. წინააღმდეგობის მიუხედავად ეს კანონი კონსტიტუციის 113-ე მუხლის სახით მიიღეს. 1876 წლის კონსტიტუცია შედგებოდა 119 მუხლისა და 12 სექციისგან. ერთი შეხედვით, ეს დასავლური დოკუმენტი სულაც არ იყო წმინდა დასავლური და მასში ოსმალეთის იმპერიის გამოცდილება და პრაქტიკა იყო ჩართული (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005: 175).

ოსმალეთის იმპერიის პირველ პერიოდში ადმინისტრაციული და ინსტიტუციური სისტემები შეიქმნა ისლამის რელიგიის შესაბამისად. ამიტომ, ეს ინსტიტუციური და ადმინისტრაციული სისტემები, მათ სტრუქტურებთან, კომპონენტებთან და კანონებთან ერთად, უცვლელი დარჩა XIX საუკუნემდე. სახელმწიფოს ორგანიზაცია და მისი თანხლები კანონები მნიშვნელოვნად აერთიანებდა როგორც რელიგიას, ასევე ჩვეულებებს. თუმცა, ვესტერნიზაციის პროცესების გამო, იმპერიის ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, რელიგია და ჩვეულება ხელახლა განიხილებოდა, როგორც ინსტიტუციური და ადმინისტრაციული სისტემების ნაწილი (Korkut. H, 2016: 116).

1876 წლის 23 დეკემბერის კონსტიტუციის მიხედვით სულთანს ცხადდებოდა „უზენაესი ხალიფა“, რომელიც არის მუსლიმური სამყაროს მფარველი. სულთნის პიროვნება წმინდა იყო და არავის წინაშე იყო პასუხისმგებელი მის ქმედებებზე. მას უფლება ჰქონდა დაენიშნა ან გადაეყენებინა მინისტრები, ან მთლიანად მინისტრთა კაბინეტი. დაედო ხელშეკრულებები და გამო-



ეცხადებინა ომი და მშვიდობა. სულთანი ცხადდებოდა უმაღლეს მთავარსარდლად, როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო ჯარების და აგრეთვე, მის განკარგულებაში იყო პარლამენტის მოწვევა და დათხოვნა. ახალი კონსტიტუცია აგრეთვე ეხებოდა პრესის, განათლების, ადმინისტრაციულ და სასამართლო საკითხებს. კონსტიტუციის მიხედვით, აიკრძალა წამება და ინკვიზიცია (The Ottoman Constitution (23 December 1876), 2005: 1-13). რეალურად, ყველა პრაქტიკული მიზნისთვის, აბდულჰამიდ II დარჩა ისეთივე ძლიერი, როგორც მისი წინამორბედი, ხოლო საერთაშორისო საფრთხის გადალახვის შემდგომ მისი პირველი მსხვერპლი თავად მიდჰად ფაშა გახდა.

რაც შეეხება პარლამენტს, შეიქმნა ორპალატიანი პარლამენტი: სენატი, რომლის წევრებსაც თვითონ სულთანი ნიშნავდა და დეპუტატების პალატა, რომელსაც მუნიციპალური და რაიონული საბჭოები ირჩევდნენ. ისინი უნდა შეკრებილიყვნენ წელიწადში ერთხელ, 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე. სენატის წევრები აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ 40 წელს გადაცილებულნი და უნდა ჰქონოდათ შესრულებული მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი სამსახური. ისინი ინიშნებოდნენ უვადოდ, თუმცა უნდა გადამდგარიყვნენ „თუ სხვა თანამდებობებზე გამოიძახეს“ (მუხლი 62). დეპუტატი კი უნდა ყოფილიყო 25 წელს გადაცილებული, საკუთრების მფლობელი და გადასახადების გადამხდელი. მათი რაოდენობა განისაზღვრა 50 000 ოსმალოზე 1 კაცი (მუხლი 65). ვადა კი 4 წელი იყო და თითოეული დეპუტატი წარმოადგენდა მთელ ერს და არა მხოლოდ მის ოლქს (მუხლი 71). დეპუტატთა პალატაში აღმოჩნდა 71 მუსლიმი, 44 ქრისტიანი და 4 ებრაელი. 21 მუსლიმი და 5 არამუსლიმი კი სულთნის მიერ სენატში იყო დანიშნული. სულთანს ნებისმიერ კანონზე ჰქონდა ვეტოს დადების უფლება (სანიკიმე. გ, ალასანია. გ, გელოვანი. ნ, 2011: 77). აღსანიშნავია, რომ სულთანმა პარლამენტი მხოლოდ ორჯერ მოიწვია 1877 და 1878 წლებში. უნდა ითქვას ისიც, რომ მანამ, სანამ სულთანი დაამყარებდა ერთპიროვნულ დიქტატურას, ის გარკვეულწილად იზიარებდა თანზიმათის იდეალებსა

და პრინციპებს, ამიტომ გასაოცარი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის თანამშრომლობდა არსებულ ადმინისტრაციასთან, რომელიც შედგებოდა თანხიმათთან დაკავშირებული სხვადასხვა სკოლებისა და კავშირების წევრებისგან. მოკლედ რომ ვთქვათ, სულთანის ზოგადად თანხმდებოდა, რასაც ადმინისტრაცია შესთავაზებდა, განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში (Çetinsaya. G, 2019: 40). მიუხედავად აბდულჰამიდის თავდაპირველი აქტიური მონაწილეობისა პარლამენტის მუშაობაში, ის მაინც დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ამიტომ 1878 წლის 13 თებერვალს სულთან აბდულჰამიდ II-მ დაითხოვა პარლამენტი და ავტოკრატია აღადგინა (Gábor Ágoston and Bruce Masters, 2009:7).

1876 წლის ივლისში მონტენეგრომ და სერბეთმა ომი გამოუცხადეს ოსმალეთს, თუმცა ოსმალეთის არმიამ შეძლო სერბეთის დამარცხება, მაგრამ ამ ვითარებაში რუსეთმა ულტიმატუმი წაუყენა სულთანს, რის შედეგადაც, 1876 წლის დეკემბერში მოიწვიეს სტამბოლში დიდი სახელმწიფოების კონფერენცია, სერბეთსა და ოსმალეთს შორის ზავის პირობების განსახილველად. სწორედ, ამ კონფერენციის დაწყების წინ, 1876 წლის 23 დეკემბერს, სულთანმა ხელი მოაწერა ოსმალეთის კონსტიტუციას, რომელიც დიდწილად ბელგიის კონსტიტუციას იმეორებდა, თუმცა განსხვავებულიც იყო.

კონსტიტუციის გამოცხადება, რა თქმა უნდა, დაემთხვა სტამბოლის კონფერენციის ოფიციალურ გახსნას, რომელიც გამართა საზღვაო ძალების სამინისტროს ოფისში, იმპერიულ ნავსადგურში, ოქროს რქაზე. როდესაც პირველი სხდომა შეიკრიბა, დელეგატები შეაძრწუნა ქვემეხების სალუტმა, რომელმაც აცნობა ყველას კონსტიტუციის მიღება. სულთნის ძველმა მეგობარმა და ახლა საგარეო საქმეთა მინისტრმა საფეთ ფაშამ, დაუყოვნებლივ შეატყობინა კონფერენციის მონაწილეებს, რომ რეფორმები, რომელსაც მოითხოვდნენ ევროპის სახელმწიფოები, აღარ წარმოადგენდა განხილვის საკითხს, ვინაიდან ისინი კონსტიტუციაში იყო შეტანილი (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005: 178).

ახალი კონსტიტუცია ოსმალებს საშუალებას აძლევდა არ დაეთმოთ სერბეთისა და მონტენეგროს მიერ მიტაცებული ტერიტორიები, ვინაიდან კონსტიტუციამ იმპერია ერთიან, განუყოფელ მთლიანობად გამოაცხადა. აგრეთვე, მუსლიმან და არამუსლიმან სუბიექტებს შორის განსხვავება, რადგან კონსტიტუცია ყველას თანასწორად აცხადებდა. კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა აგრეთვე ადგილობრივი ქრისტიანული სამილიციო ჯგუფების შექმნა და მუსლიმთათვის ცალკე სასამართლოს შემოღება. აღსანიშნავია ისიც, რომ სტამბოლის კონფერენციაზე ოსმალეთის იმპერიის ინტერესებს გაცილებით მკაცრად ატარებდა მიდჰად ფაშა, ვიდრე სულთანი. ის მკაცრად უპირისპირდებოდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა მიზნებს. მათგან ოსმალეთისადმი შეთავაზებული იყო ბულგარეთის ორ ვილაიეთად, აღმოსავლეთ და დასავლეთად დაყოფა. იქ, ისევე, როგორც ბოსნია ჰერცეგოვინაში, უნდა მოეწყოთ ახალი სააპელაციო სასამართლოები. დაინიშნებოდნენ უვადოდ ხელისუფლებასთან ერთად და სასამართლოებში გამოიყენებოდა ადგილობრივი ენები, ისევე, როგორც ოსმალურ-თურქული. თამბაქოსა და საბაჟო გადასახადები გადადიოდა ცენტრალურ ხაზინაში, მაგრამ ყველა სხვა გადასახადი დარჩებოდა პროვინციული ხარჯებისთვის, ხოლო მეათედი უნდა შეცვლილიყო მიწის ახალი გადასახადით. მუსლიმი ჯარისკაცები დარჩებოდნენ მხოლოდ დიდ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში, ხოლო ქრისტიანი და მუსლიმი მილიციები ორგანიზებულინი იქნებოდნენ სოფლის გასაკონტროლებლად იმ ადგილებში, სადაც მათი თანამორწმუნეები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ყველა ჩერქეზი ლტოლვილი გაიგზავნებოდა ანატოლიაში, შეიქმნებოდა ადგილობრივი ჟანდარმერია ევროპელ ოფიცრებთან ერთად და 5000 ბელგიელი ჯარისკაცი გაგზავნილი იქნებოდა ბულგარეთში დასახმარებლად, ასევე მუსლიმების მიერ დაკავებული მიწები გადაეცემოდა ქრისტიანებს კულტივირებისთვის.

აღნიშნული წინადადება პორტასთვის უფრო მიუღებელი იყო, ვიდრე ძველი, თუმცა სოლსბერი დაემუქრა ოსმალეთის

იმპერიის მთვარობას, რომ თუ გეგმას უარყოფდნენ, რუსეთი თავს დაესხმებოდა და ბრიტანეთი პორტას დასახმარებლად არაფერს გააკეთებდა. მიუხედავად ამ მუქარისა, მიდჰათ ფაშა, რომელიც წახალისებული იყო ბრიტანეთის ელჩის მიერ სტამბოლში (სერ ჰენრი ელიოტი), უარყოფდა შემოთავაზებას. სოლსბერმა და გერმანიის წარმომადგენლებმა გარკვეულწილად წამოაყენეს მოთხოვნები ბულგარეთის ქრისტიანი გუბერნატორისა და ბელგიის ჟანდარმერიის შესახებ, მაგრამ მიდჰათ ფაშამ ისინიც უარყო და კონფერენცია სრული იმედგაცრუებით 1877 წლის 20 იანვარს დაიშალა (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005:180). თებერვალში კი ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას უშუალოდ სერბეთსა და სულთან აბდულჰამიდ II-ს შორის სტატუს კვოს აღდგენის საფუძველზე (სანიკიძე. გ, ალასანია. გ, გელოვანი. ნ, 2011: 75).

კონფერენციის დასრულებას მოჰყვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პორტას მმართველთა წრეში. სულთანს აშკარად არ მოსწონდა დიდი ვეზირი მიდჰად ფაშა, რომელსაც რეფორმების განხორციელება მიეწერა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ასპარეზზე. უკანასკნელი გეგმები, რამაც გამოიწვია სულთნის განრისხება, იყო ქრისტიან სტუდენტთა სამხედრო აკადემიაში მიღება და მაჰმუდ ნედიმის პროგრამის უარყოფა, რომელიც სახელმწიფო ვალის რეფინანსირებას გულისხმობდა. საბოლოოდ, აბდულჰამიდმა გადაწყვიტა მიდჰათ ფაშა გაეგზავნა ევროპაში, „ხანგძლივ მოგზაურობაში“ (5 თებერვალი, 1877) უცხოელი სრულუფლებიანი წარმომადგენლების სტამბულიდან წასვლის შემდგომ. მიდჰად ფაშა, რომელსაც დიდი ვეზირის ბეჭედი ჩამოართვეს, კონსტანტინოპოლის 113-ე მუხლი წაუკითხეს და გადაასახლეს. ახალი დიდი ვეზირი, სულთნის ნდობით აღჭურვილი პირი, იბრაჰიმ ეთჰემ ფაშა გახდა, რომელიც მანამდე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

აბდულჰამიდის მმართველობის დასაწყისის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო რუსეთის იმპერია, რომელიც აშკარა წინ-

ააღმდეგობაში მოდიოდა ოსმალეთის იმპერიის ინტერესებთან ბალკანეთში. 1853 წლის ყირიმის ომში განცდილი მარცხის შემდეგ, იმპერატორი დაკარგული პრესტიჟის აღდგენას ცდილობდა. სტამბოლის კონფერენციამ მოსალოდნელი ომი რუსეთ-ოსმალეთს შორის დააჩქარა. რუსეთის იმპერიის მთავარი საზღვრული იყო, თუ რა პოზიციას დაიკავებდა მოსალოდნელ ომში ავსტრია. ავსტრიის იმპერიას იმ დროს სამხედრო კრიზისი ჰქონდა, არმიის არარეგულარულმა მდგომარეობამ ეს უკანასკნელი შეაჩერა და მოსალოდნელ ომში რუსეთს ნეიტრალიტეტი აღუთქვა. რუსეთ-ავსტრიის შეთანხმება ნეიტრალიტეტის შესახებ 1877 წლის 15 იანვარს ბუდაპეშტში გაფორმდა.

შეთანხმების მიხედვით, ავსტრია ბოსნია-ჰერცეგოვინის ოკუპაციის უფლებას იტოვებდა, როცა მას ეს მოესურვებოდა; სერბეთი, მონტენეგრო და ნოვიპაზარის სანჯაყი ნეიტრალური დარჩებოდა და არცერთი ხელმომწერი არ დაიკავებდა; რუსეთი ბესარაბიას მიიღებდა და მოკავშირეები ერთმანეთს მხარს დაუჭერდნენ სხვა ძალების ნებისმიერი წინააღმდეგობის წინააღმდეგ; ბულგარეთთან დაკავშირებით სპეციფიკური დებულებები არ იყო შეტანილი, თუმცა შეთანხმება კრძალავდა რაიმე დიდი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ამ ტერიტორიაზე. თუ ოსმალეთის იმპერია მთლიანად დაიშლებოდა, სტამბოლი თავისუფალი ქალაქი იქნებოდა და არა რუსეთის, ან საბერძნეთის, მაგრამ ეს უკანასკნელი კომპენსირებული უნდა ყოფილიყო კრეტასთან, თესალიასთან და სამხრეთ ეპირუსთან. რუსეთმა პორტას წინააღმდეგ ნეიტრალური მოკავშირე შეიძინა, ხოლო ავსტრიამ მნიშვნელოვანი ტერიტორია მოიპოვა და ასევე იმის გარანტიაც, რომ ის, და არა რუსეთი, სერბეთში დომინირებდა - ეს ყველაფერი უბრალო ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005: 181). ამრიგად, რუსეთმა 1877 წლის 16 აპრილს მიიღო რუმინეთის ნებართვა ცარის არმიის ტრანზიტისთვის თავისი ტერიტორიის გავლით. 1877 წლის 24 აპრილს რუსეთის ელჩმა ბრწყინვალე პორტას შეატყობინა, რომ მისმა სახელმწიფომ ოსმალეთს ომი გამოუცხადა.

1877-1878 წლების ომის წინ რუსეთ-ოსმალეთის სამხედრო კონტიგენტი თითქმის თანაბარი იყო, თუმცა ცარის არმია შედარებით ნაკლებად აღჭურვილი. ოსმალთა არმიაში აქილევსის ქუსლი იყო არაკვალიფიციური ოფიცერთა კორპუსი, სწორედ ამიტომ მიაჩნდა რუსეთის იმპერატორს ომის მოგება გარდაუვალად.

აბდულჰამიდ II-მ პირველ რიგში დახმარებისთვის მიმართა პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმომწერებს. განსაკუთრებით დიდი იმედი ჰქონდა მას ინგლისელების, თუმცა დიზრავლიმ, რომელიც ღიად უპირისპირდებოდა რუსეთის გაძლიერებულ მისწრაფებებს აღმოსავლეთ ევროპაში, ვერ მოიპოვა კაბინეტის მხარდაჭერა ინგლისის ჩარევისთვის ომში და მოუწია ოსმალების მართო დატოვება საბრძოლველად.

რუსეთის საბრძოლო კამპანიის მთავარი მიზანი იყო ბალკანეთის მთების გადაკვეთა და დასავლეთით სტამბოლსა და სრუტეებთან, რაც შეიძლება სწრაფად მიახლოვება, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში გადასვლა და ყარსის, არტანისა და ერზურუმის აღება, რათა პორტა აემულეებინათ, მიეღოთ სტამბოლის კონფერენციაზე უარყოფილი წინადადებები. მას შემდეგ, რაც ცარი შეძლებდა შავი ზღვის კონტროლს და ანატოლიის გავლით ალექსანდრეტაზე წასვლას, მას თავისუფალი წვდომა ექნებოდა ხმელთაშუა ზღვაზე. ბალკანეთის სლავური სახელმწიფოებიც ოსმალეთის კონტროლისგან გათავისუფლდებოდნენ და ძლიერი რუსული გავლენის ქვეშ დარჩებოდნენ. ამგვარად, მეფის პოზიცია ევროპულ სახელმწიფოთა ალიანსში გაძლიერდებოდა. თავდაცვის მიზნით, ოსმალეთის მთავარი ხაზი დუნაიზე ჩამოყალიბდა, ხოლო ვარნასა და ვიდენს შორის არსებული ტერიტორია ძლიერ იყო გამაგრებული და ძირითადი ნაწილები შეკრებილი იყო სილისტრიაში, რუსჩუკში, ნიკოპოლისსა და ვიდენში. ბალკანეთის მთები წარმოადგენდნენ თავდაცვის მეორე ხაზს ვარნას, შუმენის და სოფიას ბაზებიდან. აღმოსავლეთით ყარსისა და ერზურუმის გარნიზონები ძლიერად იყო დაკომპლექტებული. რუსეთს არ ჰქონდა დრო შავი ზღვის ფლოტის აღდგე-

ნაზე, ამიტომ ოსმალებს არ ემინოდათ ამ მიმართულებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაგეგმეს მხოლოდ მსუბუქი გემების გაგზავნა დუნაიზე, რათა დახმარებოდნენ თავიანთი თავდაცვის ძალების მომარაგებას (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005: 183).

1877 წლის ივნისში რუსები აქტიურ შეტევებს აწარმოებდნენ ბალკანეთში და, ფაქტობრივად, უპირატესობა მოიპოვეს. რუსეთის არმიის ჩრდილოეთ ბულგარეთში შესვლას თან ახლდა თურქი გლეხების მასშტაბური ხოცვა, რათა არ შეეშალათ ჯარების და მომარაგების გადაადგილებისთვის ხელი. დიდი ბრძოლა გაიმართა 16 ივლისს ნიკოპოლისთანაც. ოსმალეთის არმიის მთელი რიგი კატასტროფებით სტამბულში შოკირებულნი იყვნენ, სულთანმა შეცვალა ყველა ძირითადი სამხედრო მეთაური, რომელიც გადაურჩა ბრძოლებს. მთავარ მეთაურად დაინიშნა სულეიმან ფაშა, სამხედრო აკადემიის ყოფილი მეთაური.

ახალი სულთნის წინაშე რთული ვითარება შეიქმნა. იმპერია მთელ რიგ კატასტროფულ მარცხებს განიცდიდა. ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად აბდულჰამიდმა თავი „ლაზიად“, რწმენისთვის მებრძოლად ურწმუნოების წინააღმდეგ და ომი წმინდა ომად გამოაცხადა. ამით მან მოახერხა ხალხში ვნებების გამოღვიძება და საჭირო მამაკაცების მობილიზება ომისთვის. ამასთანავე, მისმა დანიშნულმა სულეიმან ფაშამ სახმელეთო გზით შეუტია რუსებს ჩრდილოეთ ბულგარეთში და პასის უღელტეხილით უკან დაახევინა. რუსეთის არმიის მარჯვენა ფრთის წარმატებები (ჯერ სისტოვას გამარჯვება, შემდეგ ვიდინის დაპყრობა) ოსმალებმა პლევნაში შეაჩერეს ძლიერი თავდაცვით.

აღმოსავლეთის კამპანიებიც მსგავსი სქემით მიმდინარეობდა. თავდაპირველად ოსმალებს ხელს უშლიდა მათი თავდაცვის ძალების დაყოფა, რომლებიც მიმოვანტულნი იყვნენ სხვადასხვა ციხესიმაგრეებში, რომლებზეც რუსებს შეეძლოთ თავდასხმა შავი ზღვისა და ვანის ტბას შორის. რუსები თავს დაესხნენ და ერთიმეორის მიყოლებით აიღეს მთავარი ციხე-სიმაგრეები, ჯერ არტაანის (18 მაისი, 1877) და შემდეგ ბაიუზითი (20 ივნისი).

ოსმალებმა განიცადეს მძიმე დანაკარგები ადამიანური რესურსისა და სამხედრო აღჭურვილობის კუთხით. ოსმალთა მთავარი თავდაცვითი ცენტრი გახდა ყარსი. ამ ტერიტორიაზე დარჩენილი ჯარები შეკრიბეს აჰმედ მუხთარ ფაშას მეთაურობით, რომელმაც მალევე მოახერხა რუსული წინსვლის შეჩერება.

რუსეთის იმპერიის გეგმები სწრაფი გამარჯვების შესახებ წყალში ჩაიყარა. ასე რომ ომი გაგრძელდა. იმპერატორს მოუწია გეგმების შეცვლა და დაიწყო მოლაპარაკებები ბალკანურ სახელმწიფოებთან. სერბეთი დათანხმდა ომში შესვლას, თუმცა მანამდე, სანამ პლევნა არ აიღეს რუსეთის გამარჯვებაში არ დარწმუნებულან. ბერძნებს ასევე სთხოვეს, რომ ოსმალები თრაკიაში შეტევით გადაეყვანათ, მაგრამ ამ დროისთვის მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის არმიამ და ბრიტანეთის ინტერვენციის საფრთხემ, ამიტომ ისინი უარს ამბობდნენ დახმარების გაწევაზე რუსეთის გარანტიის გარეშე, რომ ისინი მოიპოვებდნენ როგორც ეპირუსს, ასევე თესალიას. რაც შეეხება რუმინეთს, ის არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ რუსებისთვის უარი ეთქვა ან შეეშალა ხელი. მისი არმია რუსებს ეხმარებოდა პლევნის ახალ ალყაში, რომელიც კვლავ გაგრძელდა. რუსების წინააღმდეგ გამირული წინააღმდეგობის აღსანიშნავად, აბდულჰამიდმა ღაზის ტიტული მიანიჭა მის მეთაურებს, ოსმან ფასას, ისევე როგორც მუხთარ ფაშას აღმოსავლეთში გაწეული ღვაწლისთვის.

ომი, მართლაც, უარესობისკენ მიიწევდა, რადგან რუსეთის ხანგრძლივმა ალყამ ოსმალეთის მთავარი თავდაცვის პუნქტები, როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთით, საბოლოოდ დააზიანა. 1877 წლის 14 ოქტომბერს 6500 ოსმალო ჯარისკაცი იძულებული გახდა ალადასთან დანებებულიყო, ხოლო 14 ნოემბერს მუხთარ ფაშამ ყარსი მიატოვა, თუმცა მან შეძლო თავისი ჯარისკაცებისა და მძიმე ტექნიკის უმეტესობის უკან დაბრუნება ერზრუმში. რაც შეეხება ბალკანეთს, აქ გაზი ოსმან ფაშა იძულებული გახდა დამორჩილებოდა ჯარისკაცების და გარშემო მყოფი 42 000 გადარჩენილის ტანჯვას და დანებებულიყო. 1877 წლის 10 დეკემბერს პლევნა დაეცა. ამით დასავლეთ ფრონტი გატყდა.



სერბეთის მეფე მილანმა მაშინვე მოიპოვა გამბედაობა, რომელიც სჭირდებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას (24 იანვარი) და ომის გამოცხადებას (28 იანვარი), დაიპყრო პიროტი ბულგარეთის საზღვართან და ალყა შემოარტყა და აიღო ნიში (11 თებერვალი). 1878 წლის 9 იანვარს პაპკას უღელტეხლის დამცველები დამარცხდნენ. ოსმალებს ეს ყოველივე კიდევ 32 000 კაცი და 103 დიდი ჭურვი დაუჯდათ. სულეიმან ფაშამ თავად შეძლო გაქცევა და მან აიღო სოფიას დაცვა. მაგრამ ოსმალეთის ჯარები ახლა ზედმეტად გაფანტული იყო. მალე ისიც დაეცა და ამას მოჰყვა ედირნე (20 იანვარი) რეალური წინააღმდეგობის გარეშე. ამავე დროს, აღმოსავლეთში ჩართული მონტენეგროს ოსმალეთის გარნიზონებთან ერთად, ჩერნოგორიელებმაც გამოაცხადეს ომი და დაიკავეს ბარი (15 იანვარი) და ულსინი (19 იანვარი) (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005:186).

რუსეთის სწრაფმა წინსვლამ ბულგარეთში შეაშფოთა ბრიტანეთი და ავსტრია. მიხვდნენ, რომ დიდი ბულგარეთი, როგორც იმპერატორს ჰქონდა წარმოდგენილი, მხოლოდ ინსტრუმენტი იქნებოდა რუსეთის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში დომინირებისთვის. მიუხედავად ამისა, რუსულმა ჯარებმა, დიდი ჰერცოგის ნიკოლოზის მეთაურობით, წინ წაიწია სტამბოლისკენ და აიძულეს პორტა მოეთხოვათ შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც 31 იანვარს ედირნეში შედგა. სამშვიდობო კონფერენციის ჩატარებამდე ოსმალებმა დათმეს დარჩენილი ბულგარული ციხე-სიმაგრეები ვიდინში, რუსჩუკში და სილისტრიაში. შეთანხმდნენ, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინა და ბულგარეთი მიიღებდნენ ავტონომიას, ევროპული ზედამხედველობის ქვეშ გატარებული რეფორმებით, რომ რუსეთს ექნებოდა სრუტეების გამოყენების სრული უფლება და რომ პორტა გადაიხდიდა ომის ანაზღაურებას. მოკლედ, ეს იყო უპირობო დანებება გამარჯვებულების წინაშე. კონფერენცია ოსმალეთსა და რუსეთს შორის მოეწყო სან-სტეფანოში (იემილქოი), სტამბოლთან ახლოს.

ომის წარუმატებლობამ გააქტიურა სულთნის ოპოზიციონერები. პარლამენტში დეპუტატების ყურადღება გადატანილ იქნა სამხედრო კატასტროფებზე და იმის ნაცვლად, რომ კონცენტრირებულიყვნენ კანონმდებლობაზე, ისინი გადავიდნენ მთავრობის კრიტიკაზე, შეტევითი კამპანიების წარმართვაზე, ოფიცრების არაკომპეტენტურობაზე და ომის ძალისხმევის საერთო მართვაზე. დღის წესრიგში დადგა მიდჰად ფაშას დაბრუნების საკითხიც, რომელიც სულთნის წარმომადგენლებს არ მოეწონათ. გარდა ამისა, ლიბერალური და არამუსლიმი დეპუტატების ჯგუფებმა დაიწყეს ზოგიერთი მინისტრის და სასახლის გარემოცვის უნდობლობის პეტიციების გავრცელება. ბოლო წვეთი იყო 13 თებერვალს, როდესაც სულთანმა შეკრიბა სათათბირო დარბაზი, მათ შორის პარლამენტის წევრები, რათა ბრიტანული ფლოტის მოწვევაზე და მარმარილოს ზღვაში შესასვლელად მათთან კონსულტაციები გაეგლო, ამთ კი დახმარებოდნენ სტამბოლის დაცვას რუსეთის შესაძლო წინსვლის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც დეპუტატთა უმეტესობამ გამოაცხადა თავისი თანხმობა, ერთ-ერთმა მათგანმა, სახელად ნაჯი აჰმედმა, რომელიც იყო მცხოვრელი და ერთ-ერთი გილდიის უფროსი, განუცხადა სულთანს: „ჩვენი აზრი ძალიან გვიან ითხოვეთ; ჩვენთვის უნდა გეკითხათ მანამ, სანამ კატასტროფის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. პალატა უარყოფს ყველა პასუხისმგებლობას იმ სიტუაციაზე, რომლისთვისაც არაფერი გაუკეთებია“ (Zabtt Ceridesi II, 401: 243-244). ეს იყო დასასრული. მეორე დღეს აბდულჰამიდმა დაშალა პარლამენტი და უბრალოდ განაცხადა, რომ მან შეასრულა თავისი მოვალეობა, მაგრამ ამჟამინდელი სიტუაცია „არ იყო შესაფერისი მისი ფუნქციების სათანადოდ განსახორციელებლად“ (Zabtt Ceridesi II, 401: 243-244) აბდულჰამიდმა თავდაპირველად ასევე ბრძანა დაეპატიმრებინათ ყველა დეპუტატი, რომლებიც ყველაზე მკაცრად აკრიტიკებდნენ მთავრობას, მაგრამ აჰმედ ვეფიკის დაჟინებული მოთხოვნით მან შეცვალა ბრძანება და მოითხოვა, რომ ისინი დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა

დეპუტატმა მაშინ გააპროტესტა, რომ მან დაარღვია კონსტიტუცია, პარლამენტი მაინც დაიშალა (Celaledin, M., Mirat-t Hakikat, C. III: 60-62). რაც არ უნდა მოულოდნელი ყოფილიყო ეს დასასრული და მისი ქმედებები, პარლამენტის გარეშე მმართველობით მომდევნო სამი ათწლეულის განმავლობაში სულთანი მოქმედებდა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად. მან უბრალოდ გამოიყენა კრიზისი იმ დებულებების შესასრულებლად, რომელიც მიდჰათმა და მისმა კოლეგებმა მიიღეს კონსტიტუციის დაცვის მიზნით კონსერვატიული რეაქციისგან. პარლამენტის წასვლით და პორტას დასუსტებით, აბდულჰამიდმა ჩამოაყალიბა ავტოკრატიის საფუძვლები, რომელიც ოსმალეთის მთავრობაში დომინირებდა მისი მმართველობის დარჩენილი წლების განმავლობაში (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005: 187).

შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გამო, ომში მონაწილე არცერთ მხარეს არ უნდოდა ომის გახანგრძლივება. სწორედ ამიტომ, 1878 წლის 3 მარტს ჩატარდა სან-სტეფანოს სამშვიდობო კონფერენცია. ხელშეკრულება ეფუძნებოდა ედირნეში ერთი თვით ადრე გაფორმებული ზავის პირობებს და ძირითადად ასრულებდა პან-სლავების მოთხოვნებს. მონტენეგრო და სერბეთი დამოუკიდებლობის უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა ამ უკანასკნელს, ომში წარუმატებლობის გამო, უნდა მიეღო მხოლოდ რამდენიმე დანაშაულის სამხრეთ საზღვრის გასწვრივ, მათ შორის ნიშში, დრინის ხეობაში და ნოვიპაზარის სანჯაყის ნაწილი. პორტას უნდა ელიარებინა რუმინეთის დამოუკიდებლობა და გადაეხადა მისთვის ომის კომპენსაცია დობრუკას ნაწილით. დათანხმებულიყო რუსეთის ანექსიას ბესარაბიაში. ბულგარეთი კი ავტონომიური უნდა გამხდარიყო.

სულთანი დაეთანხმა გადაეხადა ომის უზარმაზარი ანაზღაურება 1.4 მილიარდი რუბლის ოდენობით (24 მილიარდი ქურუში, რაც ოთხჯერ აღემატება სახელმწიფო წლიურ შემოსავალს), რომლის ნახევარზე ნაკლები გადაიხდებოდა დობრუკას, კუნძულების დიდი ტერიტორიების დათმობით, დუნაი და აღმოსავ-

ლეთ ანატოლიის ოლქები: ყარსი, არტაანი, ბათუმი და დოღუ ბაიაზეთი. რუსეთის შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს უფლება მიეცათ სამი წლის ვადაში გაეყიდათ თავიანთი ქონება, რამაც გამოიწვია ლტოლვილთა ნაკადი ოსმალეთის იმპერიაში. ხელშეკრულების მიხედვით, სულთნის ყველა ქრისტიანი ქვეშევრდომი რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ მოექცა. ოსმალებმა შეძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ მხოლოდ იგნატაევის სურვილზე სრუტეების ერთობლივი დაცვისა და ადმინისტრაციის შესახებ.

მოგვიანებით, ინგლისმა და ავსტრია-უნგრეთმა წამოაყენეს მოთხოვნა სან-სტეფანოს დებულებების გადასინჯვაზე, რომელსაც მხარი დაუჭირა ბისმარკმაც. ავსტრიამ მოითხოვა ბულგარეთის ტერიტორიული შემცირება, რათა შესუსტებულიყო რუსეთის ძალა აღმოსავლეთ ევროპაში და დათანხმებულიყო რუსეთი ავსტრიის მიერ ნოვაპაზარის სანჯაყის ანექსიას, ისევე როგორც ბოსნიისა და ჰერცეგოვინასი. აღმოსავლეთ რუმელია და დაპატარავებული ბულგარეთი ისევ უნდა დაბრუნებულიყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით, სადაც დაუყოვნებლივ რეფორმები უნდა გატარებულიყო. აღმოსავლეთ ანატოლიის უმეტესი ნაწილი უნდა დაბრუნებოდა პორტას, სანავლოდ კი რუსეთის იმპერია ინარჩუნებდა ყარსს, ბათუმსა და სამხრეთ ბერსარაბიას. ამგვარად, სან-სტეფანოს შედეგების გადასინჯვით საფუძველი ჩაეყარა კონგრესს, რომელიც ბისმარკის ინიციატივით 1878 წლის 13 ივნისიდან 13 ივლისამდე ბერლინში ჩატარდა.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთლილი ყველა შეთანხმებისა, მორიგების მიღწევა მაინც რთული იყო. კონგრესის შეთანხმებით ცნეს სერბეთის, ჩერნოგორიისა და რუმინეთის დამოუკიდებლობა. ავსტრია-უნგრეთმა კი მიიღო ბოსნია-ჰერცეგოვინას ოკუპაციის უფლება. გარდა ბულგარეთისა და ბალკანეთის ქვეყნებისა, ბერლინის კონგრესზე მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთის საკითხიც. კონგრესის შედეგად, აღმოსავლეთში ოსმალებს მოუწიათ ყარსი, არტაანი და ბათუმი დაეტოვებინათ რუსებისთვის.

ბათუმი გახდა თავისუფალი სავაჭრო ქალაქი (პორტო-ფრანკო), რომელზეც იმპერატორმა პირობა დადო, რომ არ გაამაგრებდა. სან-სტეფანოში მოპოვებული ელემპირტის ხეობა და დოღუ ბაი-აზეთი ოსმალებს დაუბრუნდათ. პორტა დაჰპირდა რეფორმების გატარებას სომხებით დასახლებულ რაიონებში და იმპერიაში სრული სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლების დადასტურებას.

მთლიანობაში, ბერლინის კონგრესის მიხედვით, ოსმალეთის იმპერია იძულებული გახდა დაეტოვებინა მთელი ტერიტორიის ორი მეხუთედი და მოსახლეობის ერთი მეხუთედი, დაახლოებით 5,5 მილიონი ადამიანი, რომელთაგან თითქმის ნახევარი მუსლიმი იყო (Stanford J. Shaw., Ezel Kural Shaw, 2005: 191).

ედირნეს ცეცხლის შეწყვეტის ხელმოწერას (1878 წლის 31 იანვარი) და ბერლინის ხელშეკრულების ხელმოწერას შორის, ექვსი თვე წარმოადგენდა აბდულჰამიდის მმართველობის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ პერიოდს. ამ დროისთვის განვითარებული დამთრგუნველობის სიღრმისა და მასშტაბის უკეთ გასაცნობად, შეიძლება დაგვეხმაროს ამ კრიტიკული პერიოდის მოვლენების გახსენება, რამაც ასევე გაუხსნა გზა აბდულჰამიდის ავტოკრატიული რეჟიმის დამყარებისთვის: ედირნის ცეცხლის შეწყვეტა (1878 წლის 31 იანვარი); დეპუტატთა პალატის დაშლა (1878 წლის 13 თებერვალი); სან-სტეფანოს ხელშეკრულება (1878 წლის 3 მარტი); ჩირაანის ინციდენტი (აბდულჰამიდის გადაყენების მცდელობა) (1878 წლის 20 მაისი); კვიპროსის გადაცემა ბრიტანეთისთვის (1878 წლის 4 ივნისი); კონფერენცია და შემდგომი ბერლინის ხელშეკრულება (1878 წლის 13 ივნისი-13 ივლისი). აბდულჰამიდის რეჟიმის გავლენისა და შედეგების თვალსაზრისით, ზემოთ ჩამოთვლილ სიაში ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დეპუტატთა პალატის დაშლა და ჩირაანის ინციდენტი (Çetinsaya, G, 2019: 40).

1878 წლის მაისში მომხდარი ჩირაანის ინციდენტი ერთ-ერთი ყველა კრიტიკული მომენტი იყო აბდულჰამიდის მმართველობაში. სულთნის წინააღმდეგ ოპოზიციურად განწყობილი

დაჯგუფებები თავიდანვე გამოდიოდნენ. პირველი ასეთი მცდელობა 1876 წლის დეკემბრის დასაწყისში მოხდა, როდესაც ჩირაანის სასახლიდან გაიტაცეს სულთნის ძმა, მურად V. მათი მიზანი იყო ფსიქიკურად შეშლილი, ყოფილი სულთნის ტახტზე დაბრუნება, თუმცა ეს გეგმა ჩაიშალა.

1878 წლის 20 მაისს, ყოფილი სულთნის გადაყენებიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ, კიდევ ერთის სენსაციური მოვლენა მოხდა. ჩირაანის სასახლის წინ აჯანყება დაიწყო. ამბოხების ლიდერი იყო გალათასარაის იმპერიული კოლეჯის წინა დირექტორი და ახალგაზრდა ოსმალების ყოფილი წარმომადგენელი ალი სუავი. მას თან ახლდა მუსლიმი ლტოლვილების ჯგუფი ბალკანეთიდან, რომელთა მთავარი იმედგაცრუება იყო არმიის დამლუპველი მოქმედებები და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მიღებული დანაკარგები, რომელშიც ხალხმა აბდულჰამიდ II დაადანაშაულა და ამით მხარი დაუჭირა მურად V-ის დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ თავდასხმის მიზანი იყო მურად V-ის გათავისუფლება და მისი ტახტზე დაბრუნება, საქმე მხოლოდ ერთ საათში ფიასკოთი დასრულდა. ალი სუავი და მისი ორმოცდაათამდე მიმდევარი მოკლეს საიმპერატორო ჯარებმა, ხოლო გადარჩენილები დააპატიმრეს და გაასამართლეს (Çağlar, B. 2021: 136).

ეს ცნობილი ინციდენტი ისტორიაში შევიდა, როგორც „ჩირაანის დარბევა“. იზნულემინ მაჰმუთ ქემალ ინალის თქმით, ეს მოვლენა წარმოადგენდა აბდულჰამიდის ავტოკრატიული მმართველობის საწყის წერტილს. ამ ინციდენტმა გარდამტეხი როლი შეასრულა აბდულჰამიდ II-ის პიროვნებისთვის. ამის შემდეგ სულთანმა გახდა მეტად ეჭვიანი და მიუნიდობელი, მან ეჭვი შეიტანა მათშიც, ვისაც მანამდე ენდობოდა. გადატრიალების მცდელობის შემდეგ, აბდულჰამიდმა ისინი, ვისზეც ეჭვი ეპარებოდა, დანიშნა შორეული პროვინციების გუბერნატორებად და ამგვარად გაარიდა იმპერიის დედაქალაქს. ამ ფიგურებს შორის იყო სენატის თავმჯდომარე ქუჩუქ საიდ ფაშა, რომელიც ჯერ ანკარის გუბერნატორად დაინიშნა, შემდეგ კი, მას შემდეგ, რაც

მან პოსტი გააპროტესტა, ბურსის გუბერნატორად დანიშნეს; პრემიერ-მინისტრი მეჰმედ სადიკ ფაშა, დაინიშნა არქიპელაგის ვილაიეთის გუბერნატორად; მეჰმედ აქიფ ფაშა, რომელიც დაინიშნა კონიის გუბერნატორად; ინგლისელი საიდ ფაშა, დაინიშნა ანკარის გუბერნატორად; და მეჰმედ ნაფიზ ფაშა, მთავარი ფაშა (Başımacıbeyn), რომელიც დაინიშნა მეოთხე არმიის მარშლად. მოგვიანებით, დამად მაჰმუდ ჯელალედინ ფაშა, ასევე გაათავისუფლეს თოფანის მარშლის პოსტიდან (არტილერიის კორპუსი) და 1879 წლის იანვარში, სავარაუდოდ, დაინიშნა ტრიპოლის (ლიბია) გუბერნატორად (Inal, Son Sadrazamlar, II, 1002: 772-773). როგორც ჩანს, ამ მოვლენამ დიდი გავლენა იქონია სულთანზე, რის შემდეგადაც კიდევ დიდხანს გრძელდებოდა სულთნის გარემოცვის „გაწმენდა“ საეჭვო ფიგურებისგან, დაწყებული პირადი მცველებისგან, დამთავრებული რიგითი ჯარისკაცებით.

### **დასკვნა**

აბდულჰამიდის მმართველობის პირველ ორ წელში სხვადასხვა საერთაშორისო მოვლენებმა ხელი შეუწყო ოსმალთის იმპერიის მმართველი ელიტის განცდას, რომ იმპერია დაშლის პირას იდგა. რუსეთ-ოსმალეთის ომმა დაამტკიცა, რომ ოსმალეთის იმპერიას, როგორც პოლიტიკურ ერთეულს, არ გააჩნდა სიცოცხლისუნარიანობა. ბულგარელების, სომხებისა და ბერძნების სეპარატისტულმა საქმიანობამ, ისევე როგორც, მუსლიმური ჯგუფების, როგორც იყვნენ ალბანელები, არაბები და ქურთები, საფრთხეს უქმნიდნენ იმპერიის სტაბილურობას (Gábor Ágoston and Bruce Masters, 2009: 7).

გარდა ამისა, ეს პერიოდი ხასიათდება მუდმივი არასტაბილურობით, რაც გამოწვეული იყო პრემიერ მინისტრისა და დიდი ვეზირის პოსტების გადალაგებით. ამ ყოველივემ დასაბამი მისცა შემდგომ პერიოდში შექმნილ გაურკვევლობებსა და მძიმე პოლიტიკურ ვითარებას. ისმაილ ჰამი დანიშმენდის ცნობით, 1871 წლიდან 1882 წლამდე ოსმალეთის იმპერიამ 23 დიდი ვეზირი შეიცვალა, რაც უზომოდ დიდი რიცხვია 10 წლის განმავლობაში (Danışmend. I, 1971: 85).

მიუხედავად იმისა, რომ აბდულჰამიდის რეჟიმი გამოირჩეოდა მისი ავტორიტარული პოლიტიკითა და მოქმედებებით, სულთან ასევე ხელს უწყობდა ინფრასტრუქტურულ და კულტურულ მოდერნიზაციას. აბდულჰამიდის მმართველობის დროს ოსმალეთის ბიუროკრატია შეიძინა რაციონალური და ინსტიტუციური მახასიათებლები, სადაც საჯარო სამსახურში დაშვება და დაწინაურება ობიექტური კრიტერიუმებით ხდებოდა. აბდულჰამიდმა შექმნა სამთავრობო სკოლები ბიჭებისა და გოგონებისთვის მთელს იმპერიაში. განახორციელა რკინიგზის მშენებლობა უცხოური კაპიტალის მხარდაჭერით. დაიწყო შორეული პროვინციების დაკავშირება დედაქალაქთან და გააფართოვა ტელეგრაფის ხაზები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ადმინისტრაციული მეთვალყურეობა ალბანეთიდან იემენამდე. მისი მმართველობის დროს განხორციელდა სასამართლო სისტემის რეფორმა. ასევე მნიშვნელოვნად გაფართოვდა ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. დასავლური ლიტერატურიდან გაკეთდა ახალი თარგმანები. გაიზარდა წიგნების ბეჭდვა, ოსმალურმა პოეზიამ და პროზამ შეიძინა ამქვეყნიური ინდივიდუალისტური თვისებები. ამ ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდებზე, რამაც გამოიწვია დასავლური ორიენტაციის თაობის გაჩენა, რომელიც უკმაყოფილო იყო ავტოკრატით და კონსტიტუციურ მონარქიას ითხოვდა. ახალგაზრდა თურქების ოპოზიცია, სწორედ, ამ თაობიდან მოდიოდა. აბდულჰამიდის მიერ მოდერნიზაციის მცდელობებმა საბოლოოდ ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე თურქეთს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

სანიკიძე. გ, ალასანია. გ, გელოვანი. ნ., (2011). *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი)*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.



- Karpat, Kemal H. and Zens, Robert W. (2003). *Ottoman Borderlands: Issues, Personalities, and Political Changes*. Madison, Wisconsin: University of Wisconsin Press.
- Korkut, H. (2016). *Critical Analysis of The Ottoman Constitution (1876)*. *Epiphany: Journal of Transdisciplinary Studies*, Vol. 9, No. 1.
- Shaw, Stanford J. & Shaw, Ezel Kural. (2005). *History of the Ottoman Empire and Modern Turkey. Volume II: Reform, Revolution, and Republic: The Rise of Modern Turkey, 1808-1975*. Cambridge: Cambridge University Press.
- The Ottoman Constitution (23 December 1876). (2005). Source: Boğaziçi University, Atatürk Institute of Modern Turkish History. <https://ata.bogazici.edu.tr/>
- Celeleddin, M., Hakikat, M. III, *Zabtt Ceridesi*, II. *Levant Herald*, 20, 21 February 1878; Devereux.
- Çağlar, B. (2021). *Turmoil in the Capital: British Publication Alarmed the Hamidian Regime*. *Belleten*, Nisan 2021, Cilt: 85/Sayı: 302.
- Çetinsaya, G. (2019). *Sultan Abdülhamid II's Domestic Policy: An Attempt at Periodization*. *Abdülhamid II And His Legacy - Studies in Honour of F. A. K. Yasamee*. The Isis Press Istanbul.
- Danişmend, I. (1972). *Osmanlı Tarihi Kronolojisi*, vol 5 (Istanbul: Türkiye Yayınevi).
- Inal, Son Sadrazamlar, II, 1002.
- Zabtt Ceridesi* II, 401; tr. by Devereux.



## The reign of Sultan Abdulhamid II from 1876 to 1878

**Saba Kalandarishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Historian, Master's student of Cultural And Social Anthropology.

Georgia, 0160. Tbilisi, Bakhtrioni Street 8.

+995 595 070 152. Sabakalanda@gmail.com

ORCID: 0009-0003-1815-9810

### **Abstract**

The paper discusses the first two years of the reign of the 34th Sultan of the Ottoman Empire, Abdulhamid II, which is known as the “First Constitution Era”. With the overthrow of Sultan Murad V and the ascension of his brother, the Ottoman Empire entered an era of Absolutism that brought a new reality to both the great powers of Europe and the weakened Ottoman Empire.

The article discusses the key events of 1876-1878 based on foreign literature, such as the Sultan Abdülhamid's II ascension to the throne, the struggle against the European states, the Istanbul Conference, the adoption of the Constitution, the formation and dismissal of the Parliament, the Russo-Ottoman War of 1877-1878, the Treaty of San Stefano, the Congress of Berlin and the Chirac Incident. With all of this in mind, we've tried to get through the first two years of the Ottoman Empire's autocratic rule, which had a great impact not only on the politics of the great powers of Europe, but also on Georgia.

**Keywords:** Ottomans; Ottomans in the 19th century; Abdulhamid II; Hamidian; Istanbul Conference; Russo-Ottoman War; Magnificent Porta; San-Stefano; Congress of Berlin; Çırağan Incident.

## **Introduction**

The second half of the 19th century is characterized by difficult internal socio-political situation and external problems for the Ottoman Empire. The reforms of The Tanzimat, which begun in 1839, did not achieve the desired result and provoked opposition from large numbers of the population. The reforms were especially facilitated by the sultan's authority and the conservative part of the Muslim clergy. Added to this were the usurpation of the royal court, the old, backward system of agriculture, the monopoly of foreign capital, and the revolts of the populations of the conquered territories. With the crisis reaching its most critical levels since 1875, the empire entered a period that can safely be described as chaotic. The state treasury was completely destroyed, the state could not pay the loans that were periodically granted after the Crimean War. At the same time, the great powers of Europe launched a major diplomatic offensive. With all of this in mind, in 1876, demonstrations began in Istanbul. On 30 May, Sultan Abdulaziz was deposed and replaced by Murad V, who was soon replaced by his brother, the 34th Sultan of the Ottoman Empire, Abdulhamid II (1842-1919), thus beginning the era of autocracy and absolutism in the Ottoman Empire.

The reign of Sultan Abdulhamid II is less studied in Georgian historiography, but during his reign there are significant changes in the political map of the world. The consequences of his policy are interesting for the history of Georgia, since during his reign the Russo-Ottoman War of 1877-1878 began. By the Treaty of San Stefano and the subsequent Berlin Congress, the Georgian territories included in the Russian Empire were annexed by the lands of historical Georgia, and Batumi was declared a free trade city. In addition, after this war, the process of emigration of Georgian Muslims was particularly

accelerated and intensified, which, in fact, It led to the depopulation of the Adjara-Kobuleti.

We're interested in the first two years of the 34th sultan's long reign, which was marked by internal turmoil and external political strife. Using literature in foreign languages, we tried to break down the chronological development of important events that had a great impact on the domestic and foreign policy of the Ottoman Empire. We think the reign of Sultan Abdulhamid II, as one of the most interesting political figures, can be seen as both negative and positive. And that's our goal, and that's what we've clearly outlined in this paper.

### **Methods**

The above-mentioned period of the Ottoman Empire has not been studied in Georgian historiography, therefore, based on foreign literature and sources, we have worked on the previous work using historical-ontological and historical-comparative research methods.

### **Results**

As a result of the research, the significant period of the Ottoman Empire enters the Georgian historical space. The immediate aim of the study was to describe the first two years of the political activity of the 34th Ottoman sultan. The study identified such individual issues as Sultan Abdülhamid's II ascension to the throne, the struggle against the European powers, the Istanbul Conference, the adoption of the Constitution, the formation and dismissal of the Parliament, the Russo-Ottoman War of 1877-1878, the Treaty of San Stefano, the Congress of Berlin, and the Chirağan Incident.

### **Contents**

The reign of Sultan Abdulhamid II (1876-1909) can be divided into several stages. The first two years of his reign (1876-1878) are considered from the Ascension to the throne to the end of the Russo-Ottoman War.

The sultan's education was not at all what it was in the 1850s. He actually had a basic level of education; however, he gained a great deal of international European experience when he accompanied his

uncle, Sultan Abdulaziz (1830-1876) to Europe in June-August 1867. During his travels, the future sultan observed the development of France, Great Britain, Prussia, and Austria. In addition, he was actively involved in agricultural activities, which was a true Achilles' heel for the Ottoman Empire of the period (Gábor Ágoston and Bruce Masters, 2009: 7). His interest in agriculture was due to his closeness to the English Thompson family, who owned a farm in Arabia. In addition, he used every means to communicate with the Ottoman high society and discussed with them the problems of the empire. Particularly close to him in these early days were an Englishman named Thompson, who owned a farm next to his at Tarabya, and two lesser Tanzimat bureaucrats, Ibrahim Ethem Efendi and Mehmet Esat Saffet Efendi, most famous of the nineteenth-century ministers of education, both of whom subsequently served him for a time as grand vezirs. His personal finances were handled by a well-known Armenian Galata banker, Hagop Zarifi Bey, from whom he gained a knowledge of finance and economics that was to serve him well in later times. The young prince was thus a sincere though somewhat dour and persistent young man who was determined to prepare himself as best he could for the task of rescuing the empire (Stanford J. Shaw, Ezel Kural Shaw, 2005: 172).

Despite the extremely difficult conditions, the ruling circles, led by Ahmed Midhad Pasha, had a clear sense of the need for reform. They supported the ideas of the Young Ottomans, primarily the idea of constitutional reform. They managed to get past the representatives of the Muslim clergy. The Sultan wanted to restore his power, he was not in a hurry to issue such a document, but was forced to follow their will due to internal and external political factors (Karpát, Zens, 2003: 249-253).

The main creator of this process was Midhad Pasha, who still maintained his leadership in the cabinet. He used the Great Powers Conference as a springboard to justify the immediate promulgation of a constitution that would establish parliamentary rule. He claimed that his announcement would prevent other states from interfering in

Ottoman affairs on the pretext of carrying out reforms. In response to his persistent request, Abdulhamid ordered on 7 October that a constitutional commission be created to work on the drafting of a constitution, headed by Ahmed Midfat Fasha (Stanford J. Shaw, Ezel Kural Shaw, 2005: 174).

During the drafting of the constitution, there was a heated debate on a number of issues, such as equating the national minority languages with Turkish-Ottoman, which failed. Also, the Sultan's demand for the provisions on the responsibility of ministers, the Freedom of the Press Act and so on. On 6 December, the cabinet finally gave its approval to the commission's work, although the sultan insisted on the inclusion of the State Security Law, which implied the sultan's prerogative to remove anyone deemed a threat to state security. Despite the opposition, this law was passed as Article 113 of the Constitution. The Constitution of 1876 consisted of 119 articles and 12 sections. On the face of it, this Western document was not at all pure Western, and it incorporated the experience and practices of the Ottoman Empire (Stanford J. Shaw, Ezel Kural Shaw, 2005: 178). In the early period of the Ottoman Empire, administrative and institutional systems were developed according to the religion of Islam. Therefore, these institutional and administrative systems, with their structures, components and laws, remained unchanged until the 19th century. The organization of the state and its accompanying laws greatly integrated both religion and customs. However, due to the processes of Westernization, during the last few decades of the empire, religion and custom were re-considered as part of the institutional and administrative systems (Korkut. H, 2016: 116).

According to the constitution of 23 December 1876, the Sultan was declared the "Supreme Caliph", who is the protector of the Muslim world. The sultan's personality was sacred, and he was accountable to no one for his actions. He had the power to appoint or remove ministers, or the entire cabinet. Make treaties and declare war and peace. The sultan was the commander-in-chief of both the navy and

the army, and had the power to summon and dismiss the parliament. The new constitution also dealt with press, education, administrative and judicial matters. Torture and the Inquisition were prohibited by the constitution (The Ottoman Constitution (23 December 1876), 2005: 1-13). In reality, for all practical purposes, Abdulhamid II remained as powerful as his predecessor, and his first victim after overcoming the international threat was Midhat Pasha himself.

As for the parliament, a bicameral parliament was created: the Senate, whose members were appointed by the sultan himself, and the Chamber of Deputies, elected by the municipal and district councils. They were to meet once a year, from November 1 to March 1. Members of the Senate were required to be over 40 years of age and to have held important public office. They were appointed for life, but had to resign if called to other offices (Article 62). A member had to be over 25 years of age, own property, and pay taxes. Their number was fixed at one man for every 50,000 Ottomans (Article 65). The term of office was four years, and each deputy represented the nation as a whole, not just his province (Article 71). In the Chamber of Deputies there were 71 Muslims, 44 Christians and 4 Jews. Twenty-one Muslims and five non-Muslims were appointed to the Senate by the Sultan. The Sultan had the power to veto any law (Sanikidze. G, Alasania. G, Gelovani. N, 2011: 77). It is noteworthy that the Sultan summoned Parliament only twice in 1877 and 1878. It should also be said that while the sultan established a one-man dictatorship, he did share some of the ideals and principles of the Tanzimat, so it would not be surprising to say that he cooperated with the existing administration, which consisted of members of various schools and associations related to the Tanzimat. In short, the sultan generally agreed with what the administration offered, especially during the Russo-Ottoman War (Çetinsaya. G, 2019: 40). Despite Abdulhamid's initial active participation in the work of the Parliament, he still faced great opposition, so on 13 February 1878, Sultan Abdulhamid II dissolved the Parliament and restored the autocracy (Gábor Ágoston and Bruce Masters, 2009:7).

In July 1876, Montenegro and Serbia declared war on the Ottomans, although the Ottoman army was able to defeat Serbia, but in this situation, Russia issued an ultimatum to the Sultan, resulting in the convening of a conference of great powers in Istanbul in December 1876 to discuss the terms of the truce between Serbia and the Ottomans. Just prior to the opening of this conference, on December 23, 1876, the Sultan signed the Ottoman constitution, which was largely modelled on the Belgian constitution, though different.

The promulgation of the constitution, of course, coincided with the official opening of the Istanbul Conference, which was held in the offices of the Ministry of the Navy at the Imperial Dockyard on the Golden Horn. When the first session convened, the delegates were stunned by the salute of the guns, who informed every one of the adoption of the constitution. Safed Pasha, an old friend of the Sultan and now Minister of Foreign Affairs, was quick to tell the conference that the reforms demanded by the European states were no longer a matter for discussion, since they were enshrined in the Constitution (Stanford J. Shaw, Ezel Kural Shaw, 2005: 178). The new constitution allowed the Ottomans not to give up the territories seized by Serbia and Montenegro, as the constitution declared the empire a single, indivisible entity. Also, the distinction between Muslim and non-Muslim subjects, because the Constitution declared everyone equal. The creation of local Christian militias and the introduction of a separate court for Muslims were also unconstitutional. It is also worth noting that at the Istanbul Conference, the interests of the Ottoman Empire were much more strictly represented by Midhad Pasha than by the Sultan. It was strongly opposed to the goals of the great powers of Europe. They proposed to the Ottomans the division of Bulgaria into two vilayets, Eastern and Western. There, as in Bosnia and Herzegovina, new courts of appeal should be set up. They were appointed indefinitely with the authorities, and local languages were used in the courts, as well as Ottoman-Turkish. Tobacco and customs duties would be transferred to the central treasury, but all other taxes would remain



for provincial expenditures, and the tithes would be replaced by a new land tax. Muslim soldiers would remain confined to the major cities and fortresses, while Christian and Muslim militias would be organized to control the countryside in areas where their co-religionists were the majority. All Circassian refugees were to be sent to Anatolia, a local gendarmerie was to be formed with European officers, and 5,000 Belgian soldiers were to be sent to help Bulgaria, as well as lands occupied by Muslims were to be given to Christians for cultivation.

This proposal was more unacceptable to Porta than the old one, although Salisbury threatened the Ottoman Empire that if the plan was rejected, Russia would attack and Britain would do nothing to help Porta. Despite this threat, Midhat Pasha, encouraged by the British Ambassador in Istanbul (Sir Henry Elliott), refused the offer. Salisbury and the German representatives raised some demands for a Christian governor in Bulgaria and a Belgian gendarmerie, but the Midhat Pasha rejected them as well, and the conference dissolved in utter disappointment on 20 January 1877 (*ibid.*: 180). In February, a peace treaty was signed directly between Serbia and Sultan Abdul Hamid II on the basis of restoring the status quo (Sanikidze. G, Alasania. G, Gelovani. N, 2011: 75).

The end of the conference was followed by another important decision in the circle of Ottoman rulers. The sultan clearly disliked the grand vizier, Midhad Pasha, who was credited with implementing reforms and wielding great authority both within the country and abroad. His last plans, which incurred the wrath of the Sultan, were to enrol Christian students in a military academy and to reject Mahmud Nedim's program of refinancing the state debt. Eventually, Abdulhamid decided to send Midhat Pasha on a "long journey" to Europe (February 5, 1877) following the departure of the foreign plenipotentiaries from Istanbul. Midhad Pasha, who had been stripped of the Grand Vizier's ring, was read Article 113 of the Constitution and deported. The new Grand Vizier, a trusted person of the Sultan, was

Ibrahim Ethem Pasha, who had previously been the Chairman of the Council of State.

One of the main challenges of the beginning of Abdulhamid's reign was the Russian Empire, which was in clear opposition to the Ottoman Empire's interests in the Balkans. After his defeat in the Crimean War of 1853, the emperor tried to regain his lost prestige. The Istanbul Conference precipitated the expected Russo-Ottoman war. The main concern of the Russian Empire was what position Austria would occupy in the coming war. The Austrian Empire was in a military crisis at the time, the irregular state of the army halting the latter and promising Russia neutrality in the coming war. The Russo-Austrian Treaty of Neutrality was signed in Budapest on 15 January 1877.

According to the treaty, Austria retained the right to occupy Bosnia and Herzegovina whenever it wished; Serbia, Montenegro, and Novipasar were to remain neutral and not occupy any of the signatories; Russia would receive Bessarabia, and the Allies would support each other against any resistance by other powers; no specific provisions were made regarding Bulgaria, although the treaty forbade the formation of any major state on the territory. If the Ottoman Empire had completely collapsed, Istanbul would have been a free city, not of Russia or Greece, but the latter would have been compensated with Crete, Thessaly and southern Epirus. Russia acquired a neutral ally against Porta, while Austria gained significant territory and also a guarantee that she, and not Russia, would dominate Serbia - all in exchange for mere neutrality (Stanford J. Shaw, Ezel Kural Shaw, 2005: 181) Thus, on 16 April 1877, Russia obtained permission from Romania for the Tsar's army to transit through its territory. On April 24, 1877, the Russian ambassador informed the Grand Porte that his state had declared war on the Ottomans.

Before the Russo-Ottoman War of 1877-1878, the Russian-Ottoman military contingent was almost equal, although the Tsar's army was relatively under-equipped. In the Ottoman army, the Achilles'

heel was an unqualified officer corps, which is why the Russian emperor considered winning the war inevitable.

Abdulhamid II first appealed to the signatories of the Paris Peace Treaty for help. He was especially trusted by the British, although Disraeli, who openly opposed Russia's growing ambitions in Eastern Europe, failed to win cabinet support for English intervention in the war and had to leave the Ottomans to fight on their own.

The main objective of the Russian campaign was to cross the Balkan Mountains and approach Istanbul and the Straits to the west as quickly as possible, as well as to move into north-eastern Anatolia and capture Kars, Ardahan and Erzurum, in order to force the port to accept the proposals rejected at the Istanbul Conference. Once the Russians were able to control the Black Sea and go through Anatolia to Alexandria, it would have free access to the Mediterranean. The Slavic states in the Balkans would also be freed from Ottoman control and remain under strong Russian influence. In this way, the emperor's position in the alliance of European powers would be strengthened. For defensive purposes, the Ottoman main line was formed on the Danube, while the area between Varna and Vidin was heavily fortified, and the main units were concentrated in Silistra, Ruse, Nicopolis and Vidin. The Balkan Mountains formed a second line of defence from the Varna, Shumen and Sofia bases. In the east, the garrisons of Kars and Erzurum were heavily manned. Russia did not have time to rebuild the Black Sea Fleet, so the Ottomans were not intimidated in this direction, but nevertheless planned to send only light ships to the Danube to help supply their defence forces (See also 183).

By June 1877, the Russians were making active attack into the Balkans and were effectively gaining the upper hand. The entry of the Russian army into northern Bulgaria was accompanied by a large-scale slaughter of Turkish peasants to prevent the movement of troops and supplies. A great battle was fought on 16 July at Nicopolis. Shocked by a series of catastrophes in the Ottoman army in Istanbul, the sultan replaced all the major military commanders who had survived the

battles. The commander-in-chief was appointed by Suleiman Pasha, former head of the military academy.

The new sultan was faced with a difficult situation. The empire suffered a series of catastrophic defeats. In order to win the support of the people, Abdulhamid declared himself a „Ghazi”, warrior for the faith against the infidels, and declared the war a holy war. In doing so, he succeeded in arousing the passions of the people and mobilizing the men needed for the war. At the same time, his deputy Suleiman Pasha attacked the Russians by land in northern Bulgaria and pushed them back with the Shipka Pass. The successes of the right wing of the Russian army (first the victory of Sistova, then the capture of Vidin) were stopped by the Ottomans in Plevna with a strong defence.

The Eastern campaigns followed a similar pattern. Initially, the Ottomans were hampered by the division of their defence forces, which were scattered in various fortresses that the Russians could attack between the Black Sea and Lake Van. The Russians attacked and captured the main strongholds one by one, first in Ardahan (18 May 1877) and then in Dogubeyazit (20 June). The Ottomans suffered heavy losses in terms of manpower and military equipment. The main Ottoman defensive center became Kars. The remaining troops in this area were assembled under the command of Ahmed Muhtar Pasha, who soon managed to stop the Russian advance.

The Russian Empire's plans for a quick victory were foiled. So, the war went on. The emperor had to change his plans and began negotiations with the Balkan states. Serbia has agreed to enter the war, but until they take Plevna they are not sure of the Russian victory. The Greeks also requested that the Ottomans be driven into Thrace by offensive, but by this time they were so impressed by the Ottoman army and the threat of British intervention that they refused to provide assistance without Russian assurances that they would conquer both Epirus and Thessaly. As for Romania, it was not in a position to say no to the Russians or to let them down. His army assisted the Russians in a new siege of Pleven, which continued. To commemorate

his heroic resistance against the Russians, Abdulhamid awarded the title of Gazi to his commanders, Osman Pasa, as well as Muhtar Pasa for their exploits in the east.

The war was indeed going from bad to worse, as the long Russian siege eventually damaged the main Ottoman defences, both to the east and to the west. On 14 October 1877, 6,500 Ottoman troops were forced to surrender at Aladag, and on 14 November Muhtar Pasha left Kars, although he was able to return most of his troops and heavy equipment to Erzurum. As for the Balkans, here, Gazi Osman Pasha was forced to submit to the suffering of the soldiers and the 42,000 survivors around him and surrender. On December 10, 1877, Plevna fell. With this, the Western Front was broken. King Milan of Serbia immediately gained the courage needed to declare independence (January 24) and declare war (January 28), capture Pirot on the Bulgarian border and besiege and take Niş (February 11). On January 9, 1878, the defenders of Papka Pass were defeated. All this cost the Ottomans another 32,000 men and 103 large shells. Suleiman Pasha managed to escape himself, and he took over the protection of Sofia. But the Ottoman forces were now too scattered. Soon it too fell, and this was followed by Edirne (January 20) without real opposition. At the same time, together with the Ottoman garrisons of Montenegro engaged in the east, the Montenegrins also declared war and occupied Bari (January 15) and Ulcinj (January 19) (*ibid.*: 186).

Russia's rapid advance into Bulgaria alarmed Britain and Austria. They realized that the Greater Bulgaria, as the emperor had envisioned, would only be a tool for Russia's domination of South-eastern Europe. Nevertheless, Russian troops, under the command of Grand Duke Nicholas, advanced towards Istanbul and forced the Porta to ask for a cease-fire agreement, which was signed in Edirne on 31 January. Before holding the peace conference, the Ottomans surrendered the remaining Bulgarian strongholds in Vidin, Ruse and Silistra. Russia and the Ottomans agreed that Bosnia-Herzegovina and Bulgaria would receive autonomy through European-supervised reforms, that Russia

would have full rights to use the straits, and that the Porta would pay war reparations. In short, it was an unconditional surrender to the victor. The conference between the Ottomans and Russia was held in San Stefano (Yeşilköy), near Istanbul.

The failure of the war activated the Sultan's opposition. In parliament, the attention of deputies was diverted to military disasters, and instead of concentrating on legislation, they turned to criticism of the government, the conduct of offensive campaigns, the incompetence of officers, and the overall direction of the war effort. There was also the issue of the return of Midhat Pasha, which the sultan's representatives did not like. In addition, liberal and non-Muslim deputies began circulating no-confidence petitions against some ministers and the palace environment. The final straw was on 13 February, when the Sultan gathered the Chamber of Deputies, including members of Parliament, to consult with them on inviting the British fleet and entering the Sea of Marmara, thus helping to defend Istanbul against a possible Russian advance. After the majority of the deputies had declared their agreement, one of them, Naji Ahmed, who was a cook and the head of one of the guilds, told Sultan: "You asked for our opinion too late; you should have asked for ours before the catastrophe could have been avoided". The Chamber disclaims all responsibility for a situation for which it has done nothing. (Zabtt Ceridesi II, 401: 243-244) That was the end. The next day Abdulhamid dissolved Parliament and simply stated that he had done his duty, but the current situation was not suitable for the proper exercise of his functions" (ibid: 243-244). Abdulhamid initially also ordered the arrest of all deputies who were most critical of the government, but upon the insistence of Ahmed Vefik, he changed the order and demanded that they return to their homes immediately. Although some deputies protested that he had violated the constitution, the parliament was nevertheless dissolved (Celaleddin, M., *Mirat-t Hakikat*, C. III: 60-62). However unpredictable this end and his actions were, the Sultan would rule without parliament for the next three decades, acting within the powers gra-

nted to him by the constitution. He simply used the crisis to enforce provisions that Midhat and his colleagues had passed to protect the constitution from conservative reaction. By leaving Parliament and weakening the Porte, Abdulhamid laid the foundations for the autocracy that would dominate the Ottoman government for the remaining years of his reign (Stanford J. Shaw, Ezel Kural Shaw, 2005: 187).

Because of internal political and economic problems, neither side wanted to prolong the war. Thus, on March 3, 1878, the San Stefano Peace Conference was held. The treaty was based on the terms of a truce signed a month earlier in Edirne and largely fulfilled the demands of the Pan-Slavs. Montenegro and Serbia were to be independent, however the latter, due to its bad war, was to receive only a few additions along the southern border, including Niş, the Drina Valley, and part of the Novi Pazar Sanjak. Porta was to recognize the independence of Romania and pay it war reparations in the form of a portion of Dobruja. He agreed to Russia's annexation of Bessarabia. And Bulgaria was supposed to be autonomous.

The Sultan agreed to pay a huge war indemnity of 1.4 billion rubles (24 billion Kuruş, four times the state's annual income), less than half of which was paid to Dobruja, by surrendering large areas of the islands, the Danube, and the eastern Anatolian provinces of Kars, Ardahan, Batumi, and Dogubayazit. Residents of the annexed Russian territories were allowed to sell their property within three years, which led to an influx of refugees into the Ottoman Empire. By the treaty, all Christian subjects of the sultan were placed under the protection of the Russian emperor. The Ottomans were only able to resist Ignatyev 's desire for a joint defence and administration of the straits.

Later, England and Austria-Hungary demanded a revision of the San Stefano provisions, which Bismarck supported. Austria demanded a territorial reduction of Bulgaria in order to weaken Russian power in Eastern Europe, and Russia agreed to Austria's annexation of Novipasar Sanjak, as well as Bosnia and Herzegovina. Eastern Rumelia and the

restored Bulgaria were to be returned to the Ottoman Empire as autonomous provinces, with immediate reforms. Most of eastern Anatolia was to be returned to Porta, while in return the Russian Empire retained Kars, Batumi, and southern Bessarabia. Thus, a review of the San Stefano results laid the foundation for a conference that Bismarck convened in Berlin from June 13 to July 13, 1878.

Despite all of the agreements listed above, it was still difficult to achieve the sequence. The congress agreed to recognize the independence of Serbia, Montenegro, and Romania. Austria-Hungary was given the right to occupy Bosnia and Herzegovina. In addition to Bulgaria and the Balkans, the Berlin Congress was also concerned with the question of the East. As a result of the congress, the Ottomans in the east were forced to leave Kars, Ardahan and Batumi for the Russians. Batumi became a free-trade city (Porto-Franco), which the emperor promised not to fortify. The Elishkirt valley and the Dogubayazit were returned to the Ottomans. Porta promised to carry out reforms in the Armenian-populated districts and to affirm full civil and religious freedom in the empire.

In total, according to the Congress of Berlin, the Ottoman Empire was forced to abandon two-fifths of its entire territory and one-fifth of its population, about 5.5 million people, almost half of whom were Muslims (ibid: 191).

The six months between the signing of the Armistice of Edirne (31 January 1878) and the signing of the Treaty of Berlin represented one of the most critical periods of Abdulhamid's reign. To better understand the depth and scale of subversion that developed by this time, it may help to recall the events of this critical period that also cleared the way for Abdulhamid to establish an autocratic regime: the cease-fire of Edirne (31 January 1878); the dissolution of the Chamber of Deputies (13 February 1878); the Treaty of San Stefano (3 May 1878); Chiragan incident (attempt to overthrow Abdulhamid, 20 May 1878); the handing over of Cyprus to Britain (4 June 1878); the June Conference and subsequent signing of the Treaty of Berlin (18 June 1878-



13). In terms of the impact and consequences of the Abdulhamid's regime, the two most important events on the list above were the break-up of the Chamber of Deputies and the Chirağan Incident (Çetinsaya, G, 2019: 40).

The Chirağan Incident of May 1878 was one of the critical moments of Abdulhamid's reign. Groups opposed to the sultan emerged from the beginning. The first such attempt occurred in early December 1876, when the sultan's brother, Murad V, was kidnapped from the Chirağan Palace. Their goal was to restore a mentally deranged former sultan to the throne, but that plan failed.

On May 20, 1978, two years after the former sultan was deposed, another sensational event occurred. There's been a rebellion in front of the Chirağan Palace. The leader of the revolt was the former headmaster of the Galatasaray Imperial College and former representative of the Young Ottomans, Ali Suavi. He was accompanied by a group of Muslim refugees from the Balkans, whose main frustration was the devastating actions of the army and the losses incurred as a result of the Russo-Ottoman War of 1877-1878, in which the people blamed Abdulhamid II and thus supported the return of Murad V. Although this attack was intended to free Murad V and restore him to the throne, the affair was over in just one hour of fiasco. Ali Suavi and about fifty of his followers were killed by the imperial troops, and the survivors were arrested and put on trial.

This famous incident went down in history as the "Chirağan raid". According to Ibnulemin Mahmud Kemal Inal, this event marked the beginning of Abdul Hamid's autocracy. This incident marked a turning point for Abdulhamid II. After that, the sultan became more suspicious and untrustworthy, and he began to doubt even those he had previously trusted. After the coup attempt, Abdulhamid appointed those he suspected as governors of distant provinces, thus emptying the imperial capital. Among these figures were the Senate Chairman Kuchuk Said Pasha, who was first appointed Governor of Ankara and then, after he protested the post, was appointed Governor of Bursa; the

Prime Minister Mehmet Sadik Pasha, appointed Governor of the Vilayet of the Archipelago; Mehmet Akif Pasha, who was appointed Governor of Konya; the Englishman Said Pasha, appointed Governor of Ankara; and Mehmet Najif Pasha, the Chief Pasha (Bacımaşbeyn), who was appointed Marshal of the Fourth Army. Later, Damad Mahmud Jalaleddin Pasha was also dismissed from the post of marshal of the Tofan (artillery corps) and in January 1879, was supposedly appointed governor of Tripoli (Libya) (İnal, *Son Sadrazamlar*, II, 1002: 772-773). This apparently had a great impact on the sultan, and it was followed by a long period of "cleansing" of the sultan's entourage of suspicious figures, from bodyguards to regular soldiers.

### **Conclusion**

During the first two years of Abdulhamid's reign, various international events contributed to the Ottoman Empire's ruling elite feeling that the empire was on the verge of collapse. The Russo-Ottoman War proved that the Ottoman Empire as a political entity was not viable. Separatist activities by Bulgarians, Armenians, and Greeks, as well as by Muslim groups such as Albanians, Arabs, and Kurds, threatened the stability of the empire (Gábor Ágoston and Bruce Masters, 2009: 7).

In addition, this period is characterized by constant instability, which was caused by the relocation of the posts of Prime Minister and Grand Vizier. All of this set the stage for the uncertainty and political turmoil that followed. According to Ismail Hami Danişmend, from 1871 to 1882, the Ottoman Empire changed 23 grand viziers, an immense number in 10 years (Danişmend. I, 1971: 85). Although Abdulhamid's regime was noted for its authoritarian policies and actions, the sultan also promoted infrastructure and cultural modernization. During the reign of Abdulhamid, the Ottoman bureaucracy acquired rational and institutional characteristics, where admission and promotion to public office was based on objective criteria. Abdulhamid established governmental schools for boys and girls throughout the empire. Implemented railway construction with the support of foreign capital.

Started connecting distant provinces to the capital and extended telegraph lines to allow for administrative surveillance from Albania to Yemen. During his reign, the judicial system was reformed. It also greatly expanded access to literature. New translations were made from Western literature. Book printing increased, and Ottoman poetry and prose acquired worldly individualistic qualities. These changes had a profound impact on young people, resulting in the emergence of a Western-oriented generation that was dissatisfied with autocracy and demanded a constitutional monarchy. The opposition of the Young Turks came from that generation. Abdulhamid's attempts at modernization eventually laid the foundation for modern Turkey.

### References

- Sanikidze, G., Alasania, G., Gelovani, N. (2011). *A History of The middle East And Its Relations With The South Caucasus (19<sup>th</sup>-Beginning of 21<sup>st</sup> CC)*. Iliia State University, Tbilisi.
- Karpat, Kemal H. and Zens, Robert W. (2003). *Ottoman Borderlands: Issues, Personalities, and Political Changes*. Madison, Wisconsin: University of Wisconsin Press.
- Korkut, H. (2016). *Critical Analysis of The Ottoman Constitution (1876)*. *Epiphany: Journal of Transdisciplinary Studies*, Vol. 9, No. 1.
- Shaw, Stanford J. & Shaw, Ezel Kural. (2005). *History of the Ottoman Empire and Modern Turkey. Volume II: Reform, Revolution, and Republic: The Rise of Modern Turkey, 1808-1975*. Cambridge: Cambridge University Press.
- The Ottoman Constitution (23 December 1876). (2005). Source: Boğaziçi University, Atatürk Institute of Modern Turkish History. <https://ata.bogazici.edu.tr/>.
- Celaledin, M., Hakikat, M. III, Zabtt Ceridesi, II. *Levant Herald*, 20, 21 February 1878; Devereux.

- Çağlar, B. (2021). Turmoil in the Capital: British Publication Alarmed the Hamidian Regime. *Bellekten*, Nisan 2021, Cilt: 85/Sayı: 302.
- Çetinsaya, G. (2019). Sultan Abdülhamid II's Domestic Policy: An Attempt at Periodization. *Abdülhamid II And His Legacy - Studies in Honour of F. A. K. Yasamee*. The Isis Press Istanbul.
- Danişmend, I. (1972). *Osmanlı Tarihi Kronolojisi*, vol 5 (Istanbul: Türkiye Yayınevi).
- Inal, Son Sadrazamlar, II, 1002.
- Zabtt Ceridesi II, 401; tr. by Devereux.



**„რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში“  
(შსს არქივის მონაცემების მიხედვით)**

**ზვიად ტყაბლაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო.  
საქართველო, 0105, თბილისი, ინგოროყვას 7.  
+995 322 990900; info.ra@religion.gov.ge  
ORCID: 0009-0009-4347-6299

**აბსტრაქტი**

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ დაფინანსებულ 2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის (NFR-22-21090) - „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)“ მიმოხილვას, რომელიც ხორციელდება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით.

რეპრესირებულ პირთა ბედი გვიჩვენებს, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოჰყვა საბჭოთა კავშირის იმპერიულ გადაწყვეტილებებს რიგითი ადამიანებისთვის. საბჭოთა რეპრესიების საკითხი ერთ-ერთი შეუსწავლელი სფეროა არა მარტო ქართულ, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ათასობით რეპრესირებულ სასულიერო პირთა საქმეები, რომელიც სხვადასხვა არქივშია დაცული. თემა ითვალისწინებს მკვლევართა ჯგუფის მიერ

საქართველოში საბჭოთა პერიოდში (1921-1991 წლებში) რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების და რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ ჩატარებული კვლევის გამოუქვბას. საქართველოს ანექსიის (1921 წ.) შემდეგ, აქტიურად დაიწყო „წითელი ტერორი“ და ათეისტური რელიგიური პოლიტიკის გატარება იმ პერიოდში მოღვაწე ყველა დენომინაციის წინააღმდეგ: დაიხურა ასობით საკულტო ნაგებობა, რელიგიური სკოლები, განსაკუთრებული სისასტიკით დაიწყო მართლმადიდებლური, კათოლიკური, სომხური-სამოციქულო, ქრისტიანულ-პროტესტანტული, სხვა ქრისტიანული მიმდინარეობების, ასევე იუდეური, ისლამური თემების სასულიერო პირების რელიგიური მოტივებით დევნა. სასულიერო პირთა დევნის საფუძვლად იყენებდნენ მათ ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდის და სხვა სახის ბრალდებას. დამუშავებული იქნა იმ სასულიერო პირთა შესახებ ინფორმაცია, რომლებიც სასჯელის სამი კატეგორიით იქნენ დასჯილნი - დახვრეტ-ილები, პატიმრობამისჯილები და გადასახლებულები.

მიმდინარე პროექტში მონაწილეობას იღებს მკვლევართა ჯგუფი: ზვიად ტყაბლაძე (პროექტის ხელმძღვანელი), გიორგი პატაშური (პროექტის კოორდინატორი), ზაზა ვაშაყმაძე, სერგო ფარულავა, აბესალომ ასლანიძე, მარინე მაზმიშვილი, დავით დავითაშვილი, ბადრი ჩერქეზიშვილი, ლალი ეხვაია.

**საკვანძო სიტყვები:** რელიგიები; რეპრესიები; სასულიერო პირები; საბჭოთა საქართველო; არქივი.

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ დაფინანსებული 2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის (NFR-22-21090) - „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)“ მიმოხილვას, რომელიც ხორ-

ციელდება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით.

საგრანტო პროექტის მიზანია, ობიექტურად განიხილოს ამგვარი მწვავე და მტკივნეული საკითხი. ვინაიდან საბჭოთა რეპრესიების პრობლემატიკაზე, პერიოდულად ქვეყნდება ფრაგმენტული მასალები სამეცნიერო ლიტერატურასა თუ მედიაში, საზოგადოება გადაუდებელი აუცილებლობის წინაშე დგას გამოკვლეულ იქნას არქივებში შენახული მნიშვნელოვანი მონაცემები რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ, რომლებიც დიდი ხნის პერიოდში დახურული იყო უცხო თვალისთვის. რეპრესირებულთა შთამომავლობამ, ხშირ შემთხვევაში, დღესაც არ იცის თუ რა მიზეზით ჩასვეს ციხეში ან დახვრიტეს მათი წინაპარი.

ადამიანის სიცოცხლე ფასდაუდებელია, უდანაშაულო ადამიანების მკვლელობა კი გაუმართლებელი. მარტო ერთ წელიწადში ბოლშევიკებმა ასი ათასობით ადამიანი დახვრიტეს. ნებისმიერი შეიძლება გა მოცხადებულიყო ხალხის მტრად: გამოგონილი ბრალდებით, ანონიმური დასმენით ან ცილისწამებით. ამიტომ, ჩვენი მოვალეობაა საბჭოთა წარსულის ნამდვილი სახის, ჩატარებული მასიური რეპრესიების მასშტაბების ჩვენება და ამ საშინელი მოვლენების მორალური შეფასება.

რეპრესირებულ პირთა ბედი გვიჩვენებს, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოჰყვა საბჭოთა კავშირის იმპერიულ გადაწყვეტილებებს რიგითი ადამიანებისთვის. საბჭოთა რეპრესიების საკითხი ერთ-ერთი შეუსწავლელი სფეროა არა მარტო ქართულ, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ათასობით რეპრესირებულ სასულიერო პირთა საქმეები, რომლებიც სხვადასხვა არქივშია დაცული.

### **მეთოდი**

სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნება თეორიულ მეთოდოლოგიას: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზს, სინთეზს, შედარებას, შსს-ს არქივში სხვადასხვა დოკუმენტების მოძიებას და

დამუშავებას (დადგენილებების, რეპრესირებულ პირთა შესახებ მონაცემებს, ანკეტებს). კვლევა მოიცავს პირის რელიგიურ კუთვნილებას, მის როლს იმ პერიოდის რელიგიურ ცხოვრებაში, მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, დაკითხვის ოქმებზე დაყრდნობით ბრალდებასა და რეალობას შორის კავშირის დადგენას, დაპატიმრების, გასამართლებისა და სასჯელის გამოყენების თარიღებს და რეპრესირებული სასულიერო პირების ცხოვრების საინტერესო ელემენტებს. განხორციელდა არქივში არსებული მასალის, დაკითხვის ოქმების, აქტების, სხვადასხვა ჩანაწერების კვლევა, დადგინდა საბჭოთა სამართლებრივი დევნის ობიექტის (პირის) რელიგიური კუთვნილება და მათი სასულიერო პირობის ნამდვილობა. საბრალდებო დასკვნის და სხვა დოკუმენტების შეჯერებით, დაკავებული სასულიერო პირის მიმართ დაპატიმრებისას წაყენებულ ბრალდებაში, გამოიკვეთა რელიგიური მოტივები და მოხდა თუ არა რელიგიური ბრალდების გამო ხსენებული პირის რეპრესირება.

### **შედეგი**

საკვლევ საკითხზე მუშაობის შედეგად, გამოვლენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სხვადასხვა წლებში რეპრესირებული სხვადასხვა დენომინაციის სასულიერო პირი, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა რეპრესიების კოლოსალური მასშტაბები. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება არა მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებისთვის საბჭოთა რეპრესიების მნიშვნელობის თაობაზე. ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს ისტორიით, რელიგიით, თუ სახელმწიფო პოლიტიკის კვლევებით დაინტერესებული პირებისთვის.

### **დისკუსია**

საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყებასთან ერთად, იწყება რეპრესირებულ პირებზე ინფორმაციის მოძიება და გამოქვეყნება. ბოლო ათწლეულებში, საქართველოში გამოიცა არაერთი წიგნი რეპრესირებულ პირთა შესახებ, თუმცა საქმეს ართულებდა ის, რომ საქართველოს უშიშროების არქივის ნაწ-



ილი, სადაც ძირითადად ინახებოდა ამ ტიპის მასალები, 1991-92 წლების სამოქალაქო ომის დროს დაიწვა, ნაწილი გატანილ იქნა რუსეთში, ხოლო დანარჩენი საქმეები გაფანტულია სხვადასხვა არქივში.

ამ ტკივილიან, ზღვა მასალაში გაბნეულია მონაცემები რეპრესირებულ სასულიერო პირების შესახებ, თუმცა ცნობილ ისტორიულ პირებზე არსებობს ცალკეული ფუნდამენტური კვლევები.<sup>21</sup>

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, საქართველოს XX საუკუნის რელიგიური ისტორიის მკვლევრებმა არაერთი შრომა მიუძღვნეს საბჭოთა რეპრესიების თემას და უმეტეს წილად აღნიშნული კვლევები მოიცავს: ა) რეპრესიების პერიოდის ზოგად მიმოხილვას რელიგიური მდგენელის ცალკე წარმოჩინების გარეშე; ბ) რომელიმე კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციის (უმეტეს შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის) ისტორიას და კვლევებს გამოჩენილი პიროვნებების შესახებ (კათოლიკოს-პატრიარქების - ამბროსის, კირო-

---

<sup>21</sup> იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონვეჩი ბ.: ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში: დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში, I ტომი და II ტომი, თბილისი, 2015. ბენდელიანი მ.: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია: მე-20 საუკუნის 30-40-იანი წლებში. თსუ-ს სოხუმის ფილიალი, თბილისი, 2002.

ქართველიშვილი მ.: საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში, თბილისი, 2022.

ვარდოსანიძე ს.: საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბილისი, 2011.

შერვაშიძე ი.: საბჭოთა რეპრესიები აჭარაში პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების კონტექსტში. სადოქტორო დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი 2021.

სიმაშვილი თ.: საბჭოთა რეპრესიები თელავში 1921-1924 წლებში; თბილისი, 2020.

შსს-ს არქივის მიერ გამოცემული რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი:

მონოგრაფია „მშვიდობით ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ“, (გამოიცა კონრად ადენაუერის ფონდთან ერთად). თბილისი, 2016.

ჟურნალი „საარქივო მოამბის“ სხვადასხვა ნომერი, სადაც წარმოდგენილია საეკლესიო თემატიკა.

„დიდი ტერორი აფხაზეთში (აფხაზეთის ასსრ, 1937-38 წწ.) სამტომეული (მომზადებული ქართულ-აფხაზური ერთობლივი პროექტის ფარგლებში), თბილისი, 2023.

ნის და სხვების, ასევე სხვა დევნილი სასულიერო თუ საერო პირების); გ) საბჭოთა რეპრესიების რომელიმე კონკრეტულ პერიოდს (მაგალითად: 1924 წლის აჯანყებას, 1930-იანი წლების რეპრესიებს და ა.შ.); დ) საბჭოთა რეპრესიების ისტორიას საქართველოს კონკრეტულ მხარესა თუ ქალაქში და სხვა.

საინტერესოა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის, „სრულიად არასაიდუმლოდ“, ღვაწლი, რომელიც გ. სანადირაძის რედაქტორობით თბილისში 1996-2005 წლებში იბეჭდებოდა და როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდა, რამდენიმე წლის განმავლობაში ასობით რეპრესირებულის შესახებ აქვეყნებდა ინფორმაციას. მოგვიანებით, ამ გაზეთის მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც აჭარას ეხებოდა, გამოიცა წიგნი<sup>22</sup>.

რეპრესირებულთა საკითხს მიუძღვნა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი ოთარ თურმანიძემ, თუმცა აქაც რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ ცნობები ასახულია მისი მონოგრაფიის ერთ მონაკვეთში და ისიც მხოლოდ აჭარის რეგიონის მიხედვით.<sup>23</sup>

რეპრესირებულ პირთა ოჯახებთან თანამშრომლობს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფასდაუდებელ დახმარებას უწევს „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“ და სხვა ორგანიზაციები.<sup>24</sup>

2014 წელს, რეპრესირებულთა შესახებ პირველი ელექტრონული მონაცემთა ბაზა შეიქმნა, საძიებო სისტემით, რომელიც მოიცავს 3600-ზე მეტი პირის ბიოგრაფიულ მონაცემებს.<sup>25</sup> ეს ბაზა

---

<sup>22</sup> აჭარა, სუსხიანი გრიგალის ექო. თბილისი, 2001.

<sup>23</sup> საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წლები). ბათუმი, 2019, გვ. 403-418.

<sup>24</sup> „აღდგენის, დოკუმენტაციისა და იდენტიფიცირების ქართული პროექტი“ (GRDIP). „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“, 2024. წვდომა [17.06.2024]: <http://www.gafa.edu.ge>

<sup>25</sup> პროექტი „სტალინური სიები საქართველოდან“ 2011-2013 წლებში განახორციელა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალთან“ თანამშრომლობითა და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური

„სტალინური სიები საქართველოდან“, 1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ მსხვერპლთა შესახებაა. „თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) ამჟამადც მუშაობს ამ ბაზის გაფართოებაზე და 2023 წელს შექმნა „სტალინური სიების“ ვებ-გვერდი.<sup>26</sup>

რა თქმა უნდა, არაერთი სამეცნიერო სტატია თუ კვლევა არსებობს, რომელიც მოიცავს ცალკეულ ეპიზოდებს და ხშირად ეხება საზოგადოების გარკვეულ ფენებს, რეგიონებს, მხოლოდ კონკრეტულ კონფესიას ან ისტორიულ პირს და. ა.შ.

ცნობილია, რომ სისხლიანი ტერორის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სწორედ რელიგია და სასულიერო პირების რეპრესიები იყო. ფაქტობრივად, საქართველოში ყველამ, დიდმა თუ პატარა კონფესიამ განიცადა რეპრესიები, რის შედეგადაც ათასობით სასულიერო პირი უდანაშაულოდ დახვრიტეს, გაგზავნეს ციხეებში, საკონცენტრაციო ბანაკებში.

ჩვენი კვლევა სხვა ზემოჩამოთვლილი შრომებისგან ძირითადად იმით გამოირჩევა, რომ მასში ასახული მასალები ინტერრელიგიური ხასიათისაა და კომპლექსურად ეხება საქართველოში წარმოდგენილ ყველა კონფესიას და რელიგიურ მიმდინარეობას. ჩვენ მიერ დამოწმებულ სხვადასხვა პუბლიკაციაში არსად არ არის ერთად წარმოდგენილი სხვადასხვა დენომინაციის წარმომადგენელთა რეპრესიების საკითხი.

ამიტომ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გაუჩნდა იდეა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით, საფუძვლიანად შეისწავლოს და გააანალიზოს ინფორმაცია საბჭოთა პერიოდში საქართველოში სახვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირთა მიმართ განხორციელებული რეპრესიების შესახებ და შსს-ს არქივში დაცულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით (პროექტის დასრულებისას), გამოსცეს დიდი მასშტაბის ნაშრომი.

---

ბიუროსა და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. იხ. წვდომა [17.06.2024]:<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=26>

<sup>26</sup> „სტალინის სიები“. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024 წ. წვდომა [17.06.2024]:<https://stalin.historyproject.ge/about>

აქვე უნდა ითქვას, რომ რეპრესირებულ პირთა შესახებ მასალები ძირითადად სწორედ ამ არქივშია თავმოყრილი. თანაც შსს-ს არქივი უკვე წლებია მუშაობს მის ხელთ არსებული მასალის გაშიფრვაზე, ციფრულ დამუშავებასა და დახარისხებაზე.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოში საბჭოთა პერიოდში (1921-1991 წლებში) რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების ფაქტების შესწავლას და რეპრესირებული სასულიერო პირების გამოვლენას. საქართველოს ანექსიის (1921 წ.) შემდეგ, აქტიურად დაიწყო „წითელი ტერორი“ და ათეისტური რელიგიური პოლიტიკის გატარება იმ პერიოდში მოღვაწე ყველა დენომინაციის წინააღმდეგ: დაიხურა ასობით საკულტო ნაგებობა, რელიგიური სკოლები, განსაკუთრებული სისასტიკით დაიწყო მართლმადიდებლური, კათოლიკური, სომხური-სამოციქულო, ქრისტიანულ-პროტესტანტული, სხვა ქრისტიანული მიმდინარეობების, ასევე იუდეური, ისლამური თემების სასულიერო პირების რელიგიური მოტივებით დევნა. სასულიერო პირთა დევნის საფუძვლად იყენებდნენ მათ ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდის და სხვა სახის ბრალდებას.

ნაშრომზე მუშაობისას, დამუშავდა ინფორმაცია იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომლებიც სასჯელის სამი კატეგორიით იქნენ დასჯილნი - დახვრეტილები, პატიმრობამისჯილები და გადასახლებულები.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რეპრესირებულ პირთა შესახებ საარქივო მასალებზე მუშაობა საშური საქმეა, ამავე დროს მოითხოვს უდიდეს პასუხისმგებლობას და ურთულესია თავისი არსით. საქმე იმაშია, რომ საარქივო მასალებში ძალიან იშვიათად ინახება ინფორმაცია, პირის რელიგიური საქმიანობის გამო გასამართლების შესახებ.

ქვემოთ წარმოგიდგენთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც ეხება რელიგიის საკითხებს და იმ მუხლებს რითაც ასამართლებდნენ სასულიერო პირებს.

სასულიერო პირების გასამართლება ძირითადად ხდებოდა მუხლი 58-10-ის (პროპაგანდა ან აგიტაცია, რაც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, შესასუსტებლად ან ძირის გამოსათხრელად, ან და ამა თუ იმ კონტრრევოლუციური დანაშაულის (ამა კოდ. 58-2 მუხ.) ჩასადენად, აგრეთვე ასეთივე შინაარსის ლიტერატურის დამზადება, შენახვა ან გავრცელება გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ექვსი თვისა. იგივე მოქმედება, უკეთუ იგი ჩადენილია მასური მდელვარების დროს, ან ხალხის რელიგიური ცრუმორწმუნეობისა და ნაციონალური ცრუმეგნების გამოყენებით, ან საომარ პირობებში, ან და ისეთ ადგილას, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, გამოიწვევს ამ კოდექსის 58-2 მუხ. აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას [რაშიც იგულისხმება დახვრეტა, ან მშრომელთა მტრად გამოცხადება, სსრკ-დან გამეგება და ა.შ.]), ან მუხლი 58-11-ის (ყოველგვარი საორგანიზაციო მოქმედება, რაც მიმართულია ამ თავში გათვალისწინებულ დანაშაულთა მოსამზადებლად ან ჩასადენად, აგრეთვე მონაწილეობა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც მოეწყო ერთ-ერთი ზემოაღნიშნული დანაშაულის მომზადებისა ან ჩადენისათვის, გამოიწვევს ამა კოდექსის სათანადო მუხლებში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას (მინიმუმ იგივე სასჯელს) მიმართული დანაშაულის მომზადებასა და ჩატარებისთვის) მიხედვით (საქართველოს სსრ სსკ, 1928: 51).

მაგალითად, ასევე არსებობდა მუხლი 58-21 - ეროვნული ან სარწმუნოებრივი მტრობის ჩამოსაგდებად (პროპაგანდა ან აგიტაცია ეროვნული ან სარწმუნოებრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოსაგდებად, აგრეთვე ამავე ხასიათის ლიტერატურის დამზადება, შენახვა ან გავრცელება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე. იგივე მოქმედება ომიანობის პირობებში, ან მასური მდელვარების დროს - თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ორი წლისა, მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება იწვევს თვით უმაღლეს ღონისძიებამდეც - დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით. [1930

წ. 6 აპრილის; კ II (კან. კრ. 1930 წ. N 10, მუხ. 122]) (სტილი დაცულია).

1939 წლამდე, 1928 წლის ს.ს. კოდექსით, მუხლი 58-19 ითვალისწინებდა რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას და ამ პირის ჩარიცხვას ომიანობის დროს ზურგის ლაშქარში, თუმცა 1939 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ აღნიშნული მუხლი გააუქმა და დატოვა მხოლოდ 58-18, სადაც რელიგიური რწმენის მომიზეზება სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებისთვის ითვალისწინებს 5 წლით ვადით თავისუფლების აღკვეთას (საქართველოს სსრ სსკ, 1928: 59-61). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, სისხლის სამართლის კოდექსის თავი IV (სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების წესების დარღვევა), სადაც თავმოყრილია რელიგიური ხასიათის სამართალდარღვევის მუხლები: 128, 129, 130, 131, 132, 133 (საქართველოს სსრ სსკ, 1928: 121-122).

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ღიად ჰქონდა გამოცხადებული რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიზნით ათეულობით სპეციალური დადგენილება მიიღო, დაპატიმრებული პირის მიმართ იშვიათად იყენებდა სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნულ IV თავის რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ მუხლებს, რომლებიც საკმაოდ მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებდა და შესაბამისად სრულმასშტაბიანი ტერორის გასატარებლად შეუსაბამო იყო. ამიტომაც, დაპატიმრებულ სასულიერო პირებს ასამართლებდნენ სამშობლოს ღალატის, საბოტაჟის, ჯაშუშობის, სპეკულანტობის, კორუფციის ან სხვა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო.

ხელისუფლება რელიგიური პირების წინააღმდეგ ძირითადად იყენებდა ს.ს. კოდექსის ზემოხსენებულ 58-10 და 58-11 მუხლებს, რომელიც ითვალისწინებდა გაცილებით მკაცრ სასჯელს - დახვრეტას, გადასახლებას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მომდევნო წლებში კოდექსმა რამდენჯერმე განიცადა რედაქტირება.

ამ გარემოების გამო, საარქივო მასალებზე მუშაობისას, ფაქტობრივად გვიხდება ყველა იმ პირის შესწავლა, რომლებიც შეს-

ამლებელია დაპატიმრებული ყოფილიყო რელიგიური საქმიანობის გამო. სამუშაო ჯგუფის მიერ უკვე დამუშავებულია ათასობით საქმე, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს რელიგიური ნიშნით რეპრესირებულ პირთა დადგენა და დაზუსტება.

წიგნში წარმოდგენილი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებებიც. მუშაობა სამი მიმართულებით მიმდინარეობს. პირველი, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივზე წვდომა, შესაბამისი მასალების მოძიებით. მეორე, ეს არის უშიშროების საარქივო მასალები და მესამე „ცეკას“ - საქართველოს კომპარტიის პარტიული არქივი.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა კომუნისტებმა გამოაცხადეს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, როდესაც მოახდინეს საკულტო ნაგებობების კონფისკაცია და მათი დიდი ნაწილი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად აქციეს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ამ პოლიტიკას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაინც ცდილობდნენ პარტიის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

ჩვენ მიერ მოპოვებულ და შესწავლილ მასალებში, გაბნეულია ბევრი საქმე, რომელიც ეხება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოჩენილი სასულიერო მოღვაწეების რეპრესიებს, კათოლიკოს-პატრიარქებს - ამბროსი ხელაიას, კალისტრატე ცინცაძეს, მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას და სხვებს. ასეთი საქმეები ინახება ე.წ. „ჩეკას<sup>27</sup> ფონდში“. მათ წაყენებული ჰქონდათ საერთო ბრალდება: „საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეულობათა გადამაღვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება“ (სტილი დაცულია). საქმე კი გადაეცემოდა

---

<sup>27</sup> ჩეკა (რუს.: Чрезвычайная комиссия (ЧК); საგანგებო კომისია) - პირველი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახური. დაარსდა 1917 წლის 20 დეკემბერს, ლენინის განკარგულებით. 1922 წელს განიცადა რეორგანიზაცია

უმალეს რევოლუციურ ტრიბუნალს (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი ჩეკა, 1923: 319).

გარდა ასეთი სახის ბრალდებებისა, მღვდლების დაპატიმრება და უმალესი სასჯელის შეფარდება ხდებოდა უბრალო დასმენითა და მოგონილი მიზეზებით. თუ 1920-იან წლებში დახვრეტას უცვლიდნენ მრავალწლიანი გადასახლებით, 1937 წლის რეპრესიების დროს არც ეს „შემსუბუქება“ ხდებოდა.

საინტერესო აღმოჩნდა მღვდლის - კახაბერი დავით გრიგოლის ძის საქმე, სადაც ჩანს, რომ მრავალშვილიან სასულიერო პირს მხოლოდ იმის გამო მიუსაჯეს სასჯელის უმალესი ზომა - დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით, რომ დასწამეს ანტი-საბჭოთა აგიტაცია, რადგან პარტიის წევრი მას სდებდა ბრალს, მისადმი მიმართული გამოთქმის გამო „როდის გადაშენდებითო“ (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 6, 1924: 27-29).

ბევრი სასულიერო პირი შეეწირა 1924 წლის აჯანყებას, მათი დიდი ნაწილი საქმის გარეშეა და მათ შესახებ უბრალოდ სია გვაქვს, რომ დახვრიტეს აჯანყების ჩახშობის პერიოდში. ასეთი სიების თანახმად, საქართველოს მაშინდელი დაყოფის მიხედვით, მაზრებში დახვრეტილებს შორის გვხვდებიან მღვდლები, დიაკვნები, ბერები.

ასევე, შსს-ს არქივის ფონდ N12-1-ის მიხედვით, მხოლოდ გორის მაზრაში 23 სასულიერო პირი დახვრიტეს. თუმცა, შემოგვრჩა რამდენიმე დახვრეტილი პირის საქმეც, სადაც პირდაპირ იკითხება 1924 წლის აჯანყების მხარდაჭერის ბრალდება. ასეთია მაგალითად დახვრეტილი თუმშალიშვილი ივანე მიხეილის ძის საქმეც, რომელსაც ბრალი დაედო რადგან „ეწეოდა ა/ს<sup>28</sup> აგიტაციას, რაც განსაკუთრებით გაამძაფრა აგვისტოს აჯანყების წინ ... თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა აჯანყების ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს ...“ (სტილი დაცულია).

1924 წელსვე მსგავსი ბრალდებით დახვრიტეს მღვდელი - ინაშვილი გიორგი იოსების ძე. ამავე საქმეში ინახება საკმაოდ საინტერესო დოკუმენტები, კერძოდ მისი ქალიშვილის წერილი,

---

<sup>28</sup> ა/ს - ანტისაბჭოთა



სადაც აღწერს მამის გამო მათი შევიწროვების შესახებ 1956 წელს (რუსულ ენაზე). ამ წერილში მისი ქალიშვილი წერს, რომ „ეს არის დაუსაბუთებელი დევნა, მამაჩემი მღვდელი იყო, რომელიც ყოვლად დაუსაბუთებლად დახვრიტეს 1924 წელს“. ამავე საქმეში საპასუხო ოფიციალურ წერილში გვხვდება აღიარება, რომ „ზედმეტად მკაცრი იყო განაჩენი“, მაგრამ „ახლა შემსუბუქებას აზრი არ აქვსო“ (სტილი დაცულია) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 6, 1924: 80-84).

1937 წლის რეპრესიები გაცილებით მძიმე და სასტიკი იყო. სიონის ტაძრის დიაკონს ახოზაძე ამბროსი ივანეს ძეს 10 წელი მიუსაჯეს იმის გამო, რომ ის ახალგაზრდებში ქადაგებდა. ბრალდება ასე ჟღერდა: „მასზედ, რომ იგი მსახურობდა სიონის ეკლესიის დიაკვნად, ეწეოდა ახალგაზრდებს შორის რელიგიურ საქმიანობას, ... ეწეოდა კ/რ<sup>29</sup> აგიტაციას ეკლესიაში, მტრულად განწყობილი იყო საბჭოთა ხელისუფლების მიმართ“ (სტილი დაცულია) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 8, 1937: 23).

მანგლისში, მღვდელი გოგოლიშვილი ერმილე ხოსროს ძე, დახვრიტეს იმ ბრალდებით, რომ კოლმეურნეობის კრება ჩაშალა და უქადაგებდა ახალგაზრდებს ეკლესიაში ევლოთ. ბრალდება ასე ჟღერდა: „მასზედ, რომ აგბულახ-მანგლისის რაიონის, სოფელ ივანოვკაში და მიმდებარე სოფლებში ეწეოდა ა/ს და ა/კ<sup>30</sup> აგიტაციას. გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდა ახალგაზრდებში, მოუწოდებდა მათ ევლოთ ეკლესიაში. განზრახ ჩაშალა კოლმეურნეობის კრება. კოლმეურნეებს მოუწოდებდა საეკლესიო დღესასწაულებზე არ გასულიყვნენ სამუშაოდ და წასულიყვნენ ეკლესიაში“ (სტილი დაცულია) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 8, 1937: 29).

დახვრეტის მიზეზთა შორის, შეიძლება დასახელებულიყო რელიგიური რიტუალების ჩატარებაც, მაგალითად ზავშვთა ნათლობა. სასულიერო პირი, დაშინიანი პავლე სამუელის ძე (იგივე არქიმანდრიტი პიმენი) დახვრიტეს იმის გამო, რომ „ის აქტიუ-

---

<sup>29</sup> კ/რ - კონტრევოლუციური

<sup>30</sup> ა/კ - ანტიკომუნისტური

რად ეწეოდა ა/ს აგიტაციას მოსახლეობაში, მოუწოდებდა ყველას, რომ მოენათლათ ბავშვები. 1936 წ. დადიოდა სოფლებში და მასიურად ნათლავდა ხალხს“ (სტილი დაცულია) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 8, 1937: 6).

აღსანიშნავია, რომ შსს-ს არქივში დაცულ, ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში გამოვლინდა ბევრი ძალზედ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის საინტერესო აღმოჩნდა, ერთ-ერთი რეპრესირებული მონაზვნის საქმეში წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის ხატი, რომელიც ტოპოგრაფიული წესით, 1896 წელს არის დაბეჭდილი. როგორც მინაწერიდან ირკვევა, აღნიშნული ხატი ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვარმა 1924 წელს თავის სულიერ შვილს, მონაზონს უსახსოვრა. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი, ბერიცა და მონაზონიც, სხვებთან ერთად, 1929 წელს, გახდნენ რეპრესიების მსხვერპლნი (რელიგიის სააგენტო, 2022).

რელიგიური რეპრესიები არ განხორციელებულა მხოლოდ 1920-30-იან წლებში. ის ნაკლები ინტენსივობით და შესაძლოა ნაკლები სიმკაცრითაც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე, რომლის მაგალითად გამოდგება 1950 წელს დაპატიმრებული ზედაზნის ტაძრის ბერი - მოსემვილი გიორგი პავლეს ძე, რომელსაც ბრალად ედებოდა ქადაგება, ახალგაზრდების მონათვლა, ა/ს აგიტაცია და სხვა. ბერის საქმეში დევს მის მიერ შენახული, საქართველოს თავისუფლებისადმი მიძღვნილი ქაიხოსრო ავალიშვილის პატრიოტული ლექსი, რომელიც ასე მთავრდება: „თამარ მეფისგან სულ-დგმული, დიდებული და ძლიერი, რუსთაგან დამონებული, მოტყუებული, მშიერი“ (სტილი დაცულია) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 6, 1950: 19, 67, 159).

„უყურადღებოდ“ არ დარჩენილან სხვადასხვა ეროვნების კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურნიც. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს ხშირად ასამართლებდნენ ჯაშუშობის ბრალდებით (საქართველოს სსკ-ის მუხ. 58-6), ვინაიდან მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ვატიკანთან და ევროპული

ქვეყნების საელჩოებთან. საბჭოთა კავშირის სომეხი კათოლიკეების აპოსტოლის ადმინისტრატორი აკოპი დანილის ძე ბაგრატიანს ბრალად წაუყენეს ჯაშუშობა. ბრალდებაში აღნიშნულია, რომ აკოპ ბაგრატიანი 1927 წლიდან ეწეოდა კ/რ საქმიანობას იტალიის საკონსულოს მეშვეობით. დიპლომატიურ ფოსტას გადასცემდა ვატიკანს. ცილისმწამებლურ ინფორმაციას აერცვლებდა სსრკ-ში კათოლიკური ეკლესიის დევნის შესახებ. მუშაობდა კოლექტივიზაციისა და საბჭოთა ხელისუფლების სხვა საპასუხისმგებლო ღონისძიებების ჩაშლაზე. არალეგალურად აგზავნიდა იტალიაში სასულიერო აკადემიაში ახალგაზრდებს და იყო შეკავშირებული ვატიკანთან, რომლისგანაც ღებულობდა დიდი ოდენობის თანხებს. ბაგრატიანს მისეაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

რეპრესიები შეეხო სომხური მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებსაც. აღსანიშნავია, რომ შსს-ს არქივში მოიძებნა მღვდელი დურსუნი (გრიგოლი) გრიგოლის ძე ტერ-პოდოსოვის საქმე, დაბა შაუმიანიდან, რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, „რომ სოფლებში ჩასვლისას, ატარებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, გლეხებს შორის ეწეოდა აგიტაციას მიმართული კოლმეურნეობის წინააღმდეგ, აგრეთვე ანტისაბჭოთა აგიტაციას. თავი დამნაშავედ აღიარა ნაწილობრივ“ (სტილი დაცულია). მისეაჯა 10 წელი შრომა-გასწორების ბანაკში (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 8, 1937: 102).

შსს-ს არქივის ფონდ 8-ში, ასევე წარმოდგენილია ჩეკას, გპუ-ს<sup>31</sup> და შინსახკომ-ის<sup>32</sup> სხდომის ოქმები 35 სომეხი სასულიერო პირის შესახებ.

---

<sup>31</sup> გპუ (რუს.: Государственное политическое управление (ГПУ); სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, სპს) – ჯერ რსფსრ-ის და შემდეგ სსრკ-ს სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანო. დაარსდა 1922 წლის 6 თებერვალს.

<sup>32</sup> შინსახკომი (რუს.: Народный комиссариат внутренних дел (НКВД); შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, შსსკ) - სსრკ-ს სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო კრიმინალთან ბრძოლაში და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში 1917-1946 წლებში. შემდგომში დაერქვა შსს.

ებრაელ ღვთისმსახურებთან დაკავშირებით, საინტერესო აღმოჩნდა იოსებ მირილაშვილი ფილხაზის ძეს საქმე, სოფელი კულაშიდან (ფონდი N6, საარქივო N 372695), რომელიც 1937 წელს დააპატიმრეს ებრაელებში ებრაული რელიგიის გავრცელების და აგიტაციის ბრალდებით (მუხ. 58-10) და მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასულიერო პირებთან ერთად და ცალკეც, რელიგიური ნიშნით რეპრესიების ქვეშ ხვდებოდნენ საერო პირებიც. მაგალითად, 1953 წელს, საქმე აღიძრა ებრაელთა ჯგუფის მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებოდათ 1948 წლიდან ა/ს შეკრებები ბათუმის სხვადასხვა ადგილებში და ქალაქის მცხოვრებ ებრაელებს შორის აგიტაციის წარმოება, პალესტინაში ემიგრაციის მიზნით: „მტრული მიზნებით იყენებდნენ სინაგოგებს, სადაც ლოცვის საფარით მღეროდნენ ისეთ სიმღერებს, რომლებითაც ებრაელებში აღვიძებდნენ ნაციონალურ სულს“ (სტილი დაცულია) (ფონდი N 6; საარქივო N 5559).

რაც შეეხება მცირე რელიგიურ დენომინაციებს, საბჭოთა პერიოდის პირველივე წლებიდან საქართველოში მრავალი მიმდინარეობა არსებობდა. უკვე 1920-იანი წლებიდან გამოჩნდნენ ბაპტისტები, ევანგელისტები, ორმოცდაათიანელები, ადვენტიტები (მეშაბათეები) და სხვა. გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ მოლოკანები, დუხობორები.

ამ ყველა მიმდინარეობის წევრები, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, იყვნენ საქართველოში შემოსული სხვადასხვა ეროვნული ჯგუფის წარმომადგენლები - ძირითადად რუსები და უკრაინელები. მხოლოდ ბაპტისტებთან შეგვხვდა სამი ქართველი კახეთში და შედარებით დიდი ჯგუფი საგურამოში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმდინარეობებში სასულიერო პირის გამოყოფა საკმაოდ რთულია სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით, ვინაიდან თავის თავს არ ასახელებენ როგორც წინამძღვარს ან პასტორს, თუმცა საქმეების კარგად გაცნობით, მაინც ირკვევა თუ ვინ იყო ამა თუ იმ მიმდინარეობის წინამძღვარი. ზოგ საქმეში საერთოდ დაუდგენელია მიმდინარ-

ეობაც, რადგან გამომძიებლები მათ მოიხსენიებენ „რელიგიურ სექტად“ ხოლო დაკითხვის ოქმებში ბრალდებულებიც იმეორებენ ამ სიტყვას და არ აზუსტებენ მიმდინარეობას.

როგორც სისხლის სამართლის საქმეების გაცნობამ აჩვენა, პირველ ხანებში ეს მცირე რელიგიური მიმდინარეობები შედარებით კომპაქტურად ცხოვრობდნენ - მაგალითად ორმოცდაათიანელების დიდი დაჯგუფება არსებობდა თბილისში (სხვადასხვა ქარხნის საერთო საცხოვრებლებში) და ჩაქვში, ასევე რამდენიმე ჯგუფი იყო რუსთავში ოზურგეთსა და სოხუმში.

ამდენად, მათ წინააღმდეგ „ბრძოლა“ სხვადასხვა ხერხით მიმდინარეობდა - ან ამ ჯგუფში შეუშვებდნენ აგენტს, ან იმათგან გადმოიბირებდნენ ვინმეს. განსაკუთრებით ავიწროებდნენ ისეთ მიმდინარეობებს, რომლებსაც თავისი რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე არ შეეძლოთ შაბათ დღეს მუშაობა, ანდა წითელ არმიასი მსახურება.

მუსლიმი სასულიერო პირების წინააღმდეგ რეპრესიები დიდი მასშტაბით გამოირჩეოდა. საინტერესო აღმოჩნდა აჭარაში 1928 წლის გამოსვლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, რომელიც გამოწვეული იყო ხელისუფლების მხრიდან ქალი მუსლიმებისთვის თავსაბურავის (ჩადრის, ჰიჯაბის) მოხსნისა და მედრესეების დახურვის პოლიტიკით.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობაზე ახდენდნენ ზეწოლას ყველანაირი ხერხით - დაშინებით, დაპატიმრებით, გადასახლებით. ერთპიროვნულად აპატიმრებდნენ გლეხებსა და სასულიერო პირებს, ოღონდ ზოლომდე გაეტარებინათ რეპრესიული პოლიტიკა და ზემდგომი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მოეწონებინათ თავი. ყოველივე ამან გამოიწვია მოსახლეობის აღშფოთება და გამოსვლები, ძირითადად ხულოსა და ქედას მაზრებში. აჯანყების მიზეზთა შემსწავლელი კომისია ასკვნის, რომ ეს გამოსვლები იყო რელიგიურ-ყოფითი და არა ეკონომიკური, გამოწვეული ძირითადად ხულოსა და აჭარის

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გადაცდომებით.

ირკვევა, რომ აჭარაში სასულიერო პირების მიმართ რეპრესიები დაიწყო 1928-1929 წლებში, რადგანაც ხელისუფლება ცდილობდა თავისი პოლიტიკის გატარებას ადგილობრივი სასულიერო პირების მეშვეობით, ხოლო იმ სასულიერო პირებზე, რომლებიც ხელისუფლების ღია მხარდაჭერით არ გამოირჩეოდნენ, იქმნებოდა საიდუმლო საქმეები, ხორციელდებოდა დასმენები, დაპატიმრებები. უკვე მოგვიანებით, როდესაც იწყება მასობრივი რეპრესიები, არაერთი სასულიერო პირის საქმეში ჩანს, რომ ის მონაწილეობდა 1928-1929 წლების გამოსვლებში, რაც, რა თქმა უნდა, ეთვლებოდათ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად ... (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 14, 1928-29).

ერთ-ერთ საქმეში კი, სრულიად უსაფუძვლოდ, მოქალაქეები: ჰუსეინ ბერიძე, შაი ირემაძე, ოსმან ირემაძე, სეფერ ირემაძე, ტაშატეგ ირემაძე, ართმელაძე და ვანაძე, ბრალდების თანახმად ირიცხებოდნენ „აჭარის ისლამისტურ ორგანიზაციამ“ და „ეწეოდნენ აგიტაციას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული, გამოდიოდნენ შეიარაღებული აჯანყების მოწოდებით“ (სტილი დაცულია) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 6, 1930: 2-6).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჭარაში რეპრესიების დროს სასულიერო პირების მიმართ ძირითადად გამოყენებული იყო სსკ-ის მუხლი კონტრაბანდის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ამ პერიოდში სახელმწიფო საზღვარი თურქეთის რესპუბლიკასთან ჯერ ჩაკეტილი არ იყო და აჭარის საზღვრისპირა მოსახლეობა აუცილებელი პროდუქტების შესაძენად თურქეთში გადადიოდა. იმ დროინდელი უგზოობის პირობებში მათთვის ეს უფრო მოსახერხებელი იყო, ამიტომაც ყველაზე იოლი იყო და „დამაჯერებელიც“, სასულიერო პირები გაესამართლებინათ კონტრაბანდის მუხლით.

რეპრესიები ასევე მიმდინარეობდა მთელი საქართველოს მასშტაბით არაქართველი, სხვა ეროვნების მუსლიმთა მიმართაც.

ბაშკირეთის (ამჟამად დმანისი) რაიონის სოფელ მამიშლოს მკვ-იდრს კი, აზერბაიჯანელ მოლა ალი ისმაილ ოღლის ბრალად ე-დებოდა, რომ როგორც მოლა/მულა<sup>33</sup> რელიგიური წეს-ჩვეულ-ებების სახით ატარებდა გამლიერებულ კ/რ ა/საკოლმეურნეო საქმიანობას. დაკითხვის ოქმიდან ვკითხულობთ, რომ „... იგი ჩავიდა სოფელ ამამლოში, რათა გაეცილებინა აწ. გარდაცვლილი იბრაგიმ ხალილ-ოღლი სოიუნი და ლოცვის დროს მოლა ალი ამბობდა, რომ ყურანის ცნობით, უახლოეს მომავალში საბჭოთა ხელისუფლება დაემხოება და მას შეცვლის სხვა ხელისუფლება, კაპიტალისტების ხელისუფლება, და მაშინ გლეხების მდგო-მარეობა გაუმჯობესდება, კოლმეურნეობები დაიშლება და ამი-ტომ ჩვენ მუსლიმებს არ გვჭირდება კოლმეურნეობაში შესვლა, ვინც არის კოლმეურნეობის წევრი ის ითვლება მაგომედის<sup>34</sup> ხალხის მტრად“. მიუსაჯეს დახვრეტა, პირადი ქონების კონფი-სკაცია (მუხ. 58-10; მუხ. 58-12) (სტილი დაცულია) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 3, 1938: 5, 23).

მოქალაქე მაშად მამედ ალა კიში-ოღლის საქმიდან, რომე-ლსაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით (მუხ. 58-10), ლუქსემბურგის (ამჟამად ბოლნისი) რაიონის სოფელ ფახრალ-ოდან, ვკითხულობთ, რომ იგი იყო კოლმეურნე, „ა/ს ელემენტი“ მჭიდროდ დაკავშირებული მუსლიმ სასულიერო პირებთან.

მისი საქმიდან ერთ-ერთი მოწმის, 23 წლის ალი აშრაფ რასულ ზადეს 1931 წლის 6 თებერვლის ჩვენებიდან ჩანს, რომ სასულიერო პირი მოლა ყურბან ჰაჯი ჰასან-ოღლი ა/ს საქმიანობას ეწეოდა. მოწმე აღნიშნავს, რომ სოფელ ფარხალოში, მოლამ ორჯერ მოაწყო კრება, სადაც ესწრებოდნენ მაშად ალი კიში-ო-ღლი და სხვა პირები. დოკუმენტში მოყვანილია რომ:

„აღნიშნულ კრებაზე მოლა ყურბან ჰაჯი ჰასან ოღლი ამბ-ობდა, რომ უნდა გამოუცხადდეს საბჭოთა ხელისუფლებას ჯვა-

---

<sup>33</sup> მოლა, სწორი ფორმა „მულა“ (არაბ.: مُلّا, არაბულიდან ბატონი, მბრძანებელი, მეუფე) - ისლამის ღვთისმსახური, მუსლიმებში ყურანისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების მცოდნე

<sup>34</sup> არაბი რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწე, ისლამის დამარსებელი, წინასწარმ-ეტყველი მუჰამადი (570-632 წწ.)

როსნული ომი, ვინაიდან იგი ავიწროებს ჩვენ რელიგიას, რომ ასწავლიან ახალი ანბანით, ყურანი დაწერილია ძველ არაბულ ენაზე, რომ ახალგაზრდა თაობას არ ექნება უნარი შეიცნოს სარწმუნოება და აღქმა ყურანის, რომ რელიგია მოკვდება და საჭიროა ამ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ანადგურებს რელიგიას - ბრძოლა, რომ ეს ხელისუფლება ართმევს ყველაფერს ხალხს, მოახდინა ლიკვიდაცია კერძო ვაჭრობის და საკუთრების, რომ კოოპერატივებში თავისი ხალხი ჩასვეს, პარტიის წევრები და კომკავშირლები, რომ ჩვენ არაფერს გვაძლევენ, და ამარაგებენ თავის ხალხს ... რომ კოლმეურნეობებს ისე მოაწყობენ, რომ ვაჟი დედას და ძმა დას ვერ იცნობს ...

ამ შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა შეიხი ყურბან ხალილ ოლივი, რომელმაც გაიმეორა ზემოხსენებული სიტყვები და დაამატა, რომ ის ჩაიცვამს ქალამნებს და მუსლიმ ხალხთან ერთად ჯვაროსნულ სვლას მოაწყობს, რათა დაიცვას ისლამი ურწმუნო ბოლშევიკებისგან ...“ (სტილი დაცულია) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფონდი N 6, 1931: 15-16).

გასული საუკუნის ისტორიაში განსაკუთრებული კვალი დატოვეს საქართველოში მოღვაწე ეთნიკურმა უმცირესობებმა. შსს-ს არქივში დაცული მასალებიდან დიდი ინტერესი იქონია საქართველოში მოღვაწე გერმანელი პასტორის ისტორიამ. 1924 წლის 5 ივლისს, საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილების რწმუნებულმა, ივანე ჟუკოვმა განიხილა ტფილისის გუბერნიის კოლონია მარიენფელდში დაბადებული, ასურეთის ევანგელისტური ეკლესიის პასტორის, წარმოშობით გერმანელის, 36 წლის ვოლდემარ კარლოს ძე ბაუერის საქმე. მას ბრალად ედებოდა საკუთარ სახლში სკოლის გახსნა და იქ სამასამდე მოსწავლისთვის საღვთო სჯულის არაკანონიერი სწავლება, რეგისტრაციის გარეშე ბავშვების მონათვლა, ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებლობა და ანტისაბჭოთა აგიტაცია, რის შედეგადაც „თავისი ხანგრძლივი არალეგალური მუშაობით ისე ყავს მომწყვდეული ხელში მთელი სოფლის მცხოვრებნი, რომ როგორც ერთს ისე ამომრავებს მათ, იმდენად სცემს ხელის-



უფლების პრესტიჟს და განსაკუთრებით „სახელს“ კომუნისტებისას, რომ თითოეულ კომუნისტს ისე უყურებენ ნემცები, როგორც მათ მოსისხლე მტერს“ (სტილი დაცულია).

მისი დაპატიმრების მიზეზი გახდა 1924 წლის 27 თებერვალს ასურეთში ლენინის გარდაცვალების გამო გამართული სამგლოვიარო მიტინგის ჩაშლა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ პასტორს ღვთისმსახურების მეორე დღეს გადატანა სთხოვა, მაგრამ ბაუერი ამაზე არ დათანხმდა, თუმცა წირვის ადრე დაშთავრებას დაჰპირდა. მან დაპირება არ შეასრულა და დანიშნულ დროს ეკლესიის ზარების დარეკვა ბრძანა. გარდა ამისა, საქმეში სოფლის ორკესტრიც ჩართო. მილიციონერმა ჩაჩხიანმა შეაჩერებინა ზარების რეკვა, მაგრამ პასტორმა კვლავ გააგრძელებინა. საქმეში თავად მილიციის უფროსი ჩაერთო.

საბოლოოდ, სამგლოვიარო მიტინგი კი ჩატარდა, მაგრამ გერმანელი კოლონისტების გარეშე. ისინი ეკლესიაში დარჩნენ და უსმენდნენ პასტორის ქადაგებას ლენინზე. მეორე დღეს, დილის რვა საათზე ბაუერი ახსნა-განმარტებისთვის დაიბარეს მილიციაში, თუმცა არ გამოცხადდა იმ მიზეზით, რომ 8 საათი არ იყო სამუშაო დრო. ამის შემდეგ ბაუერი დააპატიმრეს. საგანგებო კომისიის პრეზიდიუმის 1924 წლის 19 ივლისის ამონაწერის მიხედვით ვოლდემარ ბაუერს სსრკ-დან გაძევება მიესაჯა. პასტორი ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ასურეთის ევანგელისტურ-ლუთერანულმა საზოგადოებამ თხოვნით მიმართა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას, შეეცვალა გადაწყვეტილება და ბაუერისთვის საქართველოში დარჩენის ნება დაერთო, რაზედაც 1925 წლის 15 ოქტომბერს კატეგორიული უარი მიიღო (საქართველოს შსს-ს არქივი, 2022).

გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკების უმთავრეს ამოცანად მორწმუნე მრევლის ეკლესიიდან ჩამოცილება გახდა. შემუშავდა ანტირელიგიური პროპაგანდა-აგიტაციის მთელი სისტემა. რელიგიასთან ბრძოლისა და ათეისტური საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით 1922 წელს დაიწყო გაზეთ „უღმერთოს“ გამოცემა.

1924 წლის 27 აგვისტოს მის რედაქციაში შემდგარ კრებაზე გადაწყდა ანტირელიგიური ორგანიზაციის შექმნაც. მიიღეს წესდება და აირჩიეს ცენტრალური საბჭო. ასე ჩაეყარა საფუძველი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს“ (მუკ).

მუკ-ის დაარსების აუცილებლობა უძველესი მართლმადიდებლური ტრადიციების მქონე საქართველოშიც გამოიკვეთა. „საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ წარმატებულად ჩაერთო ანტირელიგიურ კამპანიაში. 1930 წელს, თბილისში გაიხსნა ანტირელიგიურ მუშათა უნივერსიტეტი, შეიქმნა ჟურნალი „საქართველოს უღმერთო“, რომლის პირველი ნომრის ყდა შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულში (საქართველოს შსს-ს არქივი, 2016).

1928 წლის 5 დეკემბერს, მიიღეს სპეციალური დადგენილება სოციალურად მავნე ელემენტების შესახებ ხოლო, 1937 წლის 15 აგვისტოს, სპეციალური დადგენილება - „სამშობლოს მოღალატეთა ოჯახის წევრების“ დაპატიმრება. ასეთ გაუაზრებელ და ხისტ პოლიტიკას მასობრივი გამოსვლებიც ახლდა თან, რაც ხელისუფლების მხრიდან ხელაღებით რელიგიისა და მასთან დაკავშირებული ადათ-წესების აკრძალვას მოყვა.

### **დასკვნა**

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მთლიანობაში უნიკალური პუბლიკაცია გამოქვეყნდება, რაც ემოციურად ძალიან მძიმე აღსაქმელი იქნება, ვინაიდან მასში თავმოყრილი მასალები ეხება იმას, თუ როგორ აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და ხვრეტდნენ ადამიანებს თავიანთი რწმენის გამო.

აღსანიშნავია, რომ პროექტის იდეას მხარი დაუჭირა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებულმა ინტერრელიგიურმა სათათბირომ, რომელშიც წარმოდგენილია თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი რელიგიების ჩათვლით. გამომდინარე აქედან, პროექტის ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოში რელიგიებს შორის, რელიგიებსა და საზოგადოებას შორის ჯანსაღ დიალოგსა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- „საბჭოთა რეპრესიებს შეწირული სასულიერო პირის საქმეში ხატი აღმოჩნდა“ (2022 წლის 16 სექტემბერი), *სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო*. წვდომა [17.06.2024]: <https://religion.gov.ge/siaxleebi/sabwota-represiebs-sewiruli-sasuliero-piris-saqmesi-xati-armocnda>.
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ) (1928). *მუხლები: 58-10, 58-11, 58-18, 58-19, 128, 129, 130, 131, 132, 133*. რედ. ვ. მამალაძე, გამომცემლობის რედ. ე. ვაშაკიძე.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1923). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი ჩეკა*. საარქივო N 2304; ტომი N 1.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1924). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 6*. საარქივო N 2425; ტომი N 1.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1924). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 6*. საარქივო N 2424; ტომი N 1.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1937). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 8*. საარქივო N 37432; ოქმი N 74; ტომი N 1.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1937). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 8*. საარქივო N 37373; ოქმი N 13; ტომი N 1.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1937). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 8*. საარქივო N 37414; ოქმი N 54; ტომი N 2.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1950). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 6*. საარქივო N 50131; ტომი N 2.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1937). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 8*. საარქივო N 37407; ტომი N 1; ოქმი N 47.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1928-29). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 14*. საქმე N 301; აღწერა N 4.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1930). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 6*. საარქივო N 3068; ტომი N 2.
- საქართველოს შსს-ს არქივი (1938). *სისხლის სამართლის საქმეების ფონდი N 3*. საარქივო N 38130; ტომი N 1.

- Telfer, John Buchan. (1876). *The Crimea and Transcaucasia; being the narrative of a journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric range*. I. London: H.S. King & Company.
- Thielmann, Max Franz Guido von. (1875). *Streifzüge im Kaukasus, in Persien und in der Asiatischen Türkei von Freiherr Max von Thielmann*. Leipzig: Verlag von Duncker & Humbolt.
- Trézel, Camille Alphonse. *Notice sur la Géorgie, Château de Vincennes, Service historique de l'Armée de Terre, 1M n°1486, Russie jusqu'en 1811, 31.05.1809, doc. 13.*
- Verne, Jules. (1892) *Claudius Bombarnac, carnet d'un reporter à l'inauguration du grand Transasiatique*. Paris: J. Hetze et Cie.

უცხოელ მოგზაურთა თვალით დანახული თბილისის  
მოსახლეობა XIX საუკუნეში

**ირინე ნაჭყებია**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის  
მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველო,  
ქ. თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქუჩა #3. 0162;  
+995599453034; irnat@hotmail.com  
<https://orcid.org/0009-0005-7022-5031>

**აბსტრაქტი**

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, ოდითგანვე იყო ევროპისა და აზიის კულტურული და პოლიტიკური გზაჯვარედინი. XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის საქართველოზე კონტროლის დამყარების შემდეგ თბილისის პოლიტიკური ფუნქცია პირველივე წლებიდან ძირეულად შეიცვალა. ამ კონტექსტში საინტერესოა საქართველოში სხვადასხვა მიზნით მოგზაურ ევროპელთა თხზულებებსა და ვენსენის არქივში (საფრანგეთი) დაცული ცნობები. ამ მოგზაურთ შორის იყვნენ სამხედრო პირები, გეოგრაფები, იურისტები, მწერლები, მხატვრები, ექიმები და სხვ. მათ ნაწერებში დაცული ინფორმაცია თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის, წეს-ჩვეულებებისა და საქმიანობის შესახებ თემატურად დავახარისხეთ და გავაანალიზეთ.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ თბილისის ძირითად მოსახლეობას სომხები და ქართველები, შედარებით მცირე ჯგუფებს კი მუსლიმები, თათრები და სპარსელები, შეადგენდნენ. XIX საუკუნის პირველ წლებში თბილისის მოსახლეობას შეემატნენ რუსი სამხედრო მოხელეები და ჯარისკაცები, ოციაწ წლებში კი აქტიურად დაიწყო სომხებისა და გერმანელების ემიგრაცია, რაც სამხედრო, პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. მოგზაურთა ცნობ-

ები დიდწილად ეყრდნობა მათ მიერ ქუჩებში, ბაზრებში, ქარვასლებსა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამართულ მიღებებზე მიღებულ ინფორმაციას. ამ მასალიდან ჩანს, რომ თბილისში სხვადასხვა მიზნით ჩამოსულთა (ოსები, ლეკები, სპარსელები, ჩერქეზები, დაღესტნელები, ფრანგები, გერმანელი კოლონისტები და სხვ.) იერსახე, აგრეთვე სალაპარაკო ენების სიმრავლე და კოსტიუმების მრავალფეროვნება და თბილისის განუმეორებელ კოლორიტს ანიჭებდა.

უცხოელი მოგზაურები ინფორმაციას თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის, მათი ადათ-წესებისა და ჩვეულებების შესახებ თავიანთი კულტურისა და ღირებულებების პრიზმაში ატარებდნენ. ამიტომ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა დრო დაყო ამა თუ იმ მოგზაურმა საქართველოში, მათი ცნობები გარკვეული სუბიექტურობისგან დაზღვეული არ არის. მიუხედავად ამისა, ეს ის ინფორმაციაა, რომელსაც განათლებული ევროპელი მკითხველი იღებდა საქართველოს შესახებ. ამ მოგზაურთა მიერ მოწოდებული მდიდარი მასალა საკვლევად მეტად საინტერესო წყაროა და სწორედ ამაში მდგომარეობს მოგზაურის ნაწერების მნიშვნელობა.

ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კი შეიძლება ითქვას, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თბილისი მნიშვნელოვან მულტიკულტურულ როლს ასრულებდა, რადგან იქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები თანაარსებობდნენ, რაც ამ ქალაქის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშნი იყო.

**საკვანძო სიტყვები:** თბილისი; ევროპელი მოგზაურები; ეთნორელიგიური შემადგენლობა; ქართველები; სომხები; მუსლიმები; გერმანელები.





### ჰაჯი მურატი- ჩრდილო კავკასიელი რინდი

მარიამ გურეშიძე

ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის  
ადმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის  
ასისტენტ მკვლევარი. საქართველო,  
0162. თბილისი, გიორგი წერეთელის ქ. 3.  
+995551 127 855. mariagureshidze@gmail.com  
ORCID iD :0000-0002-9825-0651

#### აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია XIX საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში არსებული სუფიზმი, მურიდიზმი და სუფიზმში არსებული რინდული ფენომენი. ამჯერად, რინდული ფენომენის არსებობა და მასთან ჰაჯი მურატისა და მთიელების მიკუთვნებულობა საარქივო დოკუმენტიდან მოყვანილი ერთი მაგალითით წარმოვადგინეთ.

ვფიქრობ, რომ არა ჰაჯი მურატისა და ჩრდილო კავკასიელი მთიელების რინდული სულისკვეთება, ვერ მოხდებოდა მეორე იმამის ჰამზათ-ბეგის დამარცხება, რომელმაც ძალაუფლება სისასტიკითა და მასზე დამყარებული უსამართლობით მოიპოვა.

**საკვანძო სიტყვები:** ჩრდილო კავკასია; სუფიზმი; რინდი; ჰაჯი მურატი.

## შესავალი

ჩრდილო კავკასიაში XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიას მოუწია მურიდიზმთან შეჯახება. იმამ შამილის ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მურიდიზმის სახელითაა ცნობილი, ვინაიდან მისი მებრძოლები ამავე დროს მისი სუფი მორჩილები- „მურიდები“ არაბ., دمر იყვნენ (Кныш, 2003:332-333). საქართველოს ეროვნულ არქივში დამუშავებული მასალების, ასევე მეცნიერების ვ. გაბაშვილის, ე. ჯაველიძის, მ. ვაჩაგაევის, ჰ. დანოგოს, ფ. ტახნაევას და ა.შ. ნაშრომების შეჯერებით, გამოიკვეთა, რომ მთიელებში XIX საუკუნემდე იყო ფესვგადგმული მურიდიზმი და რინდული ფენომენი, რამაც ჩრდილო კავკასიელი მთიელები თავისუფლების მოყვარე, ღირსეულ მებრძოლებად განამტკიცა და სწორედ მათი გაერთიანებით შეძლო შემდგომში იმამ შამილმა ანგარიშგასაწევი ძალის ჩამოყალიბება (გურუმიძე, 2024:3).

## მეთოდი

საარქივო მასალების სამეცნიერო ლიტერატურასთან შეჯერებამ, დოკუმენტებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებამ და ობიექტურმა ანალიტიკამ, საშუალება მოგვცა, რომ ჰაჯი მურატი განსხვავებული კუთხით დაგვეჩინა.

## შედეგები

სუფიზმი მთიელებისთვის იყო ხასიათის დამახასიათებელი თვისება, ცხოვრების წესი და იდეოლოგია. „შამილი დაულალავად შრომობდა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებაზე. ეჭვგარეშეა, რომ ის მუდმივად ცდილობდა რათა მთიელებში რუსეთის წინააღმდეგ არსებული ღაზავათის ფანატიკური იდეა დაეცვა, შეენარჩუნებინა და მუდმივად ისწრაფვოდა თავისუფლებისაკენ. ყაზი-მოლა, ნამდვილად იყო დარწმუნებული მის მიერ ქადაგებული სწავლების ჭეშმარიტებაში და სურდა გადაერჩინა საკუთარი თავი და ხალხი. ჰამზათ-ბეგი კი, როგორც პატივმოყარე, იღწვოდა გამხდარიყო ავარიისა და მთელი დაღესტნის მფლობელი“ (ფ-1438, აღ-1, დოკ-127, გვ. 14-15). რაც შეეხება ჰაჯი მურატს, ვფიქრობ, რომ იგი რინდული სულისკვეთებით იყო

განმსჭვალული, ვინაიდან სწორედ რინდული ფენომენი მეტყველებს იმაზე, რომ რინდი არა თუ მარტო სამართლიანია, არამედ მისი აღდგენა-განმტკიცებისთვისაც იბრძვის და ჩაგრულის ქომაგია.

### **დისკუსია**

განვიხილოთ რას წარმოადგენს რინდი და რინდული ფენომენი. ე. ჯაველიძე აღნიშნავს, რომ დერვიშობა სხვადასხვა განშტოებად, ორდენებად იყოფოდა. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ არსებობდა დერვიშთა 60-მდე ორდენი, მირზა კაზიმბეი კი მიიჩნევს, რომ დერვიშთა ორდენები 35-ს არ აღემატებოდა. საერთოდ, ამ ორდენებს ყოფენ საწყის, მთავარ ორდენებად და მის განშტოებებად. მთავარ, საწყის ორდენად 12-ს მიიჩნევენ, ხოლო მეორად განშტოებად-36-ს (ჯაველიძე, 2010:8).

ერთი სიტყვით, ამ დერვიშებს უდიდესი გავლენა ჰქონდათ ხალხზე. „მუსლიმების თვალში დერვიში ისეთი სიწმინდე იყო, რომ ლამის მას ყურანზე მაღლა აყენებდნენ“. ამიტომაც ისინი ლაღად გრძნობდნენ თავს ყველა მუსლიმურ ქვეყანაში და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. დერვიშები წარმოადგენდნენ ყველაზე საშიშ და მოუხელთებელ პოლიტიკურ აგიტატორებს, არსებული სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ რომ იყვნენ შემართულნი (ჯაველიძე, 2010:9). ასე რომ, მოხეტიალე და თავისუფლი დერვიშები ლამის ყველა ამბოხის, იქნებოდა სოფლად თუ ქალაქში, წამომწყებნი იყვნენ. ყველა ამბოხი და აჯანყება, დერვიშული იდეოლოგიის საბურველში იყო გახვეული და ატარებდა, უპირველეს ყოვლისა, ანტისუნიტურ და ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს (ჯაველიძე, 2010:9). მაგრამ ბუნებრივია, რომ აჯანყებების წარმმართველ ძალას მაინც უბრალო ხალხი თუ ქალაქის დაბალი ფენა წარმოადგენდა. ოვბაშები, შუთარები ქალაქის ღარიბ ფენას და წვრილ ვაჭრებს წარმოადგენდნენ. ასევე ამ ფენას განეკუთვნებოდნენ „აირუნები“ (მოხეტიალენი, მაწანწალები), რომლებიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ირანის ქალაქებში. მოგვიანებით, თურქ-სელჩუკების ეპოქაში პირველად ჩნდება ტერმინი „რუნუდ“ (მხოლოდითი-რინდი),

რომლის სემანტიკაც დროთა განმავლობაში ერთგვარად იცვლება: ვიგინდარა, ლალი, თავისუფალი, თავზეხელაღებული, უშიშარი, მეჯანყე და ა.შ. (ჯაველიძე, 2010:9).

მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში XI საუკუნის დამლევსთვის ყველაზე აქტიურად მოქმედებდნენ აიარები, ოვბაშები, რინდები და ისმაილიტები, რომლებსაც, მართალია არ გააჩნდათ ჩამოყალიბებული პროგრამა, მაგრამ მათ ჰქონდათ საერთო იდეოლოგია და მიზნები, რაც, უპირველეს ყოვლისა, მდიდარი ვაჭრებისა და დიდებულების დარბევას, პირადი კეთილდღეობის და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეფუძნებოდა. აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტიც: აიარები და „მეამბოხე მაწანწალები“ არასოდეს ერჩოდნენ „სუსტებს და ღარიბებს“, მაგრამ ანგრევდნენ და ცეცხლით ბუგავდნენ მდიდრების ქარვასლებს, დუქნებს და საცხოვრებელ სახლებს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი დიდი პოპულრობით და სიყვარულით სარგებლობდნენ ხალხში და ასევე დიდ რისხვას და სიძულვილს იწვევდნენ მაღალ ფენებში (ჯაველიძე, 2010:13).

მოკლედ, აიარები, ოვბაში, შუთარი, რინდი, ფითიანი, ჯავანმარდი ეკუთვნის ერთ სოციალურ წრეს, რომელიც ქალაქის დაბალ ფენებთან მჭიდრო კავშირს ამყარებდა. მეტიც, უმეტესი მათგანი ამ ფენებიდან იყო გამოსული და აქტიურად მონაწილეობდა აჯანყებებში. ისინი მხარს უჭერდნენ უბრალო, უსამართლოდ ჩაგრულ ხალხს და დაუნდობლად უსწორდებოდნენ აღზევებულ ფეოდალებს, წვავენ და ანადგურებდნენ მათ სახლკარს და ქონებას (ჯაველიძე, 2010:164).

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „რინდნი ეკუთვნოდნენ ვაჭარ-ხელოსანთა ფენას და თავინთი სოცილური და უფლებრივი მდგომარეობით განსხვავდებოდნენ დიდვაჭრებისგან. ექსპლოატატორთაგან თავის დასაცავად და ურთიერთდამოკიდებულებაში სოლიდარობის უზრუნველსაყოფად ისინი ხელოსანთა კორპორაციებში ერთიანდებოდნენ, ხოლო იდეოლოგიის მხრივ სუფიური მოძღვრების მიმდევრები იყვნენ. მეტად თვალსაჩინო იყო მათ შორის აგრეთვე შიიტური განწყობანი, რაც საერთოდ

ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობათა მონაწილე წვრილ ვაჭარ-ხელოსანთათვის იყო დამახასიათებელი“ (ჯაველიძე, 2010:172).

ელიზბარ ჯაველიძე აღნიშნავს, რომ რინდის სოციალური სახე ვ. გაბაშვილთან სრულად არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს განმარტება ზოგიერთ კომენტარს და დაზუსტებას მოითხოვს. საქმე ის გახლავთ, რომ რინდნი შეიძლება მართლაც ტრიალებდნენ წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა წრეში, მაგრამ ისინი არც ვაჭრობას და არც ხელოსნობას არ მისდევდნენ. ამის დასტურია ის, რომ ისტორიულ წყაროებსა და ამ წრისადმი მიძღვნილ რისალებებში, ე.წ. ფუთუვეთ-ნამეებში რინდი ხელოსნად ან რაიმე ხელობის მიმდევრად არ არის მოხსენიებული. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ხელოსნებთან და წვრილ ვაჭრებთან მათი კავშირი დროებით ხასიათს ატარებდა და ის თავს იჩენდა არეულობის და ამბოხის ყამს. სწორედ ასეთ ვითარებაში რინდები აქტიურობდნენ, მეამბოხე დაბალ ფენას გვერდში უდგნენ და მათ ამბოხს წარმართავდნენ კიდევ. ოღონდაც აჯანყების ჩახშობის შემდეგ ისევე მალე უჩინარდებოდნენ, როგორც მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ ხოლმე. გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ცნობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რინდები ფუთუვეთის ძმობაში შემავალი, შეიარაღებულ ახალგაზრდათა ერთობა გახლდათ, რომელიც ფიზიკურ მონაცემებთან ერთად კარგად ფლობდა საბრძოლო ხელოვნებასაც (ჯაველიძე, 2010:172-173); 1) რინდები წარმოდგენდნენ შეიარაღებულ ახალგაზრდათა ერთობას ანუ სამხედრო ნაწილს; 2) ისინი მონაწილეობდნენ ამბოხებებსა და შფოთში; 3) როგორც წესი, უპირისპირდებოდნენ მჩაგვრელებს და იბრძოდნენ უსამართლობის წინააღმდეგ; 4) პრობლემის გადაჭრას იარაღის ძალით ცდილობდნენ; 5) მათ ჰქონდათ საკუთარი მსოფლმხედველობითი პოზიცია, საკუთარი შეხედულება რეალურ სამყაროსა და არსებულ სინამდვილეზე და თავის პრინციპებს არ ღალატობდნენ (ჯაველიძე, 2010:177).

ჯ. ტრიმინგემი აღნიშნავს მისტიკური სამმოების სოციალური შემადგენლობის შესახებ. როგორც ჩანს დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სუფიზმის ძირითადი სოციალური ბაზა (X საუკუნიდან მაინც) მოიცავდა ღარიბებს, მცირედ უზრუნველყოფილ და ქალაქის საშუალო ფენებს: მოვაჭრეები, სოფ-დაგრები, ხელოსნები, ჩინოვნიკები, რელიგიური სასწავლებლების სტუდენტები, დაბალი რანგის სასულიერო პირები და ა.შ (ТРИМИНГЪМ: 1989:7-8).

მ. ა. მამათოვი კი მიიჩნევს, რომ სუფიზმის გაჩენა პირდაპირ კავშირში იყო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებთან. წარმოშობილი იდეოლოგიური ბრძოლა IX-XI სს. იყო მკვეთრი და მოიცავდა მოსახლეობის ყველაზე მრავალფეროვანი ფენის ინტერესებს, დაწყებული ფეოდალური თავადაზნაურობის წარმომადგენლებით, ხელოსნებით და დერვიშებით დამთავრებული (МАМАТОВ: 2011:87).

რამდენიმე ბრიტანელმა აღმოსავლეთმცოდნემ აღმოაჩინა გასაოცარი რელიგიური მოვლენა, რომელმაც არსებითად შეცვალა მათი წარმოდგენა აღმოსავლეთზე. წარმატებული მეცნიერები საქმიანობით დაკავშირებული იყვნენ ბრიტანულ ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან, განსაკუთრებით სერ უილიამ ჯონსი (გარდ. 1794 წ.) და სერ ჯონ მალკომი (გარდ. 1833 წ.). აღმოსავლეთის შესახებ თავიანთ ისტორიულ და ლიტერატურულ მიგნებებში, რომელიც ევროპიდან თითქმის ერთნაირად აღიქმებოდა, შეუდგნენ რელიგიის გარკვეული მისტიური ფორმის ძიებას. ე.წ. სუფიები მათ ხვდებოდათ ყოველ მეჩეთთან, ისინი გაცილებით მიმზიდველად გამოიყურებოდნენ ვიდრე ოსმალეთის იმპერიის თურქები, რომლებიც თავის დროზე ქრისტიანულ ევროპას დაპყრობით ემუქრებოდნენ. აღნიშნული სუფიები იყვნენ პოეტები და ისინი სიხარულსა და ღვინის სმას სადიდებელ ჰიმნებს უძღვნიდნენ, აღმერთებდნენ მუსიკასა და ცეკვას, გაჯერებული იყვნენ სიყვარულით (Эрнст, 2002:29). რინდების მთელი ცხოვრებისეული ფილოსოფია დევს ჰაფიზის ლაკონურ ფრაზაში: „არც ერთი წამი უღვინოდ, არც ერთი საათი უსიყარულოდ“. ჰაფიზის

კომენტატორთა მტკიცებით, მის პოეზიაში სატრფო-ღმერთის სიმბოლოა, ღვინო-სულიერი ექსტაზისა (აბდალაძე, L:152).

საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებული მასალების, ასევე სიმონ ესაძის სტატიის დამუშავების შემდეგ, ისლამის ენციკლოპედიაზე და სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით (Энциклопедический словарь 1991:126; ХАДЗИЕВ 2018:22), სუფიზში ჩრდილო კავკასიაში მთიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყებამდე იყო გავრცელებული. სწორედ მთიელებისა და ნაიბი ჰაჯი-მურატის თავისუფლების მოყვარე ხასიათში, საბრძოლო უნარების ცოდნაში, თავდაუზოგავ ბრძოლაში უკვე ფესვგადგმული სუფიზი და სუფიზში არსებული რინდული ფენომენი გაცოცხლდა და გამოხატულება ჰპოვა იმამ შამილისა და მის მიერ წარმოებულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამიტომაც მოახერხა იმამ შამილმა ჩეჩნების კონსოლიდაცია და მათი მიმართვა საერთო მტრის წინააღმდეგ.

რინდულ ფენომენზე მიგვანიშნებს სიმონ ესაძის საარქივო სტატიაში მოყვანილი შემდეგი მაგალითი. ამონარიდი ერთ-ერთი თავიდან: **შეთქმულება ჰამზათის წინააღმდეგ**. იმ დროს, როდესაც ჰამზათ-ბეგი იმედოვნებდა რომ დაიპყრობდა მთელ დაღესტანს, ხუნძახში მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა<sup>62</sup>. ხუნძახის მაცხოვრებლები, ორი ძმა ოსმანი და ჰაჯი-

---

<sup>62</sup> მოშე გამერის წიგნი „Шамил Мусульманское Спротивление Царизму“ სადაც იგი ჰამზათ ბეგის მოღვაწეობაზე საუბრობს და აღნიშნავს : „ამის და მიუხედავად, რუსებმა იმამი აღიქვეს როგორც მზარდი საფრთხე, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც იგი აღიარა და მიემხრო ინდირის კუმუკი ჰაჯი-ტაშო, ჩეჩნეთის გამოჩენილი სამხედრო მეთაური. რუსებმა დაიწყეს ახალი იმამის საწინააღმდეგო სამხედრო კამპანიისთვის მზადება. რაც მალე აღარ გახდა საჭირო. 19 სექტემბერს ხუნძახში მეჩეთში შესვლისას მოკლეს პარასკევის შუადღის ლოცვის ჩასატარებლად მისული ჰამზათ-ბეგი. მკვლელობა გამოწვეული იყო უფრო პირადი, ვიდრე პოლიტიკური ინტერესებით: მკვლელობას ხელმძღვანელობდა ავარიის ხანის ძიმიშვილი, რომლის ჩადენილის მოტივს სისხლის აღების ტრადიცია განაპირობებდა“. არ ვიზიარებ მოშე გამერის მოსაზრებას, რომ რუსებმა დაიწყეს იმამის საწინააღმდეგო კამპანიისთვის მზადება და ასევე, აღნიშნული აქტი სისხლის აღების ტრადიციის შედეგი იყო. ვინაიდან მთიელებში უკვე დაგროვილი იყო უარყოფითი მუხტი ჰამზათ ბეგის მიმართ შემდეგი მიზეზების გამო: 1. იმამის მიერ ავარიის ხანების განადგურება. 2. ავარიის ხანის დედის მიმართ განხორციელებული სასტიკი და უსამართლო მოპყრობა, მთავი

მურატი ბევრ საქმიანობაში ცნობილები იყვნენ თავიანთი სიმამ-  
აცით/ვაჟკაცობით. ერთხელ, საკუთარი მიღწევების გახსენებისას,  
ორთავე ძმამ დაიწყო მამის წინაშე თავის ქება. აღსანიშნავია,  
რომ პ. ი. ტახნაევა (Тахнаева 2019:158) მ. ვ. ალიხანოვზე (Алиханов  
1895-1896:172) დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ჰამზათ ბეგის  
შეთქმულების მოთავე ვინ იყო უცნობია, თუმცა ნამდვილად არ  
იყო ჰაჯი მურატის მამა, ვინაიდან იგი 4 წლით ადრე იყო უკვე  
გარდაცვლილი<sup>63</sup>.

„ჩემო შვილებო,-უპასუხა მათ მამამ,-შეგრცხვით ჩემს წინ-  
აშე თქვენი მამაცობით ტრაბახი, რადგან მე თქვენ ყველაზე არა-  
ფრის მაქნისებად გთვლით, მეტიც არ მინდა საკუთარი შვილები  
ვადიარო; ვფიქრობ, რომ თქვენ უფრო მხდალები ხართ და გაქვთ  
მდაბიო სული“<sup>64</sup>.

შვილებმა ვერაფრით ახსნეს მამის მხრიდან ამგვარი შეუ-  
რაცხყოფის მიზეზი და სთხოვეს მას ეთქვა, რაში მიუძღვოდათ  
ბრალი.

„მომისმინეთ, შვილებო. სულთან აჰმადი უდიდესი ხანი  
იყო; მან ვაჟიშვილი აღსაზრდელად მოგვაბარა; მე გავხდი უმმა-  
ხანის მამა, თქვენ კი მისი ძმები. მან თავის საგვარეულოსთან  
გაგვათანაბრა. უმმა-ხანი ჰამზათმა მოკლა, რომელსაც თქვენ  
ემსახურებით, ამის შემდეგ რა თვალებით უყურებთ ჩვენს

---

არსებული ტრადიციების უგულვებელყოფა პ. და მთავარი, მთიელებში არსებული  
და კარგა ხნის ფესვგადგმული რინდული ფენომენი. კერძოდ, ე.წ. მამა შუარცხვენს  
შვილებს იმამის მიერ ავარიის ხანების სასტიკ მკვლელობის მიმართ გამოვლენილი  
უმოქმედობისათვის და იმამის მკვლელობა სამჭედლოში დაიკეგმება. **М.Гаммер.**  
Шамил Мусульманское Сопротивление Царизму. Завоевание Чечни и Дагестана — М.:  
«КРОН-ПРЕСС», 1998. (стр. 83-107).

<sup>63</sup> ჰაჯი მურატის ცხოვრებისა და ბრძოლის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ჰამზათ ბეგის  
მკვლელობა-შურისძიების აქტი ჩადენილია რინდული სულისკვეთებიდან და  
მსოფლმხედველობიდან გამომდინარე. ამიტომ არა არსებითია იმის განხილვა ამ  
შურისძიებას წინ უძღოდა თუ არა რომელიმე კონკრეტული პიროვნებისგან  
შეგულისხანება (შენიშვნა მ. გურეშიძე).

<sup>64</sup> ესაძესთან მოხსენიებული ეს ეპიზოდი დასტურდება ტახნაევასთან მოყვანილი  
შემდეგი ფაქტით, კერძოდ ავარიის ხანების სიკვდილის შემდეგ ჰაჯი მურატი ლორის  
მელიქოვთან აღნიშნავს, რომ მას შეეშინდა და გაიქცა, თუმცა ეს სირცხვილი მას  
მუდმივად თავს ახსნებდა და შემდგომი მამაცობებისთვის ბიძგის მიმცემი ხდებოდა.  
П.И Тахнаева. ХАДЖИ-МУРАТ ХАДЖИМУРАД ИЗ ХУНЗАХА. Москва 2019. (стр. 122)



მეგობრებს და უტიფრად ამაყობთ თქენი მიღწევებით საკუთარი მამის წინაშე. მე მოხუცი და სუსტი ვარ, მაგრამ ამის მიუხედავად, ხვალ მოვკლავ ჰამზათს; დაე მეც მომკლან; თქვენ კი, მამაცებო, რომლებიც ქალებს ჰგავხართ, იცხოვრეთ მშვიდად“.

მამის სიტყვებმა შვილებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს; იტირეს და შემდეგ თქვეს: „კარგი, ხვალ ჩვენ წავალთ და მოვკლავთ ჰამზათს და თუ კი ცოცხლები გადავრჩებით, შენს წინაშე ნათელი სახით წარვსდგებით“.

მამამ შეაქო მათი გადაწყვეტილება და თქვა: „დაგლოცავთ თქვენ, შვილებო, კეთილ საქმეზე; თავად ალაჰი იქნება თქვენი დამმხმარე“.

ორივე ძმა იმ წამსვე გაემართა დასახლებაში, რათა მოეწვიათ ყველა ახლობელი და „კუნაკი“ /მეგობარი/. ნახეს რა ისინი სამჭედლოში, შევიდნენ იქ. ამ დროს სამჭედლოში მათთან მივიდა ჰამზათის ხაზინადარი, მაკლაჩი, რომელმაც შეამჩნია თამბაქოს ბოლი და დაინტერესდა ვინ ეწეოდა. ვინაიდან იმამმა გამოსცა მკაცრი ბრძანება: ღვინოს მოხმარებისთვის და თამბაქოს მოწვევისთვის დაესაჯათ მაცხოვრებლები: ჩაესვათ „ორმოში“ და 40-ჯერ დაერთყათ; მურიდების მუნაფიკებისგან /ხელისუფლების ერთგული მუსლიმები/ განსასხვავებლად მურიდებს ზედა ტუჩის დონეზე უნდა გაეპარსათ უღვაში; მურიდებს, შარიათის შესაბამისად, უნდა ეტარებინათ ჩალმა, ხოლო ასაკოვნებს წვერი უნდა შეეღებათ. გამოქვეყნებულ წესებზე დაკვირებისთვის, სხვათაშორის, დაინიშნა მაკლაჩი. სამჭედლოში მაკლაჩმა თამბაქოს ბოლზე პასუხი რომ ვერ მიიღო ჩაატარა ჩხრეკა, ვერ ნახა თამბაქო, ამოიღო ჯიბიდან მაკრატელი და ყველას შეჭრა წვერი და შემდეგ ნელა გავიდა.

ამ ვითარებამ ხუნძახელებში მძლავრი პროტესტი გამოიწვია. „შემდეგ რა იქნება, თუ ახლა, პირველივე ჯერზე, მოსვენება არ გვაქვს მურიდებისგან“ - აღნიშნა ერთ-ერთმა დამსწრემ.

„დიახ, - უპასუხა მაგომა-ოსმანმა, მიმართა ძმებ ოსმანს და ჰაჯი-მურატს, - ჰამზათ ბეგმა უნამუსოდ მოკლა ნუცალ-ხანი და თქვენი ძუძუმტე უმმა-ხანი. სულთან აჰმად-ხანი, აწგანსვენე-

ბული ჩვენი მბრძანებელი, უდიდესი ადამიანი იყო და კარგი იყო მისი მმართველობის ქვეშ ჩვენთვის ცხოვრება, ახლა შეხედე შენ, რომ სახანოს დამტაცებელს სურს აჩვენოს საკუთარი ძალაუფლება, ან/და ჩვენს ცხოვრებაზე იზრუნოს. უმჯობესი არ არის, ძმებო, ჩვენ მოვკლათ ჰამზათ-ბეგი, ზუსტად ახლა, როდესაც მასთან ერთად სახეზე არ არიან მისი საზიზღარი მურიდეები“.

ამ სიტყვით გამოსვლამ სრული თანაგრძნობა გამოიწვია მსმენელებში; პირქუშად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და შეთანხმდნენ შეკრებილიყვნენ ჰაჯი-მურატის სახლში. ღრმა მწუხრისას, სათითაოდ, სიფრთხილის შენარჩუნებით, ჰაჯი-მურატთან 40 ადამიანი, შეთქმულების მონაწილე მივიდა. მკვლელობა მეორე დღეს მეჩეთში, პარასკევ დღეს 19 სექტემბერს დაიგეგმა.

შუადღეს მოლას მოწოდების შემდეგ, მაცხოვრებლებმა მეჩეთში შეკრება დაიწყეს; შეკრებილებში მოასწრეს შეთქმულების მონაწილეებმაც მისვლა, რომელთაც ნაზდის ქვეშ იარაღი ჰქონდათ დამალული. განლაგდნენ გვერდითა კარების ახლოს. სამი პისტოლეტითა და 12 ხმალამოდებული მურიდით წინგაძლოლილი შევიდა ჰამზათ-ბეგი მეჩეთში, მივიდა რა შუაგულში, შეამჩნია ადამიანები ნაზადში, შეჩერდა და მიმართა მათ; ამ დროს ლოცვისთვის გამზადებულები, ყველა მონაწილე მუხლებზე იდგა. ოსმან-მურატმა შეამჩნია რა ჰამზათის მძვინვარე მხერა, წამოდგა და ხმამალა დაიყვია: „ეი, ძმებო. რატომ ფეხზე არ წამოდგებით, როდესაც დიდი იმამი მოვიდა თქვენს მეჩეთში“. ეს მოწოდება იყო პირობითი სიგნალი. მიხვდა რა საქმის არსს, ჰამზათი, გაემართა გასასვლელისკენ, მაგრამ ამ დროს ოსმანმა და ჰაჯი-მურატმა გაისროლეს პისტოლეტიდან და დაჭრეს. ამის შემდეგ გაისმა ზალპი, რამაც მთელი მეჩეთი შეაზანზარა და ავარიელი ხანების მკვლეელი მკვდარი დაეცა (ფ-1438 ალ-1, დოკ-127).

### **დასკვნა**

მეამბოხე სული, არაჩვეულებრივი საბრძოლო უნარები, თავისუფლებისკენ სწრაფვა, ჩაგრულის დაცვა და სამართლიანობა ჰაჯი მურატის ხასიათის ნიშანია და ზოგადად მთიელების.

სამჭედლოში დაგეგმილი შურისძიების აქტიც რინდულ ფენომენზე მიგვანიშნებს. თუმცა ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონკრეტულად ჰაჯი მურატი წარმოგვიდგება როგორც ოდიოზური ფიგურა. მიმაჩნია, რომ ამის მიზეზი არის შემდეგი: მართალია მთელი რიგი კარგი თვისებები რის გამოც სახალხო გმირი გახდა გამომდინარეობდა სუფის/რინდის თვისებებიდან. რინდული ფენომენი აკეთებინებდა მას წარმოდგენელ მამაცურ საქციელებს და უნაგარო სიკეთეს რაშიც რა თქმა უნდა იგივე რინდი მთიელებიც ეხმარებოდნენ. სალაშქროდ გასვლის წინ იგი ჩვეულებისამებრ მოწყალებას გასცემდა ქვრივ-ობლებზე, ხოლო დაბრუნების შემდეგ სამხედრო ნადავლის მეხუთედს ღარიბებს ურიგებდა (Доного; Статья; Доного, 2021:220-227). თუმცა, თუ კი მის ცხოვრებას დეტალურად შევისწავლით, მან ვერ შეძლო ბოლომდე ყოფილიყო სრულყოფილი სუფი/რინდი. იგი არის პატივმოყვარე, ძალაუფლებისკენ სწრაფვის სურვილით გაჯერებული, ამბიციური ნაიბი (გურეშიძე, 2024:18).

### გამოყენებული ლიტერატურა:

- აბდალაძე, გ. (2018). *ქართველი მეფეები პატრონნი და მსახურნი ქვეყნისანი*. გამომცემლობა პალიტრა L.
- Алиханов, М. (1895-1896). *В горах Дагестана*. Путевые впечатления и рассказы горцев.
- Гаммер, М. (1998). *Шамил Мусульманское Сопротивление Царизму*. Завоевание Чечни и Дагестана — М.: «КРОН-ПРЕСС».
- გურეშიძე, მ. (2024). *ჰაჯი მურატი*. გამომცემლობა „საჩინო“. თბილისი.
- Доного, Х. М. *Статья-о Хаджи Мурате*.
- Доного, Х. М. (2021). *Дагестан триумф и трагедия*. Блистательные и трагические мгновения эпохи Имама Шамиля.
- Эрнст, К. (2002). *Суфизм*. Москва.

Тахнаева, П. (2019). *ХАДЖИ-МУРАТ ХАДЖИМУРАД ИЗ ХУН-ЗАХА*. Москва.

ТРИМИНГЭМ, ДЖ. (1989). *СУФИЙСКИЕ ОРДЕНЫ В ИСЛАМЕ*  
Перевод с английского под редакцией и с предисловием О.  
Ф. АКИМУШКИНА. МОСКВА НАУКА\* ГЛАВНАЯ  
РЕДАКЦИЯ ВОСТОЧНОЙ ЛИТЕРАТУРЫ.

*Ислам энциклопедический словарь*. (1991). Академия наук ссср  
ордена трудового красного знамени институт востоковедения.  
Москва „НАУКА“ Главная редакция восточной литературы.

Кныш, А. (2004). *Мусульманский мистицизм: краткая история* / А.  
Д. Кныш; пер. с англ. М. Г. Романов. - СПб.: «Издательство  
“ДИЛЯ”», 2004

МАМАТОВ, М. (2011). *СУЩНОСТЬ СУФИЗМА*. МИНИСТЕРСТВО  
ОБРАЗОВАНИЯ И НАУКИ РФ БАШКИРСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ  
ПЕДАГОГИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ  
им. М. АКМУЛЛЫ РОССИЙСКИЙ ИСЛАМСКИЙ УНИВЕРСИТЕТ  
ЦДУМ РОССИИ. Уфа.

ფონდი -1438, აღწერა-1, საქმე-127. (სტატია შედგენილია კავკასიის  
სამხედრო შტაბისა და სამხედრო-ისტორიული განყოფილების  
საარქივო მასალებით).

ХАДЗИЕВ, М. (2018). *СУФИЗМ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ*.

ჯაველიძე, ე. (2010). *ფუთუვეთი-სულიერ-რინდული მოძრაობა*.  
თბილისი.



## Hadji Murat - The North Caucasian "Rind"

**Mariam Gureshidze**

Ilia State University G. Tsereteli Institute  
of Oriental Study Assistant Researcher  
Georgia, 0162.Tbilisi, G. Tsereteli st.3  
+995 551 127 855. mariagureshidze@gmail.com  
ORCID iD :0000-0002-9825-0651

### **Abstract**

In the article, we discuss the Sufism, Mouridism and "Rind" phenomenon in the North Caucasus during the 19<sup>th</sup> century. This time, we demonstrate the existence of the "Rind" phenomenon and how mountaineers and Hadji Murat were related to it. We offer a sample taken from a processed Georgian National Archive document.

Without the "Rind" phenomenon, I think, Hadji Murat and the mountaineers of North Caucasus would never have overthrown the cruel and unjust imam Khamzat-bek.

**Keywords:** North Caucasus; Sufism; "Rind"; Hadji Murat.

### **Introduction**

In the 19<sup>th</sup> century in the North Caucasus the Russian Empire faced Mouridism. Imam Shamil's struggle against the Russian Empire is known as Muridism, because his fighters were also his Sufi followers - "murids" in Arabic, مرید (Кныш.2004:332-333). Comparing processed

documents of the Georgian National Archive with the scientific works of V. Gabashvili, E. Javelidze, M. Vachagaev, H. Danogo, F. Takhnaeva, and etc., it becomes evident that the Mouridism and the “Rind” phenomenon strengthened mountaineers as worthy fighters. By uniting mountaineers, Imam Shamil was able to form a force that the Russian Empire had to be reckoned with (gureshidze, 2024:3).

### **Methods**

We were able to view Hadji Murat from a different way by comparing archive materials with scientific literature and conducting an objective analysis.

### **Results**

Sufism was a character trait, a way of life and an ideology of the mountaineers. "Imam Shamil worked tirelessly to strength his power. There is no doubt that he constantly tried to defend and support the fanatical idea of Ghazawat in mountaineers and constantly strive them for freedom fight against Russian Empire. Kazi-Molla really believed his true teachings, he sought to save both the populace and himself. And Khamzat-bek, as an ambitious man, tried to become the owner of Avaria and all of Dagestan” (Fond-1438, Desc-1, Doc-127, p. 14-15). In regarding to Hadji Murat, I think that he carried the character of “Rind”. As “Rind” phenomenon indicates that “Rind” is not only justice but also strives for its reinforcement and restoration and stands by those who are oppressed.

### **Discussion**

Let's examine the definition of “Rind”. E. Javelidze notes that the dervish’s were belonged into different branches and orders. Some scholars think that there were up to 60 dervish orders, Mirza Kazim-Bey considers that there were no more than 35 dervish orders. Typically, these orders were divided into indigenous, main orders and their branches. 12 are considered the main, primary branches, and 36-secondary branches (Javelidze, 2010:8).

To put it briefly, these dervishes had a significant impact on society. "In the eyes of Muslims the dervishes were so sent that they almost ranked above the Koran". That is why they felt comfortable in all Muslim countries and moved freely. They were the most dangerous and untouchable political agitators who opposed the existing government system (Javelidze, 2010:9). Wanderers and free dervishes have been the starting point of every rebellion in the city. All riots and rebellions had anti-Sunni and anti-state character, but they were hidden behind a dervish ideology, however, the common people or the city's lower class was the main driving force behind the insurrection. "Ovbash", "Shutars" represented the small merchants and the poor strata of the city. Additionally, "Airuns" (wanderers, vagrants) who were particularly active in Iran cities belonged to this stratum. Later, in the Turk-Seljuk era, first appears the term "Runud" (singular "Rind"), the semantics of which also changes in a certain way over time: free, willful, fearless, rebellious, etc (Javelidze, 2010:9).

The most active groups in the Near and Middle East cities in the eleventh century were the "Ayar", "Ovbash", "Rind", and "Isma'ilis". Even though they didn't have a formal program, they had similar beliefs and goals, and the most significant of which were raids of the nobles and merchants. Wanderers and free dervishes were the starting point of every rebellion in the city. One note-worthy aspect is that the "Ayars" and "rebellious vagabonds" damaged and set fire the wealthy people's caravans, huts, and houses, but never oppressed the "weak and poor." So it is quite natural that they were very well-liked and loved by the populace, but at the same time simultaneously caused intense resentment and abhorrence in the upper class (javelidze,2010:13).

"Ayrun", "Ovbash", "Shutar", "Rind", "Fithian", and "Javanmard" were the members of the same social circle that has developed strong relationships with the city's lower class. Moreover, most of them came from these strata and actively participated in the uprisings. They supported the common, unjustly oppressed people and mercilessly

attacked the rising feudal lords, burning and destroying their houses and property (Javelidze, 2010:164).

According to V. Gabashvili, "the Rinds were merchant-artisans, and their social and legal standing set them apart from large merchants." By ideology, they were Sufi followers and entered into the craft corporations to safeguard themselves against exploiters and to maintain unity. They also had Shiite attitude, which was usual for small-time traders and craftspeople who were involved in the urban social movements (Javelidze, 2010:172).

Although "Rind's" social face is thoroughly reflected in V. Gabashvili's works, but according to E. Javelidze, this term needs some clarifications and comments. The "Rind's" were not engaged in trade or crafts, notwithstanding the possibility they were among tiny merchants and artisans. The fact is that the so-called "Rind" is not identified as a master or disciple of any craft, in "Fütüvvet-nâme" "Rind" is not mentioned as artisan. This makes us think that their connection with artisans and small traders was temporary and arose during times of unrest and riots. In such a situation, the "Rinds" became active, supported the rebellious lower class, and even led their uprising. However, after the rebellion was suppressed, they disappeared as quickly as they had suddenly appeared. According to the historical information that has reached us, we can conclude that the "Rinds" were a group of armed young men belonging to the "Fütüvvet" brotherhood, who, along with their physical abilities, were well versed in martial art (Javelidze, 2010:172-173). As far as known, the "Rinds" were a group of young people with weapons or a military unit; 2) They took part in riots and struggles; 3) They opposed the oppressors and fought against injustice; 4) They attempted to resolve the issue through the use of force; 5) They maintained their own ideological stance and did not compromise their principles (Javelidze, 2010:177). J. Trimingham observes how the mystical brotherhoods were socially structured. The impoverished, the dispossessed, and the urban middle class-traders, peasants, craftsmen, civil servants, students



from religious schools, low-ranking clergy, etc.-were undoubtedly the social base core of Sufism (at least since the 10th century) (ТРИМИНГЭМ, 1989:7-8).

M. A. Mamatov thinks that political and socioeconomic factors had a direct impact on the rise of Sufism. The intense ideological conflict that emerged between the 9th and 11th centuries involved the interests of the widest range of social classes, including dervishes, artisans, and members of the feudal nobility (МАМАТОВ, 2011:87).

Several British orientalists discovered a remarkable religious event that radically changed their understanding about the East. Successful scientists were associated with the British East India Company, Sir William Jones (1794) and Sir John Malcolm (1833). In their historical and literary discoveries about the East, they began to look for some kind of mystical form of religion. So-called Sufis met them in every mosque; they looked much more attractive than the Turks of the Ottoman Empire, who at that time threatened to conquer Christian Europe. The aforementioned Sufis were poets who wrote poems to happiness and wine drink. They also loved dancing and music and were filled with love (ЭРНСТ, 2002:29). "Rind's" whole philosophy of life is in Hafiz's laconic phrase: "Not a single second without wine, not a single hour without love", analysts claim, that alcohol represents a spiritual ecstasy, loved person in his poetry is a symbol of God (Abdaladze, L:152).

The documents from the National Archive of Georgia, an article of Simon Esadze, the scientific studies and Islamic encyclopedia (энциклопедический словарь 1991:126; ХАДЗИЕВ 2018:22), shows that Sufism was prominent in the North Caucasus prior to the mountaineers war for independence in XIX century. The "Rind" phenomenon found expression in the liberation war led by Imam Shamil, because the "Rind" phenomenon already existed in the freedom-loving character of Naib Hadji Murat and mountaineers combat skills and selfless fighting. Imam Shamil was able to consolidate the Chechens and turn them against the common foe. The National Archive of

Georgia maintains the following historical paper, which serves as an example of the “Rind” phenomenon. We present the small part from the article: **A plot against Khamzat**. A plot against Khamzat-bek was prepared in Khundzakh at the same time as he was hoping to take over Dagestan<sup>65</sup>. Osman and Hadji Murat, the two brothers who lived in Khundzakh, were renowned for their bravery and heroism in a variety of situations. One day, the brothers started praising themselves in front of their father, recalling their own accomplishments. P. Takhnaeva (Тахнаева 2019:158), based on M. Alikhanov (Алиханов, 1895-1896:172), states that the identity of the head of Khamzat-bek’s plot is unknown; nevertheless, given that the father of Haji Murat passed away four years prior<sup>66</sup>.

The father replied: "My children should be ashamed to boast your bravery in front of me, as I see you as nothing and do not want to acknowledge you as my children. I think you are rather a coward and poor in spirit."<sup>67</sup>

---

<sup>65</sup> Moshe Gammer, in his book "Шамил Мусульманское Сопrotивление Царизму", talks about the activities of Khamzat Bek and notes: "Despite this, the Russians perceived the Imam as a growing threat, especially after he recognized and sided with the Indiria” kumik” Hadji-Tasho, a prominent military leader in Chechnya. The Russians began to prepare for a military campaign against the new imam, which soon became unnecessary. On September 19, Khamzat-bek, who had come to perform the Friday afternoon prayer, was killed at the entrance to the mosque in Khundzakh. The murder was motivated by personal, not political, interests: The murder was led by sun of the nurse Avari Khan, whose motive was the tradition of revenge. I disagree with Moshe Gamer’s assertion that this deed was a result of the slaughter tradition and that the Russians were preparing for an attack against the Imam. Because of the following factors, the mountaineers already carried a negative charge in the direction of Khamzat-bek: 1. The Imam’s defeat of the Avaria khans. 2. The mother of the Khan was cruelly and unfairly murdered, and customs in the mountains were disregarded. 3. The primary one is the well-known “Rind” phenomenon which was in the character of the mountaineers. And the Imam’s murder was organized in the forge. М.Гаммер. Шамил Мусульманское Сопrotивление Царизму. Завоевание Чечни и Дагестана — М.: «КРОН-ПРЕСС», 1998. (стр. 83-107)

<sup>66</sup> An examination of Hadji Murat’s life and struggles reveals that “Rind’s” phenomenon served as the murderous act of retaliation against Hamzat-bek. Thus, it is unnecessary to debate whether or not a certain personality preceded this retaliation. (Note of- M. Gureshidze)

<sup>67</sup> Following detail, which Takhnaeva mentions, states that Hadji Murat told Loris Melikov that he was afraid and fled after Khan’s murder, but this humiliation was continually served as motivation to become more brave in the future. П.И Тахнаева. ХАДЖИ-МУРАТ ХАДЖИМУРАД ИЗ ХУНЗАХА. Москва 2019. (стр. 122)

The children asked their father to tell them what they were guilty of. They couldn't understand why he was insulting them in this way.

Children, pay attention to me. "The finest Khan was Sultan Ahmad. I became Umma Khan's father, and you became his brothers. He left us son to nurture. He raised us up to his family's level. After Hamzat killed Umma Khan, how do you look into our friends eyes and grow so proud of your achievements in front of your own father? I am old and weak, but despite this, tomorrow I will kill Khamzat; let him kill me too; and you, brave men, who are like women, live in peace."

The children were deeply affected by father's remarks; they cried and replied, "Well, tomorrow we will go and kill Khamzat, and if we survive, we will appear before you with a bright face."

The father complimented their decision and said: "congratulations, children, on your good deed; Allah will be your helper.

After that, two brothers went into the settlement to invite all their friends. They saw them inside the forge and entered there. Khamzat's treasurer visited their forge at that time, saw the cigarette butt, and inquired who was smoking. The Imam issued a harsh ruling; locals who drank alcohol and smoked cigarettes were put in a "pit" and thrashed forty times; In order to distinguish Mourids from munafiqs (Muslims who trusted the government), Mourids had to shave their moustaches at the level of the upper lip; Mourids, according to Sharia Law, had to wear a turban, and older people had to dye their beards. Among other things, "Maclatch" was appointed to enforce the published rules.

At the forge, "Maclatch" received no answer about the tobacco ball, made a search, found no tobacco, took scissor from his pocket and cut off everyone's beards, and then slowly walked away.

The situation sparked a sharp protest among people who lived in Hundzah. And one of them remarked: "What will happen the next time, if we now, for this first time, don't have peace from the

Mourids." "Yes," answered Magoma-Osman, and turned to the brothers Osman and Hadji Murat, "Khamzat-bek mercilessly killed Nutsal-khan and your wet-nurse Umma-khan. Our late lord, Sultan Ahmad Khan, was a great man, and we had a good life under his rule. Now look at yourself; the usurper wants to show his power and/or care for our lives. Brothers, it is no better to kill Khamzat-bek right now, when his vile Mourids are no longer with him." This speech aroused complete sympathy among the listeners; they gloomily handshake and agreed to meet in Hadji Murat's house. At night, forty participants in the conspiracy, with caution, one by one, entered Hadji Murat's house. The murder was scheduled to take place in the mosque on Friday, September 19, at the next day.

At noon, after the mullah's call, residents began to gather in the mosque; the conspirators managed to get into the mosque, and they had weapons hidden under the felt cloak. They were positioned near the side of the door. With three pistols and at the head of 12 sword-wielding Mourids, Hamzat-bek entered the mosque, reached its middle, noticed the people in felt cloak, stopped, and addressed them; At this time, all the participants were kneeling, ready to pray. Osman-Murat noticed Khamzat's fiery look, stood up, and shouted loudly: "Hey, brothers. Why don't you stand up when the great Imam comes to your mosque?" This call was a conventional sign. Having understood the essence of the matter, Khamzat headed to the exit, but at that moment, Osman and Hadji Murat fired from a pistol and wounded him. Then there was a volley that caused the mosque to tremble, and the Khans murderer died (Fond-1438, desc-1, Doc-127).

### **Conclusion**

Hadji Murat and the mountaineers were distinguished by their rebellious spirit, amazing fighting prowess, freedom-loving character, defense of the oppressed, and commitment to justice. The act of revenge in the forge also points to the "Rind" phenomenon. He used to offer widows and orphans alms prior to leaving on a campaign. (Доного·Статья; Доного, 2021:220-227)

However, Hadji Murat is an odious figure. He possesses many of the noble qualities that have made him a folk hero, but a close examination of his life reveals that he is not an absolute Sufi/"Rind." He is a power-hungry and ambitious Naib (Gureshidze, 2024:18).

### **Bibliography:**

- Abdaladze, G. (2018) kartveli mepeebi p'at'ronni da msakhurni kveq-nisani. gamomtsemloba p'alit'ra L. (In Georgian)
- Alikhanov, M. (1895-1896). In the mountains of Dagestan. Travel impressions and stories of highlanders. (In Russian)
- Donogo, H. M. Article about Hadji Murat. (In Russian)
- Donogo, H. M. (2021). Dagestan Triumph and Tragedy. Brilliant and Tragic Moments of the Era of Imam Shamil. (In Russian)
- Ernst, K. (2002). Sufism. Moscow. (In Russian).
- ond-1438, Desc-1, Doc-127. National Archives of Georgia. (The article is compiled based on archive materials from the Caucasian Military Headquarters and the Military History Department).
- Gammer, M. (1998). Shamil Muslim Resistance to Tsarism. Conquest of Chechnya and Dagestan - M.: "KRON-PRESS". (In Russian)
- Gureshidze, M. (2024). haji murat'i. gamomtsemloba „sachino“. tbilisi. (In Georgian)
- Islam Encyclopedic Dictionary. (1991). USSR Academy of Sciences. Institute of Oriental Studies. Moscow "NAUKA". Main Editorial Board of Oriental Literature. (In Russian)
- Javelidze, E. (2010). putuveti-sulier-rinduli modzraoba. Tbilisi (In Georgian)
- KHADZIEV, M. (2018). SUFISM IN THE NORTH CAUCASUS. (In Russian)

- Knysh, A. Islamic Mysticism. A short history. Brill. Leiden. Boston. Köln. 2000. (In Russian)
- MAMATOV, M. (2011). THE ESSENCE OF SUFISM. MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF THE RF BASHKIR STATE PEDAGOGICAL UNIVERSITY. RUSSIAN ISLAMIC UNIVERSITY. RUSSIA. Ufa. (In Russian)
- Takhnaeva, P. (2019). HAJI-MURAT FROM KHUNZAKH. Moscow. (In Russian)
- Trimingham, J. (1989). SUFI ORDERS IN ISLAM Translated from English edited and with a preface by O. F. AKIMUSHKIN. MOSCOW SCIENCE\*EDITORIAL BOARD OF EASTERN LITERATURE. (In Russian)



**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლური  
პოლიტიკა : ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან (1918-1921)**

**გიორგი ბაციკაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორანტი.  
საქართველო, 6010 ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35  
+995593592100. Giorgibatsikadze21@gmail.com.  
<https://orcid.org/0000-0002-8671-8667>

**აბსტრაქტი**

სამეცნიერო სტატია ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას ჩრდილოეთ კავკასიასთან, ანალოგებს მის სპეციფიკურ ხასიათს 1918-1921 წლებში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და წარმოაჩენს ურთიერთობის ძირითად პრინციპებს.

1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, პროცესი ურთულესი საერთაშორისო და შიდა გამოწვევების ფონზე წარიმართა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა მთიელთა რესპუბლიკამაც, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ძირითად ნაწილს მოიცავდა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფოების დამოუკიდებლობას საერთო ძალა ებრძოდა, ჯერ თეთრგვარდიული, შემდეგ კი ბოლშევიკური რუსეთის სახით. საერთო ბრძოლაში წარმატებისთვის ორივე მხარე კარგად აცნობიერებდა კავკასიის კონსოლიდაციის მნიშვნელობას.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უმწვავესი პოლიტიკური კრიზისებისა და მეზობელთა ტერიტორიული

პრეტენზიების ფონზე დაიწყო სიცოცხლე, რასაც თან ემატებოდა ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები ქვეყნის შიგნით. ლოგიკურად, სახელმწიფოს შემოსავლების კოლოსალური ნაწილი თავდაცვაზე იხარჯებოდა, რაც სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს ქმნიდა, ჯეროვანი რეფორმების განხორციელებისა და სრულფასოვანი ჩამოყალიბების პროცესს აფერხებდა. თუმცა, ქვეყნის პირდაპირ ინტერესებში შედიოდა ჩრდილოეთ კავკასიის თავისუფლება, რამდენადაც იგი რუსეთისგან თავდაცვის ფარს ქმნიდა და სრულიად კავკასიის დამოუკიდებლობას აძლიერებდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა თავისი არსებობის მანძილზე მხარს უწყვეტად უჭერდა მთიელთა რესპუბლიკას, როგორც პოლიტიკური, ისე მატერიალური რესურსით. მთიელთა ინტერესები იმდენად დაუკავშირდა საქართველოს, რომ ბოლოს იგი საქართველოსთან ავტონომიის უფლებით შეერთების თხოვნამდეც მივიდა.

წარმოდგენილი კვლევა ნათლად წარმოაჩენს ურთიერთსაჭიროებებსა და ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის შინაარსს. ქვეყნის მძიმე მდგომარეობის ფონზე ჩრდილოეთ კავკასიის უწყვეტი და მრავალმხრივი მხარდაჭერის კონტექსტი კი ცხადყოფს საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისთვის ჩრდილოელი მეზობლების თავისუფლების მნიშვნელობას.

სტატია ეფუძნება საარქივო დოკუმენტებს, სამეცნიერო ლიტერატურასა და პერიოდული პრესის მასალებს. ზოგიერთი წყარო და დეტალი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; მთიელთა რესპუბლიკა; კავკასია; ბოლშევიკები; დენიკინი; კავკასიის კონფედერაცია; დამოუკიდებლობა; ქართული ლეგიონი.



## შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია ბევრ საყურადღებო და საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ დეტალს მოიცავს. სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და რთულ გეოპოლიტიკურ კონიუქტურასთან თავის გართმევის ისტორიული გამოცდილების გაზიარებას თანამედროვეობაშიც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით კი იმ ფონზე, რომ პირველი რესპუბლიკის რეგიონული პოლიტიკისა და მეზობლებთან ურთიერთობების თავისებურებანი თანამედროვე კონტექსტშიც აქტუალურია. წარმოდგენილი კვლევის არსიც სწორედ საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობის, მიდგომების თავისებურებებისა და ძირეული მიზნების ანალიზში მდგომარეობს. შეიძლება ითქვას, რომ პირველი რესპუბლიკისთვის ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერა რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო დეტალი იყო, რაც ამავდროულად რეგიონის თავისუფლებისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნეოდა.

მოცემულ საკითხზე რამდენიმე მეტად საინტერესო და სიღრმისეული კვლევა არსებობს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მაირბეკ ვაჩაგაევის, გიორგი მამულიას და მიხეილ ბახტაძის შრომები. ვაჩაგაევის 2022 წლის კვლევა კვლევა ეხება ქართული ლეგიონის ჩეჩნეთში მოქმედების ისტორიას,<sup>68</sup> მამულიას 2021 წლის სტატია დეტალურად აანალიზებს მთიელთა რესპუბლიკისა და ანტანტის ურთიერთობებს,<sup>69</sup> ბახტაძისა და მამულიას კიდევ ერთი ნაშრომი თავს უყრის რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის 1917-1921 წლების ურთიერთობების შესახებ და წყაროთ-

---

<sup>68</sup> ვაჩაგაევი, მ. 2022. ქართული ლეგიონი ჩეჩნეთში (1919 წლის სექტემბერი - 1920 წლის დეკემბერი). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. <https://gfsis.org.ge/ge/publications/view/3205>.

<sup>69</sup> მამულია, გ. 2021. ანტანტის სახელმწიფოებისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის ურთიერთობის ისტორიიდან (1919 წ.). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. <https://gfsis.org.ge/ge/publications/view/2912>.

მცოდნეობითი კუთხით ერთობ გამორჩეულია.<sup>70</sup> თუმცა, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სტატია იკვლევს საქართველოს მთავრობის მიდგომების თავისებურებებს, ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით გაწეული მხარდაჭერის ფონზე წარმოაჩენს ჩრდილოეთ კავკასიის ადგილს ქვეყნის პოლიტიკაში და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს საკითხთან დაკავშირებული ახალი საარქივო დოკუმენტები.

### **მეთოდები**

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება ისტორიზმისა და ობიექტური მსჯელობის ამომავალ პრინციპებს. მონაცემთა შეგროვების მეთოდით თავმოყრილია საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა საარქივო დოკუმენტი, პერიოდული პრესის, სამეცნიერო თუ მემუარული ლიტერატურის მონაცემები. სტატია აანალიზებს თავმოყრილ მონაცემებს, ავითარებს მიზეზ-შედეგობრივ მსჯელობას და აჯამებს კვლევის შინაარსს.

### **შედეგები**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა საკუთარ დამოუკიდებლობას საერთო ძალის წინაშე იცავდნენ. ინტერესთა თანხვედრა, საერთო საჭიროებები და ძალთა კონსოლიდაციის აუცილებლობა მხარეებს კონფედერაციული კავშირისკენ უბიძგებდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ინტერესებში შედიოდა მთიელთა თავისუფლების განმტკიცება, რაც განაპირობებდა მთიელთა რესპუბლიკის უწყვეტ პოლიტიკურ და მატერიალურ მხადრაჭერას, 1919-1920 წლებში ჩეჩნეთში მთიელების მხარდამხარ იბრძოდა ქართული ლეგიონი და ზოგადად საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკაში კავკასიურ თანამშრომლობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა. მიუხედავად იმისა, რომ საერთო მიზნებისთვის კავკასიის ჯეროვანი გაერთიანება და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება ვერ მოხერხდა, აღნიშნული

---

<sup>70</sup> ბახტაძე, მ., მამულია, გ. 2005. მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან (1917-1921 წლები). თბილისი: არტანუჯი.

საკითხი კავკასიის ისტორიის მეტად საყურადღებო მომენტად რჩება.

## **მსჯელობა**

*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობა*

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს, პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) მიმდინარეობისას გამოცხადდა, კავკასია კი საომარი მოქმედებების ერთ-ერთ ეპიცენტრს წარმოადგენდა, ამ ფონზე ქვეყნის პირველმა ხელმძღვანელობამ დამოუკიდებლობის აქტშივე ხაზი გაუსვა, რომ საქართველო საერთაშორისო ომიანობაში მუდმივ ნეიტრალურ პოზიციას იჭერდა. აქტი დეკლარირებდა, რომ რესპუბლიკა ისწრაფოდა ყველა საერთაშორისო ძალასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებისკენ, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებსა და ერებთან (შარაძე, 2001: 19-20). რესპუბლიკის პირველი ნაბიჯები ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული პრეტენზიების ფონზე მიმდინარეობდა. უმედეგო მოლაპარაკებების პარალელურად გრძელდებოდა საომარი მოქმედებები. მიუხედავად წინააღმდეგობისა, 1918 წლის მარტში ოსმალებმა აჭარა დაიკავეს (გოგოლიშვილი, ბაციკაძე, 2020: 17-18).

მიუხედავად ომში გაცხადებული ნეიტრალიტეტისა, ქვეყნისთვის ძლიერი პოლიტიკური მოკავშირის ყოლას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანია, როგორც ომში ოსმალეთის მოკავშირე, რუსეთის მოწინააღმდეგე და საქართველოს დამოუკიდებლობის მთავარი მხარდამჭერი, რესპუბლიკისთვის ლოგიკურ საერთაშორისო მოკავშირეს წარმოადგენდა. 1918 წლის 28 მაისს გერმანიასა და საქართველოს შორის ქალაქ ფოთში დაიდო დროებითი შეთანხმება, გერმანიამ ფაქტობრივად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დამყარდა წინასწარი თანამშრომლური ურთიერთობები. ზურაბ ავალიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ „გერმანია გამოვიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნათლიათ“ (ავალიშვილი, 1924 (1929): 59-60). შეთანხმებით გერმანია მზადყოფნას გამოხატავდა, რომ და-

ეცა საქართველოს დამოუკიდებლობა და ეშუამდგომლა რუსეთთან. სამხედრო კომისარი ფონ ნიდა ოსმალეთის მხარეს მიმართავდა, რომ გაეთვალისწინებინა აღნიშნული შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იძულებული იქნებოდა ემოქმედა შესაბამისად (სცსსა, 1864, ა. 1, ს. 34, ფურც. 8-9). თუმცა, მსოფლიო ომში გერმანიის მარცხმა განაპირობა საქართველოს საგარეო ვექტორების ცვლილება, გერმანელთა პოზიციები ინგლისელებმა დაიკავეს, 1918 წლის ბოლოდან საქართველო პროანტანტურ პოზიციაზე გადავიდა, რაც საერთაშორისო აღიარებისა და თავისუფლების შენარჩუნების ერთადერთი გზა იყო. 1919 წლის მარტში მთავრობამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, რომლითაც იგი ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობის ახსნასა და დასავლეთ ევროპის დაინტერესებას რეგიონით (MS. Wardr. c. 23 (2,3), fol. 3-9).

ოსმალეთთან კონფლიქტის შემდეგ, 1918 წლის დეკემბერში მიმდინარეობდა სრულმასშტაბიანი ომი სომხეთთან, რომელიც სომხეთის ჯარების საქართველოში შემოჭრით დაიწყო. ზოგად კრიტიკულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ბოლშევიკების პერმანენტული აჯანყებები. 1918 წლის აპრილ-მაისში ბოლშევიკები შემოიჭრნენ აფხაზეთში, მთავრობამ თურქეთთან მებრძოლი გვარდიის ნაწილები აფხაზეთში გაგზავნა ვალიკო ჯუღელის მეთაურობით და სიტუაცია დროებით დასტაბილურდა (Джугели, 1920: 8-19). ივნისში ბოლშევიკები მეორედ შემოიჭრნენ აფხაზეთში, რასაც დაემატა ოსმალეთის დესანტის გადასხმა სოხუმში. აფხაზეთში სიტუაციის მოგვარებას მთელი ზაფხული დასჭირდა (მაზნიაშვილი, 1927: 59-79). 1918-1919 წლების მიჯნაზე, როდესაც ახალი დამთავრებული იყო სომხეთ-საქართველოს ომი, სოჭში შეიჭრნენ დენიკინელები. სიტუაცია ძალიან გართულდა, კონფლიქტი რამდენიმე თვე გაგრძელდა.

1918 წლის იანვრიდან დაიწყო არეულობა ცხინვალის რეგიონში. შეიარაღებული რაზმები არბევდნენ მოსახლეობას, აჯანყებულებმა მარტში ცხინვალის აიღეს, წესრიგის აღდგენის შემდეგ გაქცეული ბოლშევიკები მონაწილეობდნენ საჩხერისა და

დუშეთის მაზრებში მოწყობილ გამოსვლებში. ცხინვალში ბოლშევიკურ აჯანყებებს ადგილი ჰქონდა 1919 წლის შემოდგომასა და 1920 წლის ივნისშიც (სილაქაძე, 2022: 11-40). ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ლეჩხუმში, სამცხესა და დუშეთში. მართალია, ქართველი გლეხების მცირედი ნაწილი მონაწილეობდა გამოსვლებში, რომელსაც არ შეეძლო ხელშესახები შედეგების მიღწევა (Kazemzadeh, 1951: 193), თუმცა პერმანენტული ქაოსი აფერხებდა ქვეყნის განვითარებას, ახლად ფეხადგმულ რესპუბლიკას ერთდროულად და უწყვეტად უწევდა გარე და შიდა შემოტევების მოგერიება.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, პირველი რესპუბლიკის ბიუჯეტის დიდი ნაწილი თავდაცვაზე იხარჯებოდა. 1918-1919 წლებში თავდაცვის ხარჯებმა შეადგინა ქვეყნის მთელი ბიუჯეტის 30.39% (201.021.373 მანეთი). ხოლო თუ 1919-1920 წლებში ნავარაუდები იყო 31.50%, რეალურად შეადგინა 36.56%. უწყვეტი ომიანობის და ლოჯისტიკური საჭიროებების გამო მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯებოდა გზათა სამინისტროზე, სამხედრო და გზათა სამინისტრო ერთად ბიუჯეტის ნახევარზე მეტს მოითხოვდა (პროექტი, 1920: V-VI). ეს ხდებოდა ეკონომიკური კრიზისის პირობებში, დარღვეული, ზოგიერთ შემთხვევაში შეწყვეტილი სავაჭრო ურთიერთობების ფონზე. მიუხედავად კოლოსალური ხარჯებისა, სამხედრო საქმეს ბევრი პრობლემა გააჩნდა, არადაამაკმაყოფილებელი კვება, სურსათის კრიზისი, კეთილმოუწყობელი ყაზარმები და ა.შ. (სილაქაძე, 2023:107). იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მოსახლეობა აგროვებდა მიზერულ თანხებს ქვეყნის თავდაცვის საჭიროებებისთვის. მაგალითად, სომხეთთან ომის დროს გორის მასწავლებელთა კავშირმა დაადგინა, რომ მათი ხელფასებიდან 5% გადასცემოდა „ფრონტის დამხმარე კომიტეტს“ (საქართველოს რესპუბლიკა N7, 1919: 4). ყველაფერს თან ერთოდა დაწესებულებებში დარღვევებისა და დიდი რაოდენობით ფული ფლანგვის შემთხვევები (კობახიძე..., 2020: 106-109).

ამ რთული რეალობის პირობებში ნიშანდობლივი და საყურადღებოა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, რომლის სპეციფიკური ხასიათი ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად წარმოჩენილი.

*საქართველოს ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიასთან  
(1918-1921)*

1917 წლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ აურზაურში ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებელი ერთობის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოსთან სერიოზული გაურკვევლობებით დაიწყო. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო მთიელთა პოსტ-რევოლუციური რუსეთის შემადგენლობაში დარჩენისა თუ დამოუკიდებლობის საკითხი, 1917 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირმა თავის შემადგენლობაში მიიღო აფხაზეთი. დეკემბერში, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზე აკაკი ჩხენკელი აღნიშნავდა, რომ მთიელთა მთავრობას ქართველებთან კავშირის დამყარების სურვილი ჰქონდათ, თუმცა ამას საზღვრების მოუწესრიგებლობა, კერძოდ კი აფხაზეთის მთიელთა კავშირში მიღება აფერხებდა (სცსსა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 3, ფურც. 11). მას შემდეგ, რაც მთიელები დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ, ვითარება შეიცვალა. 1918 წლის 11 მაისის მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ სამხრეთ საზღვარი ამიერკავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით განისაზღვრებოდა (Cоюз..., 2013: 54, 76). რთული გასაგები არავისთვის იყო, რომ მთიელთა დამოუკიდებლობა და საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობები ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული.

ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მთიელთა რესპუბლიკა, საქართველოს მსგავსად, ებრძოდა როგორც დენიკინელებს, ისე ბოლშევიკებს და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. მთიელთა რესპუბლიკას მსოფლიო პროოსმალურ ძალად აღიქვამდა. თუმცა,

1918 წლის ბოლოდან მათი პოლიტიკური ვექტორი მყარად პრო-ანტანტური მიმართულებით ჩამოყალიბდა და საქართველოს კურსს დაემთხვა. ინგლისელთა მოთხოვნის შესაბამისად ოსმალეთის ჯარებმა დეკემბერში სრულად დატოვეს ჩრდ. კავკასია. მთიელთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაიდარ ბამატი ნოემბერში შვეიცარიაში ჩადის და ინგლის-საფრანგეთის მხარდაჭერის მისაღებად დიპლომატიურ მოღვაწეობას იწყებს. იგი ცდილობს ევროპა დაარწმუნოს იმაში, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ არა დენიკინის, არამედ რუსეთის იმპერიალიზმის მარწუხებში მოქცეული ერების დამოუკიდებლობა შექმნიდა ევროპისთვის ხელშესახები პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატების რეალურ საფუძველს. ამავდროულად, ბამატი ხედავდა, რომ დასავლური პოლიტიკის კონცეფცია აქეთკენ არ მიდიოდა და მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ერთადერთი გზა კავკასიის კონფედერაციაზე გადიოდა (მამულია, 2021: 2, 6-9, 17). ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, მთიელებმა ამიერკავკასიას პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების პოტენციური გზების მოძებნა შესთავაზეს. ამისათვის, ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის მთიელთა კავშირმა სპეციალური კომისიაც ჩამოაყალიბა (ვაჩაგაევი, 2022: 1-3). თავის მხრივ საგარეო საქმეთა მინისტრო აკაკი ჩხენკელი 1918 წლის 27 მაისს ჰაიდარ ბამატს სწერდა, რომ საქართველო მისაღებოდა ახლობელ კავკასიურ ერებთან და დაღესტანთან მჭიდრო კავშირების დამყარებას კონფედერაციულ საწყისებზე. ამავდროულად, 31 მაისს ჩერმოევს აცნობებდა, რომ გერმანიასთან მოლაპარაკებებში დაიცავდა მთიელთა ინტერესებს, მხარს დაუჭერდა მათი დამოუკიდებლობის განმტკიცებას (სცსსა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 43, ფურც. 1-2).

აქვე საგულისხმოა, რომ საქართველო კონფედერაციისთვის თავდაპირველად საჭიროდ თვლიდა ცალკეული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის გამყარებას. 1918 წლის ნოემბერში, მთავრობა თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობას საიდუმლოდ ავალებდა, რომ ქვეყანა ამიერკავკასიის კონფედერაციის

წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ამისათვის პირველ რიგში ცალკეული ერები უნდა განმტკიცებულიყვნენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები (სცსსა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 7-8). იგივე პოზიცია უნდა ყოფილიყო ამომავალი წერტილი ჩრდილოეთთან პოლიტიკური ურთიერთობის ნაწილში. ამიტომ, საქართველო ხელს უწყობდა მთიელების დამოუკიდებლობას. მთავრობამ თერგის რესპუბლიკასთან მოლაპარაკებების საწარმოებლად შექმნა სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდნენ გზათა მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გერასიმე მახარაძე და ეროვნული გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ვალერიან ჯუღელი (სცსსა, ფ. 1861, ან. 2, საქ. 13, ფურც. 3).

საქართველოს მთავრობა კარგად აცნობიერებდა ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესების მნიშვნელობასა და მთიელთა მხარდაჭერის აუცილებლობას საქართველოს უსაფრთხოებისათვის. ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობა საქართველოს და აზერბაიჯანის ინტერესებს პირდაპირ უკავშირდებოდა იმდენად, რამდენადაც კავკასიელი ერების დამოუკიდებლობა ერთმანეთის უსაფრთხოებას აძლიერებდა და რუსეთთან თავდაცვის ფარს ქმნიდა. ამავდროულად, მათი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო მთიელთა თავისუფლების უზრუნველყოფა. ინტერესთან თანხვედრიდან გამომდინარე, ხელისუფლება შესაბამისი სერიოზულობით უდგებოდა საკითხს. მაგალითისთვის, 1919 წელს საქართველოს მთავრობამ საიდუმლო დადგენილებით სამხედრო ფონდიდან გამოყო მილიონი მანეთი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში დაზვერვის საჭიროებებისათვის (სცსსა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 76). დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, თავისი არსებობის განმავლობაში, პრაქტიკულად უწყვეტად აწარმოებდა მთიელთა რესპუბლიკის მხარდაჭერას, მორალური, დიპლომატიური და რაც მთავარია, პრაქტიკულ-მატერიალური რესურსით.

1919 წლის დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც დაიწყო შეტაკება მთიელებსა და დენიკინელებს შორის, დახმარების პრო-



ცესი უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა. მთიელებმა დახმარების აღმოჩენის თხოვნით საქართველოს მიმართეს. საგარეო საქმეთა მინისტრს დაევალა მთავრობის სახელით შესაბამისი საპროტესტო ნოტის გამოცხადება და მთიელთა კავშირის რესპუბლიკას გამოეყო კრედიტი 3 მილიონი რუბლის ოდენობით (სცსსა, ფ. 1861, ან. 2, საქ. 13, ფურც. 5).

რთული გასაგები არავისთვის იყო, რომ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლით მთიელები არა მხოლოდ მათი, არამედ მთელი კავკასიის საქმეს აკეთებდნენ. ჩრდილოელები სამხრეთელების მხარდაჭერის გასაზრდელად ცდილობდნენ იმ საშიშროების წარმოჩენას, რაც მთიელთა მარტო დარჩენას შეიძლება გამოეწვია. ოსი საზოგადო მოღვაწე ახმედ ცალიკოვი მიუთითებდა, რომ ისინი და ბოლშევიკები დენიკინელებთან ბრძოლაში ერთ მხარეს აღმოჩნდნენ, რაც ბოლშევიკებისადმი სიმპათიის ზრდის საშიშროებას ქმნიდა და მხოლოდ მოკავშირეების შეიარაღებული მხარდაჭერით გახდებოდა შესაძლებელი ბოლშევიკური განწყობების მზარდი პროცესის შეჩერება (სცსსა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 102). ეს ყველაფერი ქართველებს კარგად ესმოდათ, სწორედ ამიტომ ხერხდებოდა მთიელთა მატერიალური დახმარება ქვეყნის უმწვავესი ფინანსური გამოწვევების პირობებშიც. ისიც ცხადი იყო, რომ საქართველოს რესურსები ამ საფრთხეებს ვერ შეაჩერებდა და მთავრობა საერთაშორისო მხარდაჭერასაც ეძებდა.

5 მარტს გამოცხადებულ კატეგორიულ საპროტესტო ნოტაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი გმობდა თეთრი გვარდიის მიერ თვითგამორკვევის უფლებისა და მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ხელყოფას და მიუთითებდა, რომ საქართველო სრულ სოლიდარობასა და თანაგრძნობას უცხადებდა მთიელებს მათი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში (საქართველოს რესპუბლიკა N51, 1919: 2). მიუხედავად იმისა, რომ ნოტა დამოუკიდებლობის ცნობისა თუ უარყოფის საკითხს მსოფლიო კონგრესის საქმედ თვლიდა, საქართველოს ფაქტობრივად საერთაშორისოდ აცხადებდა მის პოზიციას

და აღიარებდა მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. ამავდროულად, ნოტა ერთგვარად აფრთხილებდა დენიკინს, რომ მისი დაპირისპირება მთიელებთან ამ უკანასკნელთა ბოლშევიკურ გზით სიარულს შეუწყობდა ხელს.

პარალელურად არ წყდებოდა საერთო კავკასიური ნიად-აგის მოძებნის ცდები. აპრილში თბილისში გაიხსნა კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია, რომელზეც რამდენიმე, პოლიტიკური, ფინანსური, ლტოლვილთა და ა.შ. კომისია ჩამოყალიბდა. მთიელებიდან კანტემირის გარდა მონაწილეობდნენ მურუნდინ პენზულაევი და ასლანბეკ ბუთაევი. პოლიტიკურ დღის წესრიგში იდგა კავკასიის გაერთიანების საკითხი, ოთხ რესპუბლიკას პირველ რიგში ერთმანეთი უნდა ელიარებინა, საზღვრები გაემიჯნა და თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საერთო მექანიზმი შეემუშავებინა (სცსსა, ფ. 1864, ან.1, საქ. 131, ფურც. 1-3). თუმცა, კონფერენციის მსვლელობაზე გამოჩნდა გარკვეული დისონანსი სომხური დელეგაციის მხრიდან. პარალელურად კრიტიკულად ვითარდებოდა სიტუაცია ჩეჩნეთში.

საქართველოს სარდლობა შეძლებისდაგვარად ცდილობდა დამატებითი დახმარება აღმოეჩინა არსებული სახელმწიფო რესურსიდან. 1919 წლის მარტში, გენერალ-მაიორ ანდრონიკაშვილის მოხსენების საფუძველზე, მთიელებს გადაეცათ ორი აეროპლანი და 2-2 სატვირთო და მსუბუქი ავტომობილი. მარტშივე მთიელებმა ქართულ მხარეს თხოვნით მიმართეს, რომ მათთვის გადაეცათ რადიოსადგური, რისთვისაც მოსალაპარაკებლად მოავლინეს ვინმე გ. ბუთაევი. აპრილში მთავრობამ მთიელებს უსასყიდლოდ გადასცა 280 ათას რუბლად ღირებული რადიოსადგური და 40 ათას რუბლად ღირებული ახალი ანძა (სცსსა, ფ. 1861, ან. 2, საქ. 13, ფურც. 7-17)<sup>71</sup>.

მთავრობა ფაქტობრივად ემზადებოდა დენიკინთან პოტენციური კონფლიქტისთვის, 1919 წლის აპრილში დაიხურა დარიალის ხეობა, მიღებულ იქნა ზომები სასაზღვრო დაცვის გასამძლიერებლად, სამხედრო და საგარეო უწყებებს დაევაალათ გაერ-

<sup>71</sup> იგივე: სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 31, ფურცელი 1-8.

კვიათ თუ რა პოზიციას დაიკავებდა აზერბაიჯანი დენიკინელებთან მოსალოდნელი ომის დროს და კატეგორიულად განეცხადებინათ, რომ თუ აზერბაიჯანი არ გაუწევდა წინააღმდეგობას დენიკინს, საქართველო დაიჭერდა ყველა სტრატეგიულ სასაზღვრო პუნქტს (სცსსა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 26). აღნიშნული გზავნილი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია, თუ რა სიმძაფრით აღიქვამდა მთავრობა კავკასიაში მიმდინარე ბატალიების სასიცოცხლო მნიშვნელობას. რუსების წინსვლის გამო, მთიელთა მთავრობას მოუწია ჩრდილოეთ კავკასიის დატოვება. აგვისტოში მთიელებმა სამხედრო კომიტეტი სწორედ თბილისში ჩამოაყალიბეს და მასში საქართველოს სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი მიიწვიეს (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 34, ფურც. 16).

გასაკვირი არაა, რომ დენიკინი მის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევის სიმძლავრეს გარე ფაქტორებს, კერძოდ კი საქართველოს უკავშირდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, (1919 წლის აგვისტო-სექტემბერში) თბილისიდან ჩეჩნეთში ჩავიდა სამოცი ქართველი ოფიცერი, ასევე უზუნ ხაჯის საქართველოდან მიუღია ოთხმოცი ტყვიამფრქვევი და 2 მილიონამდე ვაზნა. ამ უკანასკნელის ბანაკში იმყოფებოდნენ ქართველი სამხედრო მრჩეველები, გენერალ კერესელიძის მეთაურობით (Marshall, 2010: 127). დენიკინის ხელთ არსებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამებოდა. 1919 წლის ივლისში სამხედრო მინისტრმა დაიბარა პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე და დავალება მისცა, რომ შეექმნა 30-40 ოფიცრისა და 100-200 რიგითისგან შემდგარი რაზმი და აერჩია ჩეჩნეთში წასულიყო თუ დაღესტანში. კერესელიძემ ჩეჩნეთის მიმართულება აირჩია, შეკრიბა 36 ოფიცერი და 100 ინსტრუქტორი ჩეჩენი მეზრძოლების დასახმარებლად, გვარდიისგან კი მიიღო 500 შაშხანა რამდენიმე ასეული ათასი ვაზნით, 12 ტყვიამფრქვევი 200 ათასი ვაზნით, 14 აპარატი, ხელყუმბარები და 250 ათასი მანეთი (სცსსა, ფ. 1969, ან. 4, საქ. 6, ფურც. 67). აგვისტოში ქართული ლეგიონი ჩეჩნეთში ჩავიდა, რისთვისაც დამატებით გამოიყო ორი ტყვიამფრქვევი, 50 თოფი, 4 ცხენი, 2 ეტლი და 40 ცხვარი (სცსსა, ფ. 1969, ან. 2, საქ. 34, ფურც.

1). კერესელიძე მთიელთა რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლად დანიშნეს. მთიელების დასახმარებლად კერესელიძის გაგზავნა შემთხვევითი არ ყოფილა, იგი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთში ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონით იბრძოდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება. თავად ჩრდილოეთ კავკასიაში არ არსებობდა შიდა კონსოლიდაცია. როგორც ჩანს, მოქმედებდნენ ძალები, რომლებიც რესპუბლიკის ხელისუფლებას არ ეთანხმებოდნენ რიგ საკითხებში. 1919 წლის მაისში პარიზის კონფერენციაზე მთიელების მიერ გაგზავნილ ერთ-ერთ მემორანდუმში გაცხადებულია პრეტენზია საქართველოს ტერიტორიებზე: აფხაზეთზე, ზაქათალასა და სამაჩაბლოზე (Гражданская война..., 2014: 752-753). არსებულ უთანხმოებაზე მიუთითებს ალიხან კანტემირის მიერ 1919 წლის 23 მაისს პარიზში მყოფი დელეგაციისთვის გაგზავნილი წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ დენიკინთან მოლაპარაკებების ჩაშლისა და მოხალისეთა არმიის ჩეჩნეთზე დაწოლის შემდეგ, გარკვეული ჯგუფი, გენერალ ალიევის, იბრაიმ ჩულიკოვისა და სხვათა შემადგენლობით, ჩეჩნების სახელით დამოუკიდებლად დებს შეთანხმებას დენიკინთან, რომლის მიხედვითაც ჩეჩნეთს ექნებოდა თვითმმართველობა რუსეთის შემადგენლობაში, იგივეს აკეთებენ ინგუში გენერალი მალსაგოვი, ოსი პოლკოვნიკი ხაბაევი და ყაბარდოელი ბეკოვიჩ-ჩერკასკი (სცსსა, ფ. 1864, ან.1, საქ. 131, ფურც. 4). ამ ყველაფრის ფონზე საფიქრებელია, რომ საქართველოს მთავრობისთვის ცალკე მნიშვნელობა ჰქონდა მთიელთა რესპუბლიკის მოქმედი მთავრობის მხარდაჭერას, რამდენადაც არსებულ ქაოსში იგი წარმოადგენდა საქართველოს რეგიონული ინტერესების თანმხვედრ ძალას.

გარდა უშუალო დახმარებისა, მთავრობამ სამხედრო ფონდიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადადო 500000 მანეთი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კომიტეტისთვის დახმარების აღმოსაჩენად და საერთოდ მთიელთა საქმეებისთვის (სცსსა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 4, ფურც. 59). ამით საქართველოს ხელ-

ისუფლება ერთგვარ რეზერვს ქმნიდა შემდგომი დახმარებისა და საჭიროებებისათვის. პარალელურად გრძელდებოდა მთიელთა დიპლომატიური საქმიანობა, რომელიც მთიელთა საკავშირო მეჯლისის შექმნასა და კავკასიური ერთობის საკითხზე მუშაობას აგრძელებდა. მთიელთა კომიტეტის ორგანიზებით 1919 წელის 27 აგვისტოს თბილისში კონფერენციის მოწვევა გადაწყდა (სცსსა, ფ. 1969, ან. 4, საქ. 6, ფურც. 3-6). კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენელი ვალიკო ჯუღელი მკაფიოდ მიუთითებდა, რომ დენიკინის დასამარცხებლად საჭირო იყო კავკასიის გაერთიანება და ამ საქმისთვის საქართველო მზად იყო მაქსიმალური დახმარება გაეწია არა უბრალოდ სიყვარულის გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო დენიკინის წინააღმდეგ საერთო კავკასიური ბრძოლა და ინტერესი (სცსსა, ფ. 1969, ან. 4, საქ. 6, ფურც. 8). მთავრობის ცივი გონებით მიდგომა ეფუძნებოდა საკითხის სასიცოცხლო მნიშვნელობას.

დიპლომატიური პროცესები ნელა ვითარდებოდა, მაშინ როდესაც თეთრი გვარდია წინ მიიწევდა და ჩრდილოეთ კავკასიის დიდი ნაწილის დაკავება შეძლო. საქართველოს ხელისუფლება შიშით უყურებდა დენიკინელების წინსვლას. 1919 წლის 2 ოქტომბერს საგარეო უწყება ნოტას უგზავნის დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის და საბერძნეთის წარმომადგენლებს კავკასიაში, რათა ისინი ჩარეულიყვნენ კონფლიქტში და სამშვიდობო გზით გადაეჭრათ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოსა და რეგიონს (საქართველოს რესპუბლიკა N223, 1919: 1-2).

1920 წლიდან ვითარება კიდევ უფრო კრიტიკულად შეიცვალა. მთიელთა მარცხის შემდეგ ქართულ ლეგიონს სიტუაციის გამოსწორება აღარ შეეძლო და საქართველოში დასაბრუნებლად ემზადებოდა. როგორც ჩანს იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით, აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ნური ფაშამ იანვარში ქართული ლეგიონისთვის გაგზავნილი იარაღი დაისაკუთრა, რასაც საქართველოს ენერგიული მიმართვა მოჰყვა და ორი ოფიცერი გაიგზავნა აზერბაიჯანში კერესელიძის რაზმის იარა-

ღის თბილისში ჩამოსატანად (სცსსა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 25, ფურც. 1, 9-13). უკვე თებერვალში კერესელიძე ჟორდანიას აცნობებდა ჯარისკაცების კრიტიკულ მდგომარეობას და მიმართავდა, რომ რაზმის ლიკვიდაციისთვის გამოეყო კომისია და საჭირო თანხები (სცსსა, ფ. 1861, ან. 2, საქ. 13, ფურც. 27). შეიძლება ითქვას, რომ 1920 წლის დასაწყისიდან მთიელებისადმი აქტიური სამხედრო დახმარება შენედა, ვინაიდან წარმატების იმედიც დაიკარგა. თუმცა, გრძელდებოდა ფინანსური და დიპლომატიური მხარდაჭერა. თებერვალში მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია მთიელებს ფინანსური ანგარიშგების ორგანიზებაში ეხმარებოდა და მათგან ორ კაციან წარმომადგენლობას ითხოვდა, რათა მათთან შეთანხმებით განხორციელებულიყო მთავრობის მიერ გაცემული 3 მილიონამდე რუბლის განაწილება სამხედრო პირთა ანაზღაურებისა და სხვა ხარჯებისათვის (სცსსა, ფ. 1861, ან. 2, საქ. 13, ფურც. 18).

ლტოლვილების ნაკადმა რთული ვითარება შექმნა და გარკვეულწილად დაძაბა სიტუაცია ხალხში. ამის საშიშროებას მანამდეც აღიქვამდნენ, ჯერ კიდევ 1919 წლის ივნისში გაიცა რეკომენდაცია საზღვრის ჩაკეტვის თაობაზე (სცსსა, ფ. 1861, ან. 1, საქ. 268, ფურც. 1). 1920 წლის გაზაფხულზე შევიწროებული მთიელი ლტოლვილები საქართველოში შემოვიდნენ, 22 აპრილს მიეცათ უფლება უკან დაბრუნებულიყვნენ თავიანთი ქონებით (სცსსა, ფ. 1861, ან. 2, საქ. 172, ფურც. 3).

შექმნილი სიტუაციის ფონზე საგულისხმოა საქართველოს მთავრობის დამოუკიდებულება ყუბანის რესპუბლიკასთან. თეთრი გვარდიის გავლენის ქვეშ მოქცეული ჩრდილო-დასავლეთ კავკასია დამოუკიდებლობის გზებს ეძებდა. 1920 წლის აპრილში ყუბანის რესპუბლიკის წარმომადგენლები, ტიმოშენკო და დრობაშევი ამიერკავკასიის ქვეყნებს აცნობებდნენ, რომ ისინი არ ენდობოდნენ არც თეთრგვარდიელებსა და არც ბოლშევიკებს, სურდათ დამოუკიდებლობა და აღიარებდნენ კავკასიაში წარმოქმნილი ქვეყნების დამოუკიდებლობას (სცსსა, ფ. 1869, ან. 1, საქ. 4, ფურც. 58-59). ნოტაზე პრაქტიკული პასუხი არ დაუგვიანებია

საქართველოს მთავრობას. 20 აპრილს ყუბანის მთავრობისთვის გაიცა სესხი 15 მილიონი მანეთის ოდენობით (სცსსა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 25, ფურც. 5). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მიდგომა ნათლად წარმოაჩენს ორ საკითხს: უპირველესად, მთავრობა თავისი ქვეყნის უსაფრთხოებად აღიქვამდა ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობას, რისთვისაც მზად იყო თავისი უმწვერველი მდგომარეობის ფონზეც კი შეძლებისდაგვარი დახმარება გაეწია. მეორე მხრივ კი თანაბარ საფრთხედ მოიაზრებოდა როგორც თეთრგვარდიული, ისე ბოლშევიკური რუსეთი.

თუმცა, პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეიზღუდა აშკარა დახმარების შესაძლებლობა და ეს ყველაფერი ფარულად გაგრძელდა. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთთან გაფორმებული მოსკოვის ხელშეკრულებით ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას, რომ ურთიერთ შორის დაეცვათ მკაცრი ნეიტრალიტეტი და მათ ტერიტორიაზე არ მიეცათ მოქმედების საშუალება არც ერთი ძალისა თუ ორგანიზაციისათვის, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებდა მხარეთა დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას (საქართველოს რესპუბლიკა N125, 1920:2). ეს ხელშეკრულება რუსეთისთვის ამოსუნთქვის საშუალება იყო, მას რამდენიმე დღით ადრე წინ უძღოდა წითელი არმიის წარუმატებელი შემოჭრა საქართველოში, გაფორმებიდან მალევე კი სამაჩაბლოში დაიწყო ბოლშევიკური აჯანყება, ადგილზე არსებული ბოლშევიკური ჯგუფები აწარმოებდნენ აქტიურ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს და ა.შ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამას ქართული ოფიციალური კარგად ხვდებოდა და მთავრობა პაციფისტურ სიმშვიდეს არ მისცემია, რაც კავკასიის მხარდაჭერის საკითხიდანაც ჩანს. 1920 წლის შემოდგომაზე, დალესტნის ხანმოკლე ანტი-ბოლშევიკური აჯანყების შემდეგ, ჟორდანიამ და რამიშვილმა მოძრაობის მეთაურ გოცინსკის დახმარება აღუთქვეს, რაც მალევე აისახა 2400 შაშხანას, 4 ტყვიამფრქვევსა და ამუნიციას (Marshall, 2010: 134). აჯანყების დამარცხების შემდეგ, ტყეებში შეხიზნულ კელიჩ გირეის გენერალმა მდივანმა კიდევ გაუწია მცირედი დახმარება, გენერალმა

გედევანიშვილმა მხარდაჭერაზე თანხმობა განუცხადა, მაგრამ პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეეძლო ამის გაკეთება და შესთავაზა, რომ პორტიდან ხორბალში დაემაღლათ იარაღი და ამგვარად მიეწოდებინათ მათთვის (სცსსა, ფ. 1861, ან. 2, საქ. 13, ფურც. 29).

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, მთიელთა სრული დამოუკიდებლობის იდეაც კი რთულად წარმოსადგენი შეიქმნა. საქართველოს მთავრობის მიერ თავიდანვე აღებული ანტიბოლშევიკური კურსი არა მხოლოდ ემთხვეოდა მთიელთა დამოკიდებულებებს, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთან შეერთება დამოუკიდებლობის იდეის სიცოცხლის ერთადერთ გზად დარჩა. 1920 წლის 2 ივნისს ავარიის (დაღესტანი) მეთაური კაიტმაზ ალიხანოვი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უგზავნის მეტად საინტერესო წერილს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ავარიის იმედები საქართველოსკენაა მიმართული და სრულიად ავარიის მეთაურთა გადაწყვეტილებით მინისტრს სთავაზობს ავარიის საქართველოსთან მიერთებას ავტონომიის უფლებით (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 25, ფურც. 62-65)<sup>72</sup>. თუმცა, საბჭოთა რუსეთის კავკასიური ექსპანსია უკვე უშუალოდ საქართველოს დამოუკიდებლობას უქმნიდა სასიცოცხლო საშიშროებას, ქვეყანა აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ უფრო აქტიურ თავდაცვაზე გადავიდა.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მთიელთა ემიგრირებული მთავრობისთვის დიპლომატია დამარცხებული ბრძოლის გაგრძელების ერთადერთ საშუალებად დარჩა. 1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მათ საქართველოს ემიგრირებული მთავრობაც შეუერთდა. 1921 წლის ივნისში ემიგრაციაში მყოფმა კავკასიის ოთხივე რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა საერთო დეკლარაცია, რომლითაც მხარს უჭერდნენ ერთმანეთის დამოუკიდებლობას და თანხმდებოდნენ სამომავლო თანამშრომლობის საერთო პრინციპებზე, რომელსაც უნდა

---

<sup>72</sup> იგივე წერილი ინახება შემდეგ საქმეში: სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 101, ფურცელი 1-5.



გაეძლიერებინა კავკასიის სახელმწიფოთა აღდგენილი დამოუკიდებლობა (სცსსა, ფ. 1861, ან. 3, საქ. 18, ფურც. 1-4).<sup>73</sup> აღნიშნულ ნაბიჯს კავკასიაში პრაქტიკული მდგომარეობის შეცვლა აღარ შეეძლო და მხოლოდ დაგვიანებული კავკასიური თანამშრომლობის დიპლომატიურ გამოხატულებას წარმოადგენდა.

### დასკვნა

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი ურთულესი გეოპოლიტიკური კონფლიქტების და მძაფრი შიდა კრიზისების ფონზე მიმდინარეობდა. იგივე ითქმის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკაზე, რომლის დამოუკიდებლობის მთავარ მტერს ჯერ თეთრგვარდიული რუსეთი, შემდეგ კი ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. ხსენებული ძალები არა მხოლოდ მთიელთა, არამედ ნებისმიერი კავკასიური სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდნენ, ამიტომ საქართველო მათთან უშუალო და უწყვეტ ბრძოლაში იყო ჩაბმული. შესაბამისად, ქართველების და მთიელების ინტერესები ერთმანეთს თანხვდებოდა, რამდენადაც ამ ინტერესების დაცვა ერთი ძალის წინაშე უწევდათ. პირველ მსოფლიო ომში ანტანტის გამარჯვების შემდეგ, საქართველოს გერმანული და მთიელების ოსმალური ორიენტაცია ანტანტური ორიენტაციით შეიცვალა, რამაც პოლიტიკური ვექტორების თანხვედრის დიაპაზონი გააფართოვა.

ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხის ბედი ამიერკავკასიაზე, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანსა და საქართველოზე გადიოდა და ეს ანტანტის მხარდაჭერის მოპოვების უშედეგო მცდელობის შემდეგ კიდევ უფრო ნათელი გახდა. ორივე სახელმწიფოს კარგად ესმოდა კავკასიური ერთობის აუცილებლობა თავისუფლების შენარჩუნებისათვის, თუმცა ხელშესახები ერთობის მიღწევა ვერ მოხერხდა. 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ კი ბოლშევიკებით გარშემორტყმ-

---

<sup>73</sup> ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული დეკლარაცია იხილეთ: სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 56. ხელს აწერენ აკაკი ჩხენკელი, აბდულ მეჯიდ (ტაპა) ჩერმოვი, აღიმარდან ბეგ თოფჩიბაშევი და ავეტის აპარონიანი.

ული, დაქსაქსული მთიელების ერთადერთ იმედად საქართველო დარჩა, რაც საქართველოსთან ავტონომიის უფლებით მიერთების თხოვნამდე მივიდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის მანძილზე უწყვეტად უჭერდა მხარს მთიელთა რესპუბლიკას, პოლიტიკური და რაც მთავარია მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დახმარების სახით. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მიდგომას ამ ურთიერთობებში განსაზღვრავდა არა პოლიტიკური მეგობრის იდეა, არამედ საერთო საჭიროებები. საქართველოს პირდაპირ ინტერესებში შედიოდა მთიელთა დამოუკიდებლობა, რამდენადაც იგი კავკასიის თავისუფლების აუცილებელ ასპექტს და რუსეთისგან თავდაცვის ფარს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობა მთიელთა ბრძოლას საკუთარ ბრძოლად მიიჩნევდა, რის გამოც უმწვავესი ფინანსური პრობლემების ფონზეც კი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა მთიელთა მატერიალურ მხარდაჭერას. აღნიშნული მატერიალური და პოლიტიკური თანადგომა არ შეწყვეტილა რესპუბლიკის არსებობის მანძილზე.

ამავდროულად, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, საქართველო იქცა მთიელთა რესპუბლიკის სიცოცხლის გზად, მთიელთა ემიგრირებული მთავრობა თბილისში განაგრძობდა მოღვაწეობას, აქვე მიმდინარეობდა კავკასიური ერთობის შექმნის მორიგი მცდელობები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა მონდომებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, იგი მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო ისტორიულ მომენტს წარმოადგენს კავკასიის ახალ ისტორიაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

ავალიშვილი, ზ. (1929). საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (თარგმანი შალვა ელიაშვილის წინასიტყვაობით). ტფილისი.

- გოგოლიშვილი, ო., ბაციკაძე, გ. (2020). ბათუმის ოლქი 1917-1921 წლებში, გიორგი მაზნიაშვილი. ბათუმი: გამომცემლობა „ლაზარე“.
- ვაჩაგაევი, მ. (2022). ქართული ლეგიონი ჩეჩნეთში (1919 წლის სექტემბერი - 1920 წლის დეკემბერი). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. <https://gfsis.org.ge/ge/publications/view/3205>.
- კობახიძე, ბ., ირემაძე, ი., ხვადაგანი, ი., ხვადაგანი, დ. (2020). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლი. თბილისი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
- მაზნიაშვილი, გ. (1927). მოგონებანი 1917-1925. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- მამულია, გ. (2021). ანტანტის სახელმწიფოებისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის ურთიერთობის ისტორიიდან (1919 წ.). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. <https://gfsis.org.ge/ge/publications/view/2912>.
- საქართველოს რესპუბლიკა N7. 1919. მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გამოცემა 1918-1921.
- საქართველოს რესპუბლიკა N51. 1919.
- საქართველოს რესპუბლიკა N125, 1920.
- საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 3.
- სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 268.
- სცსაა, ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 13.
- სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 31.
- სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 172.
- სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 4.
- სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 18.
- სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 25.
- სცსსა, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 56.
- სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 25.

- სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 101.  
სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 34.  
სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 131.  
სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 43.  
სცსსა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 102.  
სცსსა, ფონდი 1869, ანაწერი 1, საქმე 4.  
სცსსა, ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 34.  
სცსსა, ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 6.  
სილაქაძე, დ. (2022). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონის ბოლშევიკური აჯანყებები 1918-1920 წლებში. თბილისი. <https://shorturl.at/CvJEx>  
სილაქაძე, დ. (2023). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის ორგანიზაცია და შეიარაღება (სადოქტორო დისერტაცია). თბილისი.  
შარაძე, გ., შარაძე, გ. (2001). ისტორიული რელიკვიების დაბრუნება (1918-1921). თბილისი.  
პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტისა 1920/21 წლისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. (1920). ტფილისი: სახელმწიფო სტამბა.  
MS. Wardr. c. 23 (2,3), Memorandum of the Delegation of the Georgian Republic, presented to the Peace Conference. Bodleian Library (University of Oxford), Georgian Manuscripts. 26.03.1919.  
Kazemzadeh, F. (1951). The struggle for Transcaucasia, 1917-1921. New York.  
Marshall, A. (2010). The Caucasus Under Soviet Rule. New York: Routledge.  
Джугели, В. (1920). Тяжелый Крест. Тфилиси.  
Гражданская война в России и мусульмане: Сборник документов и материалов. (2014). Москва. <https://docs.historyrussia.org/ru/nodes/84663-grazhdanskaya-voyna-v-rossii-i-musulmane>

Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918 гг.) и Горская Республика (1918-1920 гг.): Документы и материалы. (2013). Махачкала. <https://docs.historyrussia.org/ru/nodes/84667>



**Eastern policy of the Democratic Republic of Georgia: Relations with  
the North Caucasus (1918-1921)**

**Giorgi Batsikadze**

PhD Candidate

Batumi Shota Rustaveli State University

+995593592100. Giorgibatsikadze21@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-8671-8667>

**Abstract**

This scientific article investigates the relationship between the Democratic Republic of Georgia and the North Caucasus, focusing on its distinctive characteristics during the period from 1918 to 1921. It also delineates the core principles that shaped this relationship.

In 1918, Georgia regained its independence amidst significant international and domestic challenges. The Mountaineers Republic, which encompassed much of the North Caucasus, also declared its independence. The nascent states faced opposition from a common enemy, first in the form of White Russia and subsequently from Bolshevik Russia. Both states recognized the strategic importance of consolidating their positions in the Caucasus to succeed in their shared struggle.

The Democratic Republic of Georgia emerged against the backdrop of severe political crises and territorial claims from neighbouring states, compounded by anti-state actions from the Bolsheviks within its borders. Consequently, a substantial portion of the government's revenues was allocated to defence, creating significant

financial challenges that impeded gradual reforms and the comprehensive development of the nation. However, Georgia recognized that the freedom of the North Caucasus was vital, as it would establish a defensive barrier against Russia and bolster the independence of the entire region. As a result, throughout its existence, the Georgian government consistently supported the Mountaineers Republic, providing both political and material resources. The interests of the mountaineers became so closely aligned with those of Georgia that they expressed a desire to join the Republic with the right to autonomy.

This research outlines the nature of political cooperation between Georgia and the North Caucasus, grounded in mutual needs and interests. In the context of the country's challenging circumstances, the sustained and multifaceted support for the North Caucasus underscores the significance of the northern neighbours' freedom to the government of the First Republic of Georgia.

The article draws on archival documents, scholarly literature, and periodical press materials, with some sources and details being introduced in academic discourse for the first time.

**Keywords:** Democratic Republic of Georgia; Mountaineers Republic; Caucasus; Bolsheviks; Denikin; Confederation; Independence; Georgian Legion.

## **Introduction**

The history of the Democratic Republic of Georgia encompasses many noteworthy yet lesser-known aspects. Sharing insights from this historical experience of state-building and navigating complex geopolitical dynamics holds practical relevance today. The distinctive features of the First Republic's regional policy and its relationships with neighbouring states remain pertinent in the contemporary context. This research focuses on analysing Georgia's relations with the North Caucasus, highlighting the unique approaches and principal objectives involved. For the First Republic, supporting the independence of the

North Caucasus was a crucial element of its regional policy, viewed as a vital component for ensuring the freedom and security of the entire region.

Several notable and thorough studies address this topic, particularly the works of Mairbek Vachagaev, Giorgi Mamulia, and Mikheil Bakhtadze. Vachagaev's 2022 study examines the history of the Georgian Legion's activities in Chechnya.<sup>74</sup> Mamulia's 2021 article analyses the relations between the Mountaineers Republic and the Entente.<sup>75</sup> Additionally, a collaborative work by Bakhtadze and Mamulia compiles significant documents related to the interactions between Georgia and the North Caucasus from 1917 to 1921, offering valuable insights into the source material.<sup>76</sup> However, our proposed article delves into the specific features of the Georgian government's approach, highlights the significance of the North Caucasus in the country's political landscape, and introduces new archival documents related to this issue into academic discourse.

## Methods

The presented research is grounded in the emerging principles of historicism and objective reasoning. It utilizes a data collection method to gather various archival documents, periodical press materials, and relevant scientific or memoir literature. The article analyses this data, develops cause-and-effect reasoning, and summarizes the study's findings.

---

<sup>74</sup> Vachagaev, M. (2022). Georgian Legion in Chechnya. Georgian Foundation for Strategic and International Studies, (in Georgian, English, and Russian). <https://gfsis.org/ge/publications/view/3205>.

<sup>75</sup> Mamulia, G. (2021). From the History of Relations between the Entente States and the Mountaineers Republic of the Northern Caucasus (1919). Georgian Foundation for Strategic and International Studies, (in Georgian, English, and Russian). <https://gfsis.org/ge/publications/view/2912>.

<sup>76</sup> Bakhtadze, M., Mamulia, G. (2005). *masalebi sakartvelosa da chrdiloet k'avk'asiis urtiertobis ist'oriidan : 1917-1921* (The materials are about the history of relations between Georgia and the North Caucasus : 1917-1921). Tbilisi: "Artanuji" (in Georgian).



## **Results**

The Democratic Republic of Georgia and the Mountaineers Republic of the Caucasus defended their independence in front of the same force. Concurrence of interests, needs, and the need to consolidate forces pushed the parties to a confederate union. The interests of the First Republic of Georgia included strengthening the freedom of the mountaineers, which led to continuous political and material support of the Mountaineers Republic. In 1919-1920, the Georgian Legion fought alongside the mountaineers in Chechnya, and the question of Caucasian cooperation played a significant role in Georgia's international affairs. Even though it was impossible to unite the Caucasus for common goals and gain international support, the mentioned issue remains a very noteworthy moment in the history of the Caucasus.

## **Discussion**

The situation of the Democratic Republic of Georgia

The independence of the Democratic Republic of Georgia was declared on May 26, 1918, during the First World War (1914-1918), when the Caucasus was one of the epicentres of hostilities. In this context, the government emphasized in its declaration of independence that Georgia would adopt a position of permanent neutrality in international conflicts. The act stated that the republic aimed to establish good neighbourly relations with all political entities, particularly with neighbouring states and nations (Sharadze, 2001: 19-20). The republic's initial steps were overshadowed by territorial claims from the Ottoman Empire. While negotiations were ongoing, hostilities persisted, and in March 1918, the Ottomans occupied Adjara despite the resistance (Gogolishvili, Batsikadze, 2020: 17-18).

Despite its declared neutrality in the war, it was essential for Georgia to secure a powerful political ally. Germany, as an ally of the Ottomans, an opponent of Russia, and a key supporter of Georgia's independence, emerged as a logical international partner for the republic. On May 28, 1918, Germany and Georgia signed a temporary agreement in Poti, with Germany recognizing Georgia's independence

and establishing preliminary cooperative relations. As noted by Zurab Avalishvili, "Germany emerged as the godfather of Georgia's state independence" (Avalishvili, 1924 (1929): 59-60). Through this agreement, Germany expressed its commitment to protect Georgia's independence and oppose Russian encroachment. Military commissar von Nida urged the Ottoman side to acknowledge this agreement, warning that failure to do so would necessitate appropriate actions (CHAG 1864/1/34/folios 8-9).

However, Germany's defeat in World War I prompted a shift in Georgia's foreign policy. With England assuming the Germans' former positions, Georgia pivoted to a pro-Entente stance by late 1918, recognizing that this was the only viable path to maintain international recognition and freedom. In March 1919, the Georgian government presented a memorandum to the Paris Peace Conference, aiming to engage Western Europe's interest in the region and emphasizing the necessity of its independence (MS. Wardr. c. 23 (2,3), fol. 3-9).

After the conflict with the Ottomans, a full-scale war with Armenia erupted in December 1918, initiated by the invasion of Georgia by Armenian troops. The persistent revolts by the Bolsheviks further exacerbated the critical situation. In April-May 1918, the Bolsheviks invaded Abkhazia, prompting Georgia to separate some units of the Guard engaged in the war with Turkey to address the situation in Abkhazia under the command of Valiko Dzhugeli. This intervention temporarily stabilized the region (Jugheli, 1920: 8-19). However, in June, the Bolsheviks invaded Abkhazia a second time, coinciding with the deployment of an Ottoman landing force to Sukhumi. It took the entire summer to address the situation in Abkhazia (Mazniashvili, 1927: 59-79). At the turn of 1918-1919, shortly after the Armenian-Georgian war concluded, the Denikinians invaded Sochi, complicating the already tenuous situation and leading to a conflict that lasted several months.

Unrest began in the Tskhinvali region in January 1918, where armed groups dispersed the population, and the rebels seized Tsk-

hinvali in March. After order was restored, fleeing Bolsheviks participated in demonstrations organized in Sachkhere and Dusheti. Bolshevik uprisings occurred in Tskhinvali in the autumn of 1919 and in June 1920 (Silakadze, 2022: 11-40). Demonstrations orchestrated by the Bolsheviks also took place in Lechkhumi, Samtskhe, and Dusheti. While a small number of Georgian peasants participated in these demonstrations, they ultimately failed to achieve significant results (Kazemzadeh, 1951: 193). The ongoing chaos severely hindered the development of the newly established republic, which was forced to continuously repel both external and internal threats.

Given the existing reality, a substantial portion of the budget was naturally allocated to defence. In 1918-1919, defence expenditures accounted for 30.39% of the country's budget, totalling 201,021,373 manats. Although it was projected to be 31.50% in 1919-2020, the actual figure rose to 36.56%. Continuous warfare and logistical demands led to significant spending by the Ministry of Roads. Together, military and road expenditures consumed more than half of the budget (Project, 1920: V-VI). This occurred amidst an economic crisis accompanied by disrupted and sometimes suspended trade relations. Despite these enormous costs, military operations faced numerous challenges, including inadequate nutrition, a food crisis, and poorly equipped barracks (Silakadze, 2023: 107). There were instances where the population contributed meager funds to support national defence. For example, during the war with Armenia, the teachers' union in Gori decided to donate 5% of their salaries to the "front auxiliary committee" (*sakartvelos respublika* N7, 1919: 4). This situation was further marred by cases of mismanagement and the waste of substantial amounts of money within institutions (Kobakhidze..., 2020: 106-109).

In this challenging context, the relationship between the Democratic Republic of Georgia and the North Caucasus from 1918 to 1921 is significant and noteworthy, yet its specific character has not yet been fully explored.

### Georgia's relations with the North Caucasus (1918-1921)

In the aftermath of the 1917 revolution, the quest for independent unity in the North Caucasus began amidst significant uncertainties regarding Georgia. While it remained unclear whether the mountaineers would stay part of post-revolutionary Russia or pursue independence, the United Mountaineers' Union of the North Caucasus recognized Abkhazia as part of its territory in November 1917. In December, at a session of the National Interparty Council of Georgia, Akaki Chkhenkeli stated that the government of the Mountainous Republic sought to establish a connection with the Georgians. However, this was hindered by border disorganization, particularly concerning Abkhazia's admission into the Union of the Peoples of the Northern Caucasus (CHAG 1836/1/3/11). As the mountaineers embarked on their path to independence, the situation evolved. The declaration of independence from the Mountaineers Republic on May 11, 1918, stated that the southern border would be determined through negotiations with the Transcaucasian government (*soiuz...*, 2013: 54, 76). It was evident that the independence of the mountaineers and their friendly relations with Georgia were closely intertwined.

The Mountaineers Republic, established in the North Caucasus, fought against both the Denikinites and the Bolsheviks, seeking international support to maintain its independence. The West initially viewed the Mountaineers Republic as a pro-Ottoman entity. However, by late 1918, its political orientation shifted firmly toward the pro-Entente direction, aligning with Georgia's course. Following a request from the British, Ottoman troops withdrew from the North Caucasus in December. In November, Haydar Bamat, the Minister of Foreign Affairs of the Mountaineers Republic, travelled to Switzerland to initiate diplomatic efforts aimed at securing support from England and France. He sought to convince European powers that, rather than supporting Denikin, recognizing the independence of nations oppressed by Russian imperialism would provide a solid foundation for tangible political and economic success against the Bolsheviks. Simu-

ltaneously, Bamat recognized that Western politics did not align with this perspective, concluding that the only viable path to independence for the Mountaineers Republic lay in a Caucasus confederation (Mamulia, 2021: 2, 6-9, 17).

As early as February 1918, before the declaration of independence, the mountaineers proposed exploring potential avenues for political and economic unification in Transcaucasia. To this end, the Union of North Caucasus and Dagestan Mountaineers established a special commission (Vachagaev, 2022: 1-3). On May 27, 1918, Georgia's Minister of Foreign Affairs, Akaki Chkhenkeli, communicated to Haydar Bamat that Georgia would welcome the establishment of close ties with neighboring Caucasian nations and Dagestan based on confederation principles. Additionally, on May 31, he informed Chermoev that Georgia would safeguard the interests of the mountaineers in negotiations with Germany and support their efforts to strengthen independence (CHAG 1864/2/43/fol. 1-2).

It is significant to note that Georgia initially recognized the need to strengthen the independence of individual states for the creation of the confederation. In November 1918, the government secretly instructed its diplomatic representatives not to oppose the Transcaucasian Confederation, emphasizing that individual nations should first be solidified as independent states (CHAG 1861/3/4/fol. 7-8). This identical position would serve as the foundation for Georgia's political relations with the North. Consequently, Georgia actively promoted the independence of the mountaineers.

To facilitate this, the government established a special commission to conduct negotiations with the Republic of Terek. This commission included the Minister of Roads, Ivane Lortkipanidze; the Deputy Minister of Internal Affairs, Gerasime Makharadze; and the Chairman of the National Guard Staff, Valerian Jugheli (CHAG 1861/2/13/fol. 3).

The Georgian government was acutely aware of the significance of the ongoing developments in the North Caucasus and the necessity

of supporting the mountaineers for Georgia's own security. The independence of the North Caucasus was intrinsically linked to the interests of both Georgia and Azerbaijan, as the independence of these Caucasian nations would enhance mutual security and create a defensive barrier against Russia. However, achieving freedom for the mountaineers was impossible without their active support. In light of these interests, the government approached the matter with the necessary seriousness. For instance, in 1919, Georgia's government allocated one million manats from the military fund, by secret decree, specifically for intelligence operations in the North Caucasus (CHAG 1861/3/4/fol. 76). Throughout its existence, the government of the Democratic Republic consistently provided the Mountaineers Republic with moral, diplomatic, and, crucially, material support.

Beginning in early 1919, following the clash between the mountaineers and the Denikinites, the process of providing assistance became more active. The mountaineers appealed to Georgia for help, leading the government to instruct the Minister of Foreign Affairs to issue a corresponding protest note and allocate a credit of 3 million roubles to the Republic of the Mountain Union (CHAG 1861/2/13/fol. 5).

It was clear to all that the mountaineers' struggle against Denikin was not only their own fight but also one that impacted the entire Caucasus. The northerners sought to bolster support from the southerners by highlighting the dangers that would arise if the mountaineers were left to fend for themselves. Ossetian public figure Akhmed Tsalikov pointed out that both they and the Bolsheviks found themselves on the same side in the struggle against Denikin, which posed a risk of increasing sympathy for the Bolsheviks among the Caucasians. He asserted that only armed support from allies could halt the rising tide of Bolshevik sentiments (CHAG 1864/2/102). The Georgians were acutely aware of this, which drove the government to maintain material assistance for the mountaineers even amid severe financial challenges. Nonetheless, it was evident that Georgia's resources alone

could not address these threats, leading the government to seek international support.

In a clear protest note issued on March 5, the Minister of Foreign Affairs of Georgia, Evgeni Gegechkori, condemned the White Guard's violation of the right to self-determination and the independence of the Mountaineers Republic, expressing Georgia's solidarity and sympathy with the mountaineers in their defence of sovereignty (*sak-artvelos respublika* N51, 1919:2). Although the protest note considered the recognition or rejection of independence to be a matter for the World Congress, Georgia nonetheless announced its position internationally, recognizing the independence of the Mountaineers Republic. At the same time, the note served as a warning to Denikin that his confrontation with the mountaineers could push them toward embracing the Bolshevik path.

At the same time, efforts to establish a common Caucasian foundation continued. In April, a conference of the Caucasian republics convened in Tbilisi, where several commissions were formed, including political, financial, and refugee committees. Representatives from the mountaineers included Murundin Penzulaev and Aslanbek Butaev, alongside Kantemir. The unification of the Caucasus was a key item on the political agenda. The four republics needed to recognize one another, delineate their borders, and develop a cohesive defence and foreign policy mechanism (CHAG 1864/1/131/fol. 1-3). However, dissonance emerged from the Armenian delegation during the conference, while the situation in Chechnya remained critical.

The Georgian command sought to maximize assistance from available state resources. In March 1919, following a report from Major-General Andronikashvili, the mountaineers received two airplanes as well as several trucks and cars. They also requested a radio station, sending G. Butaev to negotiate. In April, the government provided the mountaineers with a radio station valued at 280,000 roubles

and a new mast worth 40,000 roubles at no charge (CHAG 1861/2/13/fol. 7-17).<sup>77</sup>

As said above, Turgut Özal pursued a very active and pragmatic foreign policy influenced by certain personal traits. He tried not to provoke conflicts with anyone on foreign policy issues. His principle was: "Let's not make enemies unnecessarily", but act according to the national interests.

In foreign affairs Özal attached great importance to personal relationships. He forged close ties with the leaders of both Western and Muslim countries of the time. His personal qualities earned him goodwill, which was conducive to the implementation of his plans. Another peculiarity of his foreign policy was the telephone diplomacy. He would often have phone conversations with world leaders for which he was frequently criticized. At the time, this type diplomacy was making its first steps but is widely used today. It should be noted that during his presidency, Özal often made significant foreign policy decisions without consulting the government, which caused dissatisfaction among some government members (Ertosun, 2014: 297).

### **Conclusion**

However, it would be a mistake to attribute Özal's foreign policy, or the political and socio-economic changes that took place in Turkey in the 1980s, solely to Özal's personal qualities, talent, vision, or omissions. Like the other states, Turkey could not make decisions completely on its own for its geographical location and political ties imposed certain conditions and influenced its decisions (Laçiner, 2011: 6. 01).

All in all, Özal's pragmatic decisions on both international and regional levels were in line with the national interests of the country at the time. Özal integrated Turkey into the global economy. With the transition to a free-market economy and an open-door policy, Turkey managed to become the regional leader. The foreign policy which Ozal government used to carry out in 1983-1993, played an important role in this.

### References:

- Ataman, M. (2002). Leadership Change: Özal Leadership and Restructuring in Turkish Foreign Policy. *Turkish Journal of International Relations*, Volume 1, Number 1, Spring.
- Carter V. Findley. (2011). Modern Türkiye Tarihi (Çev. Güneş Ayas). İstanbul: Timaş Yayınları.
- Demiray, M. (2015). Turgut Özal Dönemi Türkiye Cumhuriyeti'nin Dış Politikası (1983-1993). *Türk Dış Politikası - Cumhuriyet Dönemi – 1. Editör: Bıyıklı, M. 2. Baskı*: İstanbul: Bilimevi Basın Yayın Ltd. Şti.
- Ertosun, E. (2014). Dış Politikada Özal'lı Yıllar 1983-1993. *Türkiye'nin Demokrasi Tarihi: 1946-2012*. Altıncı bölüm. Ankara: Turgut Özal Üniversitesi yayınları.
- Laçiner, S. (2011). Turgut Özal Dönemi Türk Dış Politikası. <http://slaciner.blogspot.com/2011/01/turgut-ozal-donemi-turk-ds-politikas.html>, 6. 01.
- Talbott, S. U.S.-Turkish Relations in an Age of Interdependence. Policy #344, October 16, 1998 <https://www.mtholyoke.edu/acad/intrel/talbturk.htm>.
- Утургаури, С. & Ульченко, Н. ( 2009) Тургут Озал – Премьер и Президент Турции, Москва: Восток.
- Uzgel, İ. (2001). ABD ve NATO İlişkiler. *Türk Dış Politikası, II c.* Editör Oran, B. İstanbul: İletişim Yayınları.

Yakın Dostların Dilinden Turgut Özal'ın Dış Politikasını Anlamak.  
(2015). Editör Ertosun, E. Ankara: Turgut Özal Üniversitesi.  
Review of Emzar Makaradze Work - *History of Turkey 1918-2018*  
(Lecture Notes). Herald of Oriental Studies 2 (October): 214-  
216. <https://doi.org/10.61671/hos.2.2019.2796>.  
<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/2796>.



ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა

HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

---

---

**არჟანგების მხატვართა დინასტია და თბილისი**

**მარინა ალექსიძე**

ფილოლოგიის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

საქართველო, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის პროსპექტი #1.

+995599921647. marinalexidze@hotmail.com

<https://ORCID.org/0000-0002-8858-8261>

**გრიგოლ ბერაძე**

ისტორიის დოქტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ადმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის

მკვლევარი. საქართველო, ქ. თბილისი,

აკად. გ. წერეთლის ქუჩა #3. 0162;

+995599582932. grigol.beradze@gmail.com

<https://orcid.org/0009-0001-0506-1887>

### **აბსტრაქტი**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ირანელი, განსაკუთრებით კი თავრიზელი (ირანის აზერბაიჯანი) მხატვრებისთვის თბილისი იყო უახლოესი ქალაქი, სადაც შეიძლებოდა ევროპული აკადემიური მხატვრობის პრინციპების, მეთოდებისა და ტექნიკის გაცნობა და დაუფლება. ამ დროს თბილისში ფუნქციონირებდა არაერთი სამხატვრო საზოგადოება და კერძო თუ სახელმწიფო სამხატვრო სკოლა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში სამხატვრო განათლება მიიღო თავრიზელი არჟანგების დინასტიის რამდენიმე თაობამ, რომლებიც თანამედროვე ირან-

ული მხატვრობის გამორჩეულ სახეებად ითვლებიან: სეიდ ებრაჰიმ აყა მირმა და მისმა ვაჟებმა სეიდ ჰოსეინმა და სეიდ აზასმა.

**საკვანძო სიტყვები:** თბილისი; თავრიზი; თბილისის სამხატვრო სასწავლებელი; სეიდ ებრაჰიმ აყა მირი; სეიდ ჰოსეინი; სეიდ აზასი.

## **შესავალი**

XIX საუკუნე ქართულ-სპარსული ურთიერთობების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ცნობილია, როგორც „აღმოსავლეთის უკანასკნელი, ათასმეერთე ზღაპარი საქართველოში“. ირანი საბოლოოდ კარგავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ თავის ოდინდელ ჰეგემონიას მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე. დამქანცველი ომებისა და ირანისთვის არც თუ ისე სახარბიელო ზავების ფონზე, ირანს დიპლომატიური ურთიერთობა უწყევს რუსეთის ძლიერ იმპერიასთან. მეტროპოლიის ცენტრი ჩრდილოეთისკენ ინაცვლებს, ხოლო თბილისი რუსეთის მეფისნაცვლის სარეზიდენციო ქალაქი ხდება. ერთი მხრივ, ირანის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებით და, მეორე მხრივ, რეგიონში საქართველოს გამორჩეული მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ პერიოდის თბილისის ირანული თემი მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყო. ირანელებისთვის თბილისი გახდა ერთგვარი „კარი დასავლეთში“, სადაც სამუშაოს საძებნელად, განათლების მისაღებად თუ სამოგზაუროდ ჩამოდიოდნენ.

## **მეთოდი**

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ფართოდ აპრობირებული მეთოდოლოგია, კერძოდ, სპარსული და ევროპული წყაროების შედარებითი კვლევისა და მონაცემთა შეჯერების მეთოდი.

## **შედეგი**

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ირანელების არც თუ ისე მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც „ევროპული განათლების“



მისაღებად და „ევროპული ხელობების“ შესასწავლად თბილისში ჩამოდიოდა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ცნობილი მხატვარ ალჟანგების ოთხი თაობის წარმომადგენლები იყვნენ.

### **მსჯელობა**

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განათლებულ და შეძლებულ სპარსელებში ლამის წესად იქცა „ევროპული ენების, პროფესიებისა და ცხოვრების წესის შესასწავლად“ შვილების საზღვარგარეთ გაგზავნა. ვისთვისაც ევროპის დიდი ქალაქები გეოგრაფიულად და, განსაკუთრებით, ფინანსურად მიუწვდომელი იყო, ისინი ჩამოდიოდნენ რუსეთის იმპერიის მათთვის უახლოეს ქალაქში - თბილისში და განათლებას აქაურ სადღეღამისო საოჯახო პანსიონებში და სასწავლებლებში იღებდნენ.

სპარსელები თბილისში ჩამოდიოდნენ იმ „ევროპული ხელობების“ შესასწავლადაც, რისი საშუალებაც იმ დროს ირანში არ იყო. ერთ-ერთი ასეთი ხელობა სასტამბო საქმე იყო. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1821 წელს ირანის ტახტის მემკვიდრე-უფლისწულმა აბას მირზამ აქ ლითოგრაფიის ტექნიკის შესასწავლად გამოგზავნა ირანელი მხატვარი ალაჰვერდი (Ter-Oganov, 2000: 402). 1859 წელს თბილისში სასტამბო საქმეს დაეუფლა ირანელი მოგზაური ჰაჯ საიიაჰი, რომელიც თბილისში ყოფნის პერიოდში რეგულარულად დადიოდა ვინმე ჰამბარცუნის კუთვნილ სტამბაში, სადაც ასოთამწყობის პროფესიას სწავლობდა (ალექსიძე, 2008:6-13).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ირანელი, განსაკუთრებით კი თავრიზელი (ირანის აზერბაიჯანი) მხატვრებისთვის თბილისი იყო უახლოესი ქალაქი, სადაც შეიძლებოდა ევროპული აკადემიური მხატვრობის პრინციპების, მეთოდებისა და ტექნიკის გაცნობა და დაუფლება. ამ დროს თბილისში ფუნქციონირებდა არაერთი სამხატვრო საზოგადოება და კერძო თუ სახელმწიფო სამხატვრო სკოლა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში სამხატვრო განათლება მიიღო თავრიზელი არჟანგების დინასტიის სამმა წევრმა, რომლებიც თანამედროვე ირანული

მხატვრობის გამორჩეულ სახეებად ითვლებიან: სეიდ ებრაჰიმ აყა მირმა და მისმა ვაჟებმა სეიდ ჰოსეინმა და სეიდ აბასმა. 1920-იან წლებში, როცა ირანში დასავლური ქვეყნების მიზამდით გვარები შემოიღეს, ძმებმა გვარად აირჩიეს „არჟანგი“, წინასწარმეტყველ მანის წიგნის სახელწოდების მიხედვით, რომელიც ფერადოვანი ილუსტრაციების გამო ირანელებისთვის (და მთელი აღმოსავლეთისთვის) მხატვრობის სიმბოლოს წარმოადგენს. ასე გადაიქცა სეიდ აბასი აბას რასამ არჟანგად, ხოლო მისი ძმა სეიდ ჰოსეინი - ჰოსეინ მირ მოსავარ არჟანგად. აბასის სახელის მეორე კომპონენტი - რასამი ასევე მხატვარს ნიშნავს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლურმა კოლექციამ შემოგვინახა არჟანგების დინასტიის არაერთი წარმომადგენლის ნამუშევარი. XX საუკუნის დასაწყისში სეიდ ებრაჰიმის სულ ცოტა ორი ნახატის არსებობას ადასტურებს აბას რასამი თავის მემუარებში. თბილისში სწავლის პარალელურად, ის, კავკასიის მუზეუმის დირექტორის ბრძანებით, მუზეუმის საცავებში დაცული ირანელი მხატვრების დაზიანებული ნამუშევრების შესაკეთებლად მიიწვიეს. თავრიზელი მხატვრების კოლექციაში მან მამამისის ორი და ბაბუამისის ერთი ნახატი იპოვა (Arjangi, 2019:30). ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების ფონდში დღესაც ინახება აბას რასამ არჟანგის რამდენიმე ნამუშევარი, რომლებიც გრიგოლ ბერაძემ აღწახა და შეისწავლა და ამ კვლევის შედეგები წარმოადგინა სამეცნიერო კონფერენციებზე თბილისში (Beradze, 2014), თეირანსა (Beradze, 2018) და ბაქოში (Beradze, 2020).

სეიდ ებრაჰიმ აყა განეკუთვნებოდა თავრიზის ძველ და სახელოვან საგვარეულოს, რომელიც თავს მიიჩნევდა „სეიდად“ ანუ წინასწარმეტყველ მუჰამედის პირდაპირ შთამომავლად. სეიდ აბასის მოგონებით, ის მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, პოეტი, კალიგრაფი და მჭევრმეტყველი... განსაკუთრებით უყვარდა ისტორია და ლიტერატურა და ფრანგ და რუს მწერლებს კარგად იცნობდა. მაგრამ მის ძირითად გატაცებას მაინც მხატვრობა წარმოადგენდა. სამხატვრო განათლების მისაღებად და ამ სფეროში დასაოსტატებლად, ის 1880-იან წლებში თბილ-

ისში ჩამოვიდა, რადგან იმ დროს „ირანში მხატვრობის შესწავლის საშუალება არ იყო“ (Arjangi,2019:24). ებრაჰიმ აყამ ჩააბარა თბილისის ერთ-ერთ სამხატვრო სკოლაში, სავარაუდოდ კ. კეპენის ხელოვნების კერძო სკოლაში, რომელიც სანტ. პეტერბურგის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის დაქვემდებარებაში იყო, რაც მის რჩეულ მოწაფეებს საშუალებას აძლევდა, სწავლა რუსეთში გაეგრძელებინათ. როგორც ჩანს, თბილისში სწავლის პერიოდში სეიდ ებრაჰიმმა თავი გამოიჩინა, რადგან სკოლის დასრულებისთანავე რუსეთში გააგზავნეს და 1890-იან წლებამდე იქ მოღვაწეობდა. სამშობლოში ებრაჰიმ აყა უკვე სახელმოხვეჭილი მხატვარი დაბრუნდა და ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის მოზაფარ ად-დინ მირზას კარის მხატვარი გახდა. მისი შვილებიც - უფროსი სეიდ ჰოსეინი და უმცროსი სეიდ აბასი მამის კვალს გაჰყვნენ და 1900-იან წლებში მხატვრობის შესასწავლად თბილისში ჩამოვიდნენ: სეიდ ჰოსეინი 1901 წელს, ხოლო სეიდ აბასი 1911 წელს.

აბას რასამ არჟანგი თბილისში მამის გარდაცვალების შემდეგ ჩამოვიდა და აქ ოთხი წელი (1911-1914) დაჰყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ფუნქციონირებდა რამდენიმე სამხატვრო საზოგადოება და კერძო თუ სახელმწიფო სამხატვრო სკოლა. პირველი სამხატვრო საზოგადოება დაფუძნდა 1873 წელს და 1874 წელს დააარსა საქართველოში პირველი დაწყებითი სამხატვრო სკოლა. 1877 წელს საზოგადოება გაერთიანდა მუსიკალურ საზოგადოებასთან და შეიქმნა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოება“, რომელმაც 1901 წელს გახსნა საშუალო სამხატვრო სასწავლებელი - ფერწერისა და ქანდაკების სკოლა. სკოლას პატრონაჟს უწევდა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო სასწავლებელი. სკოლა არშაკუნის სასახლეში, დღევანდელი სამხატვრო აკადემიის შენობაში ფუნქციონირებდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ სკოლაში სწავლობდა აბას არჟანგი, ყოველ შემთხვევაში მის მემუარებში აღწერილი სასწავლებელი სწორედ ამ სკოლას ჰგავს. აბასის სწავლის პერიოდში - 1911-14 წლებში სკოლის დირექტორი იყო ოსკარ შმერლინგი,

სამხატვრო კურსს უძღვებოდნენ ჰენრიხ გრინევსკი, ბორის ფოგელი, მოსე თოიძე და სხვები, ხოლო მისი თანაკურსელები უნდა ყოფილიყვნენ ისეთი დიდი ქართველი მხატვრები, როგორებიცაა ლადო გუდიაშვილი (1910-1914) და ქეთევან მაღალაშვილი (1911-1914).

თბილისის შემდეგ, აბას რასამმა სწავლა მოსკოვში განაგრძო და სამშობლოში 1917 წელს დაბრუნდა. მან ჯერ თავრიზში, შემდეგ კი თეირანში დაიწყო მოღვაწეობა როგორც მხატვარმა, კალიგრაფისტმა, მინიატურისტმა და მოქანდაკემ, ასევე წერდა ლექსებსა და პიესებს. თეირანში მან თავდაპირველად ბედი კულტურის სამინისტროში სცადა, მაგრამ არ გაუმართლა: დიდმა ოსტატმა ქამალ ალ-მოლქმა მისი ნახატები „უნახავად“ დაიწუნა და აბასი იძულებული გახდა საკუთარი გალერეა გაეხსნა, რომელსაც „არჟანგის გალერეა“ უწოდა. გალერეა თეირანის ცენტრალურ ქუჩაზე ალა ალ-დოულეს (დღევანდელი ფირდოუსის) გამზირზე მდებარეობდა და ადგილობრივი შემოქმედებითი ელიტის თავშეყრის ადგილი იყო. სწორედ იქ მოეწყო აბას არჟანგის პირველი პერსონალური გამოფენა 1928 წელს, 1930 წელს კი ბელგიაში ანტვერპენის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატებისთვის იგი ოქროს მედლითა და დიპლომით დაჯილდოვდა. გარდაიცვალა არჟანგი 1975 წელს. მას 2000-მდე ნამუშევარი დარჩა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საუკეთესო ირანელ მხატვრად ითვლება. თანამედროვეთა შეფასებით, ის „სრულყოფილად ფლობდა ზეთის საღებავების, აკვარელისა და გრაფიკის ტექნიკას და ვერავინ შეედრებოდა ფერთა შერევისა და შეხამების ხელოვნებაში“ (‘Ali Mo’ayeri, 2011:293). მისი ნახატები მრავალ გალერეას ამშვენებს და მათ შორისაა საქართველოს ეროვნული გალერეაც. არჟანგის მხატვართა საგვარეულოს სრულფასოვანი სურათის წარმოსაჩენად ამ ბიოგრაფიულ ექსკურსს დავასრულებთ ინფორმაციით აბას რასამის შვილების შესახებ: მისი უფროსი ვაჟი ჰომე არჟანგი თავის ეპოქის ცნობილი მუსიკოსი და მხატვარი, ხოლო უმცროსი ფარჰად არჟანგი - მწერალი და მხატვარია. მისი ექვსი ქალიშვილიდანაც ოთხი მამის კვალს

გაჰყვა: ერთი კალიგრაფია, ორი - მხატვარი და ერთიც - პოეტი. მხატვარია აბას რასამის შვილიშვილი ფარასთუ განჯევიც (Jamshidi, 2012:343-361).

გარდა მხატვრული ტილოებისა, აბას რასამმა დაგვიტოვა ლექსების სამტომეული და ასევე მემუარული თხზულება „მოგონებების დღიური“, რომელიც პირველად 2012 წელს, მისი გარდაცვალებიდან 37 წლის შემდეგ დაიბეჭდა და 2019 წელს ხელმეორედ გამოიცა. ეს არის ავტობიოგრაფიული თხზულება, რომელიც, სხვა მემუარული წიგნებისგან განსხვავებით, ინფორმაციულად არც თუ ისე მდიდარია და მთლიანად კონცენტრირებულია ავტორის პიროვნებაზე და მის შინაგან სამყაროზე. წიგნის თბილისურ ეპიზოდში ყურადღება გამახვილებულია ორ ძირითად საკითხზე: სამხატვრო სასწავლებელში სწავლასა და პროფესიულ წინსვლაზე და იმ პერიოდის თბილისში მუდმივად თუ დროებით მყოფი ირანელების ყოფასა და რევოლუციურად განწყობილი ნაწილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობაზე. თუმცა ავტორის ყურადღების მიღმა არ რჩება არც სხვა, ყოფითი საკითხები. იგი ემოციურად, ხან იუმორით და ხან გულისტკივილით, გვიყვება თავის ყოველდღიურ ცხოვრებაზე - ურთიერთობაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან და ირანელ თანამემამულეებთან, თანაკლასელებთან და პედაგოგებთან, პირველ სიყვარულსა და მასთან დაკავშირებულ განცდებზე, დაპატიმრებაზე, ციხეში მოხვედრასა და შემდეგ ირანელი თანამოაზრეების დახმარებით გისოსების გადახერხვაზე და ციხიდან გაპარვაზე. წიგნში ძლიერია ავტობიოგრაფიული თხზულებებისთვის დამახასიათებელი თავის მოწონებისა და შთაბეჭდილების მოხდენის ელემენტი, რაც ზოგჯერ საკუთარი თავით ტკობაშიც კი გადადის.

XX საუკუნის დასაწყისის თბილისის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის სამხატვრო სასწავლებლის აღწერა. არჟანგი თავის მემუარებში საკმაოდ დეტალურად აღწერს სკოლას, რომელსაც მოიხსენიებს სახელით „ჰონარესთან-ე ნაყაში“ ანუ სამხატვრო სასწავ-

ვლებელი. სასწავლო კურსი ექვსწლიანი იყო და მეცადინეობები კვირაში ხუთი დღე ორ ცვლად მიმდინარეობდა: 9-დან 12 საათამდე მოწაფეები ფერწერის ტექნიკას ეუფლებოდნენ, ხოლო 6-დან 8-მდე - სპეციალური ნახშირით გრაფიკაში ვარჯიშობდნენ. სკოლა მოწაფეებს უზრუნველყოფდა ყველანაირი სახატავი საშუალებით. ექვს თვეში ერთხელ სკოლაში იმართებოდა გამოფენა, რომელზეც საუკეთესო ნამუშევრები იფინებოდა. სკოლაში სამას მოწაფემდე სწავლობდა და სწავლის კურსის დასრულების შემდეგ გამორჩეული მოწაფეები მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში აგრძელებდნენ სწავლას. თუ არჟანგის დავუჯერებთ, თბილისში სწავლების წლები მისთვის პროფესიულად ძალიან წარმატებული გამოდგა: მან მალევე მოიპოვა სასწავლებლის ნომერ პირველი მოწაფის სტატუსი და არა მხოლოდ ნამუშევრების გაყიდვა მოახერხა, არამედ მუდმივი დამკვეთებიც კი იშოვა. სასწავლებლის დირექტორის რეკომენდაციით, მან მუშაობა დაიწყო კავკასიის მუზეუმში, აღმოსავლურ ფონდში დაცული ირანელი მხატვრების დაზიანებული ნამუშევრების რესტავრატორად.

მეორე საკითხი, რომელსაც არჟანგი დეტალურად ეხება არის ირანელების ყოფა და საქმიანობა თბილისში. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ადგილობრივები, განსაკუთრებით კირუსები, ირანელებზე დაბალი აზრის არიან და მათ მტრული თვალით თუ არა, ქედმაღლურად უყურებენ. არჟანგი ამას თბილისელი ირანელების გაჭირვებული მდგომარეობით და მათი „დამამცირებელი“ საქმიანობით ხსნის: „ისინი, ძირითადად, ქუჩებში ქალისა და მამაკაცის წინდებით, თავსაფრებით ან ნავთით ვაჭრობენ“ (Arjangi, 2019:26). რუსების ირანელებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება კარგად ჩანს ნიჭიერი ირანელი მოწაფით დაინტერესებული პეტერბურგელი პროფესორის სიტყვებში, რომელიც არჟანგის ირანელი ხელოვანების საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების ფორმულას ასე უყალიბებს: ირანის სიყვარულის გულიდან ამოგდება, რადგან ამ ქვეყანაში მაღალი რანგის ხელოვანებიც კი შიმშილით კვდებიან; ალკოჰოლსა და თამბაქოზე უარის თქმა; მხოლოდ რუს ქალზე დაქორწინება; რუს-

ეთის მოქალაქეობაზე უარის თქმა და გვარის რუსულ ყაიდაზე გადაკეთება (არჟანგი, რომელიც იმ დროს ჰოსეინად იწერებოდა ოსეინოვი უნდა გამხდარიყო). სანაცვლოდ რუსი პროფესორი მას ყოველთვიურ რუსულ პენსიას და სწავლის პეტერბურგში გაგრძელებას ჰპირდებოდა.

რუსების ქედმაღლურ დამოკიდებულებაზე მეტად არჟანგის ადგილობრივი მუსლიმების ირანელებისადმი ნეგატიური და ხშირად მტრული დამოკიდებულება აწუხებდა. იმ პერიოდში ამიერკავკასიაში და, მათ შორის, თბილისში ძალიან ძლიერი იყო პანთურქისტული და ანტიირანული განწყობები. არჟანგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი ოსმალები (თურქები) და რუსები გამუდმებით ირანის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევიან, რაც იმით არის განპირობებული, რომ ოსმალებს მთელი კავკასიის დამორჩილება სურთ, ხოლო რუსებს იმის ემინიათ, რომ კავკასია ისევ ირანის დაქვემდებარებაში არ გადავიდეს“ (Arjangi, 2019:26). არჟანგი ახერხებს თავის გარშემო ირანული წარმომავლობის ახალგაზრდების შემოკრებას, ირანის სახელოვან წარსულზე, მძიმე აწმყოსა და კონსტიტუციური რევოლუციის სიკეთეებზე საუბრებით მათ გულებში ირანის სიყვარულის და საკუთარი ქვეყნით სიამაყის გრძნობის გაღვივებას, რაც „ირანის მოყვარულთა ჯგუფის“ შექმნით გვირგვინდება. 1916 წელს მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ არჟანგის ირანელების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებული ხდება. მისი აღწერით, თბილისის ქუჩებში განათლებული ირანელების ჯგუფ-ჯგუფად „მხოლოდ და მხოლოდ ირანელობისთვის“ დაკავება და სასამართლოს გარეშე ერთი მთის ძირში დახვრეტა, იმ დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ირანელების მძიმე ხვედრი არჟანგიმაც გაიზიარა. იგი ღამით საკუთარ სასტუმროში დააკავეს და მიუხედავად იმისა, რომ ვერანაირი კომპრომატი ვერ უპოვეს (ჩხრეკისას კედლის კალენდრის უკან დამალულ ანტირუსული და „ანტიცარული“ ლექსების რვეულს ვერ მიაგნეს), მაინც ციხის კამერაში დაამწყვდიეს. გარდაუვალი სიკვდილისგან არჟანგი მის მიერ შექმნილი „ირანის მოყვარულთა ჯგუფის“ წევრებმა იხსნეს:

მისი კამერა იპოვეს, გისოსები გადახერხეს, ციხიდან გამოიყვანეს და მატარებლით ჯულფაში გააპარეს.

აბას რასამი ბევრს არ საუბრობს საკუთრივ თბილისსა და მის ღირშესანიშნაობებზე. ქალაქის შესახებ ინფორმაცია ამოიწურება მუმტაიდის ბაღით, რომლის დამაარსებლის მირ ფათაჰ მოჯთაჰედის ისტორიას თავრიზელისგან სრულიად მოსალოდნელი და გასაგები ტენდენციურობით ყვება, და ფუნიკულიორით, რომელსაც იმდროინდელი თბილისურ-მუსლიმური ტრადიციით შეიხ სანაანის მთას უწოდებს. შეგახსენებთ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში თბილისელ მუსლიმებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო შეიხ სანაანის ლეგენდის ლოკალური ვერსია, რომლის მიხედვითაც მოქმედება საქართველოში მოხდა, შეიხის სატრფო ქართველი ქალი იყო და მისი სიყვარულით გაქრისტიანებული შეიხი თბილისში დარჩა და მამადავითის ეზოშია დაკრძალული<sup>80</sup>. მემუარებიდან კარგად ჩანს, რომ ადგილობრივმა ირანელებმა კარგად იციან ეს ისტორია, რადგან ქართველ ქალზე გამიჯნურებული ერთ-ერთი ირანელი თავს ასე იმართლებს: რა მოხდა, რით ვარ შეიხ სანაანზე ნაკლებიო.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ აბას რასამ არჟანგი კარგ მხატვართან ერთად მშვენიერი მწერალიცაა. მისი „მოგონებების დღიური“ მარტივი, ცოცხალი ენით არის დაწერილი, თხრობა საკმაოდ დინამიურია, ხან ტრაგიკული და ხან იუმორისტული პასაჟებით გაჯერებული და ძალიან სახალისოდ იკითხება. გარდა ამისა, კვლევის პროცესში განხილული წყაროები შეიცავს საკმაოდ საინტერესო მასალას მეოცე საუკუნის დამდეგის თბილისის ისტორიის სხვადასხვა ასპექტით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

## **დასკვნა**

არჟანგების მხატვართა ოჯახის და, პირველ რიგში, აბას რასამის ისტორია მრავალი თვალსაზრისით არის მნიშვნელო-

---

<sup>80</sup> ვრცლად შეიხ სანაანის კავშირზე თბილისთან იხ.: ალექსიძე, 2009: 9-26, 109-115; Alexidze, 2009: 73-85; Javaher Kalam, 1971: 761-764.



ვანი, როგორც სახასიათო მაგალითი ირანელებისა, რომელნიც ესწრაფვოდნენ მიეღოთ ევროპული განათლება ირანის გარეთ და, კერძოდ, თბილისში. ის წარმოაჩენს XIX საუკუნეში თბილისში მცხოვრებ ირანელთა კულტურისა და ყოფის ბევრ ასპექტს, მათ იდეებს, წარმოდგენებსა და მისწრაფებებს.

### დამოწმებული ლიტერატურა:

- ალექსიძე, მარინა. (2009). *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, თბილისი.
- ალექსიძე, მარინა. (2008). „ჰაჯ საიაჰი საქართველოში.“ პერსპექტივა - XXI, № 10, თბილისი, გვ. 6-13.
- Alexidze, Marina. (2009). “*Le Cheikh Sanaan et Tiflis/Tbilisi*”. F. Hellot -Bellier et I. Natchkebia, eds., *La Géorgie entre Perse et Europe*, Paris: L’Harmattan, p. 73-85.
- Arjangi Rassam. (2019). *Daftar-e Khaterat-e Rassam Arjangi*, be kushesh-e Mohammad Hasan Hamdi Aydin Aghdashlu va Khoshayar Fahimi, Tehran, 1398/2019.
- Beradze, Grigol. (2014). “*From Tabriz to Tiflis with an Easel in Hand: On Some Iranian Artists Who Studied in Tbilisi (Late 19<sup>th</sup> – Early 20<sup>th</sup> c.)*”. International Conference “Looking Back and Ahead: An Insight into the Iranian Influence in the Caucasus”, G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University, Observatory of the Caucasus/French Institute for Anatolian Studies, Tbilisi, October 1-2.
- Beradze, Grigol. (2018). “*Moshti az Kharvar: On the watercolour paintings of the Qajar Period in the Georgian National Museum*”. International Conference „Iranian Art in the Qajar Period”, National Museum of Iran, Tehran, November 20-21.
- Beradze, Grigol. (2020). “*Signed by a beginner artist from Tabriz: Three rare paintings of the Late Qajar Period from the Oriental collection of the Georgian National Museum*”. International

- Conference “Transforming Collecting Policies in Museums”,  
Baku, april.
- Jamshidi, Esmā'il. (2012). “Dar negarestan-e Rassam Arjangi va khatere-ye 'aref, 'ashqi va nima.” *Bokhara*, sal-e panzdahom, shomare-ye 88-89, 1391/2012, p. 343-361.
- Javaher Kalam, 'Ali. (1971). “*Mazar-e Sheykh Sana'an dar Teflis.*” *Armaghan*, Vol. 39, No. 11-12, Tehran, 1349/1971, p. 761-764.
- Mo'ayeri, Mohammad 'Ali. (2011). “*Yad az Mir Mossavar Arjangi.*” *Ayandeh*, Sal-e chahardahom, 1390/2011, p. 291-296.
- Ter-Oganov, Nugzar. (2000). “*Two Iranian Authors, Majd os-Saltāneh and Yahyā Dowlātabādi, on Tbilisi.*” *ტოპოლოგიური ძიებანი*, IV, №3. 399-408.
- Ter-Oganov, Nugzar. (2009). “Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Madjd os-Saltaneh et Yahya Dowlatabadi”. F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, eds., *La Géorgie entre Perse et Europe*, Paris: L'Harmattan, p. 261-274.



ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

---

---

**The Arjangi Dynasty of Painters and Tbilisi**

**Marina Alexidze**

Doctor of philology,  
Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
36, I. Chavchavadze Str., Tbilisi, Georgia,  
+995599921647. [marinaalexidze@hotmail.com](mailto:marinaalexidze@hotmail.com)  
<https://ORCID.org/0000-0002-8858-8261>

**Grigol Beradze**

Doctor of history,  
Researcher of Ilia State University,  
G. Tsérétéli Institute of Oriental Studies  
3, Acad. G. Tsetereli Str., Tbilisi, 0162, Georgia,  
+995599582932. [grigol.beradze@gmail.com](mailto:grigol.beradze@gmail.com)  
<https://orcid.org/0009-0001-0506-1887>

**Abstract**

In the late nineteenth and early twentieth centuries, it became a custom among educated and wealthy Iranians to send their children abroad to study European languages, professions and life style. Those for whom the big cities of Europe were geographically and especially financially inaccessible came to the nearest city of the Russian Empire - Tbilisi, and received education in private boarding schools and colleges. In the last decades of the nineteenth century, for Iranian artists, especially from Tabriz (Azerbaijan, Iran), Tbilisi was the closest city where they could get acquainted and master the methods and techniques of European academic painting. At that time, a number of artistic societies

and private or public art schools operated in Tbilisi. Around 1900, three members of the Arjangi family from Tabriz, who are considered outstanding representatives of modern Iranian painting, received an artistic education in Tbilisi: Seyd Ebrahim Aqa Mir and his sons, Seyd Hosayn Mir Mosavar Arjangi and Seyd Abbas Rassam Arjangi.

**Keywords:** Tbilisi; Tabriz; Tbilisi Art School; Seyd Ebrahim Aqa Mir; Seyd Hosayn Mir Mosavar Arjangi; Seyd Abbas Rassam Arjangi.

### **Introduction**

In the long history of relations between Georgia and Iran, the nineteenth century is referred to as "the last of the Thousand-and-One Tales of the East." During this period, Iran not only lost control of Georgia but also its traditional dominance over the entire Eastern Caucasus. Weakened by prolonged warfare and unfavourable treaties, Iran had to resume diplomatic negotiations with the Russian Empire. The centre of power shifted northward, with Tbilisi becoming the seat of the Russian Viceroy of the Caucasus.

The Iranian community in Tbilisi was notably large, a result of Tbilisi's regional significance on the one hand and the challenging social and economic conditions in Iran on the other, which drove many Iranians to seek opportunities abroad. Tbilisi served as a gateway to the West for many Iranians, who arrived seeking livelihoods, pursuing education, or traveling.

### **Methodology**

The research utilized the comparative study and analysis of Persian and European written sources within a broad historical context, a method widely employed in global historiography.

### **Outcome**

The research identified a significant group of Iranians who travelled to Tbilisi to pursue Western education and study European art.

Among them, four generations of artists from the Arjangi family emerged as particularly successful and renowned.

### **Discussion**

In the late nineteenth and early twentieth centuries, it became a custom among educated and wealthy Persians to send their children abroad to study European languages, professions and lifestyle. Those for whom the big cities of Europe were geographically and especially financially inaccessible came to the nearest city of the Russian Empire - Tbilisi, and received education in private boarding schools and colleges.

Iranians would come to Tbilisi to learn those “European professions” that could not be mastered in Iran. One such job was typography. It is known that in 1821 Iranian Crown Prince Abbas Mirza sent the artist Alahverdi to Tbilisi to study lithography techniques (Ter-Oganov, 2000:402). In 1859, the Iranian traveller Haj Sayyah during his stay in Tbilisi regularly visited the printing house of a certain Hambartsoum, where he studied typesetting (Alexidze, 2008:6-13).

In the last decades of the nineteenth century, for Iranian artists, especially those from Tabriz (Azerbaijan, Iran), Tbilisi was the closest city where they could get acquainted and master the methods and techniques of European academic painting. At that time, several artistic societies and private or public art schools operated in Tbilisi. Around 1900, three members of the Arjangi family from Tabriz, who are considered outstanding representatives of modern Iranian painting, received an artistic education in Tbilisi: Sayyid Ebrahim Aqa Mir and his sons, Sayyid Hosayn and Sayyid Abbas. In the 1920s, when following the Western standards Iran introduced surnames, the brothers took Arjangi as the family name, after the title of the book of Prophet Mani, which is considered a symbol of art in the East because of its numerous colourful illustrations. So, Sayyid Abbas became Abbas Rassam Arjangi, and his brother Sayyid Hosayn went by the name Hosayn Mir Mosavar Arjangi. Rassam, the middle name of Abbas, also means painter.

The collection of Oriental art of the Georgian National Museum keeps a number of works created by artists from the Arjangi family. According to Abbas Rassam's memoirs, at least two works of his father, Seyd Ebrahim were in the collection of the Caucasian Museum (the precursor of the Georgian National Museum) already in the early twentieth century (Arjangi, 2019:30). Abbas Rassam saw them when he was working in the museum being invited by its director to restore damaged works of Iranian artists. At present, the Oriental collection of the museum also possesses several works of Abbas Rassam Arjangi himself. They have been inventoried and studied by Grigol Beradze (Beradze, 2014, 2018, 2020).

Ebrahim Aqa belonged to an old and respected family, representatives of which considered themselves *Sayyids*, i. e. direct descendants of Prophet Muhammad. Abbas Rassam describes his father in his memoirs as a versatilely educated man, a poet, calligrapher and rhetorician; he especially loved history and literature, and was well acquainted with the works of French and Russian writers (Arjangi, 2019:24). But his main passion was art. He came to Tbilisi in the 1880s for professional art education, as there was no such opportunity in Iran at that time (Arjangi, 2019:24). He entered one of the art schools, most likely the private school of Keppen, which was subordinate to the Imperial Academy of Arts in Saint Petersburg. This allowed its best students to continue their studies at the Academy. Apparently, during his studies in Tbilisi, Ebrahim Aqa showed himself well, because immediately after graduation he was sent to Saint Petersburg where he stayed until the 1890s. He returned to his homeland already a recognized artist and became the court painter of Crown Prince Mozaffar ad-Din Mirza. Ebrahim Aqa's sons, the elder Hosayn and the younger Abbas followed their father's example and came to Tbilisi to study art – the former in 1901 and the latter in 1911, already after the death of his father.

Abbas Rassam Arjangi spent four years in Tbilisi, from 1911 to 1914. At that time, there were several art institutions and orga-

nizations in the city. The first Artistic Society was established in 1873 followed by the foundation of a first primary art school in 1874. In 1877, this society merged with the Musical Society to form the Society for the Promotion of Fine Arts in the Caucasus, which in 1901 opened a secondary educational institution – the School for Painting and Sculpture. It was under the patronage of the Saint Petersburg Imperial School of Arts. The school functioned in a building (present Tbilisi State Academy of Art) known as Arshakuni Palace after the name of its first owner. Judging from the description given in his memoirs, Abbas Rassam Arjangi studied in this school. During the period of his schooling, the headmaster was the well-known artist Oscar Schmerling, and the teaching staff of the school included Henryk Hryniewski, Boris Vogel, and Mose Toidze. Among the schoolmates of Abbas Rassam there should be eminent Georgian painters Lado Gudiashvili (studied from 1910 to 1914) and Ketevan Maghalashvili (studied from 1911 to 1914).

After Tbilisi, Abbas Rassam Arjangi continued his studies in Moscow and returned home in 1917. He worked first in Tabriz and then in Tehran as a painter, calligrapher, and sculpturer. Also, he wrote poems and plays. In the beginning, he tried to get a job in the Ministry of Culture, but he had no luck. A reputable master Kamal al-Molk rejected his works without even looking at them. Abbas Rassam had to open his gallery named Gallery Arjangi. Located on the central street of Tehran, Ala al-Dawla Avenue (present Ferdowsi Avenue), it became the place of meeting of the local artistic elite. Here he organized his first personal exhibition in 1928. Two years later he participated in an international exhibition in Antwerp and was awarded a gold medal and a special diploma.

Abbas Rassam Arjangi died in 1975 leaving behind almost 2000 works. He is believed to be one of the most important Iranian artists of the first half of the twentieth century. Contemporaries wrote that he „mastered the techniques of oil painting, watercolours and graphics to perfection and was incomparable in mixing and combining colours”

(‘Ali Mo’ayeri, 2011:293). His pictures and drawings are preserved in many galleries in and outside Iran and among them in Georgian National Museum.

To give a complete impression of the Arjangi dynasty of artists, mention should also be made of the descendants of Abbas Rassam. His elder son Homa Arjangi is a well-known musician and painter, and the younger son Farhad Arjangi is a writer and painter. Of his six daughters, one is a calligrapher, one is a poet, and two are artists. Abbas Rassam’s grandson Farastu Ganjevi is also an artist (Jamshidi, 2012: 343-361).

Along with pictures and drawings, Abbas Rassam’s legacy includes three volumes of poems and a book of memoirs entitled *The Diary of Recollections*, which was first published in 2012, 37 years after the author’s death, and republished in 2019. It is an autobiographical story which mainly concentrates on the personality of the author and his inner world rather than on events and histories around him. A part of the book dealing with his life in Tbilisi focuses on two aspects. The first is Abbas Rassam’s schooling and his professional advance. The second topic to which the author pays particular attention is the life of Iranians in Tbilisi, both residents and temporary visitors, and the social and political activity of Iranian revolutionary groups.

In the memoirs, the author describes his life in Tbilisi, both important events and everyday life. He describes his relations with the local population and Iranians, classmates and teachers; he talks about his first love and related experiences, his arrest and imprisonment in prison, and his escape from prison. The author's narcissistic self-admiration and his desire to impress the reader are strongly felt in the text.

A reader who is preoccupied with the early twentieth-century history of Tbilisi can find interesting facts about art education in the city. Abbas Rassam Arjangi recounts many details about the school for Painting and Sculpture, which he refers to as *Honarestan-e naqashi*, i. e. the school of arts. The school curriculum was six years long. Classes at the school were five days a week, in two shifts. From 9 a.m. to 12



a.m., students learned painting techniques, and in the evening, from 6 a.m. to 8 a.m., they practised drawing with special charcoal. The school provided the students with everything they needed for their studies. Once in six months, the school organized an exhibition of the best works of its students. Up to three hundred students attended the school and the most successful of them were sent to Russia to continue education.

Apparently, Abbas Rassam Arjangi's years of study in Tbilisi were successful for him professionally. According to him, he soon earned the status of the best student in the school and not only managed to sell his works, but even found regular clients. On the recommendation of the school director, in parallel with his studies, he worked as a restorer of damaged works by Iranian artists kept in the Caucasian Museum.

As noted above, the second major issue discussed in the memoirs is the life and activity of Iranians in Tbilisi. Abbas Rassam Arjangi bitterly notes that locals, especially Russians, have a low opinion of Iranians and view them with disdain if not hostility. In his opinion, this is due to the poor situation of Iranians and their "humiliating" occupations, among which the author mentions selling socks and kerosene on the streets. It should be noted that Abbas Rassam Arjangi is not the only Iranian author who was worried about the deplorable situation of his compatriots in the Caucasus and Tbilisi in particular. Other authors, such as, for instance, Zein al-Abedin Maraghai described the cheerless life of Iranians in even more gloomy tones (Maraghai, 1978: 25). Abbas Rassam Arjangi illustrates the arrogant attitude of Russians toward Iranians with the words of a professor from St. Petersburg who gave him a formula for the professional success of a young Iranian in the Russian Empire: to forget all feelings towards his native country as even good artists are starving to death there; to marry only a Russian woman; to quit smoking and drinking alcohol; and to change the surname so that it sound Russian. The professor promised that in retu-

rn he could receive a monthly stipend and continue his studies in the Imperial Academy of Arts in Saint Petersburg.

Perhaps even more than the arrogance of the Russians, Abbas Rassam Arjangi was annoyed by the bad attitude towards Iranians on the part of local Muslims. At that time, pan-Turkic sentiments were strong among Turkic-speaking Muslims in the South Caucasus, including Tbilisi, due to the rise of Azerbaijani nationalism, which had obvious anti-Iranian overtones. Abbas Rassam Arjangi, apparently not particularly versed in the subtleties of geopolitics, wrote that “both Russians and local Ottomans (meaning Turkic-speaking Muslims - M. A.) are constantly conducting propaganda against Iran. This is because the Ottomans want to conquer the entire Caucasus, and the Russians are afraid that the Caucasus will again become subordinate to Iran” (Arjangi, 2019:26). It is unlikely that on the eve of World War I, anyone in the Russian Empire was seriously worried about the return of Iranian dominance in the Caucasus, but this is a typical early twentieth-century Iranian view of the world in which Iran is still perceived as a great power that inspires fear and respect in its neighbours.

In his memoirs, Abbas Rassam Arjangi presents himself as a certain leader of Iranians living in Tbilisi. According to him, he managed to gather young people of Iranian origin around him, awakening pride in their country by talking about its glorious past. They also discussed the sorrowful current state of Iran and the benefits of the constitutional revolution. In the end, these gatherings culminated in the founding of the “Iran Lovers Group”.

According to Abbas Rassam Arjangi, in 1916, when he returned to Tbilisi from Russia, the situation of the Iranians was even worse than it had been a few years earlier; however, he exaggerates when saying that groups of Iranians were arrested on the streets of Tbilisi and subsequently shot without trial “just for being Iranians”. Abbas Rassam Arjangi himself did not escape reprisals, but the death penalty did not come. He was arrested in his hotel room. No evidence was

found against him, as he had managed to hide a notebook with his anti-tsarist poems, but he was taken away and imprisoned anyway. Abbas Rassam Arjangi was rescued from captivity by fellow members of the “Iran Lovers Group.” They found his cell, cut the bars, rescued him and sent him by train to Julfa. It is hard to say how true this story is, but it gives the memories a vivid adventure flavour.

Abbas Rassam Arjangi talks little about Tbilisi itself and its attractions and sights. He mentions Mushtaid Garden and tells the story of its founder, the mujtahid Mir-Fattah with a bias expected and understandable from a native of Tabriz. He also mentions the railway up Mount Mtatsminda which he refers to as Sheikh Sana’an’s Mount meaning the character of the popular Medieval legend who fell in love with a Christian maiden. It is known that in the eighteenth and nineteenth centuries, the local version of this history was developed in Tbilisi. According to this version, events took place in Georgia, the Christian maiden was Georgian, the Sheikh died in Tbilisi and was buried in the yard of St David Church, on the slope of Mount Mtatsminda.<sup>81</sup> The memoirs of Abbas Rassam Arjangi testify that the Iranians in his entourage knew this story well. One of them, having fallen in love with a Georgian Christian woman, says: “And how am I less than the sheikh?”

It must be said that Abbas Rassam Arjangi was not only a good artist, but also a skilled writer. His *Diary of Recollections* is written in simple, lively language, the narrative is dynamic, full of alternating tragic and humorous passages. In general, it is a fascinating reading. In addition, the book contains important material for researchers interested in various aspects of the history of Tbilisi at the beginning of the twentieth century.

### **Conclusion**

The history of the artists from the Arjangi family, and especially of Abbas Rassam, is significant in many respects as a typical example of

---

<sup>81</sup> For more about the connection of Sheikh Sana’an with Tbilisi see: Alexidze, 2009: 73-85; Javaher Kalam, 1971, 761-764.

Iranians seeking European education outside Iran and in particular in Tbilisi. It illustrates many aspects of nineteenth-century Iranian culture and life, ideas, perceptions and aspirations of Iranians living in Tbilisi.

### **Bibliography:**

- Alexidze, Marina. (2009). *Sparslebi da sparsuli kultura XIX saukunis sakartveloshi*, Tbilisi.
- Alexidze, Marina. (2008). "Haj Saiyahi sakartveloshi", *Perspektiva - XXI*, № 10, p. 6-13. Tbilisi.
- Alexidze, Marina. (2011). *Georgia and the Muslim East in the Nineteenth Century. Studies in the History of Culture, Religion, and Life*, Tbilisi: Ilia State University.
- Alexidze, Marina. (2009). "Le Cheikh Sanaan et Tiflis/Tbilisi", F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, eds., *La Géorgie entre Perse et Europe*, Paris: L'Harmattan, p. 73-85.
- Arjangi, Rassam. (2019). *Daftar-e Khaterat-e Rassam Arjangi*, be kushesh-e Mohammad Hasan Hamdi Aydin Aghdashlu va Khoshayar Fahimi, Tehran, 1398/2019.
- Beradze, Grigol. (2014). "From Tabriz to Tiflis with an Easel in Hand: On Some Iranian Artists Who Studied in Tbilisi (Late 19<sup>th</sup> – Early 20<sup>th</sup> c.)". *International Conference "Looking Back and Ahead: An Insight into the Iranian Influence in the Caucasus"*, G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University, Observatory of the Caucasus / French Institute for Anatolian Studies, Tbilisi, October 1-2.
- Beradze, Grigol. (2018). "Moshti az Kharvar: On the watercolour paintings of the Qajar Period in the Georgian National Museum". *International Conference „Iranian Art in the Qajar Period"*, National Museum of Iran, Tehran, November 20-21.

- Beradze, Grigol. (2020). "Signed by a beginner artist from Tabriz: Three rare paintings of the Late Qajar Period from the Oriental collection of the Georgian National Museum". *International Conference "Transforming Collecting Policies in Museums"*, Baku, april 3.
- Jamshidi, Esmā'il. (2012). "Dar negarestan-e Rassam Arjangi va khatereye 'aref, 'ashqi va nima". *Bokhara*, sal-e panzdahom, shomareye 88-89, 1391/2012, p. 343-361.
- Javaher Kalam, 'Ali. (1971). "Mazar-e Sheykh Sana'an dar Teflis". *Armaghan*, Vol. 39, No. 11-12, Tehran, 1349/1971, p. 761-764.
- Maraghai, Zeyn al-Abedin. (1978). *Syiahat-name-ye Ebrahim Big ya balaye taassobe u*, be kusheshe Baqer Mo'meni, j.1, Tehran, 1357/1978.
- Mo'ayeri, Mohammad 'Ali. (2011). "Yad az Mir Mossavar Arjangi". *Ayandeh*, Sal-e chahardahom, 1390/2011, p. 291-296.
- Ter-Oganov, Nugzar. (2000). "Two Iranian Authors, Majd os-Saltāneh and Yahyā Dowlātabādi, on Tbilisi", *tipologiuri dziebani IV*, p. 399-408.
- Ter-Oganov, Nugzar. (2009). "Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Madjd os-Saltaneh et Yahya Dowlatabadi". F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, eds., *La Géorgie entre Perse et Europe*, Paris: L'Harmattan, p. 261-274.



ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

---

---

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ახალი გეოსტრატეგიული  
დილემა - ირან-ისრაელის ომის სავარაუდო კონტურები: მითი და  
რეალობა

**ვახტანგ მაისაია**

პოლიტიკის და სამხედრო მეცნიერების დოქტორი,  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.  
საქართველო, თბილისი, ჩარგლის ქ.#73, 0179  
+995 599402252; vakhtang.maisaia@ciu.edu.ge  
<https://orcid.org/0000-003-3674-3570>

**ალიკა გუჩუა**

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი.  
საქართველო, თბილისი, ჩარგლის ქ.#73, 0179  
+995 557960145. alika\_guchua@ciu.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0003-0347-9574>

**აბსტრაქტი**

2024 წელი დაიწყო სიტუაციის გართულებით ახლო აღმოსავლეთში, როდესაც ერაყში მდგომარეობა გართულდა უკიდურესად აშშ-ს და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის. მათმა კონფრონტაციამ მიაღწია უკიდურეს წერტილს და დროებით დასრულდა ე.წ. „პრესტიჟის ზავით“, რომელიც შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს. უკრაინული ავიალაინერის ჩამოგდება წარმოადგენს ამ კონფრონტაციის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ

მოვლენას. ბუნებრივია, რომ სირიაში გადაიკვეთა ასევე ირანის გეოსტრატეგიული ინტერესებიც, რადგანაც თუკი ირანისთვის მოკავშირე ალავიტური მმართველი ასადის დინასტიური რეჟიმი დაეცემა, მას მოყვება სუნიტური ორიენტაციის ისლამური რადიკალური ჯგუფების გააქტიურება (ანუ გათამაშდება „ერაყული“ სცენარი, რაც გულისხმობს შიიტური მოსახლეობის უფლებების შეზღუდვას); აშშ-ს მიერ ირანის წინააღმდეგ ე.წ. „ანაკონდის“ სტრატეგიის ხელშეწყობა (აშშ-ს ხელისუფლება, განსაკუთრებით წინა ადმინისტრაცია ცდილობდა ამ კონცეფციის „მარყუჟის“ გადმოსროლას სამხრეთ კავკასიის მიმართულებითაც). ამ ეტაპზე კიდევ უფრო აქტუალური ხდება ისრაელ-ირანის ლოკალური ომის სავარაუდო პერსპექტივა, რადგანაც ისრაელი წარმოადგენს აშშ-ს სტრატეგიულ პარტიორს ახლო აღმოსავლეთში და ირანისთვის კი ისრაელი წარმოადგენს დაუძინებელ მტერს, ჯერ კიდევ „ცივი ომის“ პერიოდიდან მოყოლებული. ამ ნაშრომში მოკლედ იქნება წარმოჩენილი, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ამ ომის სავარაუდო სცენარი;

**საკვანძო სიტყვები:** აშშ; ირანის ისლამური რესპუბლიკა; „ანაკონდის“ სტრატეგია; ისრაელი; ლოკალური ომი.

## **შესავალი**

ახლო აღმოსავლეთში გეოსტრატეგიული ვითარების გაუარესების ფონზე, რაც გამოიწვია „ჰამასის“ თავდასხმამ ისრაელზე 2023 წლის 7 ოქტომბერს, გაჩნდა ახალი სახელმწიფოთაშორისი სამხედრო კონფლიქტის გაჩენის საფრთხე. ისრაელ-ირანის გეოსტრატეგიული დაპირისპირებამ და სტრატეგიული შეიარაღების რბოლის დაწყებამ ამ ორ აქტორს შორის გადააქცია რეგიონული დონის სამხედრო კონფლიქტის გადაყვალა გლობალური დონის სამხედრო გამოწვევამდე. ირანის მხრიდან ისრაელის მიმართულებით სარაკეტო ბალისტიკური და საჰაერო დარტყმების შედეგად, რომელიც განხორციელდა ამა წლის ოქტომბერში, „ჰაერი-ხმელეთის“ ოპერატიულ-სტრატეგიული ოპერაციის ფარგლებში,

გამოიკვეთა რეგიონული ომის კონტურები. სამხედრო პოტენციალი ორივე მხარეს აქვს თითქმის იდენტური, თუმცა რაღაც სამხედრო მიმართულებით ერთ აქტორს გააჩნია უპირატესობა და რაღაც სხვა სფეროში კი მეორეს. მაგალითად, ისრაელის თავდაცვითი ბიუჯეტია \$27 მლრდ., ხოლო ირანის ისლამური რესპუბლიკის კი - \$10 მლრდ. ამასთან ერთად, ირანის შეიარაღებული ძალების რაოდენობა აღწევს თითქმის 610 ათასს სამხედრო მოსამსახურეს, ხოლო „ცახალის“ რაოდენობა აღწევს 170 ათასს სამხედრო მოსამსახურეს.

### **მეთოდი**

აღნიშნული მინი-კვლევა ეფუძნება პოლიტიკური ანალიზის დონის კვლევის მეთოდს (Policy analyse level method) და ასევე „შემთვევის გარჩევის“ მეთოდს (Case-study method), ხოლო კვლევის თეორიული ბაზისს წარმოადგენს „სეკურიზაციის“ ანუ „კოპენჰაგენის“ სკოლის თეორია, ძალთა ბალანსის თეორია, „უსაფრთხოების დილემის“ თეორია და „ბირთვული ტერორის“ თეორია.

### **შედეგი**

ბოლო დროს აქტუალური შეიქმნა ე.წ. „ირანი ბირთვული სტატუსის“ პრობლემა, რომელიც უკვე 1995 წლიდან მოყოლებული გახდა უსაფრთხოების დილემა გლობალურ პოლიტიკისთვის. ასეთივე სტრატეგიული სახის დილემად შეიძლება გადაიქცეს ისრაელის მიერ „ბირთვული იარაღის“ სტატუსის მქონე აქტორად გადაქცევა. ისრაელმა და ირანმა უკვე შესძლეს დიდი სირთულეების მიუხედავად განეხორციელებინათ 90%-ზე მეტი ურანიუმის გამდიდრების პროცესი და ფაქტიურად მიუახლოვდნენ ბირთვული ქობინების დამზადების ბოლო სტადიას. ამასთან ერთად, ორივე ამ ქვეყანას გააჩნიათ ბირთვული იარაღის გამდამტანი საშუალებებიც, „ბირთვული ტრიადის“ სამივე კომპონენტი (ბალისტიკური სარაკეტო სისტემები, წყალქვეშა ნაგები და სტრატეგიული ბომბდამშენები - თუნდაც ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე). აღნიშნულთან მიმართებაში, ხაზგასასმელია ის ფაქტი, თუ როდის შეიმუშავებს ისრაელი და ირანი „ბირთვული



ტრიადის“ საბოლოო ვარიანტს და როგორი იქნება მათი გამოყენების სამხედრო-სტრატეგიული და გეოსტრატეგიული გეგმები. ამიტომაც ასეთ „სტრატეგიულ რბოლას“ შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული გლობალური სახის ტექნოგენური კატაკლიზმის ეფექტის შექმნა, თუნდაც ისრაელ-ირანის ლოკალური ომის სცენარის განვითარების შემთხვევაში. თანამედროვე პერიოდში ღაზაში მიმდინარე მოვლენებს გარკვეულ წილად ირანი განიხილავს როგორც მის სტრატეგიულ სარგებელს, რადგან ეს აძლევს მას საშუალებას აგრესიული მოქმედებებისკენ და ახლო აღმოსავლეთში მეტი ძალების მობილიზების ისრაელის წინააღმდეგ<sup>82</sup>.

### **დისკუსია**

ირანს ბირთვული ობიექტები ქვეყნის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აქვს. ამ ეტაპზე სულ 13 ობიექტია, რომელიც არის იდენტიფიცირებული. ასევე დადასტურებულია, რომ აქვს 20-25 ბირთვული ქობინი და არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა 50-მდეც ჰქონდეს. ისრაელს 80 ბირთვული ქობინი აქვს და შესაძლოა განმეორდეს ინდოეთ-პაკისტანის 1999 წლის პრეცედენტი, როდესაც ორივემ მხარემ ერთდროულად მოახდინა ბირთვული აფეთქება და ორივე ბირთვული კლუბის წევრი გახდა. ამის ყველა ინდიკაცია აქვთ ორივე მხარეს. ალბათ ისრაელი 1978 წლის ეფექტს გაიმეორებს - შევა, სამხრეთ ლიბანს დაიკავებს, გაამყარებს პოზიციებს და ბუფერულ ზონას შექმნის. 1978 წელსაც ასე გააკეთა, რაც იყო პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის საბრძოლო რაზმების, ეს კი „ჰეზბოლას“ წინააღმდეგაა. ალბათ ეს „სიურპრიზი“ თუ იქნება. „ირანის მხრიდან კი შესაძლოა ის პასუხი იყოს, რომ თავისი რეგულატორმა შეიარაღებულმა ნაწილებმა გოლანის სიმაღლეებზე მიიტანოს შეტევა და დაიკავოს. მეორე, ლიბანში თავისი რეგულატორი და გასამხედროვებული ჯგუფები გადაისროლოს,

---

<sup>82</sup> Ostovar, A., „Iran, Israel, and War in the Middle East”, WAR ON THE ROCKS, National security. October 17, 2023. P.1. <https://warontherocks.com/2023/10/iran-israel-and-war-in-the-middle-east/>

A unified counter-terrorist coordination center should be created at the regional level, which will monitor and coordinate joint activities in this direction. Even with the direct involvement of South Caucasus actors;

- 1) To hold a meeting of the representatives of the special services of the South Caucasus and Central Asian states. Also, consultations should be held regarding the possible complications of the scenario;
- 2) Launching a unified information campaign to better explain the current situation to the public at the regional level.

Such recommendations carry only academic content, and unfortunately cannot affect real geopolitical processes.

### **Bibliography:**

- Barnes-Dacey, J., Bianco, C., Lovatt, H.(2024). „THE GAZA CRISIS: MAPPING THE MIDDLE EAST’S SHIFTING BATTLE LINES”, European Council on Foreign Relations March 2024.<https://ecfr.eu/wp-content/uploads/2024/03/The-Gaza-crisis-Mapping-the-Middle-East-s-shifting-battle-lines.pdf>
- Byman, D., Jones, S. G.(2024). Palmer, A., „Escalating to War between Israel, Hezbollah, and Iran”, Center for Strategic and Inter-

- national Studies, October 4, 2024. <https://www.csis.org/analysis/escalating-war-between-israel-hezbollah-and-iran>.
- Chachanidze, T.(2024). "The Middle East is on the Brink of a Great War – Iran is Preparing an Attack on Israel," Rezonansi, 1 August 2024.[https://resonancedaily.com/mobile/index.php?idrub=8&id\\_artc=209830](https://resonancedaily.com/mobile/index.php?idrub=8&id_artc=209830).
- Cordesman AH: Iran, Israel and Nuclear War. Washington, D.C: Center for Strategic and International Studies (CSIS), (2007). <http://csis.org/program/burke-chair-strategy>.
- Defense Intelligence Agency (DIA).(2019). Iran Military Power: Ensuring Regime Survival and Securing Regional Dominance (Washington, DC: Government Printing Office, 2019), <https://www.dia.mil/>.
- Ebrahim, N.(2023). „New US backed India-Middle East trade route to challenge China’s ambitions“. CNN. 11 September 2023. <https://edition.cnn.com/2023/09/11/middleeast/us-india-gulf-europe-corridor-mime-intl/index.html>.
- Fabian, E.(2022). „Iran Blames ‘Zionists’ for Killing Officer, Vows Revenge; Israel Boosts Air Defenses”, Times of Israel, May 30, 2022, <https://www.timesofisrael.com/>.
- Fabian, E.(2022). „In ‘Game Changer,’ Israeli Laser-based Air Defense Shoots Down Drones”, Times of Israel, April 14, 2022, <https://www.timesofisrael.com/>.
- Fulton, J.(2020). „China-Saudi Arabia relations through the ‘1+2+3’ cooperation pattern”. Asian Journal of Middle Eastern and Islamic Studies, 14(4), 7, 2020.
- Golkar, S.(2019). „Iran after Khamenei: Prospects for Political Change", Middle East Policy Council, Middle East Policy, vol. 26, no. 1, Spring 2019.
- Hadad, H.(2024). „Proxy battles: Iraq, Iran, and the turmoil in the Middle East”, European Council on Foreign Relations, 16 April 2024. <https://ecfr.eu/publication/proxy-battles-iraq-iran-and-the-turmoil-in-the-middle-east/>.

- Haghirian, M.(2024). „Walking a Tightrope: How Gulf States are Navigating the Iran-Israel Conflict”, The Henry L. Stimson Center, October 11, 2024. <https://www.stimson.org/2024/walking-a-tightrope-how-gulf-states-are-navigating-the-iran-israel-conflict/>.
- Jones, S., G.(2021). „Three Dangerous Men: Russia, China, Iran and the Rise of Irregular Warfare”, W.W. Norton & Company, 2021.
- Khamenei.ir.(2018). "Zionists Deceived Jean-Paul Sartre into Writing Against Palestine," April 15, 2018, <https://english.khamenei.ir/news/5560/Zionists-deceived-Jean-Paul-Sartre-into-writing-against-Palestine>.
- Majidiyar, A. (2018). „Iran Faces Uphill Battle to Profit From Its Role in Syria War”, Financial Times, February 13, 2018, <https://www.ft.com/content/f5129c30-0d7f-11e8-8eb7-42f857ea9f09>.
- Ostovar, A.(2023). „Iran, Israel, and War in the Middle East”, WAR ON THE ROCKS, National security. October 17, 2023. <https://warontherocks.com/2023/10/iran-israel-and-war-in-the-middle-east/>.
- Ostovar, A., (2019). „The Grand Strategy of Militant Clients: Iran’s Way of War”, Security Studies 28, no. 1, 2019.
- Perkovich, G., Manzanero, S. (2004). „Plan B: Using Sanctions to End Iran’s Nuclear Program”, Arms Control Today, May 2004.
- Toosi, N. (2024). „Iran’s China Bet: Oil, Economic Leverage, and the Threat of Israel's Attacks", Foreign Policy, April 19, 2024, <https://foreignpolicy.com/2024/04/19/iran-china-israel-attack-oil-trade-economic-leverage/>



საქართველოს ისტორიისა და ქართული  
აღმოსავლეთმცოდნეობის დიდი მკვლევარი

**გიორგი ახალკაციშვილი**

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია.  
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი.  
თბილისი, 0179, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1. საქართველო,  
+995599872431. Georgeakhalkatsishvili@yahoo.com.  
Orcid.org/ 0000-0003-4011-0450

**აბსტრაქტი**

დღეს, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, თურქოლოგიის, განვითარების საქმეში ბევრი მკვლევარი და მეცნიერია ჩართული. მე, ამჯერად, მაქვს პატივი, ხაზი გავუსვა ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის, პოლიტიკისა და ცივილიზაციის მკვლევრის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს უნივერსიტეტის თანადამფუძნებლისა და ერთ-ერთი პრეზიდენტის (პროფ. მანანა სანამესთან ერთად) – პროფესორ გიული ალასანიას ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობის საკითხებს.

ქალბატონი გიული ალასანია მრავალი ათეული წელია ეწევა პედაგოგიურ-კვლევით საქმიანობას საქართველოში არსებულ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთა შორის გამოსარჩევია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი

ფიერი მოღვაწეობის განმავლობაში განსაკუთრებული პატივისცემა, ნდობა და სიყვარული დაიმსახურა როგორც სტუდენტების, ასევე კოლეგების მხრიდან. მან თავდაუზოგავი შრომის-მოყვარეობით და სანიმუშო პროფესიონალიზმით შეძლო არაერთი მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა სამეცნიერო სფეროში. ამის დასტურია მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, სტატიების თუ მონოგრაფიების ვრცელი სია, რომლებიც სტუდენტებისთვის სახელმწიფო, ასევე უცხოურ, ენაზე არსებულ შეუცვლელ სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ. მართალია ქალბატონი გიულის ძირითადი კვლევები საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიას უკავშირდება, თუმცა მისი კვლევის სამეცნიერო არეალი საკმაოდ ფართოა. იგი მუდმივად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში, სადაც საკუთარ გამოცდილებას უზიარებს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ კოლეგებს. იგი არის არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტის წევრი და ავტორი. მუდმივად არის მზად, რომ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი და პოლემიკური მოვლენების შესწავლით გაამდიდროს სამეცნიერო საზოგადოება.

**საკვანძო სიტყვები:** ქართველი აღმოსავლეთმცოდნე; გიული ალასანია; ახლო აღმოსავლეთის ისტორია; საქართველოს ისტორია; სტატიების კრებული; საქართველოს უნივერსიტეტი.

### **შესავალი**

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ქართული წყაროთმცოდნეობისა და აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, თურქოლოგიის, დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გიული ალასანიას მნიშვნელობა და ღირებულება საზოგადო და სამეცნიერო საქმიანობაში, აგრეთვე წარმოაჩინოს მისი ბოლო პერიოდის მიღწევები და მკითხველს გააცნოს ახლო აღმოსავლეთის



შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის, საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნების ურთიერთობების ისტორიის თემატიკაზე დაწერილი მონოგრაფიები, სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები. წარმოდგენილი ინფორმაცია გაცნობითი და ინფორმაციული ხასიათისაა და იგი ერთგვარად აჯამებს აღნიშნული საკითხის თანამედროვე პერიოდადმდე დაგროვებულ ცოდნას.

### **მეთოდი**

წინამდებარე სტატია ეფუძნება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს. ნაშრომში გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორცაა ისტორიული ანალიზი, შედარებითი ანალიზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და დისკურსის ანალიზი. სტატიის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო კვლევა-ძიება, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა პერიოდში შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფიები, დისერტაციები, სტატიები) ერთიან ველში თავმოყრას. კვლევის პროცესში აგრეთვე გამოყენებულია სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა ურთიერთშეჯერების მეთოდიც.

### **შედეგები**

წინამდებარე სტატიის ერთ-ერთი შედეგი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოაჩენს პროფესორ გიული ალასანიას ბოლო პერიოდში მიღწეულ შედეგებს საქართველოს ისტორიისა და თურქოლოგიის დარგში, მაგრამ, მცირე ნაწილით, განვიხილავთ ძველ მიღწევებსაც.

სტატიის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოში ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ისტორიის კვლევების ადრინდელი ტრადიცია კვლავ გრძელდება, რაც ძალიან დიდი საქმეა ქართული საისტორიო მეცნიერებისთვის.

### **დისკუსია**

ჩემთვის დიდი პატივია ვისაუბრო ძვირფასი ლექტორის, უფროსი მეგობრის, პროფესორ გიული ალასანიას ბოლო პერი-

ოდში მიღწეულ წარმატებებზე. მანამდე კი, მსურს, რომ მკვითხველს მოკლედ გავაცნო მეცნიერის ბიოგრაფიული ნაწილი. ქალბატონი გიული ალასანია გახლავთ 150 სამეცნიერო ნაშრომისა და 14 წიგნის ავტორი, ასევე ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის წევრი. მეცნიერის ძირითადი კვლევის სფეროა საქართველოს, თურქეთისა და ახლო ათმოსავლეთის ისლამური ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორია. ამავდროულად, ის შესანიშნავად იცნობს უახლესი ისტორიისა და თანამედროვე პოლიტიკის საკითხებს, რასაც მოწმობს მისი ნაშრომები.

პროფესორი გიული ალასანია მრავალი ათეული წელია პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას ეწევა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. ის არის საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებელი, პრეზიდენტი და ამავე უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი. 1969 წელს მან დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, თურქეთის ისტორიის მიმართულებით. 1974 წელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, 1987 წლიდან დოქტორის, ხოლო 1991 წლიდან პროფესორის სტატუსი. 1969-1980 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, სადაც, 1980-1989 წლებში გააგრძელა სამეცნიერო საქმიანობა, როგორც უფროსმა მკვლევარმა. 1990-2005 წლებში იყო თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტის, ხოლო 2004-2023 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; 1998-2014 წლებში ქალბატონი გიული მუშაობდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სადაც, 2002-2014 წლებში ეკავა ამავე უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობა. 2004 წლიდან - დღემდე არის საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებელი და პროფესორი. გარდა ქართული უნივერსიტეტებისა, მას აქვს ფართო გამოცდილება უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობისა. 1996 წლის მისისიპის უნივერსიტეტში (აშშ) გაიარა ორთვიანი პროგრამა ამერიკული

საბჭოების -(*American Councils*) შერჩევით და ამავე წლის 4 იანვრიდან - 6 ივლისის ჩათვლით მერილენდის უნივერსიტეტის (აშშ) საერთაშორისო განვითარებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრში მიწვეული მეცნიერის რანგში იმყოფებოდა. 2000 წლის 1-31 ოქტომბერს ჩართული იყო ცენტრალური ევროპული უნივერსიტეტის (CEU, ბუდაპეშტი, უნგრეთი) კვლევით პროგრამაში. 2001 წელს ამერიკის საბჭოების - (*American Councils*) შერჩევით იყო აშშ-ში სამკვირიანი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სკოლის დირექტორების პროგრამის კოორდინატორი (ვაშინგტონი და მონტანას შტატი). 2005 -2004 წლებში ხელმძღვანელობდა კვლევებს ჟორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორ ლუის შელის მიერ დაარსებულ „ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციასთან ბრძოლის ცენტრში“. პროფ. გიული ალასანიას წაკითხული აქვს ლექციები ისეთ ცნობილ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა ჰარვარდის უნივერსიტეტი, აზერბაიჯანის დიპლომატიის აკადემია, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი და პიზის უნივერსიტეტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქალბატონ გიულს აქვს კვლევის ფართო ინტრესები. ამას მოწმობის მის მიერ გამოცემული სტატიები და წიგნები ქართული წყაროთმცოდნეობის, თურქოლოგიისა და საქართველოს ისტორიის მიმართულებით. პირველად, ქართულ ისტორიოგრაფიაში, მან თურქულიდან თარგმნა ოსმალთა მოგზაურისა და ისტორიკოსის „*ქათიბ ჩელების (1609-1657) ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*“ (ალასნია, გ. 1978), რომელსაც შენიშვნები, კომენტარები და სამიებლები დაურთო. 2013 წელს ეს ნაშრომი მეორედ (ალასნია, გ. 2013), ხოლო 2023 წელს მესამედ გამოიცა შევსებული სახით (ალასნია, გ. 2023). მასში გადმოცემულია ქათიბ ჩელების მიერ პირადად აღწერილი და XVII საუკუნემდე მომხდარი გაგონილი ამბები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, რაც მნიშვნელოვანი წყაროა ქართული სამეცნიერო სივრცისთვის.

პროფესორმა გიული ალასანიამ, პროფესორ რევაზ კიკნაძესთან ერთად, 1988 წელს, გამოსცა მონოგრაფია - „წყაროთმცოდ-

დნეობის თეორიული პრობლემები“ (ალასანია, გ., კიკნაძე, რ., 1988), რომელიც ისტორიული მეცნიერებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის - წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია. მონოგრაფიაში ფართო ისტორიოგრაფიული მასალებით განხილულია თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ძირითადი თეორიული პრობლემები, მათი მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის და საქართველოში მათი შესწავლის მდგომარეობა.

ქალბატონი გიულის მიერ დამუშავებული წყაროებიდან, ასევე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია „ცხოვრება საქართველოდა“ (პარიზის ქრონიკა)“, რომელიც არის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის საფუძველზე; წიგნში გადმოცემულია XVIII საუკუნის ანონიმური ქრონიკის (1373-1683) შესახებ ვარაუდები მისი დათარიღებისა და არქიტექტონიკის შესახებ (ალასანია, გ. 1980). „პარიზის ქრონიკის“ შესწორებული ტექსტი ახლიდან გამოიცა 2023 წელს (ალასანია, გ. 2023), რომელსაც ქალბატონმა გიულამ შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო. მოგეხსენებათ, რომ „ქართლის ცხოვრება“ არის საქართველოსთან დაკავშირებით სხვადასხვა მემატანეების მიერ შექმნილი კრებული, რომლის ნაწილიც, ასე ვფიქრობ, არის ცალკე გამოცემული და დამუშავებული „პარიზის ქრონიკაც“.

2006 წელს პროფ. გიული ალასანიამ გამოსცა წიგნი - „ქრისტეანობის ოცი საუკუნე საქართველოში“ (ალასანია, გ. 2006), რომელიც გახლავთ საქართველოში ქრისტეანობის 2000 წლისთავის აღსანიშნავად UNESCO-ს დავალებით ჩატარებული პროექტის - „საქართველოს გაქრისტეანების ოცი საუკუნე“ - წარმატების ერთ-ერთი შემაღგენელი ნაწილი, კონფერენციასთან (აკად. რისმაგ გორდუხიანის ხელმძღვანელობით) და ფოლკლორულ ფესტივალ „ჩვენებურებთან“ ერთად. თავდაპირველად წიგნი გამოიცა სამ ენაზე : ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ხოლო ამავე წელს მეორედაც გამოიცა, უფრო შევსებული სახით, უკვე ოთხ ენაზე: ქართულად, ინგლისურად, რუსულად და

თურქულად. 2010 წელს გამოვიდა წიგნის ბოლო გამოცემა (ალასანია, გ. 2010), სადაც შინაარსის თხრობა ფრანგულადაც არის ჩამატებული. წიგნში ქრონოლოგიურადაა გადმოცემული საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გამოჩენისა და განვითარების ისტორია. ნაშრომში თხრობა იწყება ქრისტეს დაბადებიდან 1991 წლამდე, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და რუსეთს გამოეყო. UNESCO-ს გადაწყვეტილებით, „საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ოცი საუკუნე“ შეტანილია 2004-2005 წლების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენათა სიაში.

პროფესორი გიული ალასანია სხვადასხვა პერიოდში, ქართულ და უცხოურ გამოცემებში, აქტიურად აქვეყნებდა სტატიებს ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკისა და კულტურის საკითხებზე. 2007 წელს მეცნიერმა გამოსცა „საისტორიო კრებული“ (ალასანია, გ. 2007), რომელშიც შეტანილია სტატიები (ქართულად, ინგლისურად და რუსულად), რეცენზიები და მათი აბსტრაქტები ინგლისურ ენაზე. კრებულში არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა თბილისის საამიროს დაარსების თარიღის საკითხი (ალასანია, გ. 1999; 21-27), ქართველებისა და დანიშმენდიანების ურთიერთობების ისტორია (ალასანია, გ. 2002; 21-27), გაერთიანებული ქართული სამეფოს სათავეების საკითხები (ალასანია, გ. 2004; 20-24), ბასიანის ბრძოლის თარიღის დადგენა (ალასანია, გ. 1975; 89-92), სელიმ I-ის საქართველოში ლაშქრობა (ალასანია, გ. 2000; 22-31). ასევე, რეცენზიები: პროფ. გოჩა ჯაფარიძის (რომელიც ამ კრებულის რედაქტორია) წიგნზე „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში“ (ჯაფარიძე, გ. 1995); რონალდ გრეგორი სუნის „ქართველი ერის ჩამოყალიბება“ (სუნი, რ.გ. 1994) და სხვა. ზემოთ წარმოდგენილი თემები ქართული ისტორიოგრაფიის დიდი შენამენია და სხვა ავტორთა აკადემიურ ნაშრომებში ხშირად არის ციტირებული.

2007 წელს პროფ. გიული ალასანიას რედაქტორობით პროფ. მიხეილ სვანიძემ გამოსცა წიგნი „თურქეთის ისტორია“ (სვანიძე, მ. 2007), რომელიც მოიცავს 1299-2000 წლების მოვლენებს და მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული თურქოლოგიისთვის. როგორც წყაროთმცოდნეს, პროფესორ გიული ალასანიას მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის ერთ-ერთი ძირითადი წყაროს - „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის, კონკრეტულად ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანეს“ ტექსტის დამუშავებაში (ქართლის ცხოვრება, 2008; 523-654).

მეცნიერის თითოეულ კვებაში წარმოდგენილია სიახლე, ან ძველი საკითხის ახლებური, უფრო მდიდარი წყაროთმცოდნეობითი მასალით შევსებული ვერსიები. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია არის „საქართველო და ისლამადელი თურქები“ (ალასანია, გ. 2008), რომელიც 2008 წელს გამოიცა და პირველია ასეთი შინაარსით. წიგნში ქალბატონ გიულის გამოკვლეული აქვს ქართველებისა და ისლამადელი თურქების ურთიერთობის ისტორიის საკითხები, ქართული და თურქული ტომების პირველი გაერთიანებები კავკასიაში, ვახტანგ გორგასალის ურთიერთობა ჰუნ-თურქებთან და მისი გარდაცვალების თარიღი, ქართლისა და თურქების ურთიერთობები VI საუკუნეში და ურთიერთობები ხაზარებთან VII-VIII საუკუნის პირველ ნახევარში. მონოგრაფიაში ცალკე თავად განხილულია ბიზანტიის მმართველი ჰერაკლე კეისარის (610-641) კავკასიური პოლიტიკა, რომელიც ქართველებთან და ხაზარებთან ურთიერთობებს მოიცავს. ასევე, გამოკვლეულია ქართველების და ბიზანტია-ხაზარების კავშირები „აფხაზთა სამეფოს“ შექმნის წლებში, ლეონის მმართველობა და VIII საუკუნის მეორე ნახევარში არაბთა წინააღმდეგ მიმდინარე ქართველთა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და ხაზართა როლი ამ პროცესში. გარდა ისლამადელი პერიოდისა, მონოგრაფიაში არის ისეთი საკითხები, რომლებიც ისლამის ჩამოყალიბების შემდეგ თურქულენოვანი ხალხის ქართველებთან ურთიერთობის ისტორიას მოიცავს. ისინი არ

ცხოვრობენდნ ისლამის სამყაროში და შესაბამისად არ იყვნენ მუსლიმები, მაგალითად - ყივჩაღები. მონოგრაფია - „ქართველები და ისლამამდელი თურქები“ გამოცემულია ისევე როგორც ქართულ ენაზე, ასევე თურქულად ქ. ტრაპიზონში - *Gürçüler ve İslam Öncesi Türkler* (ALASANIA, G. 2013) და ინგლისურულად აშშ-ში - *The Relations Between pre-Islamic Turks and Georgians From the Third to the Ninth Century: A History of Byzantine – Persian Politics in the Caucasus* (Alasania, Giuli. 2014). ამ მონოგრაფიის ქართულ გამოცემაზე რეცენზია დაწერა პროფ. მარიკა ჯიქიამ, რომელმაც ნაშრომს „ქართული თურქოლოგიის ახალი ფურცელი“ უწოდა (ჯიქია, მ. 2011; 470-473).

პირველად საქართველოში, 2011 წელს, გამოიცა მონოგრაფია (643 გვერდი) - „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი)“ (სანიკიძე, გ. ალასანია, გ. გელოვანი, ნ. 2011), რომლის ავტორებიც არიან ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსები: პროფ. გიორგი სანიკიძე, პროფ. გიული ალასანია და პროფ. ნანი გელოვანი. სამივე ავტორმა ერთ მონოგრაფიად წარმოადგინა ირანის, არაბული სამყაროს და თურქეთის ისტორიის თემები. ქალბატონმა გიულიმ ამ მონოგრაფიაში დაწერა ოსმალეთის იმპერიის XIX-XX საუკუნეების მოვლენებზე, რომლებიც მოიცავს სელიმ III-ის (1789-1807) მმართველობას, მაჰმუდ II-ის (1808-1839) რეფორმებს, თანზიმათის ეპოქას (1839-1876), საშინაო და საგარეო პრობლემებს. ასევე, მუსტაფა ქემალის რევოლუციას და ქემალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას, თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ სისტემას, არმიას თურქეთში, ამ უკანასკნელის ევროკავშირთან ურთიერთობებს და ამ პროცესის დროს კონსტიტუციურ რეფორმებს. დასახელებული მონოგრაფია გამოიცა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის (შოთა რუსთაველის სახელობის ფონდის) ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი NA-20-09). წიგნი, საქართველოში გამოქვეყნებული ამ თემატიკის შინაარსით, პირველი გამოკვლევაა, რომელიც უნივერსიტეტებში, მოცემული

პერიოდისა და ისტორიის შესწავლისას, ფლაგმან ლიტერატურას წარმოადგენს.

ბოლო პერიოდში, კონკრეტულად 2022-2023 წლებში, ქალბატონმა გიულიმ გამოსცა სამი მნიშველოვანი წიგნი, აქედან ერთი პირველწყარო - ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“ (გორგიჯანიძე, ფ. 2022), რომელიც მეცნიერმა მოამზადა გამოსაცემად, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო; ასევე, სტატიების კრებულის - II და III ტომები (ალასანია, გ. 2023), რომლებიც გაგრძელებაა 2008 წელს გამოცემული „საისტორიო კრებულისა“. დავიწყოთ იმით, რომ XVII საუკუნის ქართველი მემკვიდრის ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიისთვის აქანდეც იყო ცნობილი, მას არაერთი მკვლევარი იყენებდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხების გამოსაკვლევად. თავდაპირველად, კერძოდ 1896 წელს, გორგიჯანიძის თხზულებას შეეხო მოსე ჯანაშვილი, რომელმაც გამოსცა „ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი“ (ჯანაშვილი, მ. 1896), მაგრამ ყველაზე ხშირად პროფ. რევაზ კიკნაძეს ჰქონდა ამ თხზულებასთან შეხება, რის შედეგადაც მან მოამზადა რამდენიმე მნიშველოვანი ნაშრომი - 1. Парсадан Горгиджанидзе. История Грузии (Р. К. Кикнадзе, В. С. Пугуридзе. 1990); 2. Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и „Картлис Цховреба“ (Р. К. Кикнадзе, 1980); 3. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“, (კიკნაძე, რ. 1975) და 4. „ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ“ (კიკნაძე, რ. 1971). ფარსადანის თხზულების გარკვეულ ნაწყვეტებთან დაკავშირებით ნაშრომები/ სტატიები მოამზადეს სარგის კაკაბაძემ - „ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“ (კაკაბაძე, ს. 1925), ივანე ჯავახიშვილმა - „ფარსადან გორგიჯანიძე“ (ჯავახიშვილი, ივ. 1977), კარლო ტაბატაძემ - „ისევ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების XV საუკუნის წყაროების საკითხისათვის“ (ტაბატაძე, კ. 1973) და დავით კაციტაძემ - 1. „ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული სპარსული



წყაროები (კაციტაძე, დ. 1960); 2. „ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XVI-XVII საუკუნის სპარსული სპარსული წყაროები“ (კაციტაძე, დ. 1960). ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომები ეხება ფარსადანის თხზულების გარკვეულ ნაწყვეტებს, მაგრამ თხზულების სრული გამოკვლევა არცერთი არაა. ამ თემის სრულად დამუშავება, დიდი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი შრომით, პროფესორმა გიული ალასანიამ შეძლო, რითაც უდიდესი საქმე გაუკეთა ქართულ ისტორიოგრაფიას.

ბოლოს, რაზეც მინდა ქალბატონი გიულის ნაშრომებიდან ყურადღება გავამახვილო არის სტატიების კრებულის II და III ტომები, რომლებშიც შეტანილია მეცნიერის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, ქართულ და უცხოურ საერთაშორისო დონის პუბლიკაციებში. მეორე ტომი მოიცავს უშუალოდ სტატიებს, რომლებიც შეეხება წანარების ვინაობას, უცხოეთში ქართველთა მოღვაწეობას, თამარის მამიდა რუსუდანის პოლიტიკურ ცხოვრებასა და მის როლს საქართველოს სამეფოს ისტორიაში, რომელიც ქალბატონი გიულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ბოლოს გამოცემული, პუბლიკაციაა. ასევე, კრებულში შეტანილია მეფეთა-მეფე თამარის გარდაცვალების თარიღის დადგენის საკითხი, ქრონოლოგიურად შეკრებილი და გაანალიზებული უცხოური წყაროები თბილისის შესახებ და მეფე ბაგრატ V-ის გარდაცვალების თარიღის დადგენაზე, რომელიც, აგრეთვე, მნიშვნელოვანი სიახლეა საქართველოს ისტორიისთვის. გარდა შუა საუკუნეებისა, კრებულებში შეტანილია საქართველოსა და თურქეთის შესახებ უახლესი ეპოქის პოლიტიკური ისტორიის გამოკვლევები და მეცნიერის დასკვნები, მაგალითად: 1. ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობები, რომელიც ქრისტიანობის ქვეყანაში შემოსვლიდან იწყება და XX საუკუნის ჩათვლით გრძელდება; 2. საქართველოს ურთიერთობები დასავლეთთან ძვ.წ III საუკუნიდან მოყოლებული თანამედროვე პერიოდის ჩათვლით, სადაც ისტორიულ ქრონოლოგიასთან ერთად განხილულია საქართველო, როგორც ხიდი

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, აშშ-საქართველოს ურთიერთობები, საქართველო-ნატოს ურთიერთობები, ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამართლებრივი საფუძველი, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP), აღმოსავლეთთან პარტნიორობის საკითხები, 2009 წლის ევროპის დახმარების პროგრამა, შავი ზღვის სასაზღვრო თანამშრომლობა და ა. შ. (ალასანია, გ. 2023). მესამე ტომი, პირველისგან განსხვავებით, არა მხოლოდ სტატიებს, არამედ რეცენზიებსაც მოიცავს, რომლებიც ქართულ და უცხოენოვან პუბლიკაციებზე დაწერა ქალბატონმა გიულამ. ასევე, არის რეცენზიები, რომლებიც მეცნიერის ნაშრომებზე დაწერეს მისმა კოლეგებმა, პროფესორებმა: მარიკა ჯიქიამ, გოჩა ჯაფარიძემ, ნანი გელოვანმა და მზია სურგულაძემ. ქალბატონ გიული ალასანიას განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა კოლეგებზე საუბარი, რადგან გარდა კოლეგიალობისა, მეგობრული ურთიერთობებიც ჰქონდა მათთან. ამიტომ, მას ევალუბოდა ხომლე კოლეგა-მეგობრების ნაყოფიერი მოღვაწეობის შეფასებები, რომლებიც, ზოგჯერ, საიუბილეოდ გამოდიოდა, ხოლო ზოგჯერ სახსოვარს წარმოადგენდა (ალასანია, გ. 2023).

აკადემიური მოღვაწეობის გარდა, ქალბატონი გიულის შესახებ მინდა ვთქვა, რომ ის არის საკუთარი საქმის პროფესიონალი, აღმოსავლეთმცოდნეობის დიდი ოჯახის ღირსეული წევრი და წარმომადგენელი, საქმისადმი შესაშური მიდგომებით გამორჩეული, ყურადღებიანი ლექტორი, ხელმძღვანელი და ერთგული მეგობარი. არ მახსენდება ფაქტი, რომ რაიმე რჩევა მისთვის ეკითხათ, ხოლო ის ბოლომდე არ დახმარებოდა, პირადი გამოცდილებით მრავალჯერ გამოცვადე. ქალბატონი გიული ყოველთვის გვერდში უდგას კოლეგებს, მეგობრებს და ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებიც გარკვეულ ნაბიჯებს დგავენ ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებისთვის. მისი ხელმძღვანელობით წარმატებით დაცულია სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემები. ქალბატონ გიულის მიღებული აქვს ათამდე ჯილდო, მათ შორის 2004 წელს სტა-

მბოლში (თურქეთი) თურქული ენის საზოგადოებამ დააჯილდოვა თურქოლოგიაში შეტანილი წვლილისათვის. 2006 წელს ორგანიზაცია „ოქროს ფრთამ“ აღიარა წლის ადამიანად. 2007 წელს გახდა მშვიდობის ელჩი. 2010 წელს მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია, 2012 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაეცა თურქეთის „19 მაისის უნივერსიტეტის“ პრემია თურქეთის კულტურაში შეტანილი წვლილისათვის. ამავე წელს ფესტივალმა „ჩვენებურები“ (პრეზიდენტი და ხელმძღვანელი გიული ალასანია) მიიღო ნეტარი იოანე პავლე II-ის სახელობის მშვიდობის პრემია და 2013 წელს დაჯილდოვდა დელ ბიანკოს ფონდის (ფლორენცია) ბრინჯაოს მედლით, რომელიც სულ ხუთია გადაცემული)(<https://web.archive.org/web/20210305230347/https://u.g.edu.ge/persons/full/332>).

ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა ისტორიკოსისთვის, მისი გვერდში დგომა და რჩევები შეუფასებელია. მინდა, რომ პროფესორ გიული ალასანიას ვუსურვო მხნეობა, სიძლიერე, ქვეყნისათვის მრავალი დიდი საქმის კვლავ წარმატებით განხორციელება, სამართლიან ქვეყანაში ცხოვრება და ულევო წარმატებები.

ზემოთ წარმოდგენილია პროფესორ გიული ალასანიას მოღვაწეობის ბიოგრაფიული და სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. მის პროფესიონალიზმზე, თავდადებული შრომის სიყვარულზე და ამის შედეგად გამოცემულ მნიშვნელოვან პუბლიკაციებზე დეტალურად რომ ვისაუბროთ, მრავალი გვერდი დაიწერება.

### **ბიბლიოგრაფია:**

- ალასანია, გ. (1975). ბასიანის ბრძოლის თარიღისთვის. „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N1.
- ალასანია, გ. (1978). ქათბო ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი და

- შენიშვნები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, გამომც. „მეცნიერება“.
- ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, 2013, გამომც. „ჰოროსი XXI“.
  - ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, 2023, გამომც. „საქართველოს უნივერსიტეტი“.
- ალასანია, გ. (1980). „ცხოვრება საქართველომსა“ (პარიზის ქრონიკა)“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, გამომც. „მეცნიერება“.
- „ცხოვრება საქართველომსა“ (პარიზის ქრონიკა)“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, 2023. გამომც. „საქართველოს უნივერსიტეტი“.
- ალასანია, გ., კიკნაძე, რ., (1988). წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები. თბილისი, გამომც. „მეცნიერება“.
- ალასანია, გ. (1994). რონალდ გრიგორ სუნი. ქართველი ერის ჩამოყალიბება. ბლუმინგტონი და ინდიანოპოლისი. (რეცენზია).
- ალასანია, გ. (1999). თბილისის საამიროს დაარსების ისტორიისათვის. „ანალები“, N1.
- ალასანია, გ. (2000). სელიმ I და საქართველო. „ტიპოლოგიური ძიებანი“. ვლადიმერ ახვლედიანისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი.
- ალასანია, გ. (2002). ქართველებისა და დანიშმენდიანების ურთიერთობების წარსულიდან. ანამკი. ისტორიული-ფილოლოგიური ძიებანი. კრებული ეძღვნება ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილს.

- ალასანია, გ. (2004). გაერთიანებული ქართული სამეფოს სათავეებთან. „ანალები“, N2.
- ალასანია, გ. (2006). ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. (ქართულ, ინგლისურ, რუსულენებზე). გამომცემლობა „დიასპორა“.
- ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. (ქართულ, ინგლისურ, რუსულ, თურქულ ენებზე) მეორე გამოცემა, 2007.
- ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. (ქართულ, ინგლისურ, რუსულ, თურქულ, ფრანგულ ენებზე), მესამე გამოცემა, 2010.
- ალასანია, გ. (2007). საისტორიო კრებული. თბილისი.
- ალასანია, გ. (2008). ქართველები და ისლამადელი თურქები. თბილისი, გამომც. „საქართველოს მაცნე“.
- ალასანია, გ. (2011). ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. – XXI ს-ის დასაწყისი. თანავტორები გ. სანიკიძე, ნ. გელოვანი). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
- ალასანია, გ. (2023). სტატიების კრებული ტ. II და ტ. III. თბილისი, გამომც. „საქართველოს უნივერსიტეტი“.
- გორგიჯანიძე, ფ. (2022). საქართველოს ცხოვრება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი, გამომც. „საქართველოს უნივერსიტეტი“.
- კაკაბაძე, ს. (1925). „ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“. საისტორიო მოამბე, წ. II, თბილისი.
- კაციტაძე, დ. (1960). ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული სპარსული წყაროები. „აღმოსავლური კრებული“, ტ. I. თბილისი.
- კაციტაძე, დ. (1960). ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XVI-XVII საუკუნის სპარსული სპარსული წყაროები“. საქართველოს

- სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, ტ. II, თბილისი.
- კიკნაძე, რ (1971). ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ. „მაცნე“, ისტორიის სერია.
- კიკნაძე, რ (1975). ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი. თბილისი, გამომც. „მეცნიერება“.
- სვანიძე, მ. (2007). თურქეთის ისტორია. თბილისი, გამომც. „არტანუჯი“. რედაქტ. პროფ. გიული ალასანია.
- ტაბატაძე, ვ. (1973). ისევ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების XV საუკუნის წყაროების საკითხისათვის. „ქართული წყაროთმცოდნეობა - ტ. IV“, თბილისი.
- ჯავახიშვილი, ივ. (1977). ფარსადან გორგიჯანიძე - თხზულებანი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ტ. VIII, თბილისი.
- ჯაფარიძე, გ. (1995). „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში“, თბილისი.
- ჯანაშვილი, მ. (1896). ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი. თბილისი, გამომც. „მ. შარაძის სტამბა“.
- ჯიქია, მ (2011). ქართული თურქოლოგიის ახალი ფურცელი. მარიკა ჯიქიას რეცენზია გიული ალასანიას წიგნზე : „ქართველები და ისლამამდელი თურქები“ (2008). თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი, გვ. 470-473.
- Alasania, Giuli (2014). *The Relations Between pre-Islamic Turks and Georgians From the Third to the Ninth Century: A History of Byzantine – Persian Politics in the Caucasus. With a Foreword by Gocha Djaparidze. A Queenston Book Published by The Edwin Mellen Press Lewiston Lampeter.* წიგნის რეცენზია - *The Relations Between Pre-Islamic Turks and Georgians From the Third to the Ninth Century. A History of Bizantine-*

- Persian Politics in the Caucasus.* Caucasus Journal of Social Sciences. Volume 8, Issue 1. The University of Georgia Publishing House. pp. 1-27. 2015.
- ALASANIA, G. (2013). Gürcüler ve İslam Öncesi Türkler. Çev. Nanuli Kaçarava. Karen Yayınları, Trabzon.
- Р. К. Кикнадзе (1980). Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и „Картлис Цховреба“. Институт истории, археологии и этнографии им. И.А. Джавахишвили, Тбилиси.
- Р. К. Кикнадзе, В. С. Путуридзе. (1990). Парсадан Горгиджанидзе. История Грузии. Тбилиси. Мецниереба.
- <https://web.archive.org/web/20210305230347/https://ug.edu.ge/persons/full/332 ბოლო ნახვა 23/11/2024>.



ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა  
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

---

---

**Great researcher of Georgian history and Georgian  
Oriental studies**

**Giorgi Akhalkatsishvili**

Georgian Association of History Education.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Orientalist-historian. Tbilisi, 0179,

Ilia Chavchavadze Avenue No. 1. Georgia,

+995599872431. Georgeakhalkatsishvili@yahoo.com

Orcid.org/ 0000-0003-4011-0450

**Abstract**

Today, numerous scholars and researchers are actively engaged in the development of Georgian Oriental Studies, particularly Tur-kology. It is my privilege to highlight the fruitful academic contri-butions of Professor Giuli Alasania, a distinguished researcher of the Middle Ages, modern, and contemporary history, politics, and civili-zation of the Near East and Georgia. Professor Alasania holds a doctorate in historical sciences and is a co-founder and former pre-sident of the University of Georgia, alongside Prof. Manana Sanadze.

For several decades, Prof. Giuli Alasania has been dedicated to teaching and research across various higher education institutions in Georgia, including Ivane Javakhishvili Tbilisi State University, the International Black Sea University, and the University of Georgia. Her long and distinguished career has earned her deep respect, and colleagues. Through tireless dedication and exemplary professionalism, she has achieved significant milestones in the academic field. This is



evidenced by her extensive body of published works, including scholarly articles, research papers, and monographs. Many of these serve as indispensable resources for students, available in both Georgian and foreign languages.

While Prof. Alasania's primary research focuses on the medieval history of Georgia and the Near East, her academic interests extend to a broad range of topics. She actively participates in international scientific conferences, symposiums, and congresses, where she shares her expertise with Georgian and international colleagues alike.

Moreover, Prof. Alasania is a contributor to and author of numerous noteworthy grant projects. Her continuous commitment to exploring critical and controversial events in Georgian history enriches the scholarly community. Her work stands as a testament to the enduring impact of rigorous historical inquiry and the advancement of Georgian Oriental Studies on the global stage.

**Keywords:** Georgian Orientalist; Giuli Alasania; History of the Near East; History of Georgia; Collection of Articles; University of Georgia

### **Introduction**

The aim of this article is to highlight the significance and contributions of Professor Giuli Alasania, a distinguished scholar in Georgian source studies and Oriental Studies, particularly Turkology, to academic and public life. It also seeks to showcase her recent achievements and introduce readers to her monographs, scholarly works, and articles on topics such as the medieval, modern, and contemporary history of the Near East, the history of relations between Georgia and Islamic countries of the Near East. The presented information is both educational and informative, summarizing the accumulated knowledge on these subjects up to the present time.

### **Methodology**

This article is based on research methods widely recognized in the fields of social and humanities sciences. Methods such as historical

analysis, comparative analysis, cause-and-effect correlation, and discourse analysis were employed. A comprehensive library-based investigation was conducted, aiming to consolidate scholarly works (monographs, dissertations, articles) created in Georgia at various times into a unified framework. Additionally, the study utilizes methods of cross-referencing and synthesizing data from scientific literature.

### **Results**

One of the key outcomes of this article is the demonstration of Professor Giuli Alasania's recent accomplishments in the fields of Georgian history and Turkology, while also briefly revisiting her earlier contributions.

The research carried out within the framework of this article reveals that the tradition of studying the history of Georgia and the Near East, established in earlier periods, continues to thrive. This continuity represents a significant achievement for Georgian historiography, ensuring the ongoing development of historical science in the region.

### **Discussion**

It is an immense honor for me to discuss the recent achievements of a cherished mentor, esteemed colleague, and distinguished professor, Giuli Alasania. Before delving into her latest accomplishments, I would like to briefly introduce her biographical background to the reader.

Professor Giuli Alasania is the author of over 150 scholarly works and 14 books and is a member of the World Academy of Art and Science. Her primary research areas include the medieval history of Georgia, Turkey, and Islamic countries of the Near East. At the same time, she possesses profound expertise in contemporary history and modern political issues, as reflected in her scholarly output.

For several decades, Professor Alasania has been actively engaged in teaching and research in Georgian higher education institutions. She is the founder, president, and professor at the University of Georgia, as well as a professor at the School of Arts and Humanities of

the same university. In 1969, she graduated from the Faculty of Oriental Studies at Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU), specializing in Turkish history. She earned her candidate of historical sciences degree in 1974, her doctorate in 1987, and her professorship in 1991.

Between 1969 and 1980, Professor Alasania worked as a research associate at the Institute of History and Ethnology of the Georgian Academy of Sciences. From 1980 to 1989, she continued her academic career there as a senior researcher. From 1990 to 2005, she served as a professor at Tbilisi Technical University, and from 2004 to 2023, she held a professorship at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Between 1998 and 2014, she worked at the International Black Sea University, where she served as vice-rector from 2002 to 2014. Since 2004, she has been a founder and professor at the University of Georgia.

In addition to her significant contributions to Georgian universities, Professor Alasania has extensive experience collaborating with international academic institutions. In 1996, she participated in a two-month program at the University of Mississippi (USA) through a selection process by the American Councils. From January 4 to July 6, 1996, she served as a visiting scholar at the Center for International Development and Conflict Management at the University of Maryland.

In October 2000, she participated in a research program at Central European University (CEU) in Budapest, Hungary. In 2001, she was selected by the American Councils to serve as the coordinator for the three-week South Caucasus School Directors Program in Washington, D.C., and Montana. Between 2004 and 2005, she led research projects at the Center for Transnational Crime and Corruption Studies, founded by Professor Louise Shelley at George Washington University. Professor Alasania has also delivered lectures at prestigious institutions such as Harvard University, the Azerbaijan Diplomatic Academy, the Free University of Berlin, and the University of Pisa. Her extensive

academic experience and commitment to advancing historical scholarship continue to inspire and shape future generations of historians.

As previously mentioned, Professor Giuli Alasania has diverse research interests, as evidenced by her numerous articles and books in the fields of Georgian source studies, Turkology, and Georgian history. A significant milestone in Georgian historiography was her translation from Turkish of Katib Çelebi's (1609–1657) accounts of Georgia and the Caucasus, titled *Katib Çelebi's Information about Georgia and the Caucasus* (Alasania, G., 1978). This groundbreaking work was accompanied by annotations, commentary, and indexes. It was reissued in 2013 (Alasania, G., 2013) and again in 2023 in an expanded edition (Alasania, G., 2023). This text presents both firsthand descriptions and hearsay accounts recorded by Katib Çelebi about Georgia and the Caucasus up to the 17th century, serving as an invaluable source for the Georgian academic community.

In 1988, Professor Giuli Alasania, in collaboration with Professor Revaz Kiknadze, published a monograph titled *Theoretical Issues in Source Studies* (Alasania, G., Kiknadze, R., 1988). This work stands as a significant contribution to the field of source studies, an essential branch of historical sciences. Drawing on a broad range of historiographical materials, the monograph explores the primary theoretical challenges of contemporary source studies, their importance to historical science, and the state of their research in Georgia. These publications reflect Professor Alasania's commitment to advancing the understanding of historical source materials, ensuring their accessibility, and contributing to the methodological foundations of historical research in Georgia.

Among the sources analyzed by Professor Giuli Alasania, one of the most significant is *The Life of Georgia (Paris Chronicle)*, a scholarly-critical text based on a manuscript housed in the National Library of Paris. This work explores an 18th-century anonymous chronicle (1373–1683), offering hypotheses regarding its dating and structural composition (Alasania, G., 1980). The revised version of the

*Paris Chronicle* was reissued in 2023 (Alasania, G., 2023), supplemented with an introduction, annotations, and indexes by Professor Alasania. It is noteworthy that *The Life of Kartli (Kartlis Tskhovreba)*, a comprehensive collection of chronicles about Georgia written by various authors, likely includes this independently published and studied *Paris Chronicle* as a part.

In 2006, Professor Alasania published *Twenty Centuries of Christianity in Georgia* (Alasania, G., 2006), a book that was an integral part of the UNESCO-led project commemorating 2,000 years of Christianity in Georgia. This project also included a conference led by Academician Rismag Gordeziani and a folklore festival titled *Our Roots*. Initially published in three languages—Georgian, English, and Russian—the book was republished in an expanded edition later in 2006, adding Turkish to the language set. The final edition in 2010 (Alasania, G., 2010) further included a French version. The book chronologically narrates the history of Christianity in Georgia, starting from the birth of Christ to 1991, when Georgia regained independence from Russia. Recognizing its significance, UNESCO included the project *Twenty Centuries of Christianity in Georgia* in its list of the most important global events of 2004–2005.

Over the years, Professor Alasania has actively contributed articles to both Georgian and international journals, covering topics on the medieval, modern, and contemporary history of Georgia and the Near East, as well as issues related to geography, politics, and culture. In 2007, she published the *Historical Collection* (Alasania, G., 2007), featuring articles in Georgian, English, and Russian, along with reviews and their abstracts in English. The collection includes significant topics such as:

- The founding date of the Tbilisi Emirate (Alasania, G., 1999; pp. 21–27)
- The history of Georgian relations with the Danismendids (Alasania, G., 2002; pp. 21–27)

- The origins of the unified Georgian kingdom (Alasania, G., 2004; pp. 20–24)
- Establishing the date of the Battle of Basian (Alasania, G., 1975; pp. 89–92)
- Selim I's campaign in Georgia (Alasania, G., 2000; pp. 22–31)

The collection also features reviews of major works, such as Professor Gocha Japaridze's book *Georgia and the Islamic World of the Near East in the First Third of the 12th-13th Centuries* (Japaridze, G., 1995) and Ronald Grigor Suny's *The Making of the Georgian Nation* (Suny, R.G., 1994). These topics and reviews represent substantial contributions to Georgian historiography and are frequently cited in other scholarly works.

Professor Alasania's meticulous research and publications continue to enrich the academic field, offering valuable resources and perspectives on Georgia's complex history and its interconnectedness with the broader Near East.

In 2007, under the editorial supervision of Professor Giuli Alasania, Professor Mikheil Svanidze published *The History of Turkey* (Svanidze, M., 2007), which spans the events from 1299 to 2000. This work stands as a significant contribution to Georgian Turkology, reflecting the depth and breadth of research in this field. As a source scholar, Professor Alasania has also contributed to the study of one of the most critical sources of Georgian history, *The Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba)*, particularly in refining the text of the *Hundred Years Chronicle* by "The Chronicler" (Kartlis Tskhovreba, 2008; pp. 523–654).

Each of Professor Alasania's studies presents either groundbreaking discoveries or innovative perspectives enriched by extensive source analysis. Among her significant works is the monograph

*Georgia and the Pre-Islamic Turks* (Alasania, G., 2008), the first of its kind, published in both Georgian and Turkish (*Gürcüler ve İslam Öncesi Türkler*, ALASANIA, G., 2013, Trabzon) and later in English in the United States (*The Relations Between Pre-Islamic Turks and Georgians from the Third to the Ninth Century: A History of Byzantine-Persian Politics in the Caucasus*, Alasania, Giuli, 2014). This monograph explores the history of relations between Georgians and pre-Islamic Turks, including topics such as:

- The early alliances between Georgian and Turkic tribes in the Caucasus.
- King Vakhtang Gorgasali's relations with the Hun-Turks and the chronology of his death.
- Relations between Kartli (Iberia) and the Turks in the 6th century, as well as interactions with the Khazars in the first half of the 7th and 8th centuries.

The monograph also delves into the Caucasian policies of Byzantine Emperor Heraclius (610–641), focusing on relations between Georgians and Khazars. It examines Georgian-Byzantine-Khazar alliances during the formation of the "Kingdom of Abkhazia," the reign of Leon, and the struggle for Georgian independence against Arab forces in the late 8th century, highlighting the Khazar role in these events.

In addition to exploring pre-Islamic history, the book addresses the interactions between Georgian and Turkic-speaking peoples who remained outside the Islamic world, such as the Kipchaks.

The Georgian edition of the monograph received high praise from Professor Marika Jikia, who called it "a new chapter in Georgian Turkology" (Jikia, M., 2011; pp. 470–473). Its detailed analysis and wide-ranging themes have made it a cornerstone in the field,

providing valuable insights into the complex historical relationships between Georgians and Turkic peoples before the rise of Islam.

In 2011, a significant monograph titled *The History of the Near East and Its Relations with the South Caucasus (19th–Early 21st Century)* was published in Georgia. This 643-page work was co-authored by prominent experts in Eastern studies and history: Professor Giorgi Sanikidze, Professor Giuli Alasania, and Professor Nani Gelovani. The authors collaboratively explored themes related to the history of Iran, the Arab world, and Turkey. Professor Alasania specifically focused on the 19th and 20th centuries of the Ottoman Empire, covering significant events such as:

- The reign of Selim III (1789–1807),
- The reforms of Mahmud II (1808–1839),
- The Tanzimat era (1839–1876),
- Domestic and foreign policy issues of the time,
- Mustafa Kemal’s revolution,
- The foreign policy of the Kemalist Republic,
- The political system of modern Turkey,
- The role of the Turkish army,
- Turkey's relations with the European Union,
- Constitutional reforms during this period.

This monograph, funded by the Georgian Foundation for the Humanities and Social Sciences (Shota Rustaveli Foundation, Grant NA-20-09), is the first comprehensive study of its kind in Georgia. It is considered a flagship work for the study of the period in Georgian universities.

In the period between 2022 and 2023, Professor Giuli Alasania also published three important works, one of which is a first edition of *The Life of Georgia* by Farasadan Gorgijanidze (Gorgijanidze, F., 2022).



She meticulously prepared this text for publication, adding extensive research, notes, and indices. The work of Farasadan Gorgijanidze, a 17th-century Georgian chronicler, had already been used by various researchers for exploring different aspects of Georgian history. However, it had not been fully analyzed until now. The monograph makes a significant contribution to Georgian historiography, as it comprehensively examines the work of Gorgijanidze, which had been partially explored in earlier publications by scholars such as Mose Janashvili (1896), and later by Revaz Kiknadze, who produced several significant works on Gorgijanidze's texts.

Some of the key works by Kiknadze include:

1. *Parsadani Gorgidjanidze. History of Georgia* (R. K. Kiknadze, V. S. Puturidze, 1990),
2. *Essays on the Source Study of Georgian History. Parsadani Gorgidjanidze and "Kartlis Tskhovreba"* (R. K. Kiknadze, 1980),
3. *Parsadani Gorgidjanidze and the Historian Azman Sharaavandetani* (Kiknadze, R., 1975),
4. *Parsadani Gorgidjanidze and One Georgian Source* (Kiknadze, R., 1971).

11 სექტემბრის შემდეგ, კანადის სახელმწიფო არჩევანის წინაშე აღმოჩნდა, შეერთებოდა აშშ-ს ხელმძღვანელობით სულ მცირე ოთხ სამხედრო ინტერვენციას ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, მათ შორის, ავღანეთის ომის ჩათვლით (2001–2021); ერაყის ომში (2003–2011); ლიბიაში მოამარ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ (2011) და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ კამპანიაში (2014-დღემდე). გარდა ერაყის ომისა, კანადა ყველა ამ ინტერვენციაში ღიად მონაწილეობდა. როდესაც ის აშშ-ს ხელმძღვანელობით წარმოებულ აღნიშნულ სამხედრო კამპანიებს შეუერთდა, ნატოს, გაეროსა და საერთაშორისო საზოგადოებისგან მათ დასაწყებად მანდატი არსებობდა. კანადა ავღანეთის ომსა და ლიბიის ინტერვენციაში ნატოს ფარგლებში ჩაერთო, ხოლო ერაყსა და სირიაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ორგანიზებული ინტერვენცია იყო საერთაშორისო კოალიციის ხელმძღვანელობით, რომელიც სახელმწიფოთა ფართო ჯგუფებს მოიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონფლიქტები მხოლოდ ირიბად აისახებოდა კანადის უსაფრთხოებაზე, ამ სახელმწიფოს როგორც ლიბერალურ, ისე კონსერვატიულ მთავრობებს მრავალი მიზეზი ჰქონდათ, რომ ამ სამხედრო კამპანიებში ჩართულიყვნენ.

ორი ურთიერთდაკავშირებული მიზეზი, რომლებიც თანმიმდევრულად გამოიკვეთა სამივე კონფლიქტის დროს იყო კანადის მთავრობების სურვილი, შეენარჩუნებინათ წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი და აღქმულიყვნენ თანამოაზრე მოკავშირეების მიერ, როგორც სწორი პოზიციის მქონე წევრი. იმის გამო, რომ შეერთებული შტატები თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის, ნატოსა და გლობალური კოალიციის ცენტრშია, მან გარკვეულწილად შექმნა კანადის ინტერვენციებში მონაწილეობის კონტექსტი. საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნება და

ალიანსების მართვა კანადისთვის არაპირდაპირი სარგებლის მიწოდებად და აშშ-სთან ურთიერთობის კარგ ტონად განიხილებოდა. (Sabet, 2022:17) ორმხრივი ურთიერთობები რეგიონულ სახელმწიფოებთან და მათი სტაბილურობა ასევე იყო ამ ინტერვენციის მნიშვნელოვანი, თუმცა არა მთავარი ფაქტორი.

აღნიშნულ საერთო საქმეში კანადის კონსერვატიული და ლიბერალური მთავრობების ჩართულობის მოტივები განსხვავდება. სტივენ ჰარპერის კონსერვატიული მთავრობა უფრო დაინტერესებული იყო კანადის სამხედრო ძლევამოსილების დემონსტრირებით, ასევე პოლიტიკური ისლამისა და ანტიდასავლელი ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლით. ჯასტინ ტრუდოს ლიბერალური მთავრობა კი ნაკლებად იყო მოტივირებული ამ ფაქტორებით.

როგორც ერთ-ერთმა კანადელმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა, კანადის მონაწილეობა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ კოალიციაში 2014 წლიდან არის კარგი მაგალითი იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური იდეოლოგია და ასევე ის საგარეო ურთიერთობის ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია აშშ-სთან ურთიერთობა (Sabet, 2022:19). სტივენ ჰარპერის კონსერვატიული მთავრობა მცხვე შეუერთდა კამპანიას ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. კანადის სახელმწიფოს წვლილის მთავარი ელემენტი იყო ექვსი სწრაფი, მსუბუქი და მანევრირებადი მრავალფუნქციური გამანადგურებელი თვითმფრინავი, CF-18 Hornets, რომლებიც განლაგებული იყო როგორც საბრძოლოდ, ასევე სხვა თვითმფრინავებისა და სასწავლო, საკონსულტაციო და დამხმარე მისიებისთვის (Russell, 2015).

2015 წელს, თავის საარჩევნო პლატფორმაში ჯასტინ ტრუდო კანადელ ამომრჩეველს დაჰპირდა, რომ დაასრულებდა კანადის სამხედრო ჩართულობას საჰაერო ბრძოლაში. მართლაც, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მან ეს შეასრულა (Pelletier, Massie, 2017).

## მეთოდოლოგია

აღნიშნული სტატია ეფუძნება ჰუმანიტარულ, პოლიტიკის და სოციალურ მეცნიერებებში მიღებულ და აპრობირებულ სხვადასხვა მეთოდს, როგორც არის, ანალიზის, ინდუქციის, პირველწყაროების, შემთხვევის, შედარების და თვისებრივი კვლევის მეთოდებს, რათა შეისწავლოს შეერთებული შტატების როლი კანადის პოლიტიკის ფორმირება ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით მის კამპანიებში ისლამური სახელმწიფოს (ISIS) წინააღმდეგ ერაყსა და სირიაში. სტატია ეყრდნობა პირველად წყაროებს, მათ შორის სამთავრობო პოლიტიკურ დოკუმენტებს, ოფიციალურ განცხადებებს, როგორც კანადიდან, ასევე შეერთებული შტატებიდან. სტატიაში ასევე გამოყენებულია მეორადი წყაროები, როგორცაა აკადემიური სტატიები, პოლიტიკური ანგარიშები და მედიის ანალიზი, რაც კონტექსტურ ხედვას იძლევა გეოპოლიტიკური დინამიკის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს კანადის ქმედებებზე ახლო აღმოსავლეთში.

## მსჯელობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანადის უსაფრთხოების ინტერესები მნიშვნელოვნად იყო ჩართული „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ კამპანიაში, თუმცა მისი წვლილი კოალიციისთვის გადამწყვეტი არ იყო. როგორც გამოჩნდა, წინასაარჩევნო კამპანიისას კანადის მთავრობაზე იყო მცირედი ზეწოლა, რათა მთავრობას შეეწყვიტა თავისი საბრძოლო როლი ერაყსა და სირიაში. მიუხედავად იმისა, რომ ჯასტინ ტრუდოს ლიბერალურმა მთავრობამ აღნიშნული შეასრულა და კანადელებმა შეწყვიტეს მონაწილეობა საჰაერო ბრძოლებში ერაყსა და სირიაში. მათ შეინარჩუნეს და გააფართოვეს კანადის სამხედრო ჩართულობა სხვა გზებით. ეს გამოიხატა იმაში, რომ კანადამ გაზარდა სამხედრო პერსონალი, მათ შორის, ჯარების განლაგება ფრონტის ხაზზე; საჰაერო დარტყმები; დამხმარე თვითმფრინავების მუდმივი ყოფნა მოკავშირეთა თვითმფრინავების დასაზღვევად და საწვავის შესავსებად; კანადის სახელმწიფომ უზრუნველყო ადგილობრივი პარტნიორების რაზმების გაწვრთნა. გაზარდეს სამედი-



ცნო პერსონალის ყოფნა კანადის ჯარებისა და მათი მოკავშირეების მხარდასაჭერად და ერაყში უსაფრთხოების ძალების გადამზადებისთვის; გაზარდეს სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება ჩრდილოეთ ერაყში მდებარე ქურთული ფემმარგასთვის<sup>96</sup> (Goody, 2019).

სამხედრო ძალისხმევის აღნიშნული ზრდა შერწყმული იყო რეგიონში კიდევ უფრო ძლიერ დიპლომატიურ პოლიტიკასთან, რაც სამი წლის განმავლობაში გამოიხატა 1.1 მილიარდ დოლარზე მეტ ჰუმანიტარულ თუ სხვა დახმარებით. იგი მოიცავდა სასმელ წყალს, საკვებს, თავშესაფრებს, ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და სანიტარული ნორმების, განათლების, ასევე ფინანსურ მხარდაჭერასა და შესაძლებლობების განვითარებას, რათა დაეკმაყოფილებინათ ლტოლვილთა ძირითადი საჭიროებები. ასევე, ინფრასტრუქტურის შეკეთება, სტრუქტურირება, დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და სწორი მმართველობის ხელშეწყობა. (National Defence, 2023) ამრიგად, ჯასტინ ტრუდოს ლიბერალური მთავრობის მიდგომა კამპანიისადმი ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ განსხვავდებოდა მისი წინამორბედებისგან. თუმცა ტრუდოს მთავრობა აღნიშნულ რეგიონში მაინც წარმოდგენილი იყო ძლიერი სამხედრო კონტინგენტით.

ექსპერტთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ ამერიკის შესაძლო უკმაყოფილება იყო მთავარი მიზეზი, რამაც კანადის სახელმწიფოს უბიძგა შეენარჩუნებინა სამხედრო როლი კამპანიაში (Sabet, 2022: 23). შესაძლოა, გაჩნდა იმის შიშიც, რომ კანადის სრული გამოთიშვა კამპანიიდან აღიქმებოდა, როგორც „გაქცევა“ და იგი შეამცირებდა მის აღქმულ სანდოობას, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების პარტნიორისა. ამრიგად, ჯასტინ ტრუდოს ლიბერალურმა მთავრობამ შეასრულა წინასასარჩევნო დაპირება საჰაერო ბრძოლის შეწყვეტის შესახებ, და ისინი ელოდნენ,

---

<sup>96</sup> პეშმერგა, ფემმარგა — ერაყის ქურთისტანის ავტონომიური რეგიონის განკარგულებაში მყოფი სამხედრო დაჯგუფება. პეშმერგა ითარგმნება, როგორც: „ის, ვინც უპირისპირდება სიკვდილს“ ან „ის, ვინც ემუქრება სიკვდილს“. სამხედრო ორგანიზაციის ფორმალურ ლიდერად ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტი ითვლება.

რომ შესაძლოა აშშ ყოფილიყო უკმაყოფილო ამ ფაქტით. ამგვარად, შეერთებულმა შტატებმა ჩამოაყალიბა კანადის ინტერვენციის კონტექსტი, მაგრამ აშშ-ს ზეწოლა არ იყო მთავარი ფაქტორი, რათა აეძულებინა კანადა შეერთებოდა კამპანიას ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ან შეეწყვიტა მისი როლი საჰაერო ბრძოლაში.

რეგიონში სამხედრო ინტერვენციის გამო ლიბერალურ და კონსერვატიულ მთავრობებს შორის შესაძლო უთანხმოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია კანადის მე-20 პრემიერ მინისტრის ჟან კრეტიენის ლიბერალური მთავრობის გადაწყვეტილება, რომ არ შეერთებოდნენ ერაყში შეჭრის კამპანიას 2003 წელს. მიუხედავად ამერიკის ზეწოლისა პრემიერ მინისტრის ჟან კრეტიენის ოფიციალური განცხადებით, არ არსებობდა ერაყში შეჭრაზე გაეროს მანდატი. (Chrétien, 2003) სტივენ ჰარპერმა, მაშინდელმა ოპოზიციისა და კანადის ალიანსის პარტიის ლიდერმა, მოუწოდა კანადას ჩართულიყო ამ კამპანიაში თავისუფლების დაცვისა და მასობრივი იარაღის განადგურების გაუზრცელებლობის ხელშეწყობისთვის. ვფიქრობ, ეს შეუთანხმებლობა შეიძლება აიხსნას განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიით და აშშ-ს ფაქტორით. მაგალითად, 1998 წელს ჟან კრეტიენის ლიბერალურმა მთავრობამ მხარი დაუჭირა ინგლისურ-ამერიკული დაბომბვის კამპანიას ერაყში გაეროს უშიშროების საბჭოს აშკარა მხარდაჭერის გარეშე (Barnes, 2020: 35).

უახლეს კვლევებში გამოთქმულია ვარაუდი, რომ კრეტიენის მთავრობის გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია 2003 წლის წინა საარჩევნო პოლიტიკამ. კრეტიენის ლიბერალურ მთავრობას არ სურდა კვებეკის ელექტორატის დაკარგვა, რადგან კვებეკი ისტორიულად ომის წინააღმდეგ განწყობილი რეგიონია. აღსანიშნავია, რომ კვებეკი, ლიბერალური მთავრობის საკვანძო ოლქია, სადაც მოსახლეობა ომის მომხრე არ იყო. ხოლო ალბერტას პროვინცია, რომელიც ალიანსის/კონსერვატორების ძირითადი ბაზა იყო, ინტერვენციებში ჩართვის მომხრეს წარმოადგენდა. ამგვარად, როგორც ჩანს, ჟან კრეტიენის ლიბერალ-

ური მთავრობის გადაწყვეტილება, რათა ერაყის ომისთვის საჯაროდ არ დაეჭირათ მხარი, მოტივირებული იყო პოლიტიკური იდეოლოგიისა და ლიბერალური პარტიის საარჩევნო კოალიციის მიზეზით. გასათვალისწინებელია, რომ სტივენ ჰარპერის პარტია, 2003 წელს ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო იძულებული გახდებოდა უფრო ფართო კოალიცია შეექმნა და შესაძლოა მასაც ლიბერალური მთავრობის მსგავსი პოზიცია დაეკავებინა. ჩვენ არ უნდა უგულვებელყოთ აშშ-ის ფაქტორი. ომის მსვლელობისას რამდენიმე თვეში კანადამ ავღანეთში შედარებით დიდი სამხედრო კონტინგენტი გაგზავნა. ეს შესაძლოა ნაკარნახევი ყოფილიყო შეერთებული შტატებისადმი მხარდაჭერის ჩვენებით, რათა შეესუსტებინათ ამერიკელების უკმაყოფილება იმით, რომ კანადა ერაყში კოალიციას არ შეუერთდა.

### **დასკვნა**

წინამდებარე ნაშრომი გვაძლევს საშუალებას გამოვიტანოთ რამდენიმე დასკვნა ახლო აღმოსავლეთის კანადის პოლიტიკაში აშშ-ის ფაქტორის შესახებ. ამერიკული დიპლომატიური ინიციატივები, როგორცაა ბირთვული მოლაპარაკებები ირანთან და სამხედრო ინტერვენციები, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ კამპანია, ხშირად ქმნის პოლიტიკურ გარემოს, რომელზეც კანადა ვალდებულია, რომ უპასუხოს. კანადა ზოგადად მხარს უჭერს ამ ინიციატივებსა და ინტერვენციებს, მაშინაც კი, თუ მისი წვლილი დიდი არ არის და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი პოლიტიკური გადაწყვეტილება ამომრჩეველთან ერთსულოვანია, რაზეც 2003 წლის ერაყის ომის დროინდელი პოლიტიკა მიუთითებს.

შეერთებულ შტატებს შესწევს ძალა გავლენა მოახდინოს კანადის კანონმდებლობაზე. მაგალითად ტრანსნაციონალური ქსელების მეშვეობით. უფრო მეტიც, აშშ-კანადის ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი დონე და აშშ-ს ექსტრატერიტორიული სანქციების გრძელი სია ზღუდავს კანადის შესაძლებლობას გააღრმავოს ურთიერთობები აშშ-ს მიერ სანქცირებულ რეჟიმებთან ახლო აღმოსავლეთში, როგორცაა ირანი და სირია. თუმცა, მას

შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა თანამედროვე პოლიტიკური კონტექსტი, შეერთებული შტატები იშვიათად არის მთავარი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს კანადის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში და, როგორც წესი, არ ახორციელებს დიდ ზეწოლას კანადის მთავრობებზე. უფრო მეტიც, კანადას არ გააჩნია ძლიერი ეკონომიკური ან უსაფრთხოების ინტერესები რეგიონში (Heinbecker, Momani, 2007). ეს აძლევს მას შედარებით ავტონომიას და ზრდის პოლიტიკის შემუშავებაში სხვა ფაქტორების მნიშვნელობას, მათ შორის, წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის მხარდაჭერას, ალიანსის მენეჯმენტს, ორმხრივ ურთიერთობებს რეგიონის სახელმწიფოებთან.

ამრიგად, ორ ქვეყანას შორის იდეოლოგიური თანხვედრა შეიძლება მიუთითებდეს იმის ალბათობაზე, რომ კანადის მთავრობები მხარს დაუჭერენ ამერიკულ პოლიტიკას. კანადის ლიბერალური მთავრობები უფრო მეტად მხარს უჭერენ აშშ დემოკრატიული პარტიის პოლიტიკას, ხოლო კანადის კონსერვატიული მთავრობები რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურ ხაზს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სტივენ ჰარპერის კონსერვატიული მთავრობა ერაყის ომის დაწყებისას ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ბუმის ადმინისტრაციისთვის საჯაროდ გაეწიათ დახმარება და სამხედრო ძალები ერაყში გაეგზავნა. ჯასტინ ტრუდოს ლიბერალურ მთავრობას არ შეუწყვიტავს JCPOA-ს (შეთანხმება ირანის ბირთვულ პროგრამაზე) მხარდაჭერა მას შემდეგ, რაც 2018 წლის მაისში ტრამპის ადმინისტრაციამ დატოვა შეთანხმება. როგორც კონსერვატორები ვარაუდობენ, მათი ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, კანადის სახელმწიფო პოლიტიკა ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, განსხვავებული იქნებოდა. (Sabat, 2022: 26)

აღნიშნული ვარაუდები ახლო აღმოსავლეთში და, ზოგადად, მსოფლიოში კანადის პოლიტიკის, ასევე, შეერთებული შტატებისა და კანადის ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების შემდგომი კვლევის შესაძლებლობას იძლევა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- Barnes, A. (2020). „Getting it right: Canadian intelligence assessments on Iraq, 2002-2003". *Intelligence and National Security*, 925–953.
- Heinbecker P., Momani B. (2007) "Canada and the Middle East, In Theory and Practice". The Center for International Governance Innovation (cigi) and Wilfrid Laurier University Press.
- Sabet F. (2022) Sleeping beside the Elephant: The United States in Canada’s Middle East Policy. <https://www.graduateinstitute.ch/sites/internet/files/2022-05/SABET%2C%20Farzan%20-%20Sleeping%20beside%20the%20elephant.pdf>
- Pelletier L., Massie J. (2017) “Role conflict: Canada’s withdrawal from combat operations against ISIL”. *International Journal*. Vol. 72(3) 298–317. <https://www.jstor.org/stable/26414112?seq=1>
- C-SPAN - Jean Chrétien. *Canadian Question Period*, 2003. <https://www.c-span.org/video/?175526-1/canadian-question-period>
- Canada.ca - National Defence “Operation IMPACT”, 2023. <https://www.canada.ca/en/department-national-defence/services/operations/military-operations/current-operations/operation-impact.html>
- HillNotes - Canada’s Military Role in Iraq, 2019. <https://hillnotes.ca/2019/07/25/canadas-military-role-in-iraq/> Allison Goody, Library of Parliament.
- Global News – “Canadian CF-18 jets conduct 1st airstrike against ISIS target in Syria”. Andrew Russell, 8 April, 2015. <https://globalnews.ca/news/1928284/canadian-cf-18-jets-bomb-targets-in-syria-for-first-time/>



## The U.S. Factor in Canada's Middle East Policy

**Luka Jintcharadze**

Ph.D student in American Studies,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.  
Tbilisi. I. Chavchavadze Avenue N1, 0179, Georgia.  
+995591508899. luka.jincharadze200@hum.tsu.edu.ge  
<https://orcid.org/0009-0000-6462-0469>

### Abstract

This article examines the influence of the United States on Canadian Middle East policy, focusing on Canada's involvement in campaigns against the Islamic State (ISIS) in Iraq and Syria. Canada's policy, including its participation in Operation Impact, humanitarian missions, and contributions to the Global Coalition to Defeat ISIS, underscores its alignment with U.S. strategic interests in the region. Drawing on a range of literature, policy documents, military agreements, and public statements, this study explores how U.S.-Canada relations shape Canadian policy in the Middle East. As the United States anchors the modern international order, NATO, and the global coalition, it has defined the context for Canada's interventions. Maintaining international order and managing alliances provided indirect benefits to Canada, while fostering positive U.S.-Canada relations. Bilateral relations with regional states and their stability also played a role, though these were secondary considerations in Canada's intervention strategy.

**Keywords:** Canada; USA; Middle East; intervention; Islamic State.

## **Introduction**

Canada is not a superpower and has rarely played a decisive role in the Middle East or global politics. However, the people of the Middle East, unlike the British or Americans, hold a deep respect for Canada, granting the Canadian state a unique opportunity to use diplomacy to foster positive change in the region. Canada's first steps in the Middle East after World War II began in 1947 with its support for the United Nations' plan to partition Palestine. This was followed by contributions to peace efforts during the Suez Crisis (1956) and support for multilateral diplomacy, marking the start of Canada's cautious yet significant involvement in the region. In response to late 20th- and early 21st-century geopolitical shifts, terrorist threats, and international security challenges, Canada adopted a more active political stance in the Middle East, emerging as a key actor in global security efforts in the region today.

Since September 11, the Canadian government has faced the decision of joining at least four U.S.-led military interventions in the Middle East and North Africa: the War in Afghanistan (2001-2021), the Iraq War (2003–2011), the Libya campaign against Muammar Gaddafi's regime (2011), and the ongoing campaign against the Islamic State (2014-present). With the exception of the Iraq War, Canada openly participated in all these interventions. These campaigns were launched with mandates from NATO, the United Nations, or broader international coalitions. Canada's involvement in Afghanistan and Libya was conducted under NATO auspices, while its intervention against the Islamic State in Iraq and Syria was part of a diverse international coalition. Despite these conflicts only indirectly affecting Canadian security, both Liberal and Conservative governments found com-

elling reasons-ranging from alliance commitments to international stability-to engage in these military campaigns.

Two interrelated reasons consistently driving Canada's involvement in all three conflicts were the desire to uphold a rules-based international order and the need to be perceived by like-minded allies as a reliable and cooperative partner. The United States, as the cornerstone of the modern international order, NATO, and global coalitions, played a pivotal role in shaping the context for Canadian participation in these interventions. Maintaining international order and managing alliances were viewed as providing indirect benefits to Canada, including reinforcing strong bilateral relations with the United States (Sabet, 2022: 17). While bilateral relations with regional states and their stability also influenced Canadian decisions, these were secondary considerations compared to alliance commitments and the overarching goal of preserving global security frameworks.

The motivations for Canada's Conservative and Liberal governments to engage in these common causes differed. Stephen Harper's Conservative government was primarily focused on demonstrating Canada's military prowess, as well as combating political Islam and anti-Western authoritarian regimes. In contrast, Justin Trudeau's Liberal government was less driven by these factors, prioritizing a more diplomatic and humanitarian approach in its foreign policy.

As one Canadian official noted, Canada's participation in the coalition against the Islamic State since 2014 exemplifies how the country's political ideology, alongside the foreign relations dynamics shaping its relationship with the United States, plays a significant role in shaping its actions (Sabet, 2022: 19). The Conservative government of Stephen Harper quickly joined the campaign against ISIS, with Canada's primary contribution being six fast, light, and maneuverable multi-role fighter aircraft, the CF-18 Hornets. These were deployed not only for combat but also for supporting missions, including aircraft protection, training, and advisory roles (Russell, 2015).



In his 2015 election platform, Justin Trudeau promised Canadian voters that he would end Canada's military involvement in air combat. True to his word, he fulfilled this commitment upon taking office (Pelletier & Massie, 2017).

### **Methodology**

This article employs a variety of methods commonly used in the humanities, political science, and social sciences, including analysis, induction, primary source analysis, case studies, comparison, and qualitative research. These methods are applied to examine the role of the United States in shaping Canadian policy in the Middle East, particularly in Canada's campaigns against the Islamic State (ISIS) in Iraq and Syria. The research draws on primary sources, such as government policy documents and official statements from both Canada and the United States. Additionally, secondary sources, including academic articles, political reports, and media analyses, are used to provide contextual insight into the geopolitical dynamics influencing Canadian actions in the region.

### **Discussion**

As noted, Canada's security interests have been significantly involved in the campaign against the Islamic State, although its contribution has not been decisive for the coalition. Despite this, there was little pressure on the Canadian government during the election campaign to end its combat role in Iraq and Syria. While Justin Trudeau's Liberal government eventually ceased Canada's participation in air combat, Canadian involvement continued and even expanded in other ways. This included increasing the number of military personnel, deploying troops to the front lines, conducting air strikes, and maintaining support aircraft for cover and refueling allied planes. Additionally, Canada provided training for local partner forces, increased the presence of medical personnel to support both Canadian troops and their allies, and offered training for Iraqi security forces. Canada also

ramped up the supply of military equipment to the Kurdish Peshmerga<sup>97</sup> in northern Iraq (Goody, 2019).

This increase in military efforts was accompanied by a stronger diplomatic approach, reflected in over \$1.1 billion in humanitarian and other assistance provided over three years. This aid included drinking water, food, shelter, healthcare, hygiene, sanitation, education, and financial support to meet the basic needs of refugees. Additionally, Canada focused on repairing and rebuilding infrastructure, promoting employment and economic growth, and encouraging good governance (National Defence, 2023). As such, Justin Trudeau's Liberal government's approach to the campaign against the Islamic State marked a shift from that of its predecessors. Nevertheless, the Trudeau government maintained a strong military presence in the region, balancing both military and diplomatic efforts.

Some experts have suggested that the potential displeasure of the United States played a significant role in Canada's decision to maintain its military involvement in the campaign (Sabet, 2022:23). Additionally, there may have been concerns that a complete withdrawal from the campaign would be perceived as Canada "escaping" its responsibilities, thereby undermining its credibility as an international security partner. While Justin Trudeau's Liberal government honored its campaign promise to end the air campaign, they likely anticipated U.S. discontent with the decision. Ultimately, while the United States set the context for Canada's intervention, American pressure was not the primary factor driving Canada to join the campaign against the Islamic State or to end its participation in the air campaign.

---

<sup>97</sup> The Peshmerga is a military group operating under the command of the autonomous region of Iraqi Kurdistan. The term "Peshmerga" translates to "one who confronts death" or "one who threatens death." The formal leader of the Peshmerga is considered to be the President of Iraqi Kurdistan.

Another notable example of the potential disagreement between Liberal and Conservative governments over military intervention in the region is the decision of the Liberal government of Canada's 20th Prime Minister, Jean Chrétien, not to join the campaign to invade Iraq in 2003. Despite American pressure, Prime Minister Jean Chrétien officially stated that there was no UN mandate for the invasion of Iraq (Chrétien, 2003). Stephen Harper, then leader of the opposition and of the Canadian Alliance Party, called for Canada to join the campaign to protect freedom and promote the non-proliferation of weapons of mass destruction. I believe that this disagreement can be explained by different political ideologies and the US factor. For example, in 1998, Jean Chrétien's Liberal government supported the Anglo-American bombing campaign in Iraq without explicit UN Security Council support (Barnes, 2020: 35).

Recent studies have suggested that the Chrétien government's decision was largely influenced by pre-2003 election politics. Chrétien's Liberal government did not want to lose the Quebec electorate, as Quebec is a historically anti-war region. It is worth noting that Quebec is a key constituency for the Liberal government, where the population was not in favor of the war. On the other hand, the province of Alberta, which was a major base for the Alliance/Conservatives, was in favor of intervention. Thus, it seems that the decision of Jean Chrétien's Liberal government not to publicly support the Iraq War was motivated by political ideology and the Liberal Party's electoral coalition.

It is worth considering that Stephen Harper's party, had it been in power in 2003, would have been forced to form a broader coalition and might have taken a similar position to the Liberal government. We should not ignore the US factor. During the course of the war, Canada sent a relatively large military contingent to Afghanistan for several months. This may have been dictated by a show of support for the United States in order to mitigate American discontent with the fact that Canada did not join the coalition in Iraq.

## Conclusion

This paper allows us to draw some conclusions about the US factor in Canadian Middle East policy. American diplomatic initiatives, such as nuclear negotiations with Iran and military interventions, such as the campaign against the Islamic State, often create a political environment to which Canada is obliged to respond. Canada generally supports these initiatives and interventions, even if its contribution is not large, especially when its political decision aligns with the broader sentiment of the electorate, as evidenced by the policy during the 2003 Iraq War.

The United States has the power to influence Canadian law, for example, through transnational networks. Moreover, the high level of US-Canadian economic integration and the long list of US extraterritorial sanctions limit Canada's ability to deepen relations with US-sanctioned regimes in the Middle East, such as Iran and Syria. However, as the modern political context has evolved, the United States has rarely been a major factor shaping Canadian policy in the Middle East and has generally not exerted much pressure on Canadian governments. Additionally, Canada does not have strong economic or security interests in the region (Heinbecker, Momani, 2007). This gives Canada relative autonomy and increases the importance of other factors in policymaking, including support for a rules-based international order, alliance management, and bilateral relations with states in the region.

Thus, the ideological alignment between the two countries may indicate the likelihood that Canadian governments will support American policies. Liberal governments in Canada tend to support the policies of the US Democratic Party, while Conservative governments in Canada tend to support the policies of the Republican Party. It can be assumed that if the Conservative government of Stephen Harper had been in power at the beginning of the Iraq War, they might have publicly supported the Bush administration and sent military forces to Iraq. Justin Trudeau's Liberal government did not stop supporting the

JCPOA (the Iran Nuclear Deal) after the Trump administration withdrew from the agreement in May 2018. As conservatives suggest, if they had been in power, Canadian public policy regarding the Iranian nuclear program would have been different (Sabet, 2022: 26).

These assumptions provide an opportunity for further research into Canadian policy in the Middle East and, more generally, its global foreign policy, as well as the asymmetric relationship between the United States and Canada. Investigating how ideological alignments and domestic political dynamics shape Canada's responses to international issues, especially in regions like the Middle East, could offer valuable insights into the broader context of Canadian diplomacy and its positioning relative to US interests.

### Reference:

- Barnes, A. (2020). „Getting it right: Canadian intelligence assessments on Iraq, 2002-2003". *Intelligence and National Security*, 925–953.
- Heinbecker, P., Momani, B. (2007). "Canada and the Middle East, In *Theory and Practice*". The Center for International Governance Innovation (cigi) and Wilfrid Laurier University Press.
- Sabet, F. (2022). *Sleeping beside the Elephant: The United States in Canada's Middle East Policy*. <https://www.graduateinstitute.ch/sites/internet/files/2022-05/SABET%2C%20Farzan%20-%20Sleeping%20beside%20the%20elephant.pdf>
- Pelletier L., Massie J. (2017) "Role conflict: Canada's withdrawal from combat operations against ISIL". *International Journal*. Vol. 72(3) 298–317. <https://www.jstor.org/stable/26414112?seq=1>
- C-SPAN - Jean Chrétien. *Canadian Question Period, 2003*. <https://www.c-span.org/video/?175526-1/canadian-question-period>
- Canada.ca - National Defence "Operation IMPACT", 2023. <https://www.canada.ca/en/department-national-defence/services/o>

rations/military-operations/current-operations/operation-impact.html

HillNotes - Canada's Military Role in Iraq, 2019. <https://hillnotes.ca/2019/07/25/canadas-military-role-in-iraq/> Allison Goody, Library of Parliament.

Global News – “Canadian CF-18 jets conduct 1st airstrike against ISIS target in Syria”. Andrew Russell, 8 April, 2015. <https://globalnews.ca/news/1928284/canadian-cf-18-jets-bomb-targets-in-syria-for-first-time/>



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა  
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

---

---

კონფლიქტი მთიან ყარაბაღში და მისი გავლენა სოციუმზე (აკრამ აილისლისის „ქვის სიზმრების“, გიუნელ მოვლუდის „ბანაკისა“ და ნარინე აბგარიანის შემოქმედების მიხედვით)

**მზევინარი ჯანაშვილი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სადოქტორო პროგრამა თანამედროვე ქართული  
ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა,  
დოქტორანტი. საქართველო, 0186 თბილისი,  
ა. პოლიტოვსკაიას ქ. # 61  
+995 555 42 10 89. janashvilimzevinri@gmail.com  
ORCID iD: 0009-0001-2340-2980

### აბსტრაქტი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არის ეთნიკური და ტერიტორიული დაპირისპირება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც მთიანი ყარაბაღის რეგიონისა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე მიმდინარეობს. ეს კონფლიქტი სათავეს იღებს მე-20 საუკუნის დასაწყისში, მაგრამ განსაკუთრებით გამწვავდა 1980-იანი წლების ბოლოს, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის ფონზე სომხებმა მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა და აზერბაიჯანიდან გამოყოფა მოითხოვეს.

1992 წლის თებერვალში მომხდარმა „ხოჯალის ხოცვა-ჟლეტამ“<sup>98</sup> გამოიწვია მასობრივი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და მასშტაბური იძულებითი გადაადგილება. ეს ტრაგიკული მოვლენა გახდა კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეპიზოდი, რომელმაც გამოიწვია რეგიონის დემოგრაფიული ცვლილება და დღემდე რჩება დაძაბულობის წყაროდ ორ ქვეყანას შორის. კონფლიქტის გადაუჭრელობა კვლავ ახდენს გავლენას რეგიონულ სტაბილურობასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე სამხრეთ კავკასიაში. ყარაბაღის კონფლიქტს იძულებით გადაადგილებასთან ერთად მოჰყვა ეკონომიკური სირთულეები და ფსიქოლოგიური ტრავმა მრავალი ადამიანისთვის. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ორივე ქვეყნის სომხეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოებებზე, რაც აისახა აქრამ აილისლის „ქვის სიზმრებში“, გიუნელ მოვლუდის „ბანაკსა“ და ნარინე აზგარიანის მხატვრულ ნაწარმოებებში, სადაც გააზრებულად საუბრობენ ამ კონფლიქტის შედეგებსა და გავლენაზე.

აქრამ აილისლის „ქვის სიზმრები“, <sup>99</sup> გიუნელ მოვლუდის „ბანაკი“ და ნარინე აზგარიანის „განაგრძე ცხოვრება“ არის ნაწარმოებები, სადაც მწერლებმა შეძლეს უმძიმეს ადამიანურ მანკიერებებზე ამაღლებით საკუთარ თავში მტრობისა და სისასტიკის დამარცხება, საპირისპირო მხარის ტკივილის, ტანჯვის გასიგრძეგანება და გათავისება.

აქრამ აილისლი, ნარინე აზგარიანი და გიუნელ მოვლუდი - არიან მწერლები, რომლებიც საუბრობენ ყარაბაღის ომის და ომის შემდგომ პერიოდზე, საკუთარი მიწიდან, სახლიდან, შექ-

---

<sup>98</sup> „ხოჯალის გენოციდი, რომელიც მთელი აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგაა მიმართული, გახლავთ კაცობრიობის ისტორიაში ბარბაროსული ქმედების გამოვლინება; იგი წარმოუდგენელი სისასტიკითა და სასჯელის არაადამიანური მეთოდებით ხასიათდება. ეს გენოციდი ასევე მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ისტორიული დანაშაულია.“

<sup>99</sup> <https://www.armin.am/images/menus/1400/AkramAilisi-Stone-dreams.pdf>



ვეული ყოფიდან გამოგდებულ, ყველანაირი საკუთრების დამკარგავი ადამიანების ბედზე.

მწერლები გადმოგვცემენ თავიანთი თვალით დანახულს და განცდილს. სამივე ავტორი ცდილობს მთელი სულისკვეთებით გადმოგვცენ ის ტკივილი და ტრავმა, რომლებიც ცვლიან ადამიანის ცხოვრებას. სამივე ავტორი საუბრობს იძულებით გადაადგილებულთა ეკონომიკურ სირთულეებსა და ფსიქოლოგიური ტრავმის გამოცდილებაზე<sup>100</sup> და ხშირად ეხებიან კონფლიქტისა და ომის თემებს<sup>101</sup> (Alexander, 2004:5).

ავტორები წარმოაჩენენ კონფლიქტის ორივე მხარეს, მათ კულტურულ მემკვიდრეობას და ეროვნული იდენტობის საკითხებს, საუბრობენ ომის აბსურდულობასა და დამანგრეველ შედეგებზე. მათი პერსონაჟები წარმოაჩენენ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ ღირსება და გააგრძელონ ცხოვრება ომისა და კონფლიქტის მიმე პირობებში.

ეს ლიტერატურული ნაწარმოებები გვთავაზობენ უნიკალურ შესაძლებლობას, გავიგოთ კონფლიქტის კომპლექსური ბუნება და მისი გავლენა ადამიანთა ცხოვრებასა და სოციუმზე, რითაც ხელს უწყობენ ემპათიისა და ურთიერთგაგების გაღრმავებას.

სამივე ავტორის შემოქმედება ერთგვარი სარკეა, რომელიც ასახავს კატასტროფულ ჭეშმარიტებას: ომი და შედეგად ტრავმა არის უცვლელი ტრაგიკული კომპონენტი კაცობრიობის ისტორიაში, მათ შორის თანამედროვე სამყაროში.

**საკვანძო სიტყვები:** ტრავმული მეხსიერება; მთიანი ყარაბაღის ომის შემდგომი სამყარო და მისი გავლენა სოციუმზე.

---

<sup>100</sup> Айерман Р. Социальная теория и травма / Р. Айерман // Социологическое обозрение. — Т. 12. — 2013. — № 1. — С. 125.

<sup>101</sup> Казарян К., Исаев Г. Армяне и азербайджанцы заживают психологические раны после войны.

## დისკუსია

აქრამ აილისილის, ნარინე აბგარიანისა და გიუნელ მოვლუდის ნაწარმოებებისა მთავარი თემებია: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, უმცირესობათა უფლებები, მშვიდობის დაცვა და საკაცობრიო ღირებულებები. მათ ნაწარმოებებში საუბარია თუ რა გავლენა იქონია კონფლიქტმა სოციუმზე სხვადასხვა პერპექტივიდან და როგორ შეცვალა ომმა ჩვეულებრივი ადამიანების ბედი, რამაც განაპირობა ტრავმა, იძულებითი გადაადგილება და ოჯახების დაშლა.<sup>102</sup> მათი ნაწარმოებები ასევე ეხება იდენტობის, მეხსიერებისა და შერიგების თემებს. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ ცდილობენ ადამიანები შეინარჩუნონ თავიანთი კულტურა და ტრადიციები კონფლიქტის პირობებში. სამივე ავტორი ხაზს უსვამს ომის ტრაგიკულობას, მის უარყოფით გავლენას სოციუმზე და მათ შედეგებს:

- **იძულებითი გადაადგილება:** ნაწარმოებებში აღწერილია თუ როგორ აიძულა კონფლიქტმა ადამიანთა უმრავლესობას დაეტოვებინათ საკუთარი კარ-მიდამოები. ეს ყველაფერი ცვლის პერსონაჟების იდენტობას და მათ კავშირს სამშობლოსთან.
- **კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვა:** ნაწარმოებებში ნათლად ჩანს, როგორ ემუქრება და ანადგურებს კონფლიქტი კულტურულ მემკვიდრეობას. პერსონაჟები განიცდიან არამხოლოდ ფიზიკურ ტრავმას და ტანჯვას, არამედ მათ კულტურულ იდენტობის ნაწილსაც ემუქრება სამომავლოდ განადგურება.
- **ურთიერთობების რღვევა:** ნაწარმოებებში აღწერილია, თუ როგორ ანგრევს კონფლიქტი ოჯახებსა და თემებს. ადრე

---

<sup>102</sup> Alexander, Jeffrey C – Toward a Theory of Cultural Trauma – University of California press, Berkley 2004

მშვიდობიანად მცხოვრები მეზობლები (აზერბიჯანელი და სომხები), ომის ზეგავლენით, მტრებად იქცევიან.

- **ტრავმა და მეხსიერება:** ავტორები გვიჩვენებენ, როგორ მოქმედებს ტრავმული მეხსიერება ადამიანების ფსიქიკაზე. პერსონაჟები ებრძვიან მტკივნეულ მოგონებებსა და ცდილობენ გაუმკლავდნენ წარსულს.
- **ჰუმანურობის შენარჩუნება:** მიუხედავად ამ სირთულეებისა, ტექსტებში წარმოჩენილია პერსონაჟების მცდელობა, შეინარჩუნონ თანაგრძნობა და ჰუმანურობა კონფლიქტის პირობებში.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხატვრულ ლიტერატურაში ტრავმული მეხსიერების პრობლემის, ომის ზეგავლენის შესასწავლად.

ეს დისკუსიის პუნქტები იძლევა საშუალებას გავანალიზოთ კონფლიქტის კომპლექსური ბუნება და მისი მრავალმხრივი გავლენა. ისინი ასევე გვთავაზობენ პერსპექტივებს მომავალი კვლევებისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის.

## შესავალი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე რთული და ხანგრძლივი დაპირისპირებაა პოსტსაბჭოთა სივრცეში. კონფლიქტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გრძელდება, ღრმად აისახა რეგიონის მოსახლეობის ცხოვრებაზე, კულტურასა და ლიტერატურაზე. აქრამ აილისლი, ნარინე აზგარიანი და გიუნელ მოვლუდი - სამივე მწერალი სხვადასხვა კულტურული და ეთნიკური წარმომავლობით - ნაწარმოებებში ასახავს ამ კონფლიქტის მრავალმხრივ გავლენას სოციალურად. კონფლიქტმა გამოიწვია:

- მასობრივი იძულებითი გადაადგილება;
- ეკონომიკური სირთულეები ორივე ქვეყანაში;

- ეთნიკური დამაბულობის ზრდა;
- ფსიქოლოგიური ტრავმა მრავალი მოქალაქისთვის;
- საერთაშორისო ურთიერთობების გართულება რეგიონში.

ნაშრომის კვლევის ინტერესს წარმოადგენს აქრამ აილისლის რომანი „ქვის სიზმრების“, გიუნელ მოვლუდის ავტობიოგრაფიული რომანი „ბანაკი“ და ნარინე აბგარიანის პროზაული კრებულის „განაგრძე ცხოვრება“<sup>103</sup> განხილვა ტრავმის დისკურსის კონტექსტში.

აღნიშნული ავტორების შემოქმედების მთავარი კონცეპტია პოსტრავმული ცხოვრების ასახვა. შესწავლილი ნაწარმოებების გმირების მთავარი პრობლემად რჩება ომის შედეგად მიღებული ტრავმა, მისი გვლენა სოციუმზე და მიღებული ტრავმის დაძლევა.

**კვლევის მიზანია გაანალიზოს და წარმოაჩინოს ნარინე აბგარიანის მცირე კრებულის „განაგრძე ცხოვრების“, გიუნელ მოვლუდის „ბანაკისა“ და აქრამ აილისლის „ქვის სიზმრების“ ტექსტში წარმოჩენილი ომის რეალობა, იძულებითი გადასახლება და ტრავმის მხატვრული ინტერპრეტაცია.**

ნაშრომის **აქტუალურობას** განაპირობებს ტრავმის პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების შესწავლის აუცილებლობა თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში.

ტრავმა გლობალური, უნივერსალური, მარადიული პრობლემაა და მისი შესწავლა მეხსიერებისა და პოსტმეხსიერების დაუფლების საშუალებაა; ჰუმანურ და ეთიკურ კითხვებზე პასუხების პოვნის საშუალება. კონკრეტული მწერლების მხატვრული ნაწარმოებების ანალიზით ვეცადეთ გაგვეგო კონფლიქტის უფრო ღრმა, ადამიანური მხარე და მისი გავლენა როგორც ინდივი-

---

<sup>103</sup> Радио «Эхо Москвы» (11.09.2020) [подкаст радиointервью «Книжная кухня». Книга «Дальше жить» с Наринэ Абгарян в прямом эфире]. ელ.რესურსი: <https://echo.msk.ru/programs/beseda/2707455-echo/> (გადამოწმებულია 10.05.2024)

დებზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე. ეს კვლევა ხაზს გაუსვამს ლიტერატურის მნიშვნელობას რთული სოციალური და პოლიტიკური რეალობის გააზრებისა და გადმოცემისთვის. სამივე ავტორის ნაწარმოებები გვთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობას, შევხედოთ კონფლიქტის ეპიცენტრში მყოფი ადამიანების ცხოვრებას, გავიგოთ მათი განცდები, იმედები და შიშები. ისინი ასახავენ არა მხოლოდ ომის ფიზიკურ და მატერიალურ შედეგებს, არამედ მის ღრმა ფსიქოლოგიურ და სოციალურ გავლენას საზოგადოებაზე<sup>104</sup> (ალექსანდერი, 2015:96).

ამ ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზი საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ კონფლიქტის კომპლექსური ბუნება და მისი გავლენა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ემპათიის გაღრმავებას და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიებას.

## **მეთოდი**

ამ კვლევაში გამოყენებულია კომპარატიული ლიტერატურული ანალიზის მეთოდი,<sup>105</sup> რომელიც მიზნად ისახავს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ასახვის შესწავლას სამ ლიტერატურულ ნაწარმოებში: აქრამ აილისლის „ქვის სიზმრების“, გიუნელ მოვლუდის „ბანაკისა“ და ნარინე აზგარიანის „განაგრძე ცხოვრების“ მიხედვით.

**1. ტექსტების შერჩევა და მომზადება:** სამივე ნაწარმოების ორიგინალი ტექსტების მოძიება - საჭიროების შემთხვევაში, თარგმანების გამოყენება (ქართულ ან ინგლისურ ენაზე).

**2. ძირითადი თემების იდენტიფიკაცია:** თითოეულ ნაწარმოებში კონფლიქტთან დაკავშირებული მთავარი თემების გამოყოფა - თემების კატეგორიზაცია (მაგ., იძულებითი გადაადგილება, იდენტობის კრიზისი, ტრაემა).

---

<sup>104</sup>[https://kulturiskvleebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/cultural\\_trauma\\_and\\_collect.identity.pdf](https://kulturiskvleebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/cultural_trauma_and_collect.identity.pdf)

<sup>105</sup> [http://css.ge/wp-content/uploads/Tsuladze\\_Sociologiuri\\_Kvlevis\\_Tvisebrivi\\_Metodebi.pdf](http://css.ge/wp-content/uploads/Tsuladze_Sociologiuri_Kvlevis_Tvisebrivi_Metodebi.pdf)

**3. ნარატიული ტექნიკების ანალიზი:** ავტორების მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხების შესწავლა - პერსონაჟების განვითარებისა და თხრობის სტილის ანალიზი.

**4. კონტექსტუალური ანალიზი:** ნაწარმოებების ისტორიული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინება - ავტორების ბიოგრაფიული დეტალების გამოკვლევა, რამდენადაც ეს რელევანტურია.

**5. შედარებითი ანალიზი:** სამივე ნაწარმოების შედარება თემატური, სტილისტური და იდეოლოგიური თვალსაზრისით; მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიკაცია.

**6. სოციალური გავლენის შეფასება:** ნაწარმოებების რეცეფციის შესწავლა შესაბამის საზოგადოებებში; ლიტერატურული კრიტიკის მიმოხილვა.

**7. ინტერპრეტაცია და სინთეზი:** მოპოვებული მონაცემების ინტერპრეტაცია; დასკვნების გამოტანა კონფლიქტის ლიტერატურულ რეპრეზენტაციაზე.

**8. ეთიკური საკითხები:** მგრძობიარე თემების გათვალისწინება ანალიზის პროცესში; ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.

ეს მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სისტემატურ მიდგომას ნაწარმოებების ანალიზისადმი და საშუალებას იძლევა გამოვლინდეს, თუ როგორ ასახავენ სხვადასხვა ავტორები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს და მის გავლენას საზოგადოებაზე, ეს მეთოდოლოგიური ჩარჩო საშუალებას მოგვცემს მრავალმხრივად შევისწავლოთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და მისი გავლენა საზოგადოების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს კვლევის სიღრმესა და ობიექტურობას.

## **შედეგები**

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არის ხანგრძლივი დაპირისპირება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, ამ რეგიონის კონ-

ტროლის გამო. კონფლიქტმა რამდენიმე ეტაპი გაიარა, მათ შორის ომი 1990-იან წლებში და 2020 წელს, კონფლიქტის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა:

- მოსახლეობის გადაადგილება: ბევრი ადგილობრივი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი, საბრძოლო მოქმედებების გამო.
- ინფრასტრუქტურის დაზიანება: ქალაქის შენობები და კომუნიკაციები მნიშვნელოვნად დაზიანდა, საომარი მოქმედებების შედეგად.
- ეკონომიკური ზეგავლენა: კონფლიქტმა სერიოზულად დააზარალა ადგილობრივი ეკონომიკა, შეაფერხა ვაჭრობა და ინვესტიციები.
- პოლიტიკური არასტაბილურობა: ქალაქის სტატუსი და მართვა ხშირად იცვლებოდა კონფლიქტის მიმდინარეობისას.
- ჰუმანიტარული კრიზისი: მოსახლეობა განიცდიდა საკვების, წყლის და სამედიცინო დახმარების ნაკლებობას.

### **დემოგრაფიული ცვლილებები:**

მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება, ეთნიკური შემადგენლობის ცვლილება რეგიონში, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის ზრდა,

### **სოციალურ-ეკონომიკური შედეგები:**

სოციუმის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განადგურება, უმუშევრობის მაღალი დონე იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის, სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის შემცირება, ფსიქოლოგიური გავლენა. პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის (PTSD) მაღალი მაჩვენებელი გადარჩენი-

ლებში, კოლექტიური ტრავმის ჩამოყალიბება აზერბაიჯანულ საზოგადოებაში, თაობათაშორისი ტრავმის გადაცემა.<sup>106</sup>

**კვლევის შედეგად გამოვლინდა** რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ლიტერატურულ რეპრეზენტაციასთან დაკავშირებით:

### 1. თემატური მსგავსებები:

სამივე ნაწარმოებში გამოიკვეთა საერთო თემები: იძულებითი გადაადგილება, იდენტობის კრიზისი, ტრავმა და გამძლეობა.

აილისლის „ქვის სიზმრები“ და აბგარიანის „განაგრძე ცხოვრების მიხედვით“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ომის აბსურდულობასა და მის გავლენას ჩვეულებრივ მოქალაქეებზე. მოვლუდის „ბანაკი“ აქცენტს აკეთებს ლტოლვილთა ამოცდილებაზე, მათ ბრძოლაზე ახალ რეალობასთან ადაპტაციისთვის.

### 2. პერსპექტივების მრავალფეროვნება:

«Каменные сны» („ქვის სიზმრები“ (აზერბაიჯანული: *Daş yuxular*) არის აზერბაიჯანელი მწერლის აკრამ აილისლის რექციემური რომანი, რომელიც ეძღვნება სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გააზრებას, მისი ესკალაციის პერიოდში 1980-იანი წლების ბოლოს. რომანში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ავტორის მშობლიური სოფლის - აილისის ისტორიას ნახიჩევანის მხარეში, რომლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სომხები იყვნენ, თითქმის მთლიანად განადგურდნენ 1919 წლის ხოცვა-ჟლეტის დროს. რომანი ეძღვნება მწერლის თანამემამულეების ხსოვნას, რომლებმაც დატოვეს უდიდესი ტკივილი მის გულში.

**აილისლი** გვთავაზობს აზერბაიჯანულ ხედვას, მაგრამ ცდილობს წარმოაჩინოს კონფლიქტის ორივე მხარე. როგორც

---

<sup>106</sup> Gamaghelyan, Phil. "Rethinking the Nagorno-Karabakh Conflict: Identity, Politics, Scholarship." *International Negotiation*, vol. 15, no. 1, 2010, pp. 33-56.



აღვნიშნეთ, აზერბაიჯანელი მწერლის ეს რომანი ეხება სომეხ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს. აზერბაიჯანში 2013 წლის იანვრის პირველი დღეები აღინიშნა სკანდალური ამბით, წიგნის გამოსვლის შემდეგ საჯაროდ აცხადებდნენ, რომ გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა მწერალმა აქრამ აილისლიმ შეურაცხყოფა მიაყენა აზერბაიჯანელ ერს, მწერალს ადანაშაულებდნენ სომხების მიმართ სიმპათიაში და აკრიტიკებდნენ აზერბაიჯანულ მედიას, მწერალთა კავშირს (რომლის წევრიც აილისლი 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო) მასთან სოლიდარობისთვის. მწერალმა რომანის დაწერის მიზეზი შემდეგნაირად განმარტა: თავდაპირველად მესმოდა თემის სირთულე, ვიცოდი, რომ საზოგადოებაში მას ორაზროვნად მიიღებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ბევრი ადამიანია, ვინც ამ ორი ხალხის ტრაგედიიდან უზარმაზარ დივიდენდებს იღებს და კარიერას მასზე აშენებს. წინასწარ ვიწინასწარმეტყველე, როგორი გაბრაზებითა და გამწარებით შეხვდებოდა ეს ხალხი რომანს. გულწრფელად რომ გითხრათ, ამ ნამუშევრით მინდოდა მესიჯი გამეგზავნა სომხებისთვის და, პირველ რიგში, მთიან ყარაბაღში მცხოვრები სომეხი მოქალაქეებისთვის. „მინდოდა მათთვის მეთქვა, რომ ჩვენ არ დაგვიწყებია ბოროტება, რაც მათ წინააღმდეგ ჩავიდინეთ. დიახ, ჩვენ ჩავიდინეთ ეს ბოროტება. მაგრამ მათ იგივე გააკეთეს და ამ ყველაფრის შესახებ სხვებმაც, მათ შორის ხოჯალის სომეხმა მწერლებმაც უნდა თქვან. მინდა ხაზი გავუსვა, რომ თუ სომეხები განაგრძობენ მთიან ყარაბაღში ცხოვრებას, მაშინ ისინი არ უნდა შევაშინოთ. მე მესიჯი გავუგზავნე სომეხებს, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის და ჩვენ შეგვიძლია მშვიდობიანად თანაცხოვრება.

**ნარინე აზგარიანის შემოქმედება „განაგრძე ცხოვრების“ მიხედვით:** <sup>107</sup> აზგარიანი არის სომეხი მწერალი, რომელიც ხშირად წერს მთიანი ყარაბაღის შესახებ. ის უშუალო კავშირშია ისტორიულ მოვლენებთან, ომი და მიღებული ტრავმა მისი პირადი ტრაგედიაა. აზგარიანთა ოჯახი ომის მსხვერპლია, რადგან

---

<sup>107</sup> Абгарян Н. Дальше жить. Москва : АСТ, 2018. 256.

ის ცხოვრობდა (და მწერლის მშობლები დღესაც ცხოვრობენ) სასაზღვრო რეგიონში - ხშირი დაბომბვისა და საომარი მოქმედებების ადგილას. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის ზონაში მცხოვრები **ნარინე იურიევნა** იყო შეიარაღებული მოვლენების უშუალო თვითმხილველი, რამაც ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მშვიდობიანი მოსახლეობის უმეტესობას, მათ შორის მის ახლო ნათესავებს. კრებული შეიცავს ავტობიოგრაფიულ ფაქტებს, დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს. ახლობელმა ადამიანებმა, მათმა ისტორიებმა და გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წარსულის გააზრებაში. აზერბაიჯანი ცდილობს წარმოაჩინოს კონფლიქტის გავლენა ჩვეულებრივ ადამიანებზე. **ავტორი** ფოკუსირდება სომხურ გამოცდილებაზე, მაგრამ ასევე იკვლევს კონფლიქტის უნივერსალურ ასპექტებს.<sup>108</sup>

**გიუნელ მოვლუდის „ბანაკი“:**<sup>109</sup> მოვლუდი გიუნელ იმანოვას სამწერლო ფსევდონიმია. პოეტი აზერბაიჯანის ყარაბაღის რეგიონში დაიბადა. 12 წლის ასაკში გიუნელი იძულებული გახდა, ოჯახთან ერთად, დაეტოვებინა მშობლიური ქვეყანა ყარაბაღის კონფლიქტის გამო. აზერბაიჯანელი მწერლის ნაწარმოები ასახავს საკუთარი მიწიდან, სახლიდან, შეჩვეული ყოფიდან გამოგდებული, ყველანაირი საკუთრების დამკარგავი ადამიანების ბედს; ამგვარ რთულ ვითარებაში აღმოცენებულ იერარქიას, დომინანტი ინდივიდების მიერ დადგენილი კანონებს, ექსტრემალური პირობებისგან წარმოქმნილი შემთხვევებსა და ურთიერთობებს. მოვლუდი ყურადღებას ამახვილებს ადამიანურ ისტორიებსა და კონფლიქტის პირად გავლენებზე.

### 3. ნარატიული ტექნიკები:

---

<sup>108</sup> Abgaryan, Narine. *Three Apples Fell from the Sky*. Oneworld Publications, 2020.

<sup>109</sup> «Девочка из Карабаха» — роман Гюнель Мовлуд о жизни беженцев, патриархальном Азербайджане и сильных женщинах, ელ.რესსური: <https://www.rfi.fr/tu/kavkaz/2021/0308-девушка-из-карабаха-р-оман-гюнель-мовлуд-беженцы-война-азербайджан-женщины> (გადამოწმებულია 23.09.2024)

Гюнель Мовлуд, «Девочка из Карабаха».

აქრამ აილისლი იყენებს სიმბოლურ ენას, გამომსახველობით საშუალებებს და მაგიურ რეალიზმს კონფლიქტის აბსურდულობის გადმოსაცემად.

აბგარიანი მიმართავს პირველ პირში თხრობას, რაც ზრდის ემოციურ ზემოქმედებას მკითხველზე.

მოვლული იყენებს დოკუმენტურ სტილს, რეალისტური სურათის შესაქმნელად.

#### **4. იდენტობის საკითხები:**

სამივე ნაწარმოებში ხაზგასმულია ეროვნული და კულტურული იდენტობის მნიშვნელობა. პერსონაჟები ხშირად განიცდიან იდენტობის კრიზისს კონფლიქტის კონტექსტში.

#### **5. სოციალური გავლენა:**

აილისლის წიგნმა გამოიწვია წინააღმდეგობრივი რეაქციები, განსხვავებული აზერბაიჯანში, რაც მიუთითებს თემის მგრძნობელობაზე.

აბგარიანის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ომის შედეგებზე დიალოგის ინსპირირებას სომხურ საზოგადოებაში.

მოვლულის „ბანაკი“ გახდა მნიშვნელოვანი წყარო ლტოლვილთა გამოცდილების გასაგებად.

#### **6. უნივერსალური გზავნილები:**

სამივე ავტორი ხაზს უსვამს მშვიდობის, შერიგებისა და ჰუმანიზმის მნიშვნელობას.

ნაწარმოებები წარმოაჩენს ომის დამანგრეველ შედეგებს, უბიძგებს მკითხველს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ. სამი ავტორის მხატვრული ტექსტების განხილვის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი საერთო თემები:

1. **ომის ტრაგიკულობა:** სამივე ავტორი ხაზს უსვამს კონფლიქტის დამანგრეველ გავლენას ადამიანთა ცხოვრებაზე, მომავალზე.

2. **იდენტობის საკითხები:** ნაწარმოებებში ხშირად განიხილება ეროვნული და პირადი იდენტობის თემები კონფლიქტის კონტექსტში.

3. **მეხსიერება და ტრავმა:** ავტორები წერენ იმაზე, როგორ ახდენს გავლენას ისტორიული მეხსიერება და კოლექტიური ტრავმა თანამედროვე რეალობაზე.

4. **ჰუმანიზმი:** სამივე მწერალი ცდილობს წარმოაჩინოს კონფლიქტის მონაწილეთა ადამიანური მხარე, მიუხედავად მათი ეროვნებისა.

5. **შერიგების პერსპექტივები:** ნაწარმოებებში ხშირად ისმის კითხვა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს შერიგება და მშვიდობის მიღწევა.

ძე მიქელაძე, 90 წლის) (მასალები.., 2019:57). „ჩვენები რომ ამოვდენ, იმ წელიწადს მინდორში ძველ ყორეზე ძველთაძველი სანაყი ქვა (ჩამური) უნახიან..., ამ ჩამურს ახლაც ვხმარობთ (მთხრობელი: დურსუნ იუსუფის ძე ამაღლობელი, 75 წლის, ნაღვარევი, შუახევის მუნიციპალიტეტი) (მასალები..,2019:57). „ადგილობრივი გლეხობა ძველად ქერსა და ჭვავს იმიტომ თესავდა, რომ სიმინდის მოსავალი ცუდი იყო, არ ყოფნიდა. ამიტომ დამატებით ჭვავი, ღომი, ქერი და სხვა ასეთები ითესებოდა (მემედ იუსუფის ძე ნაგერვადე, 75 წლის, ზედა ჩხუტუნეთი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). „მარცვლოვანი კულტურებიდან გავრცელებული ყოფილა ჭვავი, ქერი, ფეტვი, ღომი, სელი, კანაფი და ნაკლებად პური. მთხრობელის ბაბუას, მემედ ხინკილაძეს, რომელიც 1879 წელს გარდაიცვალა უთქვამს: სახნავებში მოდიოდა 293 ფუთი სიმინდი, 4 ფუთი ჭვავი, 2-3 ფუთი ღომი... (ბეხრი ხინკილაძე, სოფელი ჩიქუნეთი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) (მასალები.., 2019:101). ბლომად ითესებოდა ღომი მალღობ ადგილებში, შორ ყანებში. გავცელებული იყო „მაჭახლურა“ ღომი, რომელსაც თავთავი დატოტვილი არ ქონდა და ერთ მთლიანს წარმოადგენდა, მეორე ჯიშის ღომს კი თავთავზე რამოდენიმე პატარა განტოტება ქონდაო. სახლთან მდებარე ნაკვეთს, ბაღჩას ეძახდნენ. ძველად „მამული“ ჰქვიებიაო, სადაც თესავდნენ სიმინდს, ქერს, ღომს... იმ ნაკვეთში წინათ სიმინდი არ მოდიოდა და ამიტომ ფეტვსა და ღომს თესავდნენ (სოფელი მანიაკეთი, 1959 წ.)(მასალები..,2019: 103). ყიშლები ქონდათ „ნაქერვალზე“ მთა შქერნალზე, როდესაც ეს მხარე საქართველო იყო, იმ დროს აქ ღომი და ფეტვი უთოხნიათ, დაბალ ადგილებში ღომს თესავდნენ, ზეგნებში კი ფეტვს (მგელაძეები, ხულო) (მასალები..,2019:122). მოხუცები იტყოდნენ, რომ წინათ სიმინდი რომ არ ყოფილა, ხალხი ფეტვს, პურსა და ქერს თესავდა. ღომს დაბლობში (რიყეთი, ხულო) (მასალები..,2019:123). ითესებოდა ქერიც.., სიმინდის კულტურის შემოსვლამდე ძირითადად ჭვავი და ღომი ყოფილა. ღომს ისე იყენებდნენ, როგორც დღეს ბრინჯს. მისგან ფაფასაც ამზადებდნენ ( მთხრობელი, ომარ დოლიძე. 84

წლის, ხასან თურმანიძე, 88 წლის,მერისი, ქედა) (მასალები..., 2019:131).

ძველად თესდნენ სიმინდს, ღომს, პურს, ქერს, ჭვავს, ფეტვს, სელს... ღომი ყოფილა 2 ჯიშის, რომლებიც ერთმანეთისგან თავთავით განსხვავდებოდა.

80 წლის წინ ჰქონიათ შემდეგი სახნავები: ნაფუძარი, მოდიოდა 80 ფუთი სიმინდი. ახლოყანები - მოდიოდა სიმინდი 50 ფუთი, პური 30 ფუთი, ქერი 20 ფუთი. ნასლავდელეზე მოდიოდა სულ 120 ფუთი სიმინდი, პური 40 ფუთი, 30 ფუთი ქერი. ნაშენზე თესდნენ სიმინდს, ღომს. მოდიოდა 50 ფუთი სიმინდი და 6 ფუთი ღომი.

ბარდნარში მოდიოდა სიმინდი 150 ფუთი, ვერხვნარში სიმინდი 60 ფუთი და სელი 8 ჭკირთი. ზვანთიში მოდიოდა 50 ფუთი სიმინდი, ყორიათში სიმინდი 40 ფუთი, ჭვავი 18 ფუთი, ცხემლიქედში სიმინდი 30 ფუთი, ჭვავი 8 ფუთი, ახლოყანებში სიმინდი 85 ფუთი, ღომი 8 ფუთი (მთხრობელი დაუთ ჰაჯის ძე დიასამიძე, 76 წლის, ზენდიდი, ქედა. 1959) (მასალები...,2019:135-136).

ღომის თავთავებს ცეხავდნენ ქვის საძირგველში, რომელსაც ფეხით ამოძრავებდნენ. როგორც ღომს, ასევე ჭვავს, ქერს და სხვ, თესდნენ იმ მიზნით, რომ სიმინდს დახმარებოდა. ვინაიდან მოსავალი ცოტა იყო. მუსტაფა დიასამიძის სახნავებში მოდიოდა სიმინდი, ჭვავი, ღომი და ა.შ. (მარადიდი).

ჭახათსა და მის მიდამოებში გავრცელებული იყო ღომის ორი სახე: „ ბორჩხა ღომი“ და „ბაწარა ღომი“. ბაწარას თავთავი მოგრძო ჰქონდა, მთლიანი, მტევნისებური. ადრე მოსავალი იყო. ის მწირე ნიადაგზეც მოდიოდა მაღლობებშიც. ბორჩხა ღომი საგვიანო იყო და მოდიოდა ნოყიერ ნადაგზე, დაბლობებში, მას ღერო მსხვილი ჰქონდა, ტანი მაღალი, თავთავი დატოტვილი. ღომს თესავდნენ მოფანტვით და თოხნით. ამოსვლის შემდეგ საჭირო იყო მისი გაწმენდა ბალახისაგან. მარგვლიდნენ ორჯერ. ღომს თესდნენ 20 მარტის შემდეგ, როცა მიწა გათბებოდა. მოსავალს იღებდნენ თავთავების დანით მოჭრის საშუალებით.

დიდ ყანაში კი ჩალას მანგლით ჭრიდნენ და მერე აცლიდნენ თავთავებს. შემდეგ შუაცეცხლურის ჭერზე ყრიდნენ გასახმოზად. გამხმარს საბერტყელათი ბერტყავდნენ და ჩალას იყენებდნენ ნალიის გადასახურად (მთხრობელი: მიხეილ ხასანის ძე სუქნიშვილი, ჭახათი, 1960 წელი) (მასალები...,2019:139).

მარცვლეული კულტურებიდან შვიდკვირა სიმინდის, ჭვავის, ფეტვის. ბრინჯის, სიმინდისა და პურის გარდა, გავრცელებული იყო ღომის მოყვანა, რომელიც რამდენიმე ჯიშის იყო. ბაწარა, თეთრი, ცალთავთავა, გვიანმოსავალი. თესდნენ ისეთ ნაკვეთებში, სადაც სიმინდი ცალკე მოსავალს იძლეოდა. „ჯაშურა“ ღომი (ანუ ჯაშის ღომი) მოწითალო მარცვლიანი იყო. თავთავი მსხვილი ჰქონდა. თესდნენ ნაყანვებში. „ბოჯგა“ ღომი მოწითალო ფერის ყოფილა, თავთავდატოტვილი. თესდნენ საშუალო სინოყივრის მიწაზე. ამათგან ბაწარა ღომი უფრო ხვავიანი ყოფილა. ღომს თესდნენ მოფანტვით და ჩათოხნით. მარცვლიდნენ ორჯერ. მოსავლის აღება ხდებოდა მანგლით. შემდეგ კი დანით აჭრიდნენ თავთავს. მას შუაცეცხლის ბოლით ახმოზდნენ, თუ უფრო ადრე სურდათ გახმოზა, მაშინ თხილის წკნელისაგან დამზადებულ ლასტზე ჩამოჰკიდებდნენ. გამხმარ ღომს დაჰყრიდნენ რომელიმე ოთახში, გაანიავენდნენ და ჩაჰყრიდნენ კანაფისაგან მოქსოვილ ტომრებში. შემდეგ ბედლებში ინახავდნენ. გამხმარ ღომს საჭიროების შემთხვევაში ცეხავდნენ ჩამურში. სოფელში გავრცელებული იყო ფეხის ჩამური (მთხრობელი ალი შაქარიშვილი, ასლან ქათამაძე, 72 წლის სოფელი, ვარჯანაული) (მასალები...,2019:166-68).

ჩამური ვისაც ჰქონდა ეზოში, ის ოჯახი შემღებულად ითვლებოდა. ძველად ქალის სათხოვნელად ელჩებს რომ გაგზავნიდნენ, ქალის მშობლები იტყოდნენ „იმ კაცზე გოგო მიიციემა, ჩამური ქონებიაო..(მასალები...,2019:229).

ბაბუაჩემი იტყოდა, რომ სოფლის გაღმა ახლა რომ არაფერი ითესება, იქ ჩემს ახალგაზრდობაში პურს თესავდნენო, მერე კი მიატოვეს თესვა. ჩვენ არ დაგვითესია, მაგრამ ხალხი აქ ქერს და ღომსაც თესავდა (მთხრობელი იბრაიმ ჭალაიძე, 75 წლის,

სოფელი ინწკირვეთი, შუახევის მუნიციპალიტეტი, ჩამწერი ვახტანგ შამილაძე).

მე რაც მახსოვს, აქ ვთესავდით პურს, სიმინდს, ქერს და ღომს. პურს და სიმინდს შეცვლით დავთესდით. (მთხრობელი: მეჭირალი ყიფიანი, 80 წლის, შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ხევი. ჩამწერი ვახტანგ შამილაძე).

ძველად ამ სოფელში ითესებოდა პური, სიმინდი, ქერი, ღომი, ჭვავი, სელი და სხვა (მთხრობელი: ხასან თურმანიძე, სიხალიძეები, ქედის მუნიციპალიტეტი, 43 წლის, ჩამწერი ვახტანგ შამილაძე, 1959 წელი) (მასალები...,2019:142).

ზათინ აქ ვთესავდით სიმინდს, კანაფს, სელს (ტანსაცმლისთვის), პურს (ნაკლებად), ქერს და სხვა. ქერს ჩვეულებრივ სუქან ადგილზე დავთესავდით. ჭლე ადგილზე მოსავალს არ იქს. ვთესდით ღომსაც, მარა ძან ცოტას გარეთა ყანაში. ღომს რძეში ვხარშავდით და ისე ვჭამდით (მთხრობელი: ერმილე დუმბაძე, 83 წლის, სოფელი კუჭულა, ქედის მუნიციპალიტეტი. ჩამწერი ვახტანგ შამილაძე, 1959 წელი).

ჩვენს სოფელში ძველად ვთესავდით სიმინდს, ქერს, ხორბალს, ირგვებოდა თამბაქო, გამონაკლისად ვთესავდით ღომს, ჭვავს, სელს და სხვ. ღომი ითესებოდა ისეთ ყანაში, სადაც ახალგაჩეხილი ტყე იქნებოდა, მოჭრილ ტოტებს დავწვავდით და იმ განაცრებულ ადგილზე ვთესავდით ღომს. სხვა ადგილას მისი დათესვა არ ღირდა და არ შეიძლებოდა, რადგან მოსავალს არ მოიცემოდა. სიმინდის მარგვლის პერიოდში ღომსაც გავმარგლავდით, მაგრამ ისე, რომ ხელით უნდა გაგვემეჩხერებინა, რაც აუცილებელი იყო, მოსავალს შემოდგომაზე სიმინდის ალებისას ვიღებდით - ვკრეფდით. პირდაპირ საბძელში ვყრიდით, მერე კი, საჭირო დროს ჩამურში დავნაყავდით. თუ რა ჯიშის ღომი იყო არ მახსოვს, ისე გრძელთავა ღომს ვემახდით (მთხრობელი აბულაძე ქაზიმ, 60 წლის, სოფელი ორცვა, ქედა. ვახტანგ შამილაძე, 1959 წელი).

ტყის გაჩეხვასაც არ ვერიდებოდით საყანე მიწის გასახდელად. ახალგაჩეხილი და მომწვარი ყანა ძალიან კარგი იყო

ლომის დასათესად. მას უხდება სასუქად დამწვარი ხის ნაცარი და სხვა სასუქზე თავს არ იქს. სწორედ ამიტომ ასეთ მიმწვარ საყანეზე პირველად ყოველთვის ღომს ვთესავდით (მთხრობელი კახიძე ოსმან, ქვედა ჩხუტუნეთი, ხელვაჩაურის რაიონი, ვახტანგ შამილაძე, 1959 წელი).

ითესებოდა ღომი. თესდნენ ისეთ ადგილებში - ახალ ყანაში 3 წელიწადს სიმინდს თესდნენ, აქაურ ყანებში ერთგვარი ბალახი იცის წვრილფეხა, ღომს გავს. ამ ბალახს ხელით გამოგლეჯდნენ და შემდეგ ღომს თესავდნენ. თუ ეს ბალახი დარჩა, ღომი არ იხეირებს (მთხრობელი ილია დიასამიძე, 68 წლის, მარადიდი, ჩამწერი ვახტანგ შამილაძე, 1959 წელი).

ძველად ფქვილსა და პროდუქტებს კიდობანსა და დოლაბში ვინახავდით. ჩვენს სოფელში ზათინ ითესებოდა ფეტვი. მაშინ თურმე სიმინდი არ შობოდა აქ. დღესაც კი ამოდის მაშინდელი დათესილი ფეტვის ნარჩენი ყანაში. შემდეგ შემოსულა სიმინდი (წვიტაი), პური ანუ ასლი პური, ჭვავი. ღომი და სხვა. ყოველ ოჯახს ქონდა როგორც ნალია, ისე ბეღელი, ბეღელში ინახავდნენ პურს, სიმინდს, ქერს. ნალიაში ანუ ტურა ბეღელში კი ნედლი სიმინდი ეყარა და გახმობის შემდეგ ბეღელში გადავქონდა (მთხრობელი: სულეიმან მემედის ძე დათუნაიშვილი, 60 წლის, სოფელი კეჭიეთი) (მასალები..., 2019:155).

მუჭაჯირობამდი ისეთი მიწის სივიწროვე ყოფილა, რომ ყველა ადგილი ითხრებოდა და მესაქონლეობა ძალიან ნაკლები ყოფილა, ის გაფართოებულა მუჭაჯირობის მიერ. დარჩენილია სოფელში გზები, რომლებშიც ორივე მხარეს არის ქვის ყორე და ისე ვიწრო, რომ ცხენით ჭვირთით გავლა ძნელდებოდა, ყველა ყანა ყოფილა ქვით შემოყორილი. აქედან ბევრი ხალხი ჩადიოდა კახაბერში ყანის მუშაობაში, აქედან ბევრი ხალხი გაწყდა კახაბერში - ციებისაგან (მთხრობელი ოსმან კახიძე, 70 წლის, ჩხუტუნეთი. ჩამწერი ვახტანგ შამილაძე 1964 წელი) (მასალები..., 2019:194)

ჭვავის, ფეტვის, ღომის შესახებ დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში მცირე მასალებია შემონახული, მაგრამ შემოგვრჩა

ტოპონიმიკური მასალა (მენტემაშვილი, 1937:111, 148,153). ღომთან დაკავშირებული არაერთი ტოპონიმი აჭარაში დადასტურებული (სიხარულიძე, 1958,1960). ღომელაური (სათიბი) სოფელ წანწკალაშვილებში (ქამადაძე, 1998:138), ნაღომარის სერი, ნაღომვარი ვენახი სოფელი ცხემლაში (ქამადაძე, 1998:134), ნაღომი ღელე, ჩამური თავი-წყალსაცავი შუახევის სოფელ შუასოფელში (ქამადაძე, 1998:133), ნაღომარი სერი ტყე (ქეთაური (ქამადაძე, 1998:128)), ღომპური-სახნავი მიწა სოფელ ქედლებში (ქამადაძე, 1998:127), ნაღომვარი სათესი (ქილაური (ქამადაძე, 1998:127)), ღომისძირი (სახნავი (ქამადაძე, 1998:122)), ნაღომარი (სახნავი) ტაკიძეები (ქამადაძე, 1998:120), ნაღომარი სათესი სოფელ სხეფში (ქამადაძე, 1998:119), ნაღომარი სახნავი (ყანიერი (ქამადაძე, 1998:115)), ნაჩამურების სერი (ოლადაური (ქამადაძე, 1998:113)), ღომიკარი სახნავი (ნიგაზეული (ქამადაძე, 1998:112)), ნაღომარდები სათიბები (კარაპეტი (ქამადაძე, 1998:101)), ნაღომვარი სათიბები (ინწკირვეთი (ქამადაძე, 1998:99), ნაღომვარი (ვანი, გომარდული (ქამადაძე,1998:84-94).

ეთნოგრაფმა ნოდარ კახიძემ ზედა მაჭახელში ექსპედიციის დროს 30-ზე მეტი ტოპონიმი ჩაიწერა, რომელიც მარცვლეულ კულტურას უკავშირდება. მათ შორის ნაფეტვარი, ნაღომარი და სხვა (კახიძე, 2013:69; კახიძე, 2020:50, 53, 59, 66, 68, 72). ღომის კულტურა ხეობის სინამდვილისთვის ძირითადად ახოობას უკავშირდება. ახალ გაკაფულ, მაგრამ ნამწვავ ადგილებში პირველ წელს ხშირ შემთხვევაში ღომს თესავდნენ, მეორე წლიდან ახო სასიმინდე ყანად იქცეოდა. ღომის გავრცელებული ჯიშები იყო საადრეო წითელი და საგვიანო თეთრი ღომი. ღომის თავთავის გასახმობად არსებობდა საგანგებო ჭურჭელი, რომელსაც ოღვე ერქვა. მას წნელით წნავდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ მაჭახლის ხეობაში ღომის გასაცეხვად მხოლოდ ფეხის საცეხველები არსებობდა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საძიგველს ეძახის. იგი, როგორც რთული კომპლექსური იარაღი, უფრო გავრცელებულია საქართველოში, ვიდრე წყლის საცეხველი. ღომის ცეხვა და საცეხველზე მუშაობა ქალის

საქმეს შეადგენდა. წარსულში იშვიათად იყო ოჯახი, ან ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი, რომელსაც საკუთარი საძიგველი არ ჰქონდა (კახიძე, 1974:38)

აჭარაში ღომი გამოიყენებოდა რიტუალებშიც. მოხუცებულ მთქმელთა გადმოცემით, ძველად ლაზეთში დედოფალს თავზე ხორბლის, ღომის, ბრინჯის და სიმინდის მარცვლებს გადააყრიდნენ (თანდილავა, 1972:125). იგი გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაშიც (სურმანიძე, 1974:34).

ღომის გავრცელება აჭარაში დადასტურებულია არქეოლოგიური მონაცემებითაც. მაგალითად, ნამჭედურის ნამოსახლარის V ფენაში (ძვ.წ. XIII-XII სს) ნაპოვნია ხორბლისა და ღომის დანახშირებული მარცვლები, როგორც ჩანს მოსახლეობის კვებაში ღომს ძირითადი ადგილი ეჭირა (ხახუტაიშვილი, 1995: 56,57; ჯაფარიძე, 2007:160), არქეოლოგიური მონაცემებით დადგენილია, რომ მოყვანილი მარცვლეულს ცეხავდნენ, გაცეხილ მარცვალს თიხის ქოთნებში, დერგებში, ქსოვილის ტომრებში ინახავდნენ. ნამჭედურის ნამოსახლარის ერთ-ერთი ნახანძრალი ჯარგვალის გათხრებისას გამოვლენილი თიხის ზოგიერთი ჭურჭელი ღომის კარბონირებული მარცვლებით იყო სავსე, ხოლო ნაგებობის ჭერთან ერთად დანახშირებული იყო როგორც ღომის, ისე ხორბლის თავთავები. მარცვლეულის დამუშავება, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხელსაფრქვათ ხდებოდა. მიღებული პროდუქტი ნამცხვრის მოსამზადებლად გამოიყენებოდა, ასევე შესაძლებელია მოხარშული სახითაც გამოიყენებოდა. ნამცვრის მოსამზადებელი კერამიკული ტაფები აღმოჩენილია ნამჭედურში, ბობოყვათში, ციხისძირში (ხახუტაიშვილი, 2007:188).

ღომის გამოყენება დაფიქსირებულია მაღალმთიან აჭარაში. ჭვანის არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აჭარის შუა ზოლის მეურნეობაში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ღომის კულტურა. იგი დასავლეთ საქართველოს უძველესი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისას საკმაოდ რაოდენობითაა წარმოდგენილი (მამულაძე, 1993:150).

რაც შეეხება საცეხველებს, იგივე ჩამურს, ის გამოვლენილია აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში, პოლონეთში, ზალცბურგში, ბერნში, უნგრეთში, იტალიასა და ჩრდილოეთ ესპანეთში. ევროპელი მეცნიერების აზრით საქართველო ამ შემთხვევაში მხოლოდ გადამცემი რგოლია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მაგრამ ქართული, სამხრეთკავკასიური და წინააზიური საცეხველების ანალიზი სხვაგვარად აშუქებს საქართველოს როლს საცეხველის წარმოშობის საკითხში (ჩიტაია, 2001:46,47).

ლომის კულტურის მოყვანა დასავლეთ საქართველოში შემცირდა სიმინდის გავრცელების შემდეგ. მიუხედავად ამისა, 1926 წელს, აჭარაში დაითესა 22 ჰექტარზე, მოსავალი კი 7 ტონას ითვლიდა ( თურმანიძე, 2009:374).

### **დასკვნა**

XVIII ს-ის I მეოთხედის ბათუმის შემოგარენის ისტორიის, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გადასახადების აკრეფის მიზნით შედგენილი ოსმალური დავთრები. აჭარის ტერიტორიაზე მარცვლეული კულტურების მოყვანასთან დაკავშირებით მეტად ღირებულია აღნიშნულ დავთრებში - „ბათუმის ლივის ვრცელ დავთარსა“ და „ბათუმის ლივის მოკლე დავთარში“ მოცემული ცნობები. პირველი დოკუმენტი 1704 წლით თარიღდება, ხოლო მეორეში სხვადასხვა პერიოდის ჩანაწერებს ვხვდებით. დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ ახალშენი, სამება, ყოროლისთავი, აგარა, კაპრეშუმი, მახინჯაური, ერგე, ჯოჭო, ხელვაჩაური, თოდოგაური, კიბე, კაპნისთავი და სხვა სოფლები იხდიდნენ ღომზე გადასახდს. როგორც ჩანს, ღომი მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საკვებს წარმოადგენდა. არქეოლოგიური მონაცემებით აღნიშნული კულტურა აჭარაში ჯერ კიდევ ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებში წარმოადგენდა ძირითად საკვებ პროდუქტს. ღომის კულტურის ფართო გამოყენებაზე მიუთითებს ეთნოგრაფიული კვლევები, იგი არა მარტო საკვებად, არამედ რიტუალებსა და ხალხურ მედიცინაშიც გამოიყენებოდა.



## გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარამიძე, ი. (2023). *ბათუმი XV საუკუნის ევროპულ წყაროებში*, საეთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი 6, #2, ბათუმი. <https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/7361>
- თანდილავა, ზ. (1972). *ლაზური ხალხური პოეზია*, ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი.
- თურმანიძე, ო. (2003). *საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წწ.)*, ბათუმი, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- კახიძე, ნ. (1974). *მაჭახლის ხეობა*, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
- კახიძე, ნ. (2013). *ეტრატზე ამეტყველებული ისტორია*, ბათუმი.
- კახიძე, ე. ნ. (2020). *მაჭახლის ხეობის ტოპონიმისა*, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი.
- მამულაძე, შ. (1993). *აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები*, გამომცემლობა „აჭარა“. ბათუმი
- მენტეშაშვილი, ს. (1937). *„აჭარის ეთნოგრაფიული მასალები“*, ენიმკის მოამბე, II, თბილისი.
- სიხარულიძე, ი. (1958). *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისა*, I, თბილისი.
- სიხარულიძე, ი. (1960). *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისა*, II, თბილისი.
- სურმანიძე, რ. (1974). *მცირე კარაბადინი*, ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი.
- მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის (2019). *მემინდგრეობა*, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ტომი 1. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.

- ჯაფარიძე, ო. (2007). კოლხური კულტურის ადრეული ეტაპი აჭარის ტერიტორიაზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I, გამომცემლობა „ინოვაცია“. თბილისი.
- შაშიკაძე, ზ. (2023). ბათუმის საბოლოო დაპყრობა და ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება ოსმალთა მიერ, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი 6, #2, ბათუმი.<https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/7353>
- შაშიკაძე, ზ. (2024). ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ, გამომც. უნივერსალი, თბილისი.
- ჩიტაია, გ. (2001). შრომები, V ტომი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ხახუტაიშვილი დ. (1995). *ქობულეთის ქვეყანა*, წიგნი I, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.
- ხახუტაიშვილი, ნ. (2007). *აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფა - სოფლის მეურნეობა*, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I, გამომცემლობა „ინოვაცია“, თბილისი



**1704 Ottoman document about Batumi surroundings  
(ethnographic aspects)**

**Jemal Varshalomidze**

Doctor of History,  
Batumi Shota Rustaveli State University  
Niko Berdzenishvili Institute chief scientist-collaborator,  
+995 59634 21. jemal.varshalomidze@bsu.edu.ge  
ORCID: <https://orcid.org/0009-0007-2690-3020>

**Abstract**

Ottoman records compiled for the purpose of tax collection serve as a crucial source for studying the history, economy, and social conditions of southwestern Georgia during the early 18th century. These records, particularly the “Extensive Record of Batumi Liva” and the “Brief Record of Batumi Liva”, provide valuable insights into grain cultivation practices in the Adjara region. The earliest of these documents dates to 1704, offering a detailed account of agricultural production and its economic implications.

The second document contains records from various periods. According to these records, the Batumi Liva encompassed the present-day city and its surroundings, extending along the Chorokhi Valley to Borchkha and southwest to the Black Sea coast in Lazistan. The document provides a detailed list of villages along with their respective taxes, such as those levied on gruel, corn, and other goods. The aim of our research is to analyse these references from an ethnological perspective.

In the past, cereal crops occupied a vast area within Georgian settlements. Significant accounts of their cultivation are found in ancient Georgian sources, the records of foreign travellers and scientists in Georgia, as well as in the lists of church and monastic beggars from the late 16th and 17th–18th centuries. According to Ottoman sources, gruel cultivation was widespread in Adjara prior to the introduction of maize into agricultural practices. Since then, it has remained one of the population's primary food grains. This study compiles ethnographic information on the cultivation and processing of gruel, its varieties, culinary uses, and associated rituals, integrating these findings with topographical and archaeological data.

**Keywords:** gruel; Adjara; Chamuri; husking.

## **Introduction**

Information about the population of Georgia, their customs, and way of life has been accumulating for decades. Interest in the Georgian people arose for various reasons, prompting travellers, merchants, military personnel, and government officials to document aspects of their lifestyle, beliefs, social norms, housing, clothing, food, production methods, and economic relations. Ethnographic data related to farming practices, in particular, provide valuable insights into the social conditions of the population.

Georgia is one of the world's most significant centers for the earliest farming and herding communities. In the past, cereal crops occupied vast areas within Georgian settlements. Important information about their cultivation and distribution is found in ancient Georgian sources, accounts by foreign travellers and scientists, and the lists of church and monastic taxes from the 16th to 18th centuries. The Venetian merchant and diplomat Iosafat Barbaro, who visited Georgia in the 1470s, noted in his writings about Batumi that, aside from gruel, no other crops were brought to the area (Baramidze, 2023:246). Regarding grain cultivation in Adjara, Ottoman records such as the

„Extensive Records of Batumi Liva” and “Short Records of Batumi Liva” provide valuable references. The former dates back to 1704 (Shashikadze, 2024:11), while the latter comprises texts compiled during different periods (Shashikadze, 2024:20). According to Records, the Batumi Liva encompasses the territory of the present-day city and its surroundings, extending along the Chorokhi Valley to Borchkha and southwest to the Black Sea coast in Lazistan (Shashikadze, 2023:10). The document lists villages and details various taxes, such as those on gruel, corn, and other crops (Shashikadze, 2024:11; see also Shashikadze, 2024). The purpose of our research is to analyse the references described in this document from an ethnological perspective. This study focuses specifically on gruel culture, a widely cultivated crop in Western Georgia both before and after the introduction of corn. Gruel has long been one of the population’s staple grains. The research compiles ethnographic information on the cultivation and processing of gruel, its varieties, culinary uses, and associated rituals, aligning these findings with topographical and archaeological data.

### **Review of Literature/Sources**

Ethnographic records, particularly archival materials preserved in the ethnographic collections of the BSU Niko Berdzenishvili Institute, form the primary knowledge base for researching grain crops in Adjara. The study draws on the works of notable scholars such as Niko Ketskhoveli, Vakhtang Shamiladze, Vladimer Mgeladze, Nugzar Mgeladze, Nejat Chijavadze, Nodar Kakhidze, Mikheil Kamadadze, Izo Samsonia, and Otar Turmanidze. Additionally, European and Ottoman sources provide critical insights into the topic. Despite the availability of these materials, no comprehensive ethnographic research on gruel culture in Adjara has been conducted to date. This study seeks to address that gap.

### **Methodology**

The research was conducted through an in-depth review of specialized literature and sources. The study employed direct observation and survey methods, which were cross-referenced with archival

documents, toponymic data, and archaeological findings. Through meetings and interviews with the local population, a number of intangible ethnological elements related to gruel culture were uncovered. These include the cultivation and processing of gruel, its culinary applications, household customs, and associated rituals. These traditions and practices are deeply connected to the historical daily life of the population in Adjara.

### **Discussion (Main Results)**

In 1703 (or 1704, according to some sources), the Ottoman army invaded Imereti, conquering and subjugating Guria as well. Following this invasion, Batumi was seized by the Turks. Prior to this, Batumi and its surrounding areas, including villages north of the Chorokhi River, frequently changed hands between Gurieli rulers and the Ottomans. Gonio, however, had been under Ottoman control since the mid-16th century and served as the administrative center of the Sanjak, known as the Sanjak of Batumi or Gonio (Shashikadze, 2024:9).

For studying the history, economic, and social conditions of the Adjara region in the first quarter of the 18th century, the extensive and short records of the Batumi Liva provide valuable information. These documents describe villages located on the outskirts of the city, including details about households and the various taxes imposed on them. Villages were required to pay specific taxes on gruel, corn, shira, and wedding fees (Shashikadze, 2014:11).

According to the census, villages such as Akhalsheni, Sameba, Korolistavi, Agara, Kapreshumi, Makhinjauri, Erge, Jocho, Khelvac-hauri, Todogauri, Kibe, Kapnistavi, and others were taxed on gruel (Shashikadze, 2024:23-26). This indicates that gruel was one of the main staples of the local population.

In Samegrelo and Guria, gruel was widely used, as evidenced by numerous ethnological studies and written sources. However, there has been no comprehensive research on the intensive use of this food in Adjara. The present paper aims to address this gap.

The widespread distribution of gruel is supported by field ethnographic materials recorded by researcher Nejat Chijavadze in 1958-59. For example, in the village of Akhaldaba (Shuakhevi Municipality), the upper village was referred to as Naghovari because “ghomi” (gruel) was traditionally sown there (narrator: Mukhamed Ismail Zoidze, 80) (Materials, 2019:43). In another area of the village, known as Sajakeli, there was a water well where locals used to gather and dance (Chala village, Shuakhevi Municipality; narrator: Akhmed Yusuf Beridze, 63) (Materials, 2019:56). The fertility of the land was emphasized by some narrators: “We used to sow corn and gruel in the highlands. We harvested 30 Godors (baskets) of corn and 5 Godors of gruel, and we washed the gruel using a water Chamuri” (a place to grind grains) (narrator: Aziz Ali Mikeladze, 90) (Materials, 2019:57). Another account notes the discovery of an ancient memorial stone (chamuri) in a field, which is still in use today (narrator: Dursun Yusuf Amaglobeli, 75, Nagvarevi, Shuakhevi Municipality) (Materials, 2019:57). “The peasantry used to sow barley and rye because the corn harvest was often poor. Rye, gruel, barley, and other crops were common” (Memed Yusuf Nagervadze, 75, Zeda Chkhutuneti, Khelvachauri Municipality). “Among the cereal crops grown, rye, barley, gruel, wheat, flax, and hemp were the most widespread, with bread crops being less common. Bekhri Khinkiladze of Chikuneti village (Khelvachauri Municipality) recalls historical yields: “293 poods of corn, 4 poods of rye, and 2-3 poods of gruel” (Materials, 2019:101). Gruel was typically sown in remote fields or high-altitude patches. The “Machakhlura” variety of gruel had a single, unbranched head, while another type featured small branches. Near households, plots known as Bagcha. In ancient times, they were called “Manor” where they sowed crops like corn, barley, and gruel. If corn failed to grow in a plot, gruel and other grains were sown instead (Maniaketi village, 1959) (Materials, 2019:103). They had Kishlebi (summer pastures) on “Nakervali”, Mt. Shkernali, when this area was Georgia, at that time they plowed wheat and gruel here, they sowed wheat in the low places, and millet in the fields (Mgeladzeebi,

Khulo) (Materials..., 2019:122). Old people would say that if there was no corn before, people would sow millet, bread and barley (Riketi, Khulo) (Materials..., 2019:123). Barley was also sown..., before the introduction of corn culture, it was mainly rye and gruel. Gruel was used in the same way as rice is used today. They also made porridge from it (narrator, Omar Dolidze, 84, Khasan Turmanidze, 88, Merisi, Keda) (Materials..., 2019:131).

In ancient times, they sowed corn, wheat, bread, barley, rye, millet, flax... There were two types of gruel, which differed from each other.

80 years ago, they had the following tillage: Napudzari, 80 poods of corn was grown. Akhlokanebi - 50 poods of corn was grown, 30 poods of wheat, 20 poods of barley. A total of 120 poods of corn, 40 poods of wheat, and 30 poods of barley was grown to Naslavghele. Corn and gruel were sown on the farm. 50 poods of corn and 6 poods of gruel were grown there.

150 poods of corn was grown in Bardnari, 60 poods of corn in Verkhvni and 8 Chviri (load) of flax. 50 poods of corn was grown in Zvanti, 40 poods of corn, 18 poods of rye - in Koriati, 30 poods of corn, 8 poods of rye - in Tskhemlikedi, 85 poods of corn, 8 poods of gruel - in Akhlokane (narrator Daut Haji Diasamidze, 76, Zendidi, Keda, 1959) (Materials..., 2019:135-136).

The heads of the gruel were husked into a millstone, which was driven by foot. Gruel, rye, barley, etc. were sown in order to help corn, since the harvest was small. Mustafa Diasamidze used to grow corn, rye, gruel, etc. (Maradidi).

Two types of gruels were common in Chakhati and its surroundings: "Borchkha gruel" and "Batsara gruel". The head of the Batsara gruel was elongated, whole, and cluster-like. It yielded a good harvest, even in poor soil in the highlands. On the other hand, "Borchkha gruel" was a late-maturing variety, thriving on fertile pastures in the plains. It featured a large stem, a tall body, and a branched head. Gruel was sown using two methods: scattering and hoeing. After



sprouting, the fields required weeding to clean the crop from grass. The crop was hoed twice during its growth. Sowing took place after March 20, once the soil had warmed sufficiently. Harvesting was performed by cutting the heads with a knife. In larger fields, the straw was cut using a machete before the heads were removed. The harvested heads were then spread on the ceiling of the hearth to dry. The straw was utilized for covering water sources (narrator: Mikheil Khasan Suknishvili, Chakhati, 1960) (Materials..., 2019:139).

Among the cereal crops, apart from seven-week maize, rye, millet, rice, corn and bread, the cultivation of wheat, which was of several varieties, was common. These included “Batsara”, “White”, “Single-headed”, and “Late-harvest”. Gruel was typically sown in plots where corn yielded separate harvests. One variety, “Jashura gruel” (or “Jashi gruel”), had reddish grains and a large head, and it was sown in batches. “Bojga gruel” was reddish in colour and headless, often grown on soil of medium fertility. Among these varieties, “Batsara gruel” was fluffier and more productive. The sowing methods included scattering and hoeing, followed by two rounds of weeding. Harvesting was performed using a “Mangali” (a cutting tool), after which the heads were cut off with a knife. To speed up the drying process, the harvested heads were sometimes heated over a fire or hung on sticks made from hazelnut pulp. Once dried, the “gruel” was stored in a ventilated room before being placed in sacks made of hemp and then transferred to barns for preservation. If needed, dried “gruel” was husked in a “Chamuri” (a husking device). Foot-operated “Chamuris” were common in the village (narrators: Ali Shakarishvili, Aslan Katamadze, 72, Varjanauli village) (Materials..., 2019:166-68).

Those who had a Chamuri in their yard were considered wealthy. In the old days, if mediators were sent to propose marriage on behalf of a man, the woman's parents would say, "We can marry our daughter to that man; he owns Chamuri" (Materials..., 2019:229).

My grandfather used to say that while nothing is sown across the village now, in his youth they used to sow bread there, though

eventually, they stopped. Although we didn't sow it ourselves, people also cultivated barley and gruel here (narrator: Ibraim Chaghalidze, 75, Intskirveti village, Shuakhevi municipality; recorder: Vakhtang Shamiladze).

For as long as I can remember, we used to sow bread, corn, barley and gruel here. We planted bread and corn alternately. (Narrator: Mehrali Kipiani, 80, Shuakhevi municipality, Zemo Khevi village. Recorded by Vakhtang Shamiladze).

In the old days, bread, corn, barley, gruel, rye, flax and others were sown in this village (narrator: Khasan Turmanidze, Sikhalidzebi, Keda municipality, 43, recorder Vakhtang Shamiladze, 1959) (Materials., 2019:142).

Here we sowed corn, hemp, flax (for clothes), wheat (less), barley and others. We would usually sow barley in a fertile place. There will be no harvest on a lean ground. We also sowed gruel, but very little in the outdoor field. We boiled gruel in milk and ate it like that (narrator: Ermile Dumbadze, 83, Kuchula village, Keda municipality. Recorded by Vakhtang Shamiladze, 1959).

In our village, in the old days, we used to sow corn, barley, wheat, tobacco, and occasionally gruel, rye, flax, and other crops. Gruel was sown in fields where a forest had recently been felled; we burned the cut branches and planted gruel in that area. It wasn't worth sowing elsewhere, nor was it possible, as it wouldn't yield a harvest. During the corn weeding period, we also weeded gruel, but only by hand, which was essential. We harvested the gruel crop in Autumn during corn harvesting. We would throw it directly into the barn and later, at the right time, sow it in the Chamuri. I don't remember the exact type of gruel it was, but we used to call it "long-headed gruel" (narrator: Abuladze Kazim, 60, Ortsva village, Keda; recorder: Vakhtang Shamiladze, 1959).

We did not hesitate to cut down forests to create fertile land. Freshly cut and burned fields were ideal for sowing gruel. It thrived on burnt wood ash as fertilizer and did not respond well to other types of

fertilizers. For this reason, we always sowed gruel for the first time on such freshly burned soil (narrator: Kakhidze Osman, Lower Chkcutuneti, Khelvachauri district; recorder: Vakhtang Shamiladze, 1959).

Gruel was sown in various places. In the field, they sowed corn for the first three years. In the fields here, a kind of small grass grows that resembles gruel. This grass was plucked by hand, and then gruel was sown. If the grass remains, the gruel will not survive" (Narrator: Iliia Diasamidze, 68, Maradid, recorded by: Vakhtang Shamiladze, 1959).

In ancient times, we used to store flour and other products in chests and cupboards. Millet was sown in our village, as corn did not grow here. Even today, the remnants of that millet continue to grow in the fields. Later, corn (tsvitai), wheat or real bread, rye, gruel, and other grains were introduced. Every family had both a barn and a storage room for grains. Bread, corn, and barley were kept in the barn. Raw corn would be stored in the Nalia or Tura barn, and after it was dried, we would move it to the main barn." (Narrator: Suleiman Memed Datunaishvili, 60, Kechieti village). (Materials..., 2019:155).

Until Muhajirdom it was a narrow strip of land where all the fields had been cultivated, and livestock breeding was minimal. The area was later expanded by Muhajirdom. Even today, there are roads in the village flanked by stone pits, so narrow that it was difficult for a horse to pass through. All the fields were surrounded by stones. Many people from this region traveled to Kakhaveri to work in the fields, and from here, many people died in Kakhaveri from the plague (Narrator: Osman Kakhidze, 70, Chkcutuneti. Recorded by Vakhtang Shamiladze, 1964. (Materials..., 2019: 194).

Few ethnographic materials about rye, millet, and gruel have been preserved, but toponymic material has survived (Menteshashvili, 1937:111,148,153). A number of toponyms related to gruel (Ghomi) have been confirmed in Adjara (Sikharulidze, 1958, 1960). Ghomelauri in Tsantskalashvilebi village (Kamadadze, 1998:138), Naghomari mountain, Naghomvari vineyard in Tskhemla (Kamadadze, 1998:134),

Naghomi River, Chamuri head-reservoir in Shuakhevi village (Kamadadze, 1998:133), Naghomari forest (Ketauri (Kamadadze, 1998:128)), Ghompuri-arable land in Kedlebi village (Kamadadze, 1998:127), Naghomvari field (Kilavri (Kamadadze, 1998:127)), Ghomisdziri (Arable land (Kamadadze, 1998:122)), Naghomvari (arable) Takidzeebi (Kamadadze, 1998:120), Naghomari sowing field in the village of Skhepi (Kamadadze, 1998:119), Naghomari plowing (Zhanivri (Kamadadze, 1998:115)), Nachamurebi Mountain (Oladauri (Kamadadze, 1998:113)), Ghomikari plowing (Nigazeuli (Kamadadze, 1998:112)), Naghomardebi mowing fields (Karapeti (Kamadadze, 1998:101)), Naghomvari mowing fields (Intskirveti (Kamadadze, 1998:99)), mowing fields (Vani, Gomarduli (Kamadadze, 1998:84-94)).

Ethnographer Nodar Kakhidze recorded more than 30 toponyms related to grain culture during his expedition in Upper Machakhela, including Napetvari, Naghomari and others (Kakhidze, 2013:69; Kakhidze, 2020:50, 53, 59, 66, 68, 72). The culture of gruel is mainly related to Akhooba for the authenticity of the valley. In the newly cleared but burnt areas, in the first year, in most cases, they sowed gruel, and from the second year, it turned into a corn field. Common varieties of gruel were early red and late white gruel. There was a special dish called Olve for drying the head of gruel. They were knitting it with a rod. Ethnographic materials prove that in the Machakhela valley, there were only foot mills, which the local population calls Sadzigveli, for husking gruel. As a complex weapon, it is more common in Georgia. Husking the gruel and working on the loom was a woman's job. In the past, there was rarely a family, or several families of the same surname, that did not have its own Sadzigveli (Kakhidze, 1974:38).

In Adjara, gruel was also used in rituals. According to old narrators, in ancient times, grains of wheat, barley, rice, and corn were thrown on the queen in Lazeti (Tandilava, 1972: 125). It was also used in folk medicine (Surmanidze, 1974: 34).

The spread of gruel in Adjara is also supported by archaeological evidence. For example, charred grains of wheat and gruel were found in the V layer of the Namcheduri settlement (XIII-XII centuries BC), suggesting that gruel played a significant role in the diet of the local population (Kakhutaishvili, 1995: 56, 57; Japaridze, 2007: 160). Archaeological findings also indicate that cultivated grains were harvested and stored in clay pots, *dergis*, and cloth bags. Some of the clay vessels discovered at Jargvali, a fire pit in the Namcheduri settlement, contained carbonized grains of gruel, and both gruel and wheat heads were charred alongside the structure's roof. Grain processing, according to archaeological data, was done by a hand grinder. The resulting product was likely used to prepare cakes, and it is also possible that it was consumed in a boiled form. Ceramic pans for making cakes were found in Namcheduri, Bobokvati, Tsikhisdziri (Kakhutaishvili, 2007: 188).

The use of gruel has been recorded in the highlands of Adjara. Archaeological findings from Chvana indicate that gruel production was widespread in the farming practices of the middle zone of Adjara. It is well-represented in the study of ancient archaeological sites across Western Georgia (Mamuladze, 1993: 150).

As for the foot mills, also known as *Chamuri*, they have been identified in East and South Asia, Poland, Salzburg, Bern, Hungary, Italy, and Northern Spain. European scholars suggest that, in this context, Georgia serves primarily as a transmission link between the West and the East. However, the analysis of Georgian, South Caucasian, and pre-Asian foot mills highlights Georgia's significant role in the origin of these cultural traditions (Chitaia, 2001: 46, 47).

The cultivation of gruel in western Georgia declined after the spread of maize. However, in 1926, it was still grown on 22 hectares in Adjara, yielding a harvest of 7 tons (Turmanidze, 2009: 374).

## **Conclusions**

Ottoman registers compiled for tax collection provide valuable insights into the history, economy, and social conditions of the Batumi

region during the first quarter of the 18th century. Specifically, the information in the “Extensive Book of Batumi Liva” and the “Short Book of Batumi Liva”, both of which contain important data on grain cultivation in Adjara, is of great significance. The first document dates back to 1704, while the second includes records from various periods. According to these documents, villages such as Akhalsheni, Sameba, Korolistavi, Agara, Kapreshumi, Makhinjauri, Erge, Jocho, Khelvac-hauri, Todogauri, Kibe, Kapnistavi, and others were taxed for the use of gruel. It appears that gruel was one of the primary food sources for the population. Archaeological evidence shows that gruel cultivation in Adjara dates back to the 13th-12th centuries BC, and it was a staple food product. Ethnographic studies further highlight the widespread use of gruel, not only as food but also in rituals and folk medicine.

#### **References:**

- Baramidze, I. (2023). Batumi in the European sources of the 15th century, *BSU International Scientific Journal Oriental Studies Herald*, Volume 6, #2, Batumi.
- Tandilava, Z. (1972). *Laz folk poetry*, Batumi, publisher: "Soviet Adjara".
- Turmanidze, O. (2003). *Local Relations and Agrarian Movement in South-West Georgia (1878-1928)*, Batumi, publisher: "Shota Rustaveli State University".
- Kakhidze, N. (1974). *Machakhela Valley*, publisher: "Soviet Adjara", Batumi.
- Kakhidze, N. (2013). *The history of Etrat*, Batumi.
- Kakhidze, N. (2020). *Toponymy of Machakhala Valley*, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi.
- Mamuladze, Sh. (1993). *Medieval archaeological monuments of the Acharistskali valley*, publisher: Ajara.

- Menteshashvili, S. (1937). "Ethnographic materials of Adjara", Enimki Moambe, II, Tbilisi 1.
- Sikharulidze, I. (1958). Toponymy of Southwest Georgia, I, Tbilisi.
- Sikharulidze, I. (1960). Toponymy of Southwest Georgia, II, Tbilisi.
- Surmanidze, R. (1974). Small Karabadin, Batumi, publisher: "Soviet Adjara".
- Materials for the study of the existence and culture of Adjara, Volume 1, Pastoral care (Memindvreoba), BSU Niko Berdzenishvili Institute, publisher: Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, 2019.
- Japaridze, O. (2007). The early stage of Kolkhuri culture in the territory of Adjara, Essays on the history of South-West Georgia, Adjara I, Tbilisi, publisher: Innovation.
- Shashikadze, Z. (2023). The final conquest of Batumi and the introduction of administrative rule by the Ottomans, BSU International-Scientific Journal Herald of Oriental Studies, Volume 6, #2, Batumi.
- Shashikadze, Z. (2024). Two Ottoman records about Batumi, publisher: Universal, Tbilisi
- Chitaia, G. (2001). Works, volume V, historical-ethnographic essays, letters, reviews, science, Tbilisi Khakhutaishvili D. (1995). The country of Kobuleti, book I, publisher: "Adjara", Batumi.
- Khakhutaishvili, D. (1995). The country of Kobuleti, book I, publisher: "Adjara", Batumi.
- Khakhutaishvili, N. (2007). Economic life of the population of Adjara - agriculture, essays on the history of South-West Georgia, Adjara I, publisher: Innovation, Tbilisi.



არქეოლოგია, ეთნოლოგია, ნუმისმატიკა  
ARCHEOLOGY, ETHNOLOGY, NUMISMATICS

---

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამანიანთა პერიოდის  
დირჰამები გრაფიკით

ევგენი ჭანიშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქ. თბილისი.  
ი.ჭავჭავაძის გამზირი N1, 0179, საქართველო.  
+995598659992. Evgeni1997.chanishvili@gmail.com  
ORCID: 0009-0003-8433-3303

ანოტაცია

გრაფიტი, როგორც სოციო-კულტურული გამოხატულების ფორმა უხსოვარი დროიდან არსებობდა. მისი ძალიან ბევრი ნიმუში ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან და განსაკუთრებით ძველი რომის იმპერიის პერიოდის ნიმუშებიდან შემოგვრჩა.<sup>122</sup> გრაფიტის გამოყენების პრაქტიკა არამხოლოდ კედლებზე შესრულებულ მხატვრობას თუ მინაწერებს ან მინაკაწრებს წარმოადგენდა, არამედ ვრცელდებოდა ისეთი მცირე ზომის თუმცა საყოველთაო ნივთებზე, როგორც არის მონეტა. ფული წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს ისეთ საზოგადო სიმბოლიკას (განსაკუთრებით წვრილი ნომინალის ფული), რომელიც ხელმისაწვდომი და განკუთვნილი იყო ნებისმიერი სოციალური ფენისათვის.

საქართველოს ისტორიაშიც, ფულს ყოველთვის გააჩნდა მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა და გამოიყენებოდა არამხოლოდ ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი ფორმით, არ-

---

<sup>122</sup> აღსანიშნავია ახ. წ. 79 წელს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ფერფლით დაფარული ქალაქი პომპეი.



ამედ შემდგომში იძენდა განსხვავებულ ფუნქციებსაც და ატარებდა, როგორც ეთნოგრაფიულ, ისე პროპაგანდისტულ, თუ კულტურულ დატვირთვას. ძალიან ხშირად მაღალი ხარისხის ვერცხლის დაბალი ნომინალის მონეტები გამოიყენებოდა, როგორც სამოსის დეკორაციის ნაწილი ან სამოსის კონკრეტული ფუნქციის მატარებელი.<sup>123</sup>

**საკვანძო სიტყვები:** გრატიფი; დირჰამი; კავკასია; ვაჭრობა.

## შესავალი

მონეტებზე ხალხის მიერ შესრულებული გრაფიტიც სოციალ-კულტურული ასპექტის ერთერთი გამოვლინებაა. აღნიშნულ გრაფიტს შეიძლება ეტარებინა, როგორც პროპაგანდისტული ხასიათი, აგრეთვე კონკრეტული პიროვნების, კონკრეტულ მომენტში არსებული პირადი დამოკუდებულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ან მისი პირადი ფსიქოლოგიური მხარე.

ძალიან ხშირად, რთულია გავარჩიოთ ესა თუ ისე მინაკაწრი ან მინაკაწრები, რომელიც არ არის კონკრეტული შინაარსის მატარებელი, წარმოადგენს გამიზნულად შესრულებულ გრაფიტს, თუ არამიზანმიმართული და ბუნებრივი დაზიანების შედეგია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში და კონკრეტულად ნუმიზმატიკაში სამწუხაროდ არ ექცევა სათანადო ყურადღება მონეტებზე შესრულებულ მინაწერებს, შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებით შესრულებული ნაშრომები პრაქტიკულად არ გვაქვს. განსხვავებული სურათია მაგალითად ჩვენს მეზობელ რუსეთში სადაც არაერთი სტატია თუ მონოგრაფია არის მიძღვნილი არა საერთოდ მონეტებზე შესრულებულ გრაფიტთან დაკავშირებით, არამედ საკითხი კონკრეტულად დაყოფილია და შესწავლილია ეპოქების მიხედვით.

---

<sup>123</sup> ძალიან ხშირად მონეტა, სტანდარტული მრგვალი ფორმის გამოიყენებოდა როგორც სამოსის შესაკრავი ღილი.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე კონკრეტული დინასტიის - სამანიდების (819-1005) პერიოდის მონეტებზე შესრულებული გრაფიტების განხილვა და მათი შედარება საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში (კერძოდ ამიერკავკასიაში) აღმოჩენილ ერთეულებთან.

სტატიაში ჩვენ მიმოვიხილავთ 6 მონეტას, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ყველაზე საყურადღებო გრაფიტის ნიმუშების ამსახველ ცალეხად. აღნიშნული მონეტები აღმოჩენილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენთვის უცნობ ადგილას, რომლებიც შეადგენდნენ ქუფური დირჰამების განძის ნაწილს.

### **მეთოდები**

კვლევის მთავარ წყაროს წარმოადგენენ უშუალოდ მონეტები. ჩვენ შემთხვევაში კი, მონეტებზე ამოკაწრული გარკვეული შინაარსის მატარებელი სიმბოლოები ანუ გრაფიტი.

კვლევისას მთავარ სირთულეს წარმოადგენს მონეტებზე დატანილი გრაფიტების ჯერ სიზუსტის განსაზღვრა, ხოლო შემდგომ მათი სუტი შინაარსის დადგენა. აღნიშნულ საკითხში ჩვენ გვეხმარება შედარებითი ანალიზი, რაც გულისხმობს ჩვენს მეზობელ რეგიონებში მსგავსი მონეტებისა და მათზე მსგავსი გრაფიტების ჩვენს სტატიაში მოყვანილ ერთეულებთან შედარებას.

უშუალოდ მონეტის სიმცირიდან გამომდინარე, მასზე დატანილი გრაფიტიც ხშირ შემთხვევაში ძალიან მცირე ზომის არის. ამიტომ, მკითხველისთვის ზუსტი ვიზუალური აღქმისთვის ჩვენ თითოეული მონეტის გრაფიტის აღწერას თან ვურთავთ შესაბამის ჩანახატს.

### **მსჯელობა**


მონეტა N1 (სურ. 1) - მოჭრილია ჰიჯრის 287 (897-898 წწ.) წელს ქალაქ სამარყანდში.



სურ. 1

მონეტის შუბლის ცენტრის მთლიან სეგმენტზე ამოკაწრულია ე. წ. „სრული“ ჯვრის ფორმა. მთელს კავკასიაში, ჯვარი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლო იყო აღნიშნულ პერიოდში. მსგავსი ტიპის სიმბოლიკას ხშირად ვხვდებით ქვაზე შესრულებულ წარწერებსა თუ მინაწერებში.

მონეტაში ამოკაწრული აღნიშნული სიმბოლო (სურ. 2) უდავოდ განეკუთვნება ქრისტიანულ სიმბოლიკას, რადგან იგი იმეორებს ბერძნული ჯვრის ფორმას და არ წარმოადგენს შერჩევითად ორი პარალელური ხაზის კომბინაციას.



სურ.2

პირველ მონეტაზე ამოკაწრული გრაფიტი ძალიან გავს ი. გ. დობროვოლსკის მიერ აღწერილ მონეტას, რომელიც სამანიდურ დირჰამს წარმოადგენს თარიღდება ჰიჯრის 284 წლით (897-898 წწ.) და მოჭრილია ქალაქ აშ-შაშში (დობროვოლსკი, 1991: 121, 160, 184).

მონეტა N2 (სურ.3) - სამანიანთა პერიოდის მონეტა მოჭრილია ჰიჯრის 270 (883-884 წწ.) წელს, ქალაქ აშ-შაშში.



სურ. 3

მონეტის ზურგის ცენტრში ამოკაწრულია ორი გადაჯვარედინებული ხაზი. ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ეს სიმბოლო წარმოადგენს თუ არა ჯვარს (?), როგორც ეს გადაჭრით შეგვეძლო გვეთქვა პირველი მონეტის შემთხვევაში (სურ.1), თუ ბერძნულ ასო X, თუ წარმოადგენს რაიმე სხვა სიმბოლოს.

მსგავის სიმბოლო ძალიან ხშირად გვხვდება ამიერკავკასიაში აღმოჩენილ ქუფურ დირჰამებზე (დობროვოლსკი, 1991:137, 148, 153-154). ყველა მსგავსი დირჰამი სამანიანთა პერიოდს განეკუთვნება და ამ შემთხვევაში რთულია დაზუსტება თუ კონკრეტულად რა შინაარსის მატარებელი შეიძლება იყოს სიმბოლო.



სურ. 4

მონეტა N3 (სურ.5) - მოჭრილია ჰიჯრის 290 წელს (903 წ.) ქალაქ აშ-შაშში. ამ მონეტაზე ამოკაწრული სიმბოლიკა N2 მონეტის მსგავსია. სიმბოლო ამოკაწრულია მონეტის შუბლზე. ამ შემთხვევაშიც ძალიან რთულია ზუსტად დადგინდეს სიმბოლოს

შინაარსი. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია გამოვთქვათ რამოდენიმე ვარაუდი:

ნაკლებად სავარაუდოა რომ ეს სიმბოლო (სურ.5) დაკავშირებული იყოს ბერძნულ ან ლათინური ასოსთან, როგორც შეიძლება იყოს მონეტა N2-ის შემთხვევაში. სავარაუდოდ ეს სიმბოლო დაკავშირებული უნდა იყოს ან ჯვრის უხეშ მინაკაწრთან, ან სხვა სხვა სიმბოლოსთან, რომლის ზუსტი არსის დადგენაც ჩვენ არ შეგვიძლია.




სურ.5

მონეტა N4 (სურ.6) - მოჭრილია ქალაქ სამარყანდში. მონეტის შუბლის მხარეს დატანილია ძალიან საინტერესო გეომეტრიული სიმბოლო. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ მისი შინაარსი თუმცა შეგვიძლია მოვიყვანოთ ამიერკავკასიაში აღმოჩენილი მონეტა, რომელზეც მსგავსი სიმბოლოა ამოკაწრული. ი. გ. დობროვოლსკის აზრით, ეს უნდა წარმოადგენდეს დროშის სიმბოლოს, რომელსაც არ აქვს ხის ტარი (დობროვოლსკი, 1991: 115).



სურ.6

დაბრავოლსკის მიერ შესრულებული ჩანახატი, ჩვენ მონეტაზე ამოკაწრული სიმბოლოს მსგავსია (სურ.7)



სურ.7

მონეტა N5 (სურ.8) და მონეტა N6 (სურ.9) გვსურს ერთ კატეგორიაში გავაერთიანოთ, რადგან მათზე ამოკაწრული სიმბოლიკა ძალიან გავს ერთმანეთს შინაარსით. სიმბოლოები შედგება ან ერთმანეთთან დაკავშირებული ან ერთმანეთისგან განცალკევებული პარალელური ხაზებისგან. მათი ზუსტი შინაარსის დადგენა სამწუხაროდ შეუძლებელია.



სურ.8



სურ.9

### დასკვნა

ქუფურ დირჰამებზე შესრულებული გრაფიტი, წარმოადგენს განსხვავებულ შტოს ნუმიზმატიკაში, როგორ მეცნიერებაში. რომელსაც სრულიად განსხვავებული ასპექტების გამოვლენა შეუძლია მაშინდელ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და მის არსზე. მონეტებზე დატანილ გრაფიტებს, შეიძლება გააჩნდეთ განსხვავებული შინაარსი. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო, რელიგიური სიმბოლოების გამომხატველი, ან თუნდაც სავაჭრო მნიშვნელობაც გააჩნდეს. გრაფიტების შემთხვევაში ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენს პირველ რიგში იმის განსაზღვრა მონეტაზე დანატინი უბრალო მარტივი მინაკაწრი წარმოადგენს თუ არა საერთოდ გრაფიტს და შემგომში იმის დადგენა თუ რა შინაარსს შეიძლება იგი ატარებდეს.

ჩვენ მიერ აღწერილ მონეტებში შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი კატეგორიის სიმბოლო: პირველი ეს არის რელიგიური სიმბოლო (სურ.1) სადაც უდავოდ არის გამოსახული ჯვარი და მის სიმბოლურ შინაარსში ეჭვი არ გვიჩნდება; მეორე შეიძლება მივიჩნიოთ ასო-ნიშანთა სიმბოლოდ (სურ.3), რომელსაც შეიძლება ქონოდა სავაჭრო ნიშნის დატვირთვაც; მესამე შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო სიმბოლიკას დროშის გამოსახულებით (სურ. 7); და ბოლო მეოთხე, წარმოადგენს ხაზების

კომბინაციას, რომელთა შინაარსიც ჩვენთვის გაურკვეველია, თუმცა ეს სიმბოლოები რომ გრაფიტს წარმოადგენს ჩვენთვის უდავოა.

შეჯამების სახით, გვსურს გამოვთქვათ იმედი, რომ მონეტების აღნიშნულ ხელოვნებას მომავალშიც მიექცევა სათანადო ყურადღება, როგორც მეცნიერების ალტერნატიულ დამხმარე დარგს, რომელსაც ბევრი საინტერესო დასკვნის გაკეთება შეუძლია ადამიანის მაშინდელ ყოფით ცხოვრებაზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- Добровольский, И. Г. (1991). Граффити на восточных монетах. Ленинград. (= დობროვოლსკი, ი. გ. (1991). გრაფიტი აღმოსავლურ მონეტებზე. ლენინგრადი);
- Равдина, Т. В. (1988). Погребения X-XI вв. с монетами на территории древней Русми. Москва. (= რავდინა, ტ. ვ. (1988). X-XI საუკუნეების მონეტებიანი სამარხები ძველი რუსეთის ტერიტორიაზე. მოსკოვი);
- Босворт, К. Э. (1971). Мусульманские Династии. Москва. (= ბოსვორტი, ტ. ვ. (1971). მუსლიმური დინასტიები. მოსკოვი).





**Dirhams of the Samanid period with Graffiti found on the  
territory of Georgia**

**Evgeni Tchanishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University.  
Tbilisi. I. Chavchavadze Avenue N1, 0179, Georgia.  
+995598659992. Evgeni1997.chanishvili@gmail.com  
ORCID: 0009-0003-8433-3303

**Abstract**

Graffiti as a form of socio-cultural expression has existed since the time immemorial. Many of its examples have survived from ancient Greece and especially from the period of the ancient Roman Empire<sup>124</sup>. The practice of using graffiti was not limited to wall paintings, inscriptions or scrawls, but also to small but common objects such as coins. Money is a public use symbol of any state (especially the small denominations) which was available and intended for any social class.

In the history of Georgia, money has always had an important symbolic load and was used not only in the form intended for trading, but later acquired different functions and carried both ethnographic, propaganda and cultural load. Very often high-quality silver coins of low denomination were used as part of the decoration of a garment or to carry a specific function of the garment<sup>125</sup>.

---

<sup>124</sup> For Example, the city of Pompeii that was covered in ash by the eruption of Mount Vesuvius in 79 AD.

<sup>125</sup> Very often, a coin of a standard round form was used as a button of clothes.

**Keywords:** Graffiti; Dirham; Caucasus; Trade.

## **Introduction**

Graffiti made by people on coins is also one of the manifestations of socio-cultural aspect. The mentioned graffiti could have a propagandistic issue, as well as a specific person's personal bias at a specific moment in relation to this or that issue or his personal psychological side.

Often it is difficult not to distinguish whether a scratch or scratches, which do not carry significant content, are intended by the performance, or are unintentional and natural cause.

Unfortunately, In Georgian historiography and specifically in numismatics, proper attention is not paid to the inscriptions on coins, therefore we have practically no works on that issue. There is a different picture, for example, in our neighbor Russia, where many articles or monographs are not devoted to graffiti on coins at all, but the issue is specifically divided and studied according to eras.

Our goal is to overview the graffiti made on the coins of the period of the Samanids (819-999) which were found in the historical territory of Georgia and compare them with the coins found in the bordering region of Georgia (in particular Transcaucasia).

In our article we will review 6 coins that we consider to be the most noteworthy pieces of graffiti. The mentioned coins were found in the territory of Georgia, they were part of the Kufic dirhams hoard.

## **Methods**

Coins are the main source of our research. In our case, the symbols carrying a certain content scratched on the coins, or graffiti.

The main difficulty in the research is to first determine the accuracy of the graffiti on the coins and then to determine their subtle content. In that case, we could use a comparative analysis, which involves comparing similar coins in our neighboring regions and similar graffiti on them with the units cited in our article.

Due to the small size of the coin, the graffiti on it is often very small. Therefore, for an accurate visual perception for the reader we have attached the graffiti handmade descriptions of each coin.

**Reasoning**

Coin N1 (Fig.1) – minted in 287 AH (897-898) in the city of Samarkand.



Fig. 1

On obverse side, on the whole segment of the center of the coin is scratched so called “full” cross shape. Throughout the Caucasus, the cross was one of the most common symbols during the mentioned period. Similar type of symbols are often found on wall or stone inscriptions.

The mentioned symbol scratched on the coin (Fig. 2) undoubtedly belongs to Christian symbolism, because it repeats the shape of the Greek cross and does not represent a selective combination of two parallel lines.




Fig.2

The graffiti scratched on the coin N1 is very similar to coin described by I. G. Dobrovolsky, which is Samanid dirham, also dated 284 AH (897-898) and minted in the city Al-Shah. (Dobrovolsky,1991: 121, 160, 184).

The coin N2 (Fig. 3) – a coin of the Samanid period minted in the year 270 AH (883-884) in the city Al-Shah.



Fig.3

In the center of the Obverse side of the coin, two crossed lines are scratched. In that case, we cannot determine for sure whether that symbol represents a cross (?), as we could say exactly in the case of the coin N1 (Fig.1), or it is a Greek letter X, or it represents some other symbol.

A similar symbol is very often mentioned on Kufic dirhams found in Transcaucasia.( Dobrovolsky, 1991: 137, 148, 153-154) All such dirhams belong to the Samanid period and in that case it is difficult to specify exactly what content the symbol may bear.



Fig.4

Coin N3 (Fig. 5) – struck in 290 AH (903) and minted in the city of Al-Shah, the incised symbolism on that coin is similar to the coin N2. The symbol is scratched on the obverse of the coin. Also in that case, it is very difficult to exactly determine the content of the symbol. We could only make a few assumptions:

It is unlikely that the symbol (Fig. 5) is related to Greek or Latin letter, as it may be in the case of the coin N2. Most likely, that symbol should be related to either a rough scratch of a cross, or some other symbol the exact essence of which we could determine.



Fig.5

Coin N4 (Fig. 6) - minted in the city of Samarkand. Has a very interesting geometric symbol. It is marked on the obverse side of the coin. We could not determine its exact content, but we could cite a coin found in Transcaucasia with a similar symbol scratched on it. According to I. G. Dobrovolsky, that should represent the symbol of the flag, which does not have a wooden tar. (Dobrovolsky, 1991: 115)



Fig.6

The Sketch made by Dobrovolsky is similar to the symbol scratched on our coin (Fig.7).




Fig.7

We would like to combine the both coins N5 (Fig.8) and N6 (Fig.9) into one category, because the symbols scratched on them are very similar in content. Symbols consist of either connected or separated parallel lines. Unfortunately it is impossible to determine their exact content.



Fig.8



Fig.9

### Conclusion

The graffiti on Kufic dirhams represents a different branch of numismatics as science. Which could reveal completely different aspects of everyday life and its essence. Graffiti on coins could have different content. It could be a state, or religious symbols, or even have a commercial meaning. In the case of graffiti the most difficult task is firstly to determine whether a simple scratch on a coin is a graffiti or not, and then to determine what content it may carry.

In described coins we could distinguish four categories of symbols: the first is a religious symbol (Fig.1), where a cross is undoubtedly depicted and we have no doubt about its symbolic content; The second one could be considered as a symbol of letters and signs (Fig. 3), which could also have the meaning of trademark; The third could represent the state symbolism with the image of the flag (Fig.7); And the last fourth, represent a combination of lines, the content of which is unclear to us, although we do not doubt that those symbols represent graffiti.

As a conclusion we would like to express the hope that above mentioned art on coins will be given due attention in the future as an alternative auxiliary branch of science, which could make many interesting conclusions about the life of people at that time.

## Bibliography

- Добровольский, И. Г. (1991). Граффити на восточных монетах. Ленинград. (= Dobrovolsky, I. G. (1991). Graffiti on Oriental Coins. Leningrad);
- Равдина, Т. В. (1988). Погребения X-XI вв. с монетами на территории древней Руси. Москва. (= Ravina, T. V. (1988). Tombs with coins in the X-XI centuries in the territory of Old Russia. Moscow);
- Босворт, К. Э. (1971). Мусульманские Династии. Москва. (Bosfort, T. V. (1971). Muslim Dynasties. Moscow).





**ევროპული და აღმოსავლური კულტურა: არქექტიპულ-  
ორგანოტროპული თანხვედრები (კონსტანტინე კაპანელი)**

**ირმა ბაგრატიონი**

ფილოსოფიის დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.  
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.  
+995 599 947 668. irma.bagratiioni@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0009-0009-6466-0474>

**იბრაიმ დიდმანიძე**

ფილოსოფიის დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.  
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.  
+995 599 276 600. ibraim.didmanidze@bsu.edu.ge  
<https://orcid.org/0000-0001-6695-4980>

**აბსტრაქტი**

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს თანამედროვე ქართველი ფილოსოფოსის კონსტანტინე კაპანელის მსოფლმხედველობრივი კონცეფცია კულტურის ონტოლოგიური, აქსიოლოგიური და სოციალური საზრისის საკითხებთან მიმართებაში, კერძოდ, კულტურის ფილოსოფიურ-სოციოლოგიური თეორიის ორგანოტროპული პრინციპის არსი და

კონცეპტუალური არგუმენტები კულტურის როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური ტიპის ორგანოტროპული გაგების სასარგებლოდ.

ნაშრომში ნათლად არის ასახული და ჩამოყალიბებული, რომ კულტურის ისტორიული ტიპების არსობრივი გარკვეულობის შესახებ მსოფლმხედველობრივი რეფლექსია კაპანელისეულ ფილოსოფიურ ნააზრევში განხორციელებულია კულტურის ტრადიციული თეორიის ისეთ ძირითად პრობლემზე გავლით, როგორცაა: კულტურის ყოფიერების წესი, მისი გენეზისისა და განვითარების საფუძველდებული ასპექტები, მისი სტრუქტურული მოცემულობისა და მორფოლოგიური სისტემის თავისებურებანი; გარდა ამისა, ერთი მხრივ, ბუნების, ადამიანისა და კულტურის და, მეორე მხრივ, ისტორიის, კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართებანი.

ნაშრომში, გარკვეული, გაანალიზებული და ხაზგასმულია კაპანელის თვალსაზრისი კულტურისა და საზოგადოების ურთიერთგავლენის საკითხებზე, კერძოდ, კულტურის, როგორც ღირებულებათა განსაზღვრული სისტემის, სოციალური ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებებისა და კულტურის განვითარების ტენდენციებზე საზოგადოებრივი მდგომარეობის ფაქტორთა ზემოქმედების შესახებ.

ნაშრომი წარმოადგენს იმის დასაბუთების აქტიურ მცდელობას, რომ კაპანელის ორგანოტროპულმა მოძღვრებამ, კულტურის ცალკეული სახის ევოლუციური ცვლილებებისა და სოციალურ პროცესთა დინამიკის უწყვეტი კავშირის აღიარებით, ძალზე მნიშვნელოვანი, ეფექტური და ღირებული ღვაწლი დასდო ფილოსოფიური აზრის ისტორიას კულტურის ერთიანი თეორიის შექმნის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** კაპანელი; ფილოსოფიური; მსოფლმხედველობა; ორგანოტროპული; ევროპული კულტურა; აღმოსავლური კულტურა; ცივილიზაცია.

## შესავალი

ევროპული და აღმოსავლური კულტურის სამყარო, როგორც მრავალმხრივი და მრავალგვაროვანი ფენომენი, კონსტანტინე კაპანელის მსოფლმხედველობის განსაკუთრებული კვლევის მიზანია, რამეთუ მისი 'ორგანოტროპიზმის თეორია'<sup>126</sup> კულტურის ონტოლოგიური და სოციოლოგიური პრობლემატიკის პირველი ფორმირების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

---

<sup>126</sup> ამ თეორიის შინაარსს თავად ავტორი ასე განმარტავს: „მდგომარეობისა და არსის შორის არსებობს მუდმივი ურთერთობა შემოქმედებითი ხასიათისა. მდგომარეობა მოქმედებს არსზე, არსი მოქმედებს მდგომარეობაზე. შემოქმედებითი ურთერთობას მდგომარეობისა და არსის შორის, რომელიც სამყაროს ყოველ კუთხეში თავისებურია, ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს“ (კაპანელი, 1925:8), რაც ასე შეგვიძლია გავიგოთ: ორგანული სამყაროს შემოქმედი ენერგია, ტროპიზმის იდეის ძალით და მასთან შესაბამისობით, მიმართულია ბუნებრივ გარემოსთან შეგუებისა და შეთანაწყობისკენ. კაპანელი მიიჩნევს, რომ აზროვნების ისტორია ვერ დაუშვებს რაიმე გადაცდომას ამ ფორმულიდან, ანუ ვერ ივარაუდებს ჩვენი პლანეტის რომელიმე მოვლენის, როგორც რაღაც ზედრადული და ზესივრცული თავისთავადი კატეგორიის, შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა სიზუსტით არ მორჩილებდეს ამ განსაზღვრით დადგენილ კანონზომიერებას.

საქმე იმაშია, რომ კონცეპტუალურ დონეზე სრულიად ახალ ცნებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, მენტალობის განსაკუთრებული პრინციპის არსის ასახვასთან: „არც აღმოსავლეთში, არც დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში სიტყვა „ორგანოტროპიზმი“ ჯერ არავის უხმარია. ჩვენ საქართველოში ამ ს ი ტ ყ ვ ი თ ვიძლევიტ მთელს სისტემას აზროვნებისას“ (კაპანელი, 1925:112). უფრო კონკრეტულად, „ტერმინი „ორგანოტროპიზმი“ კაპანელმა სამეცნიერო სიტყვათხმარებაში ცნებების - „ორგანიზმის“ და „ტროპოს“ შეერთების საფუძველზე შემოიღო. სიტყვა „ტროპოს“ ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად მობრუნებას, მიმართულებას ნიშნავს. ეტიმოლოგიური მნიშვნელობით სიტყვა „ორგანოტროპიზმი“ გულისხმობს [...] გარემოს ზემოქმედების შედეგად მცენარის ორგანოების ზრდაში მიმართულების ცვლას. კაპანელმა ურთიერთობის ეს პრინციპი ბიოლოგიიდან ფილოსოფიაში გადმოიტანა და მთელ სამყაროზე, როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ - სულიერ და სოციალურ სინამდვილეზე განავრცო“ (ლობჟანიძე, 2006:45). და, ამდენად, როგორც სამეცნიერო ცნება, „ორგანოტროპიზმი“ მასთან აღნიშნავს სამყაროს მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის დადგენისა და შეფასების პროცესში, ფორმალურ და შინაარსობრივ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების უნივერსალურ მოდელს.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ორგანოტრული კონცეფციის ძირითადი მოტივი არის კულტურის ყველა მხარისა და ნიშან-თვისების ახსნა გარემოსთან ორგანულ-სოციალური შედეგების მოთხოვნილებებით, მაშინ, ბუნებრივია, კაპანელთან კულტურა არ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთიანი ისტორიული პროცესი, საფუძველდებული და განაპირობებული დროში ურთიერთმონაცვლე საზოგადოებრივ მიღწევათა ერთობლიობებით. როგორც ნაშრომში “სოციალური ესთეტიკის საფუძველები. ორგანოტროპიზმი” თავად აღნიშნავს “მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის თანდათანობით გაშლაში არ არის მთლიანი დენა, არ არის ერთეულობის მიზანი; სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა სახეები და სულები მოჩანან: არიან ეპიზოდები, პერსონები, კერძობანი, ფრაგმენტები, ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებანი, რომელნიც რიგრიგობით იძირებიან მარადიულობის ხახაში და რომელთა შორის არ არის გამაერთიანებელი ხიდი, არ არის გადასასვლელ-გადმოსასვლელი ფონი” (კაპანელი, 1925:26). ამდენად, ორგანოტროპული მსოფლგაგებით, გარკვეული სოციალურ-ისტორიული გარემოებების ერთობლიობა, როგორც ერთგვარი ფაქტორი, გამოკვეთილ შემოქმედებით-იდეოლოგიურ ზეგავლენას ახდენს კულტურის არსობრივ თავისებურებებზე და, თავის მხრივ, კულტურაც, როგორც სპეციფიკური ფაქტორი, ფლობს ისტორიულ შესაძლებლობას, მისთვის ჩვეული და კუთვნილი იერსახეობრივი მახასიათებლებით, გარკვეული შემოქმედებით-იდეოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს სოციალური მდგომარეობის გამოწვევასა და განსაზღვრულობაზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანოტროპული თვალთახედვა მის ავტორს ერთგვარად მაინც აძლევს გარკვეული კულტურის მთლიანობისა და ინდივიდუალობის წარმოჩენის საშუალებას, რაც კულტურის ცნობილ ისტორიულ ტიპთა განსჯისა და გაანალიზების საფუძველზე ხორციელდება. ამის შესახებ კაპანელი ასე მიაჩნებოდა: “ისტორიული ეპოქები კულტურისა და ცივილიზაციის ენორმულ გაქანებაში შემოდიან თავიანთი გარკვეუ-

ლი სტილებით, პრინციპებით, იდეალებით; ყოველ ეპოქას კულტურისა აქვს ინდივიდუალური სული, გამოსახული როგორც ფორმაში, ისე შინაარსში, - და გამომსახველი მთელი თავისი წყობით სოციალური საჭიროებისა და განცდისა, სოციალური ტკივილებისა და იდეალებისა; კულტურის ფორმები თავიანთი კონსტრუქციებით და მეთოდებით, თავიანთი მასალებით და ფორმებით ემსახურებიან ეპოქის გაბატონებულ გემოვნებას“ (კაპანელი, 1925:129). როგორც ვხედავთ, კაპანელის აზრით, კულტურის ცალკეული კერძო სახე თავისი გამოსახულების შესაქმნელად და არქექტივის წარმოსაჩენად მასალას იღებს და იყენებს თანადროული ეპოქის გრძნობად-ემოციურ მახასიათებლებსა და მისი სულიერი არქიტექტურის თვისობრივ ელემენტებზე გავლით. ამასთან, „იდეა და ფორმა ორი დიდი ელემენტია ყოველი კულტურის შემოქმედების, ცივილიზაციის ყოველი სახისა“ (კაპანელი, 1923:78). როგორ უნდა გავიგოთ ეს?

როგორც ჩანს, „კაპანელი მსოფლიო-ისტორიული პროცესის ერთიანობის იდეის გამოსახულებას გვთავაზობს“ (ბაგრატიონი, 2016:366) განსხვავებული და შეცვლილი სახით, უფრო მდიდარი და სახეობრივი შინაარსის მქონე სურათით, კერძოდ, „თვითმყოფად და განუმეორებელ კულტურათა მრავალფეროვანი კონკრეტული მთლიანობის დასაწყისის, კულმინაციისა და დეგრადაციის ციკლური ისტორიებით“ (ბაგრატიონი, 2016:366). ამ პროცესში, კაპანელთან, გარდამავალი ეტაპის როლის მნიშვნელობას იძენს ევოლუციის ფაქტორი, რომელიც ჯერ კიდევ იდეის დონეზე გულისხმობს კულტურის ერთიანი ფორმაცვალებადი მოდელის თვისობრივი განვითარების ისტორიულ-ინტელექტუალურ ასახვას, სხვადასხვა გარემოებაში ურთიერთგანსხვავებული ღირებულებებითი მიმართულებითა და თავისებური ტიპობრივი ნიმუშის სახით განხორციელებას: „კულტურის ისტორიაში ხშირად არის მომენტები მიმდინარეობათა გაერთიანების, სინტეზის: ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში დაშორებული ელემენტები სხვადასხვა მიზეზის გამო ერთდებიან, მთლიან სახეს იღებენ. აგრეთვე არის მომენტები გაყრისა და განაპირების:

ელემენტები, რომელნიც წინათ, მთლიან ერთეულში იყვნენ მოთავსებულნი, ერთმანეთს შორდებიან და სხვა და სხვა გზით იწყებენ „ევოლიუციას“, ხეტიალს“ (კაპანელი, 1923:43).

ჩვენთვის საინტერესოა, რომ იდეურად ამ გზით ფორმირებული და განხორციელებული კულტურის ორი კონკრეტული ისტორიული ტიპი, რომელსაც კაპანელი ასახელებს და განიხილავს, როგორც ცალკ-ცალკე, ისე - ერთმანეთთან ურთიერთკავშირში, მოცემულია როგორც დასავლური კულტურა [ევროპული კულტურის სახით] და აღმოსავლური კულტურა; მათი ურთიერთგამიჯვნის ძირითად კრიტერიუმად კი იგი მოიაზრებს და განმარტავს იმანენტური შემოქმედებითი პოტენციალის რეგულარული აქტივიზაციისა და რეალიზაციის ხარისხსა და დონეს: „დასავლეთში ორგანიულად, თანდათანობით, სისტემატიურად ისტორია იძლევა სოციალურ სტრუქტურის დამთავრებულ ფორმებს, ფორმებს, რომელთაც არ აკლიათ შინაგანი სისავსე, შემოქმედების პოტენციური მძლეობა. სულ სხვა არის აღმოსავლეთი. აქ ხშირად ადგილი ჰქონდა უკიდურესობას, მაგრამ სისტემატიური და ორგანიული ხასიათი არ ჰქონებიათ არც ეკონომიურ ინდუსტრიულ ვითარებას, არც კულტურულ-იდეოლოგიურ ფორმებს ცივილიზაციისას“ (კაპანელი, 1925:142).

### **მეთოდები**

ნაშრომის ამოსავალი პრინციპების მეცნიერული მეთოდოლოგიით დაფუძნების მცდელობა ჩვენ მიერ განხორციელდა გარკვეული კვლევითი აქტივის სახით, რომელშიც შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მიდგომები:

ანალიზური მსჯელობის პროცესში, მდიდარი და საინტერესო ანალიტიკური და დისკურსიული გარემოს შექმნას ემსახურება კომპარატივისტული ანუ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი; მისი კოგნიტური შესაძლებლობების მეშვეობით, სისტემური ურთიერთშედარებების ფონზე, გამოვლენილია და აღწერილი კულტურათმორისი ურთიერთმსგავსებისა და ურთიერთგავლენის განსაზღვრული პარადიგმები.

კონცეპტუალური რეფლექსიის კონტექსტში ცალკეული მოსაზრებისა და ჰიპოთეზის დასაბუთებულ გაბათილებას ან გამართლებას ვახერხებთ ჰერმენევტიკული მეთოდის, როგორც სათანადო ავთენტურ და ორიგინალ ტექსტთა ადეკვატური ინტერპრეტაციისა და გაგების პოტენციალის, დახმარებით. ამასთან, სამუშაო ფორმატში, ჰოლისტური მიდგომის საფუძველზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ თემატური კვლევისთვის რელევანტური ლიტერატურული წყაროდან არგუმენტირებული აზრის გამოტანის მნიშვნელობაზე; ხოლო, ფენომენოლოგიური მეთოდით მიდგომა საშუალებას გვაძლევს ვაჩვენოთ, რომ მეცნიერულ-ინტელექტუალური ნააზრევის კულტუროლოგიური ასპექტების ინტერპრეტირება და შეფასება, გარკვეულწილად, გულისხმობს მასზე მისივე მკვლევარის სუბიექტურ-მსოფლმხედველობრივი გამოცდილების ფსიქოლოგიურ ზეგავლენას.

### **შედეგები**

ნაშრომში გამოკვლეული კონცეპტები და მიღებული დასკვნები შესაძლებლობას გვაძლევს გამოვკვეთოთ კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება კულტურის ფილოსოფიასა და კულტურის სოციოლოგიაში თეორიულ-აქსიოლოგიური პრობლემების განხილვის პროცესში, კერძოდ კი - კულტურის სოციალური აუცილებლობის, როგორც მისი ფუნდამენტური ფუნქციური ასპექტის, წარმოჩენისას.

ამასთან ერთად, კონსტანტინე კაპანელის არასისტემური კულტუროლოგიური ნააზრევის ხანგრძლივი შესწავლისას, ჩვენ მიერ, მასში პირველად გაანალიზდა ევროპულ და აღმოსავლურ კულტურათა არაორდინარული ორგანოტროპულ-შემოქმედებითი ურთიერთმიმართების სპეციფიკური ხასიათი, სახელდობრ, გამოვლინდა მისი წვდომისა და შეცნობის არსებითი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი თავისებურებანი.

საკვლევი თემის თეორიული საფუძვლების დამუშავების სუსტი ფაქტობრივი არგუმენტაციის ძირითადი მიზეზი კაპანელის არათანმიმდევრული, ეკლექტიკური და სრულიად არააკა-

დემიური ნააზრევის უშუალო შედეგია; კაპანელისეული მსოფ-  
ლმხედველობის მთლიან სპექტრში სახეზეა უნებური და, ხში-  
რად სრულიად გაუაზრებელი წარმოდგენებისა და შეხედულ-  
ებების ავტომატური კომბინაციები. შესაბამისად, ძალიან მწირად  
გვეძლევა საშუალება დავასახელოთ და მიმოვიხილოთ სათა-  
ნადო სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც საორიენტაციო დახ-  
მარებას გაგვიწევს კულტურის შესახებ ფილოსოფიურ-ორგანოტ-  
როპული მოძღვრების აღნუსხვისა და სისტემატიზაციის პროც-  
ესში.

### **დისკუსია**

ევროპულ კულტურაზე საუბარს კაპანელი იწყებს და წარმ-  
ართავს მისი ზოგადი ისტორიული ტიპების გამოწვლილვით  
განხილვის ფონზე. კულტურის აღმოსავლური ტიპის ფენომენი  
კი მას მსჯელობაში შემოჰყავს, ერთი მხრივ, ევროპული კულ-  
ტურის ისტორიულ თავისებურებათა ხაზგასასმელად და გამოს-  
აკვეთად, და მეორე მხრივ, - ორივე მათგანის, როგორც საწყი-  
სშივე ორგანოტროპული ბუნების მატარებელ მოვლენათა წარმო-  
საჩენად. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია განსახილველ  
კულტურათა ჩვეულებრივი, ტიპური მახასიათებლების ამო-  
სავალ ელემენტებზე, რომლებიც სულიერი კულტურის მტკიცე  
და სანიმუშო ეგზემპლარებს აყალიბებენ.

კაპანელის აზრით, თითოეული კულტურულ-ემპირიული  
მოცემულობა მარადიული ტროპიზმის პრინციპზეა დაშენებ-  
ული და მისი შინაგანი ენერგიით საზრდოობს: „ცივილიზაცია  
ყოვლობის ენტელექტის ქაოტიური ნახტომია და ყოველი ფორმა  
კულტურის ტანჯვით ნაქსოვია და ცრემლებით ნარეცხი; იერუ-  
სალემი, რომი, ბაბილონი, პარიზი, ბერლინი, ნიუ-იორკი, ლონ-  
დონი ბიოლოგიური დელვისა და აორთქლების გიგანტიური სა-  
დგურებია“ (კაპანელი, 1925:25). ყოველი კერძო კულტურის ფსი-  
ქოლოგია, თავისი არსებით ვარიაციული, განსაზღვრულ დროსა  
და სივრცეს მიკედლებული, ტროპული რეფლექსიის ემოციურ-  
ტრანსფორმაციული განხორციელება: „პროცესი ინტელექტუა-  
ლიზაციისა ემორჩილება დროულ-სივრცეულობას და ძველი



არაბეთის დიდი ბრძენი ალ ფ ა რ ა ბ ი თავის არაბული ვიზიონიზმით ისე გამოსახავს არაბეთის ტროპიული განცდის „ჭემმარტებას“, როგორც კანტი თავის გნოსეოლოგიური დუალიზმით ევროპის ფეოდალურ-არისტოკრატიული რაციონალიზმის აპოგეას“ (კაპანელი, 1925:25).

გარდა ამისა, კაპანელთან, ცალკეული კულტურის როგორც თეორიული, ისე მხატვრულ-მითოლოგიური მსოფლმხედველობაც ტროპულ ნიადაგზეა აღმოცენებული, კუთხურ შემოქმედებით სქემაზეა აგებული და ორგანულ-ისტორიული ტრადიციების პირველსახიდან გამოსვლით განსჯის და იაზრებს: „ქვეყანა გიბრალტარის სვეტებთან თავდებაო, - ამბობდნენ ელინები, - ვინც ბერძენი რ არის, ყველა ბარბაროსი და სულელიაო; განა ეს ტროპული ეგოცენტრიზმი არ არის? [...] რაბინდრანათ თავორის რიტმულ მეტყველებაში მუსიკალურ იდეებად ირხევა ინდოეთის წარსული, ჰაერი, ბუნება და უღრან ტყეთა შტოები“ (კაპანელი, 1925:27). როგორც ვხედავთ, კაპანელს სურს დაგვარწმუნოს, რომ მსოფლიო კულტურის ორივე ზოგადი სახეობის შემთხვევაში, როგორც წმინდა მენტალურ-დისკურსიული, ისე წმინდა ხატოვან-იდუური და შემოქმედებითი წადილი, სწრაფვა და მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ-კუთხური და ეროვნულ-სოციალური მოდგმის ზნე-ჩვეულებათა სულიერი შესაძლებლობების პირდაპირი შედეგია და, ამდენად, გაუაზრებელი განცდისა და ქვეცნობიერი ცოდნის ფენომენოლოგიური გამოვლენაა.

როგორც ჩანს, კულტურული არქეტიპების შეფასების კაპანელისეული მსჯელობა ობიექტური კრიტერიუმების ძიების პათოსით იწყება და სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულებით ვითარდება, რაც, ბუნებრივია, მოულოდნელია და მას ვერ გავამართლებთ მატერიალისტური პრინციპების საფუძველზე აგებული „ორგანოტროპიზმის თეორიის“ ფარგლებში. თავისთავად კი, მსგავსი თვალსაზრისი, კერძოდ, არქეტიპის, როგორც წარმოსახვათა გაუცნობიერებელი საბაზისო სქემისა და ფსიქიკური საფუძვლის, უნივერსალური ხასიათის აღიარება ყოველი

კულტურულ-ტრადიციული გამოცდილებისთვის [გარკვეული სახეცვლილებებით] სრულიად ნაცნობია, მიღებული და აპრობირებული კულტურის თეორეტიკოსთა შორის. ამის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ თანამედროვე ქართველი კულტუროლოგის სოსო სიგუას ნააზრევი, მოცემული სამეცნიერო ტექსტის ქვეთავში სახელწოდებით „წარმოდგენიდან – წარმოსახვისაკენ: ასოციაციები“. ავტორის აზრით, შემოქმედებითი ჟინისა და აზარტის ძირითადი წარმმართველი ძალა და ენერგია ასოციაციურ აზროვნებაშია, რომელმაც განსაზღვრა „არქაული დიფუზიური ადქმის დიფერენცირება და დანაწევრება“ (სიგუა, 2012:307); სადაც „მოქმედებენ, ერთი მხრივ – არაცნობიერი ბიძგები, მათი სიგნალები, მეორე მხრივ – მოძალებული ასოციაციები და [...] ტვინის ბიოელექტრული აქტივობა“ (სიგუა, 2012:308); რაც მთავარია, „ყოველი მათგანი არის გენეტიკურ თვისებათა ტრანსფორმაცია“ (სიგუა, 2012:312); ხოლო, „საფუძველი არის ფსიქიკისა და ცნობიერების მუდმივი სახეცვლა, რაც მოაქვს დროს, ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებს“ (სიგუა, 2012:178).

ევროპული კულტურის შესახებ მსჯელობაში კაპანელი გამოყოფს და აქცენტს აკეთებს ანტიკური კულტურის არსისა და მნიშვნელობის განმარტებაზე; უფრო კონკრეტულად, იგი აბსოლუტურად ეთანხმება აზროვნების ისტორიაში გაბატონებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ელინური სამყაროს კულტურა თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ უმძლავრეს საყრდენს წარმოადგენს: „ანტიკური ცივილიზაცია, დათანაწყობებული ელინიზმით, ღებულობს უნივერსალურ ხასიათს ევროპის მატერიკისთვის: ფსიქოლოგიურ გაშლილობასა და კოსმიზმს მატერიულ ფორმას აძლევს ცეზარების მსოფლიო ხასიათის გაქანება“ (კაპანელი, 1923:43).

როგორც ჩანს, ანტიკური საბერძნეთის კულტურის ხანგრძლივი სრულყოფის გზაზე ისტორიულად დაფიქსირებული ცალკეული ეტაპებიდან კაპანელის განსაკუთრებული კვლევის ობიექტს წარმოადგენს ელინიზმის პერიოდი. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა, თუ რა პრინციპით შეარჩია კაპანელმა ეს ეპოქა? – პას-

უხი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ჰომეროსის ეპოქიდან მოყოლებული, ბერძნული კულტურა, სრული აღმასვლით „არქაიკული და კლასიკური განვითარების ეტაპებზე გავლით, სწორედ ელინისტურ ფაზაში აღწევს უმაღლესი გაფურჩქვნის ხანას და რომის ელინიზაციით თავის დასასრულს უახლოვდება“ (Bagrationi, 2017:6). გარდა ამისა, ელინისტური პერიოდი მოაზრებულა, როგორც ისტორიული დროის საგანგებო მონაკვეთი, როცა “ძველი პოლიციურ-მონარქიული სახელმწიფოები - ბაბილონი, ასურეთი, სპარსეთი - დაიპყრეს მაკედონელებმა: კულტურა ამ სახელმწიფოების, დათანაწყობებული ელინიზმით, შევიდა ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციაში, რომელშიც დროთა ვითარებაში ჩაისახა ქრისტიანული მოძღვრების მაგარი ორგანიზაციები” (კაპანელი, 1923:43), ანუ, ელინური სულიერ-ინტელექტუალური მონაპოვარის, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების არაბერძნულ სივრცეში განვრცობისა და აღმოსავლურთან ზიარებით ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული განსაკუთრებული კულტურულ-ისტორიული მოვლენა, როგორც „მომენტი სინტეზის, „პროგრესიული“ მომენტი ისტორიაში“ (კაპანელი, 1923:43). რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

როგორც სოსო სიგუა აღნიშნავს, „ზოგი მოაზროვნისათვის კაცობრიობის ისტორია – ეს მხოლოდ ევროპეიზმის ისტორიაა; დღეს ევროპულ კულტურას არ სჭირდება ძალდატანებით გავრცელება. მისკენ თავისთავად ისწრაფიან სხვადასხვა კონტინენტის შვილები, აღიარებენ მის უპირატესობას, ცივილიზაციურ ღირებულებას“ (სიგუა, 2013:28). კაპანელი კი ის მოაზროვნეა, რომელთანაც კულტურის ევროპულმა სტილმა გამომსახველობის სრული შესაძლებლობები სწორედ კულტურის აღმოსავლური სულის იდეალებთან თანაზიარობით მოიპოვა და გამოავლინა, კერძოდ: კულტურის ისტორიაში ელინისტურ მსოფლმხედველობას დასაბამი მიეცა ალექსანდრე მაკედონელის მიერ მსოფლიო მასშტაბის სამხედრო-მონარქიული იმპერიის შექმნის შედეგად, რამდენადაც მას თან მოჰყვა აზროვნების ანტიკური მოდელის ზეგავლენა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და

მთელი ხმელთაშუა ზღვის რეგიონის კულტურაზე, ანუ ბერძნული ფილოსოფიის, ლიტერატურისა და საერთოდ, შემოქმედებითი მიმართულების გატანა და ფართოდ გავრცელება ელადის საზღვრებს გარეთ, და, მამასადამე, ელინური და აღმოსავლური კულტურების ურთიერთმეხვედრა. ამ უკანასკნელში, იგულისხმება ისიც, რომ ძველმა წელმაგარმა აღმოსავლურმა კულტურამ ბერძნულ კულტურასთან ზიარების პარალელურად, თავის მხრივაც, მოახდინა გავლენა მასზე. სწორედ ამის შედეგია, რომ ელინური კულტურის შემდგომი განვითარება ამიერიდან მიმდინარეობს ახალი – ელინურ-აღმოსავლური გზით.

აღნიშნულის დამადასტურებელ არგუმენტად კაპანელი შემდეგ ფორმულირებას გვთავაზობს: „ცივილიზაციის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ გავლენის ურთიერთობას მდგომარეობისა და იდეოლოგიის შორის“ (კაპანელი, 1925:132), ანუ, კულტურის სულიერი მდგომარეობა აყალიბებს იდეოლოგიის შინაგან კონსტრუქციას, იდეოლოგიის განსაკუთრებული კონსტრუქცია კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კულტურის ფორმულირებაზე; „ფილოსოფია ორგანოტროპიზმისა არის განსაკუთრებით გენეზისის ფილოსოფია“ (კაპანელი, 1925:132), რამდენადაც ორგანოტროპული მსოფლგაგება ცდილობს გამოარკვიოს, როგორ იძენება და იკვეთება კულტურის ერთი გარკვეული მოყვანილობა და როგორ უკავშირდება იგი კულტურის მეორე მოხაზულობას: მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა მ შ ე ქ მ ნ ა ი დ ე ო ლ ო გ ი ა და ი დ ე ო ლ ო გ ი ა ჰ ქ მ ნ ის ა ხ ა ლ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს – აი, ორგანოტროპული ხასიათი კულტურის ევოლიუციისა, ცივილიზაციისა” (კაპანელი, 1925:133).

როგორც ჩანს, კაპანელთან ცივილიზაციაც, როგორც კულტურის განვითარების ზენიტური საფეხური, ვასალური წყობის დამოკიდებულებაშია სოციალურ-ისტორიულ შედარებითობასთან; ამასთან ცივილიზაციის სული, როგორც გონითი მოღვაწეობისა და სულიერი განცდის ერთობლიობა, აწყობილია იმ საშუალებებითა და მანევრებით, რომელსაც კარნახობს გარკვეულ დროსა და სივრცეში განხორციელებული საზოგადოებრივი

ვითარება; კულტურის მოვლენათა დახარისხება კი მსგავს გარემოებაში, ბუნებრივია, მიმდინარეობს სოციალური ყოფიერების აუცილებლობათა მითითებით: „ყოველი ეპოქის სული თავისი კულტურულ-ცივილიზაციური სტილით და ინდუსტრიით წარმოადგენს რეფლექსოლოგიურ ლაბორატორიას, რომელშიც ცნებები ისე მზადდებიან შრომით, წვალებით, თანდათანობით, ჩვეულებათა კოორდინატებით, როგორც რომელიმე დიდ ქარხანაში ჩვენი ყოფა-ცხოვრების საჭიროებისათვის ნივთები...“ (კაპანელი, 1925:133-134).

რასაკვირველია, კაპანელს მხედველობიდან არ გამორჩენია ის გარემოებაც, რომ კულტურის თითოეული ტიპი, როგორც შემოქმედებითი ისტორიის რეზულტატი, ურთულესია თავისი სტრუქტურით, და რომ მასში გარკვევის სიძნელის ერთ-ერთ პირობას მისსავე საფუძველში მოცემული ბუნებრივი სინამდვილის კანონზომიერი ხასიათი წარმოადგენს: „ბუნება ცოცხალი ჰაერეთია კულტურისა; ბუნების მოვლენები არტახებია კულტურული შემოქმედებისთვის“ (კაპანელი, 1925:83). ამასთან, შემოქმედებითი ისტორიის პროცესში ბუნება და კულტურა ერთმანეთისგან აბსოლიტურად გამიჯნული არ არიან; პირიქით, ისინი ერთმანეთს საჭიროებენ და სუბორდინირებენ: „კულტურა ზედნაშენია ბუნებისა, ერთგვარი გაგრძელებაა მისი და სწორედ ამიტომ კულტურული შემოქმედებისთვის ადამიანი ყველგან სარგებლობს იმ მასალებით, იმ ფერებით და ფორმებით, რომელთა შეგრძნობა და ასახვა შეეძლო ადამიანს თავის გარშემო მიწა-წყალზე“ (კაპანელი, 1925:83).

ჩვენთვის საინტერესოა, რომ ორგანოტროპული თვალსაზრისით, კულტურას, „რომელშიც მოხსნილი და შენახულია ბუნებრივი გარკვეულობანი“ (ყულიჯანიშვილი, 2006:269), მისი სხვადასხვა ისტორიული ტიპის შემთხვევაში ერთმანეთის იდენტური საზრისი ენიჭება; როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური კულტურა, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, იმ ბუნებრივი გარემო-პირობების შესაფერის ელფერს ატარებს და მემკვიდრეობს, რომელშიც ყალიბდება და ვითარდება, თითოეულის ევოლუ-

ციის ცალკეული მეტამორფოზაც და ყოველგვარი ვითარებაც არსობრივად განპირობებულია განსაზღვრულ დროსა და სივრცეში განფენილი ბუნების კანონზომიერი მდგომარეობით. ასე, მაგალითად, „აღმოსავლეთის თვალგადაუწვდენელი მიწდვრები და ერთსახიანი სივრცეები უსაზღვრო ინდივიდუალიზმის სურვილებს იწვევენ სულში“ (კაპანელი, 1925:142), ან კიდევ, „ექსტაზი დიონისიური ან აპოლონური შეუძლებელია გრენლანდიაზე და ციმბირში, შეუძლებელია ისეთ პირობებში, სადაც არსისა და მდგომარეობის შორის ურთერთობა არ იძლევა ორგანიული სისავსის შეგრძნობას, სადაც ბუნება და მისი კლიმატიურ-გეოგრაფიული თავისებურება ხელს არ უწყობენ ამ შეგრძნობის განცდას“ (კაპანელი, 1925:56). ამდენად, კაპანელისთვის კულტურის განვითარება იმდენად არის დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე, რამდენადაც იგი განპირობებულია საზოგადოების მხრიდან ბუნების მიერ შექმნილ შესაძლებლობათა დაუფლების, ათვისებისა და გამოყენების მდგომარეობით. აქედან გამომდინარე, იგულისხმება, რომ სამყაროს სხვადასხვა ნაწილში, ურთიერთგანსხვავებულად მოქმედი ბუნების ძალთა შესაბამისად, იქმნება ერთმანეთისგან თვისობრივად გამორჩეული ცალკეული კულტურა და, ამავე დროს, თითოეული მათგანის ფორმირება ხორციელდება სპეციფიკური ბუნებრივი ფაქტორების ხელშეწყობით.

ამასთანავე, კაპანელი ცდილობს ნათელყოფს ევროპული და აზიური კონტინენტისა და ქვეყნის ნაწილების გეოგრაფიულ თავისებურებათა გავლენა მათი კულტურის ფორმირების მიმდინარეობაზე, ასევე ცივილიზაციათა წარმოშობის განმაპირობებელი ფაქტორები და მათი განვითარების განმსაზღვრელი ბუნებრივი ვითარებანი. ორგანოტროპული თეორიის მიხედვით, გარემოს ცალკეულ პირობათაგან „კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაზე, გარკვეულწილად, გავლენას ახდენს გეოგრაფიული განედის, ნიადაგისა და კლიმატის ერთობლივი მოცემულობა-გარკვეულობა“ (Didmanidze, Bagrationi, 2022:4). თუმცა ისიცაა, რომ მათ აბსოლუტური მნიშვნელობა არანაირად არ მიეწერებათ. ავტორი ყოველმხრივ ცდილობს აჩვენოს, რომ გეო-

გრაფიული მოცემულობისა და კლიმატის ცვლილების შესაბამისად იცვლება ცივილიზაციის წარმოშობის შესაძლებლობანიც: „ხან ველური, ქარიშხალისებური მოძრაობა, ხან ზანტი ზმორება და მთქნარება აღმოსავლეთური სულის დამახასიათებელი თვისებებია და ეს თვისებები შემუშავდა აღმოსავლეთის გეოლოგიურ-გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური პირობების გავლენით მრავალ საუკუნეთა განმავლობაში“ (კაპანელი, 1925:143); გარდა ამისა, „ყოველ კუთხემ სამყაროში აკეთა ის, რის გაკეთება შეიძლებოდა; ყოველი პროფესია ირჩევა გენეტიური მემკვიდრეობის და მდგომარეობის ურთერთობით; ბუნების შესაძლოება ხელს უწყობს ამ ურთერთობას. სადაც წითელი თიხაა, ადამიანი აკეთებს ჭურჭელს, სადაც დიდ-ძალი ხე-ტყეა, ადამიანი აშენებს და დურგლობას ეჩვევა; სადაც რკინა ბლომად არის - ზეინკლობას სწავლობს; მდგომარეობა იძლევა ორგანოტროპიული შემოქმედების შესაძლოებას“ (კაპანელი, 1925:17).

ჩვენი აზრით, კაპანელის ზემოაღნიშნული შეხედულებები „ძალიან უახლოვდება სოციოლოგიაში ფართოდ აღიარებული გეოგრაფიული მიმართულებების ცნობილ წარმომადგენელთა, კერძოდ ინგლისელი ისტორიკოსის ჰენრი თომას ბოკლისა [ნაშრომში „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“] და რუსი (წარმოშობით რუმინელი) მეცნიერ-გეოგრაფის ლევ ივანეს ძე მეჩნიკოვის [ნაშრომში „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“] თეორიულ კონცეფციებს“ (ბაგრატიონი, 2018:192-194); რამდენადაც, იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ცივილიზაციის ფენომენს გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემოს ფაქტორი მექანიკურად განსაზღვრავს და, შესაბამისად, გვერდს უვლის გარემოს გვერდით ადამიანური მოღვაწეობის აუცილებლობას, ე. ი. კულტურის სოციალური განპირობებულობის ობიექტურ კანონზომიერებას. როგორც თავად კაპანელი აღნიშნავს, „გეოგრაფიული, კლიმატური, ბიოლოგიური პირობები წუთისოფლად ყველგან ათავისებურებს ცხოვრებას; კუნძულებზე, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, ციმბირში, ევროპის დიდ ქალაქებში სოციალური ცხოვრება ერთნაირი არ არის; რაკი ერთ კუთხეში ერთნაირი

სოციალური ცხოვრება თავისი პრინციპებით, კუთხურ-ტროპული ადათებით, სოციალური, მატერიალური და სულიერი კულტურაც ამ კუთხეში ისეთია, რომელიც გამოსახავს იმ სურვილებსა და ტკივილებს, იმ ზრახვებსა და გრძნობებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ განსაკუთრებულ პირობებში, განსაკუთრებულ მიწა-წყალზე“ (კაპანელი, 1925:67).

სრულიად მართებულად მიგვაჩნია შენიშვნა, რომელიც თავის დროზე სოციოლოგიაში გეოგრაფიული სკოლის კონცეფციის მისამართით გამოითქვა - კულტურის გაჩენასა და განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლის გადაჭარბებით და ცალსახად შეფასების შესახებ; იგი კაპანელის შეხედულებებზეც შეგვიძლია სამართლიანად გავავრცელოთ. სახელდობრ, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შეიძლება აღმოჩნდეს შეუსაბამობა გეოგრაფიულ პირობებსა და კულტურათა პროგრესს ან რეგრესს შორის, რამდენადაც განსხვავებული გეოგრაფიული მდგომარეობის ვითარებაშიც ცივილიზაცია იცვლება აღმასვლის ან დაღმასვლის მიმართულებით, ან კიდევ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ პირობებში ცივილიზაცია ერთ ქვეყანაში ყვავის, მეორეში კი მხოლოდ ისახება. ასე რომ, მხოლოდ გეოგრაფიულად ხელსაყრელი გარემოებების მიზეზის გამო თავისთავად, უნებლიედ და ავტომატურად კულტურა არც წარმოიშობა და არც ვითარდება. ამ შემთხვევაში კაპანელის ორგანოტროპული კონცეფციის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი კულტურასთან მიმართებაში გეოგრაფიულ დეტერმინიზმს ანიჭებს ერთ-ერთ, მორიგ, მაგრამ არა სრულიად გადამწყვეტ და აბსოლუტურ მნიშვნელობას.

როგორც კაპანელი მიიჩნევს, იმ გარემოებაშიც კი, როდესაც ადამიანური ყოფა-ცხოვრება მოკლებული იყო საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, და იმ მდიდარ ინტელექტუალურ გარემოს, რომლითაც დღეს აწესრიგებს და მართავს ბუნებრივ სინამდვილეს, ანუ „პირვანდელი ფორმა კულტურის ორგანიზაციისა, ეწყობოდა იმ მოვლენებს, იმ პირობებს არსებობისას, რომელსაც იგი ყოველდღიურად ხედავდა თავის გარშემო“ (კაპანელი, 1925:123);



უფრო კონკრეტულად, ეს იყო მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით შემოსილი და აღჭურვილი ველური სამყარო, რომელთან ურთიერთობაშიც ადამიანი იძულებული იყო თავიც დაეცვა და, მთელ რიგ შემთხვევაში, შეტევაზეც გადასულიყო, თუკი ამას საჭიროებდა მისი საყოფაცხოვრებო მიზნები და მისწრაფებები.

აშკარაა, რომ საზოგადოება, როგორც კულტურის ფენომენი, კაპანელთან შინაგანი, იმანენტური ტროპულობით ითვისებს და ისადაგებს სოციალურ-ისტორიულად ცვალებადი მდგომარეობითი მახასიათებლების შესაფერის ფორმასა და შინაარსს. მისი აზრით, „ცხოველების გაცნობამ ადამიანი სულიერად გადახარა ცხოველური კულტურისაკენ. ადამიანი ცხოველთა ერთ ჯგუფს ეგუება, თანდათანობით ეჩვევა და შემდეგ ცდილობს მათ მოშინაურებას სოციალური საჭიროებისთვის; ხოლო ცხოველთა მეორე ჯგუფს თვითონ ემორჩილება, ისახავს ღმერთებად, სწირავს მსხვერპლს, თაყვანისცემით და ლოცვებით მიმართავს“ (კაპანელი, 1925:124). ანუ, პრიმიტიული საზოგადოებრივი კულტურის შინაარსი მითოლოგიური მსოფლმხედველობის უზოგადესი პოსტულატების გამოხატულებას წარმოადგენს და სათანადო სოციალურ დატვირთვასაც გულისხმობს; ამასთან, ამ დონეზე „მწუხარება და სიხარული, იმედები, გრძნობები და იდეალები ადამიანისა უკავშირდებიან ცხოველურ-მცენარეულ ბუნებას მჭიდროდ“ (კაპანელი, 1925:124).

აქედან გამომდინარე, კაპანელისთვის კულტურის ისტორიის მითოსური მონაკვეთი განსაზღვრულობას იძენს ადამიანური და არაადამიანური ძალების ჰარმონიული ურთიერთმიმართებით, რაც სათანადო ორგანოტროპულ ასახვას პოულობს ზოომორფული წარმოდგენების პრინციპებით მკაცრად და ზუსტად დადგენილ რიტუალებში. ამის საუკეთესო ნიმუშებად, მასთან სახელდება და დეტალურად განიხილება ავსტრალიელ აბორიგენტთა ტრადიციული ცეკვები - კორობორი, ციმბირული დათვის კულტი და ბერძნული ელეფზინის მისტერიები, რამდენადაც თითოეული მათგანის პრაქტიკული შინაარსი ნათელყოფს, რომ

„კულტურის სული საერთოდ იხრება მდგომარეობისკენ, ყოველი ურთიერთობა მდგომარეობისა და სულისა თავისებურ ფორმას იძლევა შემოქმედებისა და განცდისას; შემოქმედება სოციალური განცდის ორგანიზაცია“ (კაპანელი, 1925:124).

აღსანიშნავია, რომ ორგანოტროპიზმის თვალთახედვით, კულტურის ისტორია წარმოდგენილია შემთხვევითი და მოუწესრიგებელი სიმრავლის სახით, რომელშიც თითოეული კულტურის სპეციფიკა დამოკიდებულია დროის, ტერიტორიისა და რასობრივ-ბიოლოგიური თვისებების ფაქტორზე. ამიტომ კულტურათა შორის საერთო ენა და სტილი არ არსებობს; ყოველი კულტურა საკუთარი სუბიექტურ-ინდივიდუალური სამყაროს მფლობელია, და რომლითაც იგი ორგანოტროპულ ურთიერთობაშია ირგვლივ არსებულ გარემო პირობებთან: “სამყაროს წყობა და სახეობა ერთეულების ქაოსია, უდიდესი კულტურა მხოლოდ ტროპული განცდის დათანაწყობებაა: სისტემები და პრინციპები, ღმერთები, კანონები და იდეალები განსხეულებულია ტროპულ-კუთხური ტანჯვით და ილუზიებით. რა არის ნიცშეს ზეკაცი, თუ არა გერმანელი არისტოკრატის პათოსი? რა აქვს საერთო ზარატუსტრას ინდოელთან? [...] განა ძველი ეგვიპტელი ღვთიური სიხარულით არ ივსებოდა, როდესაც ლოცულობდა ნილოსის წინაშე? განა აქ სოციალურ-ტერიტორიული ინტერესი არ ქმნის იდეას ღვთაებრიობისას? განა საუკუნეთა განმავლობაში ევროპელები ერთმანეთს ცეცხლში არ წვაგდნენ ზიარების საკითხისთვის? განა მთელი ერები არ იბრძოდნენ მუმიებისთვის? - მაგრამ ყველაფერი ეს დღეს ისე სასაცილოა ჩვენთვის, როგორც [...] დრომ და პირობებმა თან წაიღო სული ეპოქებისა” (კაპანელი, 1925:24). როგორც ჩანს, კაპანელს სურს დაასაბუთოს შპენგლერისეული კონცეფციის მართებულობა კუთხური, ნაციონალური კულტურის, შემოქმედების რიტმისა და ტიპის შესახებ და, ამ შემთხვევაში, თავისი მაქსიმალიზაციით უკვე უკიდურეს რელატივიზმამდეც კი მიდის.

როგორც ვხედავთ, კულტურულ-ისტორიულ სახეობათა თეორიული გამოკვლევის პროცესში კაპანელი ხელმძღვანელობს

არამდგრადი და დაულაგებელი მეთოდოლოგიური მექანიზმით; მისი შეფასებისთვის შეგვიძლია დავისესხოთ და გამოვიყენოთ კაპანელის სოციოლოგიური ნააზრევის თანამედროვე ქართველი მკვლევარის მექი ლობჯანიძის საფუძვლიანი დასკვნა: „კაპანელის მსოფლმხედველობის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეკლექტიზმის ყველაზე ცუდი გამოვლინებაა. [...] ავტორს არ ესმის საზოგადოების განვითარების კანონები, არა აქვს შემუშავებული სწორი მეცნიერული მეთოდი, აქედან ცხადია, რომ მისი ცდები შეაერთოს სხვადასხვა თეორიები - მექანიკური ხასიათისაა და მოკლებულია რაიმე მეცნიერულ დასაბუთებას“ (ლობჯანიძე, 2006:125-126).

### **დასკვნები**

კაპანელის კულტუროლოგიური ნააზრევი, განსაკუთრებით კი ონტოლოგიურ-აქსიოლოგიური კუთხით, არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. წინამდებარე კვლევის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს სწორედ კულტურის შესახებ კაპანელისეული კონცეფციის თეორიულ-ფილოსოფიური შინაარსის განხილვა-გარკვევის მცდელობა, კერძოდ, შემდეგი ძირითადი პოსტულატების მსოფლმხედველობრივი დასაბუთება:

ევროპული და აღმოსავლური კულტურის საერთო არქექტიპული საფუძვლების სისტემურ-ანალიზური ახსნა შესაძლებელია ორგანოტროპული ფორმულით. შესაბამისად, იგულისხმება, რომ როგორც ზოგადად კულტურის ფენომენის, ისევე მისი ცალკეული ტიპის შემთხვევაშიც, ღირებულებითი შეფასების ობიექტური კრიტერიუმების ძიება-დადგენის ტრადიციული მცდელობა წარმოადგენს გარკვეული თეორიული კონსტრუქციის უშუალო რეზულტატს;

კულტურის ყოველგვარი მოდელის იერსახე და ბუნება, ერთგვარად, ყალიბდება თავად კულტურის საფუძველშივე დამკვიდრებული ორგანოტროპული არქექტიპებით, რომელთა აქტიური დომინანტობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს როგორც კულტურის განვითარების ისტორიულ ბედს, ისე მისი ერთ-

იანობა-მთლიანობისა და თვითმყოფადობის უზრუნველყოფა-შენარჩუნებას.

### **მადლიერება**

გვინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიოთ ფილოსოფოსი და კულტურის თეორეტიკოსი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი, თავის დროზე, ნაშრომის ძირითად კონცეფციასთან დაკავშირებული გულისხმიერი კომპეტენტური რჩევების, საფუძვლიანი შენიშვნებისა და გულითადად გაწეული კვალიფიციური კონსულტაციებისათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

- ბაგრატიონი, ირმა. (2018). *კონსტანტინე კაპანელის ფილოსოფია*. მესამე შესწორებული გამოცემა. მონოგრაფია. ბათუმი: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. – URL: <https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/10644/index.html> (10.05.2024.)
- ბაგრატიონი, ირმა. (2016). *ევროპული კულტურის ისტორიული ტიპები კონსტანტინე კაპანელის ფილოსოფიაში*, მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის - „საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში“ - მასალები, თბილისი: „ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. – URL: Google Scholar Citations/Irma Bagrationi/Historical Types of European Culture in Konstantine Kapaneli’s Philosophy/ [PDF] from academia.edu [https://scholar.google.com/citations?view\\_op=view\\_citation&hl=en&user=nu\\_Kma0AAAAJ&pagesize=80&citation\\_for\\_view=nu\\_Kma0AAAAJ:4OULZ7Gr8RgC](https://scholar.google.com/citations?view_op=view_citation&hl=en&user=nu_Kma0AAAAJ&pagesize=80&citation_for_view=nu_Kma0AAAAJ:4OULZ7Gr8RgC) (30.04.2024.)
- კაპანელი, კონსტანტინე. (1925). *სოციალური ესთეტიკის საფუძვლები (ორგანოტროპიზმი)*. ტფილისი: გამომცემელი თომა ჩიქვანაია. – URL: Georgia Integrated Library Informa-

tion System Consortium's Digital Repository/თსუ-ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა/წიგნები/ფილოსოფია. (15.02.2024.) <http://openlibrary.ge/bitstream/123456789/7143/10/Kapaneli-1925.pdf>

კაპანელი, კოწია. (1923). *სული და იდეა (ბიოფსიხიზმი და კოსმიზმი. ფილოსოფია, ესთეტიკა, კრიტიკა)*. ტფილისი: გამოცემა ალექსანდრე ესაკიასი. – URL: Georgia Integrated Library Information System Consortium's Digital Repository/თსუ-ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა/წიგნები/ფილოსოფია. (15.02.2024.) <http://openlibrary.ge/bitstream/123456789/7136/8/Suli%20da%20idea%201923.pdf>

ლობჯანიძე, მექი. (2006). *კონსტანტინე კაპანელის სოციალურ-ფილოსოფიური შეხედულებები*. მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი. თბილისი. – URL: (14.05.2024.)

<https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Apr/dissertations/lobjanidze-konstantine-disertacia.pdf>

სიგუა, სოსო. (2012). *კულტუროლოგიის საფუძვლები*. წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „მწერლის გაზეთი“. – URL: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა-/Iverieli/წიგნები/წიგნადი ფონდი. (19.02.2024.) [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11306/1/Kulturologiis\\_Safudzvebi.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11306/1/Kulturologiis_Safudzvebi.pdf)

სიგუა, სოსო. (2013). *კულტუროლოგიის საფუძვლები*. წიგნი III. თბილისი: გამომცემლობა „მწერლის გაზეთი“. – URL: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა-/Iverieli/წიგნები/წიგნადი ფონდი. (19.02.2024.)

